ყოველკვირეული
# ალია

N17 /745/ 25 აპრილი, 1 მაისი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

შს მინისტრი მოგვიწოდებს, პატივი ეცით პოლიციასო! ჰმ! და იმსახურებენ, რო?!



3

---

*კულუარები*

კოალიცია „ქართული ოცნება“ აფეთქების პირასაა... უკვე დაწყებულია შიდა გადატრიალება

ვინ და რატომ დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილს?



13

*ექსპერტი*

თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ არ იქნება, სულ მცირე, დომინანტი ოპოზიციური ძალა, ქვეყანაში მოხდება ხელისუფლების დამხობა



16

*არაა!*

ვახტანგ მაისაია: „ამათი გადამკიდე, უკვე მრცხვენია, ექსპერტი რომ ვარ“



23

*დაპირისპირება*

„ეს არის ყველაზე ცუდი, რაც ივანიშვილმა გააკეთა!“



9

## ბაჩუკი ქარდავა — პრემიერ-მინისტრი, პაატა დავითაია — პარლამენტის თავმჯდომარე, აკაკი ასათიანი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი(!!!)

15

*მიხვედრილები*

„ქართულ ოცნებაში“ დეპუტატი არ დარჩა, 2013 წლის შემდეგ რომელიმე ბიზნესში რომ არ წაეყო ცხვირი, თქვენ გასაცხრილები კი არა, დასაჭერ-გასაყრელები ხართ!



6

*აღსარება*

სოსო ჯაჭვლიანი: „ჩემო ხალხო, გვაპატიეთ, სამწუხაროდ, ასე მოხდა“



11

*ვაი, სირცხვილო?!*

ეს პარლამენტი არ არის, ეს არის ერთი კაცის გასართობი და მისი ნების აღმსრულებელი ორგანო, მონებისა და დაჩმორებული ადამიანების თავშეყრის ადგილი



10

*სიკვდილი*

თუ „ჰერმესი“ არ ყიდის და სასაფლაო უფასოა, მაშინ ჭირისუფლები თანხას ვის აძლევენ?

რას ამბობს „ჰერმესის“ დირექტორი?



20

## ვინ „პატრონობს“ გარემოვაჭრეებს, ვის უხდიან ისინი „შავ ფულს“?

26

*პოლიტიკური პირისპირ*

ჯუმბერ პატიაშვილი: „ზვიად გამსახურდიას სინანული გამოუთქვამს, 9 აპრილს რატომ მეტი არ დაიხოცაო... იგივე უკითხავს ციხიდან განთავისუფლებულ ირაკლი წერეთელსაც“



24

*ცეცხლ-ტყვია*

მიხეილ სააკაშვილი: „როცა მივბრუნდი, უკნიდან ვიღაცა ხელით მწვდა... მომმართავდა სხვადასხვა უხეში გამოთქმებით, — „შე ჩემის გადანგრეულო“...



14

*პროტესტი*

„მეგონა, ამოისუნთქავდა ხალხი, ეს ხელისუფლება რომ მოვიდა, მაგრამ წინა ხელისუფლებასავით არიან ესენი“



28

*შემზარავი მკვლელობა*

დედა-შვილის მკვლელობის შემზარავი დეტალები



8

## 2 მილიონი „ისთერნ პრომოუშენს“ კულტურის მინისტრის ბრძანებით



კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“ 2010 წლის 5 აგვისტოს დაფუძნდა. მისი დირექტორი და ერთ-ერთი მეწილე, 22,5 პროცენტის მფლობელი კულტურის ამჟამინდელი მინისტრი მიხეილ გიორგაძე გახლდათ. 2014 წლის 23 მარტის მონაცემებით მდგომარეობა არ შეცვლილა.

2014 წლის 23 ივლისს მიხეილ გიორგაძე კულტურის მინისტრად დაინიშნა. 2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საჯარო რეესტრში ცვლილებები შედის და მიხეილ გიორგაძის ნაცვლად მისი ახლობელი გიორგი კერესელიძე ინიშნება დირექტორად. მიხეილ გიორგაძის სახელზე ამ დროისთვის აღარც წილი ფიქსირდება.

ფორმალური პროცედურების ჩატარების მიუხედავად, რაც დირექტორის პოსტის დატოვებას და წილის დათმობას გულისხმობს, მიხეილ გიორგაძეს თავისი ყოფილი კომპანიის მიმართ ინტერესი, როგორც ჩანს, არ განელებია.

შპს „ისთერნ პრომოუშენმა“ 2 წლის განმავლობაში კულტურის მინისტრის ბრძანებით 4 კონცერტში 2 მილიონი ლარი მიიღო.

„აიპრესის“ მიერ გაგზავნილი კითხვის პასუხად, სადაც „ისთერნ პრომოუშენის“ მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას ვითხოვდით, შემდეგი შინაარსის პასუხი მივიღეთ:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 2 აპრილის N02/287 ბრძანების საფუძველზე მხარდაჭერილ იქნა შპს „ისთერნ პრომოუშენის“ პროექტი „თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი" 402 005 ლარით.

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 18 თებერვალს N02/98 ბრძანების საფუძველზე მხარდაჭერილ იქნა შ.პ.ს. „ისთერნ პრომოუშენის“ პროექტი „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი" 603 145 ლარით.

2016 წელს ამავე კომპანიისთვის სამინისტროს მიერ გაღებული თანხა უწყების ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. „თბილისის ჯაზ-ფესტივალისთვის“ „ისთერნ პრომოუშენს“ 400 000 ლარი აქვს გამოყოფილი, „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალისთვის“ კი 600 000 ლარი.

საერთო ჯამში, კულტურის მინისტრის ბრძანებით, კომპანიას, რომლის დირექტორის და დამფუძნებელიც თავად გახლდათ, ორი წლის განმავლობაში, 2 მილიონ 5 ათას 150 ლარი აქვს მიღებული. (ipress.ge)

**ხეზე ცოცვა სათავისოდ ყველამ იცის, რაზეც აგერ, ბატონო, მიხეილ გიორგაძის ფაქტიც მოწმობს — აბა, საკუთარ კომპანიას თუ არ ასწავლა ხეზე ცოცვა და ფულების შოვნა, საკუთარი კომპანიისთვის თუ არ იზრუნა, რაა მამული?! თქვენ გგონიათ, რა, თავად არ იციან, რომ თანამდებობა სამუდამო არ არის? და ვინც ამ ქვეყანაში ჯიბეები ამოივსო, აგო ვინმემ პასუხი? არა!**

## შალვა რამიშვილი გიორგი ბახტაძეს და ირაკლი რუხაძეს ზეწოლასა და შანტაჟში ადანაშაულებს



შალვა რამიშვილი ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურ დირექტორ გიორგი რუხაძეს ზეწოლაში ადანაშაულებს. რამიშვილმა მიმოწერა ბახტაძესთან გაასაჯაროვა, რომელიც მისი თქმით, მასზე განხორციელებულ ზეწოლას ადასტურებს.

რამიშვილი ამბობს, რომ გადაცემა „პოლიტიკის დროში“ სტუმრების მოყვანასა და კითხვების დასმის პროცესში ბახტაძე უშუალოდ ერეოდა. რამიშვილმა კონკრეტული გადაცემა მოიყვანა მაგალითად. მისი თქმით, მას ბახტაძემ აიძულა ლევან მურუსიძე მოეწვია და ასევე, სტუმრად ჰყოლოდა მოსამართლეები, რომლებიც მას კითხვებს დაუსვამდნენ.

რამიშვილის თქმით, ბახტაძე არის ტელეკომპანიის ფიქტიური მმართველი, რეალურად კი „იმედში“ პროცესებს ირაკლი რუხაძე მართავს. რამიშვილი ირწმუნება, რომ როდესაც მან დავალებული კითხვების დასმაზე უარი განაცხადა, მას ბახტაძე ფარული ვიდეოჩანაწერის გავრცელებით დაემუქრა. (pirveli radio)

**ჭკვიან ხალხს უთქვამს — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო და არავინ ფიქრობს, რომ უმჯობესია, სიმსივნე გაჩენისთანავე მოსპო, თორემ მერე ფესვები თუ გაიდგა, არანაირი მკურნალობა აღარ შველის, არანაირ თერაპიას აღარ ექვემდებარება.**

**ვინმე თუ მკითხავს, ვუპასუხებ, რომ თუ ხელმძღვანელობა გაიძულებს აკეთო ის, რაც შენთვის მიუღებელია, გამოსავალი ერთადერთია — მიუჯახუნო კარი და სუფთა სანამ ხარ, მანამდე გაეცალო. თავის მართლების და თითის გაშვერის რეჟიმში არ უნდა ჩადგე — მერე რთულია, ვინმემ რამე დაგიჯეროს. რა, არა?!**

## მეტროსადგურ „პოლიტექნიკურში“ 15 წლის გოგონა ლიანდაგებში ჩავარდა



უბედური შემთხვევა თბილისის მეტროსადგურ „პოლიტექნიკურში" - 15 წლის მოზარდი ლიანდაგებში ჩავარდა.

გოგონა იაშვილის სახელობის კლინიკაშია გადაყვანილი.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა დაწყებულია.

იაშვილის კლინიკაში კი აცხადებენ, რომ გოგონას მრავლობითი დაზიანება აღენიშნება, მაგრამ მისი მდგომარეობა საგანგაშო არ არის. (rustavi2.com)

## თოფაძე და ინაშვილი - 2016



ექსპერტი გია ხუხაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „პატრიოთა ალიანსისა“ და „მრეწველების“ გაერთიანებას და ფიქრობს, რომ პარტიები გაერთიანების შემთხვევაში საარჩევნო ბარიერს უპრობლემოდ გადალახავენ.



– პრინციპში, ყოფილი კოალიციებისგან განსხვავებით ამ კოალიციას აქვს რაღაც ერთიანი ხედვები სხვადასხვა მიმართულებით და ჩვენ ეს ვნახეთ არაერთხელ. იმავე საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით მათი პოზიციები ძალიან დაახლოვდა. არსებული კოალიციიდან განსხვავებით, არის ბევრად უფრო ლოგიკური გაერთიანება. „პატრიოტთა ალიანსს“ ისედაც კარგი შანსები ჰქონდა და „მრეწველებს“ აქვთ თავის გარკვეული ტიპის რესურსები, მათი გაერთიანებით შეიძლება ოდნავ გაიზარდოს მათი შედეგები, - განაცხადა გია ხუხაშვილმა. (პირველი რადიო)

## ეგეთები ჩაუყლაპავს „ოცნებას“? ნაკლები მამაძაღლობები გაგიტარებიათ? ჰოდა, ამასაც ჩაყლაპავთ, აბა, როგორ?



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე აშშ-ის კონგრესმენ სტივ რასელის გამოსვლას ეხმიანება და საკუთარ მოსაზრებას სოციალურ ქსელში აქვეყნებს. იგი აღნიშნავს, რომ რასელის გამოსვლას საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა, თუმცა ეს მხოლოდ მისი პირადი შეფასებებია. კვაჭანტირაძე რასელის იმ განცხადებას ეხმიანება, სადაც მან განაცხადა, რომ საქართველოს არჩევნების სამართლიანად ჩატარება და ქვეყნის თავისუფლება საფრთხის წინაშე დგას. რასელმა ამერიკის ფინანსთა სამინისტროსა და დასავლეთის ბანკებს მოუწოდა, ბიძინა ივანიშვილის ანგარიშები გაყინონ.

– ბევრი აღაშფოთა აშშ-ის კონგრესმენის სტივ რასელის ცნობილმა გამოსვლამ და ცხადია, აღშფოთება სამართლიანია. მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბატონმა რასელმა გააჟღერა პირადი მოსაზრებები, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას და მეტიც, სრულიად ეწინააღმდეგება მას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც მზად არიან ნებისმიერი განცხადების გასახმოვანებლად, უყვართ სკანდალი, ყურადღების ცენტრში მოქცევა ნებისმიერ ფასად.... ჩვენთან რა, არ ვიცნობთ ასეთ პოლიტიკოსებს?

მოკლედ, ბატონ რასელს რომ დავუბრუნდეთ, ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კონკრეტულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა და ლობისტურმა კომპანიებმა შეცდომაში შეიყვანეს...

მოდით, ჩვენი საქმე ვაკეთოთ ყველამ. ვიცი, რომ კონგრესმენმა რასელმა გვაწყენინა, მაგრამ გაივლის ეს წყენაც, რადგანაც აგერ ნახავთ, პრემიერის ვიზიტი აშშ-ში რომელიც მომავალ კვირაში შედგება აუცილებლად იქნება წარმატებული და იგი გახდება ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობის განმამტკიცებელი ფაქტორი, - წერს კვაჭანტირაძე სოციალურ ქსელში. (ipress.ge)

**სულ რამდენიმე დღის წინ ორი შვილის მამა იმის გამო არ დააპატიმრეთ, რომ „აშუშუს“ ელჩზე ჰო, ძალიან სულელურად, მაგრამ მაინც — იხრუმა? და თუ ხუმრობა პატიმრობით ისჯება, ამხელა თანამდებობის პირი რომ საჯაროდ და საერთაშორისო მასშტაბებით ლაფს გასხამთ, კიდევ აქეთ უგორებთ კოჭს, თქვე კაი ხალხო?!**

**თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ რადგან პატარა სახელმწიფო გვაქვს, დიდებმა სულ კინკრიხოში როდემდე უნდა გვიბრახუნონ, ჰა?!**

**არა, რასელს „სპლიყვის“ მსგავსად ვერ დააპატიმრებთ, ეგ გასაგებია, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ყველაფერი ჩავყლაპოთ, ერთი გემოზე თქვენც რომ საერთაშორისო ლანძღვა-გინება შეუთვალოთ, ვინ რა ფეხებს მოგვჭამს?!**

## „ნატოსთან დაკავშირებით ოპტიმიზმს საფუძველი არ გააჩნია, ეს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაა“ - მეჭიაური



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ მეჭიაურს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ოპტიმიზმი გადამეტებულად მიაჩნია. დეპუტატის თქმით, ის „ოცნების“ გუნდის წევრებს გარკვეულ საკითხებში ემიჯნება და მიაჩნია, რომ ქვეყანა ახლა უფრო შორსაა ნატოსგან, ვიდრე ადრე.

– არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ახლა ვამბობ, რომ რაღაცა დოზით რაღაცას გუნდში ვემიჯნები. აგერ უკვე ქვეყნის გარედანაც დაიწყეს ზეწოლა და შანტაჟი. ბიძინა ივანიშვილს არ ვეთანხმები იმაში, რომ ის მეტისმეტად ოპტიმისტურად უყურებს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. მე ევროკავშირის და მასში გაწევრიანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ არ მესმის ეს მეტისმეტი ოპტიმიზმი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ამ ოპტიმიზმს საფუძველი არ გააჩნია და მგონია, რომ ეს არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, რადგან ამის მზადყოფნა ნატოს წევრ ქვეყნებს არ გააჩნიათ. არ ვიცი რას ნიშნავს ხალხის დაჯერება, რომ ხვალ უფრო ახლოს ვიქნებით ნატოსთან, ზეგ მაპზე უკეთესს მოგვცემენ, მერე უფრო უკეთესს და ა.შ. ამასობაში, ვფიქრობ, რომ იმაზე უფრო შორს ვრჩებით ნატოსგან ვიდრე აქამდე ვიყავით, - განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (niuposti)

## საყურის გამო კაცი არ სცემოთ, ცოტაა გასალახი და ტალახში საგორავებელი?!



ცემის ფაქტი თბილისში — დაზარალებულ ნიკა ბერიძის ინფორმაციით, მას სამი უცნობი პირი ფიზიკურად გაუსწორდა.

შემთხვევა მუხიანის მე-3 მიკრორაიონში, ავტობუსის ერთ-ერთ გაჩერებაზე მოხდა. დაზარალებულის თქმით, თავდასხმის მიზეზი ის გახდა, რომ ის საყურეს ატარებდა.

ბერიძე საკუთარ „ფეისბუკ" გვერდზე წერს, რომ საპატრულო პოლიციას გამვლელმა გამოუძახა, რის შემდეგაც, სამართალდამცველებთან ერთად, მან თავდამსხმელები ერთ-ერთ პარკში ამოიცნო.

ფაქტს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროც. უწყების ინფორმაციით, მომხდარზე დაკავებულია ორი პირი. გამოძიება სისხლის სამართლის 125-ე, ძალადობის მუხლით მიმდინარეობს. (პირველი რადიო)

# შს მინისტრი მოგვიწოდებს, პატივი ეცით პოლიციასო! ჰმ! და იმსახურებენ, რო?!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



დაყვედრება მაგარი იციან ხოლმე, კაცო – მუხლჩაუხრელად ვმუშაობთო, დღე და ღამე თქვენს უსაფრთხოებაზე ვზრუნავთო, მამაძაღლი კრიმინალებისგან გიცავთო, ესაო, ისაო. ერთი აქეთ მოიხედეთ – დანარჩენები, რა, უსაქმურები ვართ? აგე კოლა, ეგე – ხირხალა – ჰკითხეთ, აბა, ნაკლებს აკეთებენ ქვეყნისთვის?! ჰო, ყველას არ უწევს ტყვიაზე წასვლა, ნამდვილად ასეა, მაგრამ როცა პროფესიას აირჩევ, ისიც გააზრებული უნდა გქონდეს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს შენს თითოეულ ნაბიჯს.

აკი დიდი შოთაც ეგრე არ ამბობს – „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდესო“? ჰოდა, მუშა მუშაკობს, მეომარი გულოვნობს, პოლიციელი გარეწრებს იჭერს, თარჯიმანი თარგმნის, ჟურნალისტი წერს და ასე შემდეგ.

მაგრამ რას ვიზამთ, ხშირად არ არის ხოლმე ისე, როგორც ჩვენს გულებს გაუხარდება – პოლიციელს ფორმა ატყუებს, რაღაც-რუღაცები თავში უვარდება და მამაძაღლობს; მუშა ფიქრობს, შეფის ცოტა ცემენტი და გაჯი ჩემი „გარაჟისთვის“ რომ გავაყოლო ხელს, ვინ გამიგებსო; ჟურნალისტიც შეიძლება ვერ გაერკვეს კონკრეტულ საკითხში და შეცდომა დაუშვას...

ჰო, რა, შეუცდომელი არავინაა, მთავარია, რომ დაშვებულ შეცდომას გამოუსწორებელი შედეგები არ მოჰყვეს.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ბათუმიდან გავრცელებულ კადრებს, სადაც ჩანს, როგორ იჭერენ პოლიციელები ასფალტზე გართხმულ ვიღაცას, ვფიქრობ, ძალადობასთან და ძალის გადამეტებასთან საერთო არაფერი აქვს. ესეც რომ არ იყოს, სამართლიანობისთვის უნდა ვთქვათ, რომ პატრულის თანამშრომლებს აშკარად ძველი ფორმა აცვიათ და შესაბამისად, ეს ინციდენტი რამდენიმე წლის წინათ უნდა მომხდარიყო, მაგრამ სამწუხაროდ, პოლიციელისა და რიგითი მოქალაქის არცთუ სასიამოვნო ურთიერთობა მხოლოდ ამ, სავარაუდოდ, შეცდომით გავრცელებული კადრებით არც იწყება და არც მთავრდება. საამისოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება და აგერ, ბატონო, ერთ-ერთი, სულ ცინცხალი: შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი კასპის რაიონის სოფელ ნოსტეში მომხდარი ძალიან დიდი უნამუსობის შესახებ წერს – ხუთმა ახალგაზრდა პოლიციელმა ასაკოვან ხალხს სოფლის ბირჟაზე დგომა აუკრძალა და კარტი დაუხია.

76 წლის ოთარ გაბოძის თქმით, პიკაპით მოძრავი პოლიციის თანამშრომლები ბირჟაზე მდგომ მოხუცებს დაკავებითა და ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებით დაემუქრნენ.

ადგილობრივები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ პოლიციელები ახალგაზრდები, 20-25 წლის ასაკის არიან.

– განსაკუთრებული აგრესიულობით გორელი ბიჭი გამოირჩეოდა. ჩვენ რომ გამოვივლით, უნდა მოგვერიდოთო. აქ ნუ დგახართ, წადით, ნაკვეთში იმუშავეთ და დაბარეთო, – ამბობენ ის ნოსტელები, რომლებსაც პოლიციის თანამშრომლები უშუალოდ დაემუქრნენ.

ნოსტელებისთვის გაურკვეველია, რატომ გამოირჩევიან აგრესიულობით პოლიციელები, მაშინ, როდესაც სოფელში დანაშაული საერთოდ არ ხდება.

ხდება თუ არა დანაშაული ნოსტეში, ეს სხვა საკითხია, მთავარი აქ ის არის, რომ პოლიციის თანამშრომელმა, სავარაუდოდ, 20-25 წლის ახალგაზრდამ (თუ ახალგაზრდებმა) სოფლის ბირჟაზე შეკრებილ მხცოვან ადამიანებს ბანქოს თამაში აუკრძალა, „ებლატავა“, „მარკები აიწია“ და საქმე საქმეზე რომ მიდგება, რას იტყვის, იცით? მე მუხლჩაუხრელად ვმუშაობ, დღე და ღამ თქვენს უსაფრთხოებაზე ვზრუნავ, კრიმინალებს ვებრძვი და... და პატივი მეცით, რომ დამინახავთ, კეთილი ინებეთ და ფეხზე წამომიდექით, თუ დამჭირდა, ვალდებული ხართ, ფეხები თბილ წყალში ჩამაწყობინოთ და როცა მე გიბრძანებთ, ბაღ-ვენახი დაბაროთ და თოხნოთო...

ბათუმის ინციდენტის შესახებ შს მინისტრმა განცხადება გაავრცელა, ნამეტანი აღშფოთებულია და მოგვიწოდებს, პატივი ეცით პოლიციასო! ჰმ! და იმსახურებენ, რო?!

აი, რას წერს გიორგი მღებრიშვილი განცხადებაში:

„მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ვაცხადებ, რომ მიმდინარეობს ქვეყნის პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაცია!

მე არ დავუშვებ ჩვენი პოლიციელების დაკნინების მცდელობას! არ დავუშვებ, რომ ჩემი კოლეგები, ადამიანები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ყოველდღე რისკის ქვეშ აყენებენ, რათა კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მისია – დაიცვან ყოველი ჩვენგანის უსაფრთხოება – გახდნენ სისტემატური თავდასხმისა და მორალური ზეწოლის მსხვერპლნი.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასდროს ყოფილა საზოგადოებასა და დასავლურ სტანდარტებზე ისე ორიენტირებული, როგორც დღეს... სწორედ დასავლური ღირებულებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ნაწილია, პატივი სცე და მხარი დაუჭირო შენი ქვეყნის პოლიციას.

ჩვენი პოლიცია აპოლიტიკური უწყებაა. მისი მთავარი ამოცანა ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის პრევენცია და აღკვეთაა.

თუმცა, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა და, სავარაუდოდ, წინასაარჩევნო ფონზე, კიდევ უფრო გააქტიურდება მიზანმიმართული შეტევა პოლიციის იმიჯზე, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითი დღეს მედიით გავრცელებული კადრებია. ამ კადრების მეშვეობით, ჟურნალისტი ცდილობს, მაყურებელი დაარწმუნოს, რომ კონკრეტულ ვიდეოფირზე თანამედროვე პოლიციის მიერ მოქალაქეზე ძალადობის ფაქტია აღნუსხული. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ვიდეომასალა არ ასახავს დღევანდელობას. ის გადაღებულია საპატრულო პოლიციის რებრენდინგამდე. ვიდეოში კარგად ჩანს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ძველი ფორმები აცვიათ. ასევე, ფიქსირდება ძველი მარკისა და შეფერილობის ავტომანქანა „შკოდა“...

ედუარდ შევარდნაძის დროინდელი სამართალდამცველები გადასარევად გვახსოვს – ფულს დახარბებული ჩვეულებრივი ყაჩაღები იყვნენ (ჰო, იყვნენ პატიოსნებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი). მობრძანდა „მიხეილ მხსნელი“, ლანძღა და თათხა „ედიკას მილიცია-პოლიცია“ და სანაქებო პატრულზე ბაქიაობით ტვინი წაიღო, პარალელურად კი მიშას დროინდელმა პოლიციებმა უამრავი ადამიანი პირდაპირ ქუჩაში დახვრიტეს. მოვიდა „ქართული ოცნება“, ახლა ამათ დაიწყეს მიშას პოლიციის გინება და როგორც აგერ, მღებრიშვილიც წერს – დღეს ქვეყანაში აპოლიტიკური პოლიცია გვყავს...

ჰო, ეს აპოლიტიკური პოლიცია ქუჩაში აღარავის ხვრეტს, მაგრამ იმდენს უბაყუნებს დამნაშავეს თუ უდანაშაულოს, ნებით თუ უნებლიეთ, საზოგადოებას სამართლიანი უკმაყოფილება და აგრესია უჩნდება.

დასკვნა ასეთია, რა – „მოქკავშირი“ იქნება, „ნაცმოძრაობა“ თუ „ქართული ოცნება“, პოლიცია უდიდესი წარმატებით ახერხებს, ხალხს თავი შეაძულოს. ამისთვის კი იმდენი ხერხი აქვთ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა მოდით, ერთ მაგალითს მაინც მოვიყვანთ – გონივრული ეჭვის საფუძველზე პოლიციას შეუძლია... პრინციპში, შეუძლია ყველაფერი – გაგაჩეროს, გაგჩხრიკოს, წაგიყვანოს (წაგათრიოს) განყოფილებაში და მოგთხოვოს, გინდა თუ არა, მოშარდეო, ჩაიკუზეო, გადაიკუზეო, გადაიზნიქეო და როცა ამ ყველაფერს გააპროტესტებ, თანაც – სამართლიანად, აი, მაშინ მოგხვდება ღრანჭებში!

და ამის შემდეგ კიდევ მოითხოვს ვინმე, პატივი ვცეთ ისეთ პოლიციელს, რომელიც ნოსტეს სოფლის ბირჟაზე შეკრებილ მოხუცებს „კარტს“ თავზე დაახევს – გონივრული ეჭვი მაქვს, ბაღჩა-ბაღები არ გაუთოხნიაო?!

პოლიციელი საზოგადოების პატივისცემას დაიმსახურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფორმას მართლა მის დასაცავად მოირგებს და არა „პრავების საკაჩაოდ“ და თუ თავად უწყებაში არიან „კრისები“, რომლებიც ვინმეს დაკვეთით ან საკუთარი მახინჯი და ბნელი გონების გამო ცდილობენ უწყების დისკრედიტაციას, ეს უკვე თავად სამართალდამცველებისა და პირადად გიორგი მღებრიშვილის პრობლემაა!..









Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook




**მერაბ შათირიშვილი:**

რა პაატა ბურჭულაძე, რის პაატა ბურჭულაძე - რა რეიტინგი, რის რეიტინგი, ბოლო-ბოლო მომღერალია და, თუ ხმა გაუფუჭდა, დილდილობით უმი კვერცხი ყლაპოს უზმოზე, რომელი პოლიტიკოსი ეგ მყავს, ან რა რეიტინგობის ჭია შეუჩნდა? ხელი მოითბო ფარისევლური „ქველმოქმედებით“ - ფული იშოვა და ხელისუფლება მოუნდა?.. სად იყო მაშინ, მიშას დესპოტიზმი უკანალებს რომ აზანზარებდა, საკუთარ უკანალს გაუფრთხილდა?.. ეს ქვეყანაა თუ სბროდია, ვერ გამიგია, გიჟები ვართ თუ უკვე შიზოფრენიის ზღვარს გავეცალეთ და პათოლოგიური პოლიტიკომანიით შეპყრობა გვჭირს?.. ვის ეკითხებიან და სად ატარებენ გამოკითხვას, ერთი მე მკითხონ, ვინ არის ეს ოპერმუშაკი სააკაშვილის ბნელი ზრავათა წინამორბედ-ხელისუფლებისა?.. ერთი ჯიბიდან გავარდნილი ფასიანი პატრიოტია და, მოდი, ჩავაბაროთ ქვეყანა პაატა ბურჭულაძეს, მერე ვიმღეროთ და ვიმღეროთ არიები... ვაი, ჩვენს გათხელებულ პატრონს უბედურს!..

კიდე რა მაინტერესებს, იცით (შეურაცხყოფას არავის ვაყენებ და ჩვენც მოვხუცდებით), „მრეწველები“ დამდეგ საპარლამენტო არჩევნებისთვის რომ ემზადებიან და „იწევენ“ - მიაღწევენ?.. (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ).. ))

გაგიჟდები კაცი: რა თაფლია ეს პარლამენტი, ფუტკარივით რომ ესევიან?! )))))))))))

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები




**შალვა რამიშვილი** „იმედიდან“ მისი გაშვების სკანდალზე :

ბახტაძემ ("იმედის" "დირექტორმა") დაადასტურა ჩემი და მისი ვაიბერ მიმოწერის სინამდვილე

ასევე თქვა, რომ ჩემი გაშვება მოხდა ჩემი არაეთიკური საქციელის გამო,

არადა თათია სამხარაძე კატეგორიულად აცხადებს რომ აუდიო ჩანაწერი ბახტაძესათვის არ უჩვენებია

ესე იგი გამოდის რომ თათია სამხარაძემ უბრალოდ მოუყვა ბახტაძეს რომ მე ის "შევავიწროვე" და ბახტაძემ ამის გამო 5 კონტრაქტი გაწყვიტა იმ შპსთან რომელში მე არც დირექტორი და არც დამფუძნებელი არ ვარ, აი ამის გამო დატოვა ბახტაძემ 50 კაცი ქუჩაში ? თათია სამხარაძის მონაყოლის გამო...

ღმერთო, ამ ჩირგვებში მიმალულს ადვოკატებიც არ ჰყავს

ნუ ვაიბერ მიმოწერაში როგორ იქცევა ანუ რამდენად არის დირექტორსა და ჟურნალისტს შორის "ასეთი კომუნიკაცია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის ნაწილი" ...ეგ თავად განსაჯეთ.

**მარიამო ჯანელიძე** - თათიამ განაცხადა რომ არ გადაუცია, მოსმენა და გადაცემა სხვადასხვა შინაარსის სიტყვებია ბატონო შალვა, ცოტა დაფიქრება გმართებთ სანამ განცხადებას გააკეთებთ:) ხალხი აზროვნებს...

შალვა რამიშვილი -და ბახტაძეს იცავთ? ანუ ის საუბარი რაც ჩემთან ჰქონდა მურუსისძისა და კამპანიის მოწვევაზე არის "იმედში " დირექტორისა და ჟურნალისტის ჩვეულებრივი კომუნიკაციის ნაწილი? გარდა ამისა, თათიამ ბახტაძეს მოასმენინა ჩანაწერი, რომლის ავთენტურობაც მაშინ არ იყო და დღემდე არაა დადასტურებული და ბახტაძე ამის გამო იმ შპს-ს (სადაც მეც დაქირავებული მუშაკი ვარ) 5 კონტრაქტს უჩერებს და 50 კაცს ქუჩაში ყრის? აბა მოაზროვნე ქალბატონო გამეცით პასუხი :)) თქვენ ხომ "იმედში" მუშაობთ?

ლევან ელბაქიძე - შალვა არ ვიცნობ არც თათია სამხარაძეს და არც დირექტორ ბახტაძეს, მაგრამ ერთი რამ ვიცი ზუსტად და სამწუხაროდ მე მარტო არა, ძალიან ბევრმა ადამიანმა იცის, რომ შენ ხარ; სინდისიგან გარეცხილი, ურცხვი, უტიფარი, ღირსებასთან კონფლიქტში მყოფი, ყველაფრით მოვაჭრე ჩვეულებრივი ავანტიურისტი შარვლიანი ადამიანი - კაცი სხვა რამეს ნიშნავს შალვა. ის გოგო რომ სულ ცირკთან მდგომი ქალების მორალის იყოს (რა აზრისგანაც შორს ვარ) და დირექტორი ცუდი ტიპი, შენი ზემოთ მოყვანილი "ღირსებების" ნუსხა საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია. ჩემი კომენტარი არ წაშალო არ გაინტერესებს რამდენი ლაიქი ექნება?! »

მალხაზ ფიროსმანაშვილი – სიმართლე სხვაგვარია შალვა... უბრალოდ, წინასაარჩევნოდ, არ უნდოდათ ისეთი წამყვანი, რომელიც მტყუან-მართალს სწორად მიაწვდიდა საზოგადოებას და მოგიშორეს... რა გზით და როგორ ეს სხვა საქმეა.. ისე იმედმა უფრო „ბინძური" მეთოდი გამოიყენა, ვიდრე სააკაშვილმა, შენი აყვანის დროს!!

კვირის მედია-ქრონიკა

## რამაზოტი: ჩემს სახლში ქართველი მუშაობს და იმან გამაგებინა, რომ საქართველო კარგი ქვეყანაა




– ჩემს სახლში ქართველი მუშაობს, მან უკვე გამაგებინა, რომ ეს ძალიან კარგი ქვეყანაა. ვიცი, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც ევროპასთან დაახლოება სურს, – ასე დაიწყო საქართველოში პირველი პრესკონფერენცია იტალიელმა მომღერალმა ეროს რამაზოტიმ.

– ეს ფესტივალი ემსახურება ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მე ვარ ის მომღერალი, რომელიც ხსნის ამ პროგრამას, რაც ჩემთვის დიდი პატივია. იმედია, ეს ხელს შეუწყობს ევროპასთან კავშირს, – განაცხადა ჟურნალისტებთან რამაზოტიმ. (ipress.ge)

**ყურადღება მიაქციეთ, ძვირფასო მკითხველო — ერთმა ადამიანმა, რომელიც, სამწუხაროდ და საუბედუროდ, მოწყვეტილია საკუთარ სამშობლოსა და ოჯახს, მთელ სახელმწიფოს აჯობა — რაშიც „ოცნება“ 29 მილიონს იხდის, მან, ამ ქართველმა ემიგრანტმა ბევრციფრიანი ჰონორარის გარეშე მოახერხა. უფრო მეტიც, ის აქეთ იღებს ხელფასს რამაზოტისგან, თან საკუთარი ქვეყნის პოპულარიზაციას ცდილობს და რაც მთავარია — გამოსდის კიდეც!**

**რა თქმა უნდა, აჯობებდა, რამაზოტისა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი უცხოელის სახლებში მომუშავე ქართველები სამშობლოში შრომობდნენ, ის 29 მილიონი მათთვის იხარჯებოდეს, მაგრამ „ოცნებამ“ რომ არ ივარგა, კი იცით გადასარევად!..**

კვირის მედია-ქრონიკა

## „მაგდას ბავშვობიდან იცნობს და მასზე ჭორაობს ეს არაკაცი“



ლანა პაპიძის მეგობარი, რომელზეც ეჭვობენ, რომ მისი სახელით თავად ლანა წერს, მაგდა პაპიძის ბავშვობის მეგობარს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს. როგორც სტატუსიდან და კომენტარებიდან ირკვევა, ლანას მეგობარი იმან გააბრაზა, რომ, მისი თქმით, მამაკაცი მაგდა პაპიძეზე ჭორაობს.

– შენ ერთი არაკაცი ხარ, ვინც ბავშვობის მეგობრებს არ აფასებს და ბოზ და პუტანკა დას სუფთად ასაღებ! შენ ცნობილი გორელი ბოზის ძმა ხარ და ხმას როგორ იღებ, საერთოდ. შენნაირი არაკაცები არიან ზუსტად, ჭორაობაში რომ ძვრებათ სული! ბოზის ძმა ხარ და აბა, შენ იცი, მიხედე ბოზ დას!.. მაგდას ბავშვობიდან იცნობს და მასზე ჭორაობს ამხელა კაცი თან. სირცხვილია, – წერს ლანას მეგობარი. (mediamall.ge)

## „ნათელაშვილი ახლა თვითონ დადის მიშას დავალებით და აბეზღებს საკუთარ ქვეყანას“



„მემარცხენე ალიანსის“ ლიდერ სოსო შატბერაშვილის განცხადებით, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი, მიხეილ სააკაშვილის დავალებით ამერიკის კონგრესში დადის და საკუთარ ქვეყანას აბეზღებს.

– თავის დროზე პატივცემული შალვა ნათელაშვილი ბრიფინგებს მართავდა და ამავე პათოსით გაჰკიოდა ხმის ჩახლეჩამდე! „არიქა, მიშა კონგრესში დადის და თავის ქვეყანას აბეზღებსო“, ამას ჰქვია „ბედის ირონია“ – ახლა თვითონ დადის მიშას დავალებით და აბეზღებს საკუთარ ქვეყანას, – აცხადებს შატბერაშვილი. (marshalpress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა

## ვოლსკი: როგორაა „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური, როცა ბოთლებით აუპატიურებდნენ ადამიანებს!



– ვფიქრობ, უამრავი ადამიანი, რომელიც დღეს ცხვირს უნდა ურტყამდეს იატაკს ან მარხვის პერიოდში მაინც უნდა ინანიებდეს ცოდვებს, დღეს იმხელა ტონალობაში ლაპარაკობს, რომ ხანდახან ვინმე საქმეში ჩაუხედავ პიროვნებას შეიძლება ეჭვიც კი შეეპაროს მათ დანაშაულში, — განაცხადა პარლამენტის სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელიმა გიორგი ვოლსკიმ.

– მე საერთოდ არ მიმაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობა" პროდასავლური პარტიაა. როგორ შეიძლება პროდასავლური ან პროევროპული ფასეულობების მატარებელი უწოდო, როდესაც ადამიანებს ბოთლით აუპატიურებს, მითხარით, რა ლოგიკაში ჯდება ის რიტორიკა, რაც ახლა მოვისმინეთ, თუნდაც დაწყობილი ენით, დაწყობილი განცხადებებით და წინადადებებით. განა ეს გუშინ არ ხდებოდა? - აცხადებს გიორგი ვოლსკი. (ipress.ge)

**ერიჰაა, გიორგი ვოლსკი გვეუბნება — ჩვენ, „ოცნებამ“, გადასარევად ვიცით, რა ჩარუმ ჩაფსკვნილები არიან „ნაცები“, როგორ სპობდნენ და ანადგურებდნენ რიგით მოქალაქეებსო და აბა, ამის მერე ეგენი როგორი პროდასავლელები არიანო?**

**ოეეე, „ოცნება“, ეს ყველაფერი რომ იცით და არაფერს აკეთებთ, პროდასავლელი და პროევროპელი იქით იყოს, რაც რამე პრო-ზე იწყება, ის რომ აგონდება ხალხს პოლიტიკაზე ფიქრისას, რა უნდა ვუყოთ ამ ამბავს, ჰა?!**

**რა უნდა ვუყოთ, ჩემო ბატონო და არჩევნების დღე რომ დადგება, ე, მაშინ მივიღებთ ადეკვატურ გადაწყვეტილებას!**

## „თიბისი ბანკის“ ინიციატივით, პირველად საქართველოში ფინანსური განათლების შესახებ მასშტაბური კვლევა ჩატარდა

„თიბისი ბანკის“ სათავო ოფისში, საქართველოში ფინანსური განათლების შესახებ კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

„თიბისი ბანკის“ ინიციატივით, ფინანსური განათლების შესახებ მასშტაბური კვლევა 2016 წელს პირველად ჩატარდა საქართველოში და ის კვლევითი ორგანიზაციების **TNS** და **ISET**-ის მხარდაჭერით განხორციელდა.

კვლევის მიზანია იმის დადგენა, რამდენად გათვითცნობიერებულია საზოგადოება ფინანსურ საკითხებში, როგორია მათი დამოკიდებულება პირადი ხარჯების მიმართ და რამდენად ენდობიან ისინი ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს.

კვლევაში სულ 1000-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, საქართველოს 7 დიდ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, რუსთავი). მოსახლეობა მათი ბუნებრივი გადანაწილების პროპორციის დაცვით გამოიკითხა. ინტერვიუების ჩატარება **TNS**-მა უზრუნველყო. კითხვარი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, **ISET**-ის სპეციალისტების მიერ **ADB**-ს და **OECD**-ის მსოფლიო პრაქტიკებზე დაყრდნობით მომზადდა.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, კვლევის 4 ძირითადი საკითხი მოიცავდა შეკითხვებს შემდეგ თემებზე: ინფლაცია, რისკების დივერსიფიკაცია, რთული პროცენტი, სარგებელი, რომლებიც ფორმულირებული იყო მარტივი ამოცანების სახით. კვლევის შედეგად დადგინდა ფინანსური განათლების სამი ინდექსი: დაბალი, საშუალო და მაღალი (პროცენტული გადანაწილება იხილეთ პრეზენტაციაში).

ფინანსურ განათლებაზე ზრუნვა „თიბისი ბანკის“ სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მხრივ, „თიბისი ბანკმა“ არაერთი პროექტი განახორციელა – მათ შორის სატელევიზიო პროექტები: „ფული და სურვილები", „ფინანსური რჩევები", ასევე, მომზადდა „ჩემი ფინანსების" გრაფიკული რგოლები, რომელიც სოციალური მედიის საშუალებით ვრცელდება.

აღნიშნული კვლევის შედეგები „თიბისი ბანკს“ ფინანსური განათლების შესახებ სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება. მონაცემების გათვალისწინებით, ბანკი შეეცდება საკუთარ **CSR** პროექტებში მეტი აქცენტი გააკეთოს იმ თემებზე, რაც საზოგადოებაში ფინანსური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

კვლევის შედეგები იხილეთ ბმულზე: ფინანსური განათლების შესახებ კვლევა ***www.iset-pi.ge***




| ფინანსური განათლების 4 ძირითადი კითხვა | ინფლაცია 01 | რისკების დივერსიფიკაცია 02 | რთული პროცენტი 03 | საპროცენტო განაკვეთი 04 |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 62% | 47% | 38% | 35% |
| რეგიონები | 54% | 34% | 33% | 40% |
| სულ | 59% | 42% | 36% | 37% |

# ვანო ჩხარტიშვილის ლონდონური სასამართლოს სკანდალური ფაქტები!

## სამეფო სასამართლოს მოსამართლე პიტერ სმიტი: „ვანო, გარდაცვლილი მეგობრის ძარცვა ქართული ტრადიციაა?!“

**როცა გარდაცვლილ მეგობარს ძარცვავ, ისიც უნდა გახსოვდეს, რომ სიმართლეს სიკვდილს ვერ მიუსჯი!**

**და, რა არის სიმართლე? სიმართლეა, რომ ბადრი პატარკაციშვილის უახლოესმა მეგობარმა, ბიზნესმენმა ივანე ჩხარტიშვილმა გარდაცვლილის ქონება მიითვისა, თუმცა ამ სიმართლის დადგენას წლები დასჭირდა.**

**ქონებრივი დავის მრავალწლიანი საქმე დასასრულს უახლოვდება. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა დიდი ბრიტანეთის სასამართლოში დავა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ მოიგო. ჩხარტიშვილმა წაგებული საქმის გასაჩივრება მოინდომა, თუმცა სასამართლომ მას ეს აუკრძალა. გასაჩივრების აკრძალვას ახლა წაგებული მხარე ლონდონის სასამართლოს ზედა ინსტანციაში ასაჩივრებს.**

**თუმცა, მანამდე — რა მოხდა ლონდონის სასამართლოში და როგორ წარიმართა საქმის განხილვა?**

დიდ ბრიტანეთში 20 დღის მანძილზე მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი, მართლმსაჯულების სამეფო სასამართლოს მოსამართლე პიტერ სმიტი ივანე ჩხარტიშვილს 4 დღის მანძილზე კითხავდა.

ვინ არის მოსამართლე პიტერ სმიტი? – ბედმა ძალიან უნდა დაგცინოს, რომ ვეტერანი თაღლითი ამ მოსამართლის ხელში აღმოჩნდე, ამას ჯობია, თავში ურო მოგხვდეს ან ხარაკირი ჩაიტარო. პიტერ სმიტი მსოფლიოში რეზონანსული საქმეების მოსამართლეა, მას „სიცრუის დეტექტორს“ უწოდებენ, რომლის „დაბოლებაც“ წარმოუდგენელია! პიტერ სმიტის „ქეისშია“ „ყატარის სამეფო ოჯახის“ საქმიდან დაწყებული, ბესტსელერ „და ვინჩის კოდით“ დასრულებული ყველა გახმაურებული ე.წ. „თეთრი საყელოს“ საქმე.

მოსამართლე პიტერ სმიტის მასტერკლასი და ივანე ჩხარტიშვილისთვის გამოტანილი ვერდიქტი: „ვანო, გარდაცვლილი მეგობრის ძარცვა „ქართული ტრადიციაა?!“ – მოსამართლე სმიტის ეს ირონიულ კითხვა და განაჩენი გადახედვას, ალბათ, აღარ ექვემდებარება.

2015 წლის 18 დეკემბერს მოსამართლე პიტერ სმიტმა ჩხარტიშვილისთვის მომაკვდინებელი დასკვნა დადო:

მაშ ასე, თქვენ წაიკითხავთ მართლმსაჯულების სამეფო სასამართლოს მოსამართლის უნიკალურ პროცესს, რომელიც ეხება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის და ვანო ჩხარტიშვილის ქონებრივ დავას. მხარეები „ბლუ ტროპიკ ლიმიტედი“, „კოპელა ვენჩერს ლიმიტედი“, მოპასუხე – ივანე ჩხარტიშვილი.

### საქმის ანატომია:

მოსარჩელეები არიან – ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ორი კომპანია, სარჩელი ეხება საქართველოში არსებულ უძრავ ქონებას და საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებში არსებულ წილებს. დოკუმენტაციის მიხედვით მოსარჩელე კომპანიებში არსებულ წილებს ფლობს დისკრეციული (რაც ნიშნავს პირადი შეხედულებისამებრ მოქმედს) „ნაილ ტრასტი“, რომლის ბენეფიციარ მფლობელებშიც არკადი პატარკაციშვილი იყო. ქართველი მილიარდერი 2008 წლის თებერვალში გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო, ეკუთვნის მის ქვრივსა და მის ქალიშვილებს. მოპასუხე ივანე ჩხარტიშვილი ქართველი ბიზნესმენი და ყოფილი სახელმწიფო მოხელეა, რომელსაც საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ბადრი პატარკაციშვილთან.

ახლა ვნახოთ, როგორ და რა სქემით ახდენს ივანე ჩხარტიშვილი ბადრი პატარკაციშვილის წილების მითვისებას.

მოსამართლე პიტერ სმიტის ვერდიქტში ვკითხულობთ: „მოსარჩელეებმა გიორგი ქავთარაძეზე გასცეს მინდობილობები, რომლითაც მას ფართო უფლებამოსილება მიანიჭეს. გიორგი ქავთარაძე ბადრისთვის ცნობილი ქართველი იურისტი იყო, რომელმაც ვანოსთვისაც დაიწყო მუშაობა და მას მიეცა საშუალება, განეგო მოსარჩელეების ქონება და აქტივები. ვანომ გიორგი ქავთარაძეს დაავალა, მინდობილობით ესარგებლა და ხსენებული აქტივები მოსარჩელეებიდან მის საკუთრებაში არსებულ ან კონტროლირებად კომპანიებზე გაესხვისებინა. მოსარჩელეები აცხადებენ, რომ ამ გასხვისებაში მას რაიმე ანაზღაურება არ გადაუხდია და გასხვისების უმრავლესობა განხორციელდა ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთი თვის ვადაში.

აქტივები, რომლებიც დავის საგანია:

„ბლუ ტროპიკი“ ფლობდა საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ქართული კომპანიის – ფოთის „წისქვილქარხნის“ 92,85%-იან წილს. მოსარჩელეთა განცხადებით, 2008 წლის 5 მარტს გიორგი ქავთარაძემ ვანოს დავალებით ეს აქციები გასაყიდად გაიტანა. თითო აქცია 4,95 ლარად. იმავე დღეს აქციები შეისყიდა საქართველოში რეგისტრირებულმა კომპანიამ შპს „სონატა ალიანს ჯორჯიამ“, რომლის მფლობელია ვანოსა და მისი ოჯახის წევრების ბენეფიციარულ საკუთრებაში არსებული, სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „სონატა ალიანს ინკი“.

### „კოპელას“ სახელით დატრიალებული აფერა:

„კოპელას“ შპს „გედეონისგან“ და ზურაბ ალავიძისგან 900 000 აშშ დოლარად ნაყიდი ჰქონდა ქალაქ თბილისში რუსთაველის №2/4-ში მდებარე უნივერმაღი. რომელიც 2007 წლის 17 აგვისტოს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით, გიორგი ქავთარაძემ „კოპელას“ სახელით გააფორმა. „კოპელამ“ უნივერმაღი „მოვატ ჯორჯიას“ 12275000 აშშ დოლარად მიჰყიდა. „მოვატ ჯორჯიამ“ ეს ფული „კოპელას“ ჩაურიცხა საქართველოს ფილიალის საბანკო ანგარიშზე, რომელიც „თიბისი ბანკში“ იყო გახსნილი. 13 დღის შემდეგ, 2007 წლის 30 აგვისტოს, უნივერმაღის რეალიზაციიდან შემოსული თანხიდან, გიორგი ქავთარაძემ, ვანოს დავალებით, 10 მილიონი აშშ დოლარი „კოპელას“ ანგარიშიდან „სონატა ალიანს ინკის“ ანგარიშზე გადარიცხა.

2007 წლის 17 იანვარს „კოპელამ“ შეისყიდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიის შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ 100%-იანი წილი ავთანდილ წერეთლისგან. 2007 წლის ბოლოს, ვანოს დავალებით, გიორგი ქავთარაძემ „კოპელას“ სახელით განახორციელა წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც „კოპელამ“ „საქართველოს თამბაქოს წარმოებაში“ თავისი წილი 107170 ლარად მიჰყიდა შპს „სონატა ალიანს ჯორჯიას“. 2008 წლის 3 ივნისს შპს „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ წილები მიჰყიდა „სმარტ გრუპს“, რომლის 51%-ს ფლობს ჩხარტიშვილი, ხოლო 49%-ს მისი შვილი – მიხეილ ჩხარტიშვილი. მნიშვნელოვნად დაბალი ფასის მიუხედავად, 107170 ლარის გადახდა არ მომხდარა!

2008 წლის 10 მარტამდე „კოპელა“ 66%-იან წილებს ფლობდა როგორც „პრომეტკოში“, ასევე „ჯე-ეს-კოში“. თითოეული ეს წილი შპს „სონატა ალიანს ჯორჯიაზე“ 66000 ლარად გაიყიდა. წილები მნიშვნელოვნად დაბალ ფასად გაიყიდა და ამ თანხის გადახდაც არ მომხდარა!

2004 წლის 30 დეკემბერს, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით, „კოპელამ“ შპს „გედეონისგან“ და ზურაბ ალავიძისგან 200 ათას დოლარად შეისყიდა ლილოში მდებარე 3577 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებულ 610,9 კვ.მ შენობა-ნაგებობებთან ერთად და თბილისში მდებარე 138 კვ.მ მიწის ნაკვეთი – 100 000 დოლარად.

2006 წლის 16 აგვისტოს გიორგი ქავთარაძემ „კოპელას“ სახელით გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც „კოპელამ“ შპს „სონატა ალიანს ჯორჯიაზე“ ზემოხსენებული უძრავი ქონება გაასხვისა ვანოს საკუთრებაში არსებულ კომპანია „მენეჯმენტ კონსალტინგზე“, რომელმაც, თავის მხრივ, ქონება „სმარტ გრუპს“ მიჰყიდა, სადაც იმ დროს 51%-ს ფლობდა ჩხარტიშვილი, ხოლო 49%-ს მისი შვილი – მიხეილ ჩხარტიშვილი. 2008 წლის 6 მარტს გიორგი ქავთარაძემ „კოპელას“ სახელით გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება – „კოპელამ“ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად, შპს „სონატა ალიანსს ჯორჯიაზე“ 361 000 ლარად გაასხვისა. აქაც ძალიან დაბალ ფასად გაიყიდა ქონება, ამ თანხების გადახდა კი არ მომხდარა!

ჩხარტიშვილი არ აპროტესტებს, რომ ზემოხსენებული გარიგებებიდან ზოგიერთი მართლაც განხორციელდა, მაგრამ სადავოდ ხდის მოსარჩელეების – ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მიერ მითითებულ შედეგებსა და მოთხოვნებს.

მოსამართლის დასკვნაში ვკითხულობთ: „მთელი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ამ კომპანიების უკან არსებული აქტივები, საბოლოო ჯამში, ექვემდებარებოდა ოფშორულ ტრასტებს (კომპანია, რომელიც საშუამავლო ფუნქციებს ახორციელებს და ემყარება ნდობით ურთიერთობებს), რომელთა საბოლოო ბენეფიციარი მფლობელიც ბადრი იყო, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტით: 2007 წლის 24 ოქტომბერს ბადრი პატარკაციშვილს, ლიხტენშტეინის კანონმდებლობით (რომლის მიხედვითაც „მისელვა“ იყო რეგისტრირებული), დაევალა მოსარჩელის, ბენეფიციარი მფლობელების ვინაობის მითითება. სამართლებრივი სტატუსის დეკლარაციებს მან და ბატონმა ბეიკერმა ხელი მოაწერეს. ბეიკერი ინგლისისა და უელსის ზემდგომი სასამართლოების ადვოკატია და მუშაობს, როგორც პროფესიონალი მინდობილი მესაკუთრე. ამჟამად, ლიხტენშტეინის სპეციალიზებული სატრასტო კომპანიის მმართველი დირექტორია, რომელსაც ადრე „მისელვა ესტაბლიშმენტი“ ეწოდებოდა. ბეიკერი საკუთარ ჩვენებაში განმარტავს:


გადაწყვეტილების ნეიტრალური ნომერი: [2015] EWHC 3640 (Ch)
საქმე №: HC2013000296
Rolls Building
Fetter Lane, London, EC4A 1NL
18/12/2015
მოსამართლე:
პატივცემული ბ-ნი მოსამართლე პიტერ სმითი
მხარეები:
(1) "ბლუ ტროპიკ ლიმიტედი"
(2) "კოპელა ვენჩერს ლიმიტედი" მოსარჩელეები
- და -
ივანე ჩხარტიშვილი მოპასუხე
(Signature Litigation LLP-ის დავალებით) იცავენ მოსარჩელეების ინტერესებს
(Mishcon de Reya-ს დავალებით) იცავენ მოპასუხის ინტერესებს
საქმის განხილვის თარიღი: 2015 წლის 1, 5-8, 11-15, 18-20 და22 მაისი
დამტკიცებული გადაწყვეტილება
პატივცემული ბ-ნი მოსამართლე პიტერ სმითი

„მე არასოდეს მინახავს რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ, ბადრის გარდა, სხვა რომელიმე პირი ყოფილიყო „ნაილ ტრასტის“ აქტივების და, მათ შორის, კომპანიების საბოლოო მფლობელი. სანამ კომპანიები მთხოვდნენ ამ დავაზე ჩვენების მიცემას, სახელი – ვანო გაგონილიც არ მქონდა და არ ვიცოდი მისი არსებობა, ჩემთვის არც არავის მიუნიშნებია ოდესმე, რომ ვანო რაიმენაირად დაკავშირებული იყო კომპანიებთან ან მათ აქტივებთან ბადრის ტრასტის ფარგლებში... ყოველთვის ვიცოდი, რომ „ნაილ ტრასტის“ აქტივები ეკუთვნოდათ ბადრის და მისი ოჯახის წევრებს“...

ლონდონის სასამართლოში მოსარჩელე მხარემ წარადგინა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რაც ძირს უთხრის ვანოს პოზიციას და ბოლოს წარმოადგინეს ლიხტენშტეინის ორგანოებისთვის შექმნილი და ბადრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტაცია.

### ჩხარტიშვილის მთავარი მოწმე, ფანტაზიორი ჯოზეფ ქეი და მოსამართლე პიტერ სმიტის მოსაზრება მოპასუხის მტკიცებულებებზე

„ჩემი აზრით, ვანოს მიერ გამოძახებული მოწმეები უსარგებლო იყვნენ და ზოგმა აშკარად ძირი გამოუთხარა ვანოს ჩვენებას, განსაკუთრებით ბატონმა ჯოზეფ ქეიმ, რომელიც მოსარჩელეების საბოლოო ჩვენებაში შესაფერისად იყო დახასიათებული, როგორც ფანტაზიორი და განთქმული თაღლითი, რომელიც სასამართლოში აშკარად მოსული იყო ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ხარჯზე, თვითპიარის გაკეთების მიზნით. ვანომ ბატონი ქეი გამოიძახა, თუმცა იცოდა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა იურისდიქციაში სასამართლოების მიერ ბატონი ქეის მიმართ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი გადაწყვეტილებები.

ამ ყველაფრიდან დასკვნა ისაა, რომ ქეი სინამდვილეში უტყუარი მოწმე არ არის, ჩვენების მიცემისას იყო ერთი შემთხვევა, როცა, ჩემი აზრით, ქეიმ სიმართლე თქვა. კერძოდ, აშშ-ს საგადასახადო დეკლარაციებთან დაკავშირებით ჯვარედინი დაკითხვისას დაფიქსირებული კითხვა-პასუხის დროს მან ნიღაბი ჩამოიხსნა.

ადვოკატი ეკითხება ქეის: თქვენ ისეთი ადამიანი ხართ, ვინც მესამე მხარისგან დიდი ოდენობის თანხების მისათვისებლად მზად არის, საკუთარ თავსაც კი წაუყენოს ბრალი.

მოწმე ქეის პასუხი: დიახ, ასეა.

ვფიქრობ, ნათელია, რომ ქეიზე, როგორც მოწმეზე, დადებითი აზრი არ ჩამომიყალიბდა, სიმართლე ზოგისთვის შეიძლება დრეკადი იყოს, ხოლო ქეისთვის ის ორთქლისებრია.

ჯოზეფ ქეიმ დაადასტურა, რომ 2004 წელს ბადრიმ უთხრა, რომ ის ვანოსთან ერთად ერთობლივი საწარმოს პირობებით ყიდულობდა „ფოთის წისქვილქარხანას“ და სურდა ოფშორული კომპანიის შექმნა. ქეიმ აღიარა, რომ ერთ-ერთი გზა, რომლითაც ბადრი საქმიანობას ახორციელებდა, იყო ვინმესთან ერთად საქმის კეთება და მისთვის არასოდეს უთქვამს, რომ ვანო უნდა ყოფილიყო „ბლუ ტროპიკის“ და „კოპელას“ 50%-იანი წილის მფლობელი. მთელი ეს მტკიცებულებები დიდ ზიანს აყენებს ვანოს პოზიციას. ბატონ ქეის ჩვენებას სიფრთხილით უნდა მივუდგეთ სხვა სასამართლოებში. საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებსაც დაუდგინდათ ცრუ ჩვენებების მიცემა და ყალბი დოკუმენტების წარდგენა. რაც შეეხება ჩხარტიშვილს, ვანო ჩვენებას იძლეოდა დაახლოებით 4 დღის მანძილზე, ის ჯვარედინად დაიკითხა ადვოკატ სმოუჰას მიერ. მან განაცხადა, რომ „ფოთის წისქვილქარხნის“ ვალები დაახლოებით 5 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, შესყიდვა სწრაფად განხორციელდა, ისე, რომ სათანადო იურიდიული და ფინანსური მდგომარეობის შემოწმება არ ჩატარებულა. კრედიტორებმა გაიგეს, რომ საკონტროლო წილის მფლობელი მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი იყო, დაიწყეს მისი შეწუხება და მის სახლთან საპროტესტო აქციების გამართვა. ამის გამო მოხდა შეთანხმება, რომ ის ერთპიროვნულად იქნებოდა პასუხისმგებელი „ფოთის წისქვილქარხნის“ განვითარებაზე და რეალიზაციიდან ამონაგები, მათ შორის 50/50-ზე გაიყოფოდა“.

მოსამართლე პიტერ სმიტი დასკვნაში წერს: „ვანოს ჩვენებიდან საბოლოოდ ვადგენ, რომ „ფოთის წისქვილქარხნის“ ბენეფიციარი მფლობელი ბადრი იყო, მაგრამ ვანოს მისცა კომპანიის მართვის უფლება და შრომის ანაზღაურების სახით მოგების 50%-ს მიიღებდა. „ფოთის წისქვილქარხანაში“ ვანოს ფული საერთოდ არ ჩაუდია და მაინც ბოლოს ბენეფიციარი მფლობელი ის გახდა. მის ჩვენებას არ ვიზიარებ, ჩემი აზრით, ვანომ ჩვენება მოიგონა იმის საჩვენებლად, რომ მან იკისრა ვალდებულება და ამრიგად, შეცვალა გარიგებები. მანამდე პროექტში, ფული ჩადო ბადრიმ ხოლო სამუშაო გაწია ვანომ. ეს იყო მცდელობა ყველა წილის მითვისების გამართლებისა. ჩემი აზრით, ფოთის „წისქვილქარხანასთან“ დაკავშირებული გარიგებები იყო ისე, როგორც მოსარჩელეების პოზიციაშია დაფიქსირებული. კერძოდ, ბადრიმ საწყისი თანხა 1,5 მილიონი დოლარის ოდენობით ჩადო და ეს კომპანია მის საკუთრებაში იყო „ნაი ტრასტის“ მეშვეობით, ვანოს ამოცანა კი გახლდათ, ბადრის სესხის დაფარვის შემდეგ მოგების ნახევრის მიღება“.

მოსამართლე პიტერ სმიტმა ვანო ჩხარტიშვილი ფულის გათეთრებასა და კორუფციაში ამხილა, რაც დასჯადი ქმედებაა და პატიმრობას ითვალისწინებს. აი, რას წერს იგი დასკვნით ნაწილში: „როგორც პოლიტიკური ფიგურა, იყო მოლოდინი, რომ ვანო წარადგენდა ქონების დეკლარაციას. 2004 წელს ან 2005 წლის დეკლარაციაში ასახავდა შეძენილ უძრავ ქონებას და მოახდენდა ნაღდი ფულის დეკლარირებას, რაც მან არ გააკეთა, მან ან საქართველოს კანონმდებლობა დაარღვია ან ჩემს წინაშე სიცრუეს ამბობს. რადგან ეს ნაღდი ფული, რომლითაც ქონების შეძენა განახორციელა, სავარაუდოდ, არარსებულია. თუ ის არსებულია, მაშინ მას ის დეკლარაციაში უნდა აესახა. თუ მას ის დეკლარაციაში არ აუსახავს, ეს საფუძვლიანი არგუმენტია იმის დასადასტურებლად, რომ ის არასოდეს არსებობდა!“

### გასხვისებები ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ჩხარტიშვილის აფერა გაშიფრულია

საკუთრების უფლების განმტკიცებისა თუ წილების განკარგვის გარიგების უმრავლესობა ბადრის გარდაცვალებიდან უმოკლეს დროში, სასწრაფოდ განხორციელდა. ლონდონის სასამართლოში ვანომ განმარტა, რომ ეს ქონების გადარჩენის მიზნით გააკეთა, რაზეც პრეტენზიას ჯოზეფ ქეი აყენებდა ბადრის სამკვიდროს მიმართ. მოსამართლე ასკვნის: „ჩემი აზრით, მიზანი იყო ის, რომ ეს ქონება ბატონი ქეისთვის პოტენციურად ხელმიუწვდომი გამხდარიყო. ამასთანავე, ეს არ გაკეთებულა ბადრის სამკვიდროს სასარგებლოდ. ვასკვნი, რომ ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ დაცულიყო ვანოს მიერ ამ აქტივებზე დამყარებული კონტროლი და საკუთრების უფლება. ვანო ჯვარედინად დაიკითხა სამი დღის მანძილზე, მან ჩვენება თარჯიმნების მეშვეობით მისცა, თარგმანი პირველი კლასის იყო, მაგრამ ხშირად ნიუანსები შეიძლება გაიპაროს თარგმანში. შეიძლება კითხვაც არასწორად იყოს გაგებული. ბოლოს, გასათვალისწინებელია კითხვა, რომელსაც „არა“-თი პასუხობს. როცა მოწმე სინამდვილეში გულისხმობს – „დიახ“-ს. ვანოს ჯვარედინი დაკითხვისას პუნქტებში იყო რამდენიმე „დიახ“ და „არა.

ამრიგად, ვადგენ: რომ ყველა სადავო აქტივი კომპანიების მფლობელობაში იყო და ამ კომპანიებში წილები საბოლოოდ ბადრის ეკუთვნოდა „ნაილ ტრასტის“ მეშვეობით. ვადგენ: რომ ვანოს ჰქონდა უფლებამოსილება, განეგო ეს აქტივები, მაგრამ არა საკუთარი შეხედულებისამებრ, არამედ ბადრის სახელით მათი შეთანხმებების შესაბამისად. ვადგენ: რომ აქტივების განკარგვასთან ან ნებისმიერ სხვა ოპერაციასთან დაკავშირებით ვანოსგან დავალებების მიღებისას გიორგი ქავთარაძე და ბატონი ბეიკერი ფიქრობდნენ, რომ ისინი, უბრალოდ, ახორციელებდნენ წინასწარ შეთანხმებულ გარიგებებს. ისინი მართლაც ახორციელებდნენ ამ გარიგებებს იმ გაგებით, რომ მოქმედებდნენ ვანოს, როგორც მოსარჩელეების წილების ბენეფიციარი მფლობელის სახელით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვადგენ: ვანომ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა აქტივები! ინგლისის სამართლით ეს მითვისებაა, მაგრამ ამ დავაზე ნივთობრივი მოთხოვნა არ დაყენებულა, რაც ინგლისის სამართლით გათვალისწინებული სარჩელის საფუძველია. უნდა დადასტურდეს, რომ ვანოს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და ასეთ სავარაუდო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებული სარჩელი საქართველოში ხანდაზმულობის ნორმებით არ იზღუდება... იმ გასხვისებებზე, რომლებიც ბადრის გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა, ვანომ განაცხადა, რომ მან ეს გარიგებები აქტივების დასაცავად ანაზღაურების გარეშე გააკეთა. ის, რაც ზიანს აყენებს, არის ვანოს მიერ ამ აქტივების შემდგომში მითვისება საკუთარი სარგებლობისთვის, მოსარჩელეებმა ამ ზიანის შესახებ არაფერი იცოდნენ“.

მოსამართლე პიტერ სმიტმა, ჩხარტიშვილს მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა, მას დაევალა, აუნაზღაუროს ზიანი პატარკაციშვილის ოჯახს, ჩხარტიშვილის თავზე შავი ღრუბელია, ვეტერანი თაღლითი სამართლის მახეშია.

*ვახტანგ ქოიავა*

Facebook ამბები



სანდრო ბრეგაძე:

– ამონარიდი მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუდან--"ივანიშვილი არჩევნების გზით ხელისუფლებიდან არ წავა", " ჩვენ დავბრუნდებით, დაგვაბრუნებს ქართველი ხალხი". ჩემდა სამწუხაროდ რამდენიმე გადატრიალებას გაუვლია ჩემს თვალწინ.უშუალოდ ჩართული ვყოფილვარ პროცესებში და მერწმუნეთ რომ შესანიშნავად ვიცნობ იმ ტექნოლოგიებს რომლითაც საქართველოს მტრები მოქმედებდნენ და შემდეგ ახდენდნენ სახელმწიფო გადატრიალებას. NDI-ს კვლევის ე.წ. შედეგები და მასთან სრულად უნისონში მყოფი რუსთავი-2-ის გუშინდელი გადაცემა ცალსახად და ნათლად მეტყველებს რომ ქვეყანაში მზადდება სახელმწიფო გადატრიალება,რომელსაც უნდა დაერქვას "თბილისური მაიდანი". როდესაც ხელისუფლებაში ვიყავი,მაშინ მუდმივად ვცდილობდი დამერწმუნებინა ჩემი კოლეგები,რომ საჭირო იყო ეფექტური პრევენციის ზომების მიღება რევანშის ალსაკვეთად,პირველ რიგში ეს ეხებოდა საკადრო პოლიტიკის შეცვლას,რომლის მიხედვითაც ის ხალხი რომელიც ნაცებს ებრძოდა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა,ხოლო მაღალ თანამდებობებზე კვლავ ნაცებთან დაკავშირებული პირები დარჩნენ.სწორედ ნაცებთან დაკავშირებული კასტა ცდილობს ,რომ რეალური საფრთხე უტოპიად დასახოს და ყურადღება მოადუნებინოს ხელისუფლებას. 2016 წლის არჩევნებზე საშიშროება იმაზე რეალურია ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია და თუ ამისი დროზე აღკვეთა არ მოხდა მაშინ შედეგები სავალალო იქნება. მერწმუნეთ ეს კინო არაერთხელ მინახია და ფატალური შედეგიც ძალზედ მწარე ყოფილა!!!!!!!!!!!--

--P.S. დეპარტამენტების, სამმართველოების, სამხარეო ადმინისტრაციების უფროსების დონეზე ნაცებთან დაკავშირებული პირები, გაურკვეველი წარმოშობის და იდეების მქონე ლიბერასტი ე.წ. ახალი სახეები, ნაცებთან კოჰაბიტაციის ახალი ეტაპი და აბსურდში გადაზრდილი ქაოსური ქმედებები გახლავთ ის იმედი რომელიც ოდესაში მოკალათებულ კლანს გადატრიალების საფუძველს უქმნის!!!!!!

გუგალო-გუგალო: -ეს ყველაფერი რაც ხდება და რატომაც ამოიდგეს ხმა დააბრალეთ თქვენ თავს( რესპებთან რომ შეხვედით გარიგებაში), რესპუბლიკელებს( საერთოდ რომ არ აინტერესებთ საქართველო და ქვევრის როლში რომ არიან რასაც ჩასძახებენ ჩვენი მტრები იმას რომ ამბობენ) და ბიძინა ივანიშვილს მაგრად რომ შეეშალა და ეს დეგენერატები რომ დაგვისვა მთავრობაში ვისაც ახლა ვხედავთ.

ლევან ლომაძე

ჩვენ ე.წ. პოლიტიკოსებს იქამდე მივყავართ, რომ აღარ ვიცით, ვიცინოთ თუ ვიტიროთ. აგერ, ჩვენ რომ არ ჩაგვითვალოთ მიკერძოებაში, თავად ცოტა უცნაური სტილის პოლიტიკოსს, ზაქარია ქუცნაშვილს მაინც დავუჯეროთ:

„გიჟები არ გვინდა პოლიტიკაში. გვყავს აგერ საკმარისზე მეტი, ამიტომაც ჩვენ უნდა გავცხრილოთ პოლიტიკა გიჟებისა და ავანტიურისტებისგან“.

ქუცნაშვილი აქცენტს გიჟ „ნაციონალებზე“ აკეთებს და ამაყად აცხადებს, პოლიტიკა უნდა იდან ამოგიყვანათ, მერე პარლამენტში მოგსვათ და ბოლოს კი ასე გაგაჯეჯილათ!

ამას წინათ ვიღაცამ თქვა, სოსო ჯაჭვლიანი მიხვდა, რომ აღარ უნდა ილაპარაკოს და არც ლაპარაკობსო. მე ვუთხარი, მაიცა, შესაფერის დროს იპოვის და ისეთებს იტყვის, სიცილით დაგვხოცავს-მეთქი. არა, სოსო იმაზე ჭკვიანია, ვიდრე გვგონიაო. ისე აგიხდეთ ყველა სიკეთე, როგორც ჩემი ნათქვამი ახდა – აგერ, გამოვარდა ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში და პირდაპირ დაახეთქა:

„მე, ლუკა კურტანიძემ და მერაბ შათირიშვილმა გელათიდან სამებამდე ჯაჭვებშებმულებმა გზა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით გავიარეთ. გავლილ 260 ამიანების თვისებაა, რომლებიც დაუმსახურებლად მოხვდნენ პარლამენტში თუ სხვა მაღალ თანამდებობებზე და კაი გვარიანად გაისქელეს კისრები!

„ქართულ ოცნებას“ ჰყავს აღმასრულებელი მდივანი – ირაკლი კობახიძე. ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერ გაიგებთ, ეს ბიჭი საიდან მოვიდა, რისთვის დაინიშნა მმართველი პარტიის ე.წ. „ნაჩალნიკად“ და რა უნდა. საერთოდ, როგორც ბუნებაში, ასევე, ქართულ პოლიტიკაში (განსაკუთრებით 2012 წლის შემდეგ) არსებობს ანომალიური მოვლენები – მაგალითად, დღემდე ამოუხსნელია და ასე დარჩება, რატომ დაინიშნა თავის დროზე შინაგან საქმეთა მინისტრად ალექსანდრე ჭიკაიძე, რატომ

მიხვეჯირუვნები

აღარ იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი. ესე იგი, კოჰაბიტაცია მოგვახვიეს იძულებით, რათა „ნაცმოძრაობა“ გადარჩენილიყო, მაგრამ მალე ასე აღარ იქნება. ტაში, ბიჭიიი! თუკი არსებობს ძალა, რომელმაც თავს კოჰაბიტაცია მოგვახვია და 4 წლის განმავლობაში თავის ჭკუაზე გვატარა, ახლა ის ძალა შენ დაგეკითხება, რა იქნება მნიშვნელოვანი არჩევნების შემდეგ და რა არა? მიდი, შვილო, ხელ-პირი დაიბანე და დაიძინე, შენ ვინ რას გეკითხება, როცა ყველაფერი დილომსა (ამერიკის საელჩოში) და სოლოლაკში (ბიძინას ოფისში) წყდება?! ბოლო-ბოლო, ყვე-

# „ქართულ ოცნებაში“ დეპუტატი არ დარჩა, არ წაეყო ცხვირი, თქვენ გასაცხრილები კი

## ამ ყველაფერზე თქვენმა მამა-მარჩენალმა, ბიძინა ნაფტალინიდან ამოგიყვანათ, მერე პარლამენტში



ქართველმა ხალხმა ვერც სამართლიანობის აღდგენას მიაღწია და პირიქით, უკიდურესობამდე დაზარალდა კიდეც (როგორც ფინანსურად, ისე მორალურად), რა უფლება აქვს იგივე „ქართულ ოცნებას“, ილაპარაკოს, ვინ და რა იქნება მნიშვნელოვანი 2016 წლის არჩევნების შემდეგ, რა გარანტია აქვს საქართველოს მოსახლეობას, რომ ისევ ყველას ყველაფერი არ შერჩება?



გავცხრილოთო. კი, ბატონო, გავცხრილოთ ავანტიურისტი „ნაციონალებისგან“, მაგრამ ზაქარიას მხარეს რომ გიჟები და ავანტიურისტები არიან, იმათ რა ვუყოთ, დავტოვოთ? ან თვითონ პატივცემულ ზაქარიას რა ვუთხრათ, რით გავახაროთ, სირაქლემასავით თავი ქვიშაში წავრგოთ და დავუმალოთ, რომ „ქართული ოცნების“ 99,9 პროცენტი გასაცხრილია? ან იქნებ თავისივე ბიზნესწილები შევახსენოთ (სხვებზე მომავალში ვისაუბროთ) და მოსახლეობას ავუხსნათ, რომ როდესაც პარლამენტარი ამა თუ იმ ბიზნესში ფლობს წილებს, ის ავანტიურისტია, ხოლო ჩვენ – გიჟები! მაშ ასე, ზაქარია ქუცნაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი: შპს „ადვოკატები რეპრესირებულთათვის“ – 40%-იანი წილი. 2012 წლის წლის 9 ნოემბრამდე იყო დირექტორი. შპს „მიგრანტთა საადვოკატო ბიურო“ – 55%-იანი წილი. შპს „&K Consulting“ – 60%-იანი წილი 2013 წლის 8 აპრილიდან. ბიჭოოო, „ქართულ ოცნებაში“ დეპუტატი არ დარჩა, 2013 წლის შემდეგ რომელიმე ბიზნესში რომ არ წაეყო ცხვირი, თქვენ გასაცხრილები კი არა, დასაჭერ-გასაყრელები ხართ, ხოლო ამ ყველაფერზე თქვენმა მამა-მარჩენალმა, ბიძინა ივანიშვილმა უნდა აგოს პასუხი, რომ ჯერ ნაფტალინკილომეტრზე ხალხი ვერ გვეკარებოდა, რადგან წინა ხელისუფლებისგან დაშინებულები იყვნენ. ზუსტად ერთი წლის თავზე ხალხი გაბლატავდა, კარგი გაგებით ვიძახი ამას. ეს „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, ხალხს მიეცა თავისი აზრის გამოხატვის საშუალება“.

ვაჰ, კაცოოო... „იბიარდისა“ არ იყოს, როცა ეგ ენა შენს პირშია, ხომ შეგიძლია, ისე ატრიალო, როგორც გინდა? ადექი და თქვი, რომ ხალხი გათამამდა, ან ხალხს უკვე აღარ ეშინია და ეს „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. სიტყვა „გაბლატავდა“ სულ სხვა მნიშვნელობისაა და საერთოდ არ მიესადაგება დღევანდელ ჩვენს ყოფას. სოსო, მას შემდეგ, რაც სამი კაცი ქუთაისიდან ჯაჭვებით (ჯაჭვლიანი შენ ხარ და მაშინ ძალიან მოგიხდა კიდეც) წამოხვედით და ბიძინა ივანიშვილის „სასტავმა“ გაიმარჯვა, ძალიან გაბლატავდა არა მოსახლეობა, არამედ „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ნაწილი და დანაშაულში ჩათრეული თუ ნებით ჩაფლული „ქართული ოცნების“ დიდი ნაწილი. გაბლატავდა არა გაღატაკებული საზოგადოება, რომელიც უფრო მეტად გაღატაკდა, არამედ ის ფენა, რომელმაც ბიუჯეტამდე გაჭრა ქერის გვირაბი და იშოვა დიდი ფული. დამიჯერე, ღარიბ-ღატაკი ადამიანი ვერასოდეს გაბლატავდება, ეგ იმ ადგახდა დეპუტატი თეიმურაზ ჩხაიძე, რატომ შექმნა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, რატომაა თინა ძალო საქართველოს თავდაცვის მინისტრი და ასე შემდეგ. კი, შეიძლება ყველა სავალალო შემთხვევას აქვს თავისი სუბიექტური მიზეზი, მაგრამ არ ჯდება არანაირ ლოგიკაში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი ალოგიკური შემთხვევა გახლავთ ამ კობახიძის „აღზევება“, რომელიც ასეთ რამეს გვეუბნება:

„კოჰაბიტაცია იყო იძულება, ამ ყველაფერს საერთო კონტექსტი განაპირობებდა. საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენა სრულად ვერ მოხდა, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში“.

აი, ნახეთ, აქ არის სულ სამი წინადადება და შესაბამისად, სამი დიდი სისულელე, უფრო სწორად, აბდაუბდა სიტყვებით ნათქვამი მცირე სიმართლე. პირველი – კოჰაბიტაცია იყო იძულება და ამას განაპირობებდა საერთო კონტექსტი; მეორე – ამ კონტექსტიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენა სრულად ვერ მოხერხდა; მესამე – 2016 წლის არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობა“ ლაფერს დავანებოთ თავი, თუკი იძულებით მიზეზთა გამო ქართველმა ხალხმა ვერც სამართლიანობის აღდგენას მიაღწია და პირიქით, უკიდურესობამდე დაზარალდა კიდეც (როგორც ფინანსურად, ისე მორალურად), რა უფლება აქვს იგივე „ქართულ ოცნებას“, ილაპარაკოს, ვინ და რა იქნება მნიშვნელოვანი 2016 წლის არჩევნების შემდეგ, რა გარანტია აქვს საქართველოს მოსახლეობას, რომ ისევ ყველას ყველაფერი არ შერჩება? მოდით, ვალიაროთ, ყველას ყველაფერი უკვე შერჩა, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად შეირგო, რაც იმის წინაპირობაა, რომ ამ ქვეყანაში სერიოზული დანაშაული აღარასოდეს დაისჯება. ამ დღეებში „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა „გავლენიანმა“ ლიდერმა, დავით ბაქრაძემ განაცხადა, ოქტომბრიდან ხელისუფლებაში ჩვენ მოვალთ და არავის დავსჯით, შურს არ ვიძიებთ, მეტიც, ეგრევე ეკონომიკურ ამნისტიას გამოვაცხადებთო. ჯერ ერთი, „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მაშინ დაბრუნდება, როცა ვირი ხეზე ავა და მეორეც – დავუშვათ (თეორიულად), დაბრუნდა, რა გამოდის, ეს საცოდავი საქართველო ხან ერთი დამნაშავე ხროვის ხელში უნდა იყოს, ხან მეორე ავაზაკური დაჯგუფების ხელში? მოვიდა ერთი – გაყვლიფა ქვეყანა, მოვიდა მეორე – წინას აპა-

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook



გიორგი კანდელაკი

დღეს საშუალება მომეცა კითხვა დამესვა ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან კლოდ იუნკერისთვის. კითხვის დასმისას აღვნიშნე, რომ ენმ, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა, სრულიად უჭერს მხარს საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მონიჭებას. მე მას ვკითხე მართალია თუ არა საუბარი რაიმე ახალი პირობების წამოყენებაზე და იმედი გამოვთქვი რომ ქართველი ხალხი არ დაისჯება მთავრობის შეცდომების გამო - რომლებიც ხშირად ძალიან სერიოზულია.

პასუხად პრეზიდენტმა იუნკერმა აღნიშნა რომ უვიზო მიმოსვლას ჩვენი ხალხი ნამდვილად იმსახურებს, რომ ახალი პირობების დაყენება არ იგეგმება და რომ გაწეული სამუშაო არის საქართველოს სხვადასხვა მთავრობების დამსახურება.

კობა სუბელიანი – ქოცებს წააკითხეთ

ტია, თვითონაც გაყვლიფა, მოვა მესამე, ანუ ახლა როა, ამის წინამორბედი – ამას აპატიებს და ასე დაუსრულებლად. აღარც უშლიან და აღარც არაფერი!!!

არა, აი, ჩვენი თავდაცვის მინისტრის განცხადებები ყოველთვის ორიგინალურია. თინა ხიდაშელმა ამ დღეებშიც გამოიჩინა თავი:

„მაპი ჩვენთვის არის ერთგვარი წარსული, ის გახდა პოლიტიკური პროცესების ნაწილი და მას არავითარი საერთო აღარ აქვს პრაქტიკულ ინსტრუმენტებთან. შეგახსენებთ, დოკუმენტში ცალსახად ჩაიწერა, რომ საქართველოს აქვს ყველა ინსტრუმენტი ნატოში გაწევრიანების გზაზე“.

კი, ბატონო, საქართველოს აქვს შეურაცხმყოფელია და შემოგდებული ჭორებია ჩვენი ოპონენტების მხრიდან, რომ თითქოს ქვეყანას ჰყავს ფარული მმართველი, კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მართავს ხელისუფლებას და მთავრობა არის ბუტაფორია. გულწრფელად მინდა, გიპასუხოთ, რომ ეს ძალიან დიდი ტყუილია. ჩვენი ოპონენტები ძალიან დიდი ძალით ცდილობენ, ეს აზრი დაამკვიდრონ საზოგადოებაში, თუმცა, ქართველი ხალხი ყველაფერს ხედავს“.

არა, ხალხო, არ დაიჯეროთ, ბიძინა ივანიშვილი არაფერში არ ერევა, უბრალოდ, ხანდახან ცუდ სიზმარს ნახავს და ხან პრემიერ-მინისტრს მოხსნის, ხან კიდევ რომელიმე მინისტრს. ახლა, რომ მოხსნის, ის ადგბოზენ მეორენი, შეიძლება საერთოდაც გაუშვას და კახის ამბავი რომ ვიცით, გაბრაზდება, დაადებს თავს და იტალიაში გადაბარგდებაო. ისე, კახის სჩვევია მსგავსი „გაბრაზებები“, რამდენი ირაკლი ღარიბაშვილთან მოუვიდა უთანხმოება, იმდენჯერ იტალიაში გაიქცა დასამშვიდებლად! თქვენ კი გაქვთ კარგი გასაქცევები, მაგრამ ამ გაჭირვებულმა ხალხმა რა ქნას, სად წავიდეს, რა გზა ნახოს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს მუქთამჭამელები და ქვეყნის დამაქცევარი პოლიტიკოსები მოაშოროს?!

თქვენი არ ვიცი და მე საკონსტიტუციოს მოსამართლე მერაბ ტურავაზე ვიცინე გემრიელად. ჩვენ ხომ ბოლო დროს ხშირად ვამბობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მო-

### მისაჯიროვნები

ნული გამომდინარეობს კანონიდან. შესაბამისად, თუ სახელმწიფო სხვა გზას დაადგება, სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს, სხვანაირად მოიქცევა ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს არის, რა თქმა უნდა, მისი გადასაწყვეტი, მაგრამ პირადად მე ვფიქრობ, რომ ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ჩემოდანზე იჯდეს და ტურისტის ცხოვრებით ცხოვრობდეს, ეს უფრო მეტი პრობლემაა. პაპუაშვილის ბინასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, კომენტარს ვერ გავაკეთებ და არ გავაკეთებ. არავითარი კავშირი, რა თქმა უნდა, არ არის, ის იყო სხვა შემთხვევა და ეს იყო სხვა. სახელმწიფომ პაპუაშ-

# 2013 წლის შემდეგ რომელიმე ბიზნესში რომ არა, დასაჭერ-გასაყრელები ხართ!

## ივანიშვილმა უნდა აგოს პასუხი, რომ ჯერ მოგსვათ და ბოლოს კი ასე გაგაჯეჯილათ!



**ეტყობა, კახიმ ჯერ არ იცის, ივანიშვილი მაგასაც რომ უპირებს მოხსნას, თორემ ასე არ ილაპარაკებდა. ავი ენები ამბობენ, კალაძემ ბიძინას საარჩევნო სიის თავისი ვარიანტი მიუტანა და ლამის თავზე დაახიაო**

ყველა ინსტრუმენტი (გიტარა და ხშირი ტაში) ნატოში გაწევრიანების გზაზე. მეტიც, იმდენად ღიაა ნატოს კარი ჩვენთვის, რომ ბოლო დროს საქართველოში სულ „სკვაზნიაკია“, მაგრამ ყოველი თვის ბოლოს „გვაწყნარებენ“, ეს ორგანიზაცია გაფართოებას აღარ აპირებსო. თინა მინისტრო, მარტო მაპ-ს კი არ გაუვიდა ვადა, მე მგონი, ნატომაც ჩაიქნია ხელი, რადგან რუსეთი არაფერს თმობს. ამას წინებზე ამ ორგანიზაციის დერეფანში ვიღაცას წამოსცდენია, საქართველო რომ მივიღოთ, ვითომ რა დაშავდებაო? ვაჰ, ყბედისთვის უცებ პირზე ხელი აუფარებიათ, ემანდ რუსებმა არ გაიგონ, თორემ ქვას ქვაზე აღარ დატოვებენო. თინა მინისტრო, ნატო კი არა, საგარეჯოში კატო ბაბოს რომ შია, იმას რა ვუყოთ, ეგრე უნდა მოკვდეს?!

„ნაციონალები“ იძახიან, საქართველოს ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილი მართავსო... ვაი, თქვენს პატრონს, ახალი თქვით რამე, ეს ხომ უკვე კარგად დავიწყებული ძველია? არა, ესენი რომ იძახიან, გასაგებია, მაგრამ კახი კალაძე რომ ამტკიცებს, არაო, აი, ესაა ცოცხალი ანეკდოტი:

„ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის და, ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ილები ცარიელი ხომ არ დარჩება, ვიღაცას დანიშნავს ხოლმე. სულ ესაა! ეტყობა, კახიმ ჯერ არ იცის, ივანიშვილი მაგასაც რომ უპირებს მოხსნას, თორემ ასე არ ილაპარაკებდა. ავი ენები ამბობენ, კალაძემ ბიძინას საარჩევნო სიის თავისი ვარიანტი მიუტანა და ლამის თავზე დაახ-

**ქართულ პოლიტიკაში (განსაკუთრებით 2012 წლის შემდეგ) არსებობს ანომალიური მოვლენები — მაგალითად, დღემდე ამოუხსნელია და ასე დარჩება, რატომ დაინიშნა თავის დროზე შინაგან საქმეთა მინისტრად ალექსანდრე ჭიკაიძე, რატომ გახდა დეპუტატი თეიმურაზ ჩხაიძე, რატომ შექმნა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, რატომაა თინა ძალო საქართველოს თავდაცვის მინისტრი**

იაო. თან უთქვამს, ნუ მოგაქვთ აქ ცალ-ცალკე, ნუ გამიტრაკეთ საქმე, კვირიკაშვილთან შეჯერდით და საბოლოო ვარიანტს ის მომიტანსო. ახლა კულუარებში ლაპარაკობენ, კახის მინისტრობიდან გაუშვებს, მაგრამ ისე არ დატოვებს, ან საარჩევნო სიაში ჩასვამს, ან კიდევ თბილისის მერად გაამწესებსო. თუმცაო, ამსამართლეებს სააკაშვილმა ბათუმში ბინები 1 ლარად რატომ აჩუქაო? მაგალითად, გიორგი პაპუაშვილი სხვის სახლში 1 ლარად რატომ შევარდაო? ჰოდა, ტურავას ეს ყველაფერი დაავიწყდა (დაივიწყა) და ამ დღეებში განაცხადა, საკონსტიტუციოს მოსამართლე ტურისტივით ჩემოდანზე როდემდე უნდა ვიჯდე, 1 ლარად ბინას რატომ არ მაძლევთო? ახლა არ დამიწყოთ, სააკაშვილის დროს რა იყო და როგორ იყო, ეგ აღარ მაინტერესებსო:

„სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები იქნენ უზრუნველყოფილები ბინით. აღნიშვილს მისცა ბინა, რადგან ასე ჩათვალა საჭიროდ“.

ვა, ბატონო მერაბ, მაშინ, მოდით, ასე ვიმსჯელოთ: თქვენ და კიდევ 4 მოსამართლე რომ გაგიშვეს სააკაშვილის დროს სახლში, სახელმწიფომ ხომ არ ჩათვალა ასე საჭიროდ? კი, ასე გამოდის და მაშინ რას ვერჩით სხვებს, რატომ ვაკრიტიკებთ, ან რატომ გავუშვით „ნაცბანდა“ ხელისუფლებიდან? ეეეჰ... სულ ვფიქრობ ხოლმე, ვინც სააკაშვილმა მიჭირხვნა, დავიჯერო, ყველა მამა აბრამის ბატკანი იყო-მეთქი? ხშირად ჩემი ეჭვები მართლდება, არ გამოდის ყველა მამა აბრამის ბატკანი და ზოგი მეტის ღირსიც კი ყოფილა. ჯერ ერთი, რას სხედან ეს უსაქმური მოსამართლეები ბათუმში, რას ხარჯავენ ბიუჯეტიდან გაორმაგებულ თანხებს და მეორეც – ამხელა ხელფასდანამატები აოხრიათ, რა გახდა ერთი ბინის ქირით აღება? ტურავა იმას კი არ ამბობს, მოდით, სიტუაცია შევცვალოთ, სხვა წესები დავამკვიდროთ, ბოლო-ბოლო, ბინები დროებით სარგებლობაში გადმოგვეცითო, არა, ტურასავით მიიპარა ბათუმის საკრებულოში და ვიღაცებს ყურში ჩასჩურჩულა, ბინა მინდა 1 ლარადო. ღმერთო, რა გვჭირს, განა რა ისეთი ცოდვა გვაწევს კისერზე, რომ ამ დღეში გვაგდებ?





ჩიორა თაქთაქიშვილი:

საოცრებაა! ქოცნების გენერალური მდივანი არ მალავს, რომ მისთვის ამოცანა არჩევნებში გამარჯვება კი არა, არამედ "არალეგიტიმური" ოპოზიციის "ლეგიტიმურით" ჩანაცვლებაა.

იმდენად სულელია, რომ ვერც ხვდება, ეს განცხადება პირველ რიგში ქოცების არალეგიტიმური მიზნების ლუსტრაცია რომაა.



კობა სუბელიანი

„ნიკორა" მის პირველ კლიენტს გამწარებული ეძებდა უნდა ავაშენოთო და ავაყვავოთო. ამ დროს კი ეკონომიის მიზნით „ცელოფნის პარკები" ისე დაათხელეს, რომ პატარა წონასაც ვერ გაუძლო, ერთი ნაბეღლავი და სანტეს მაწონი ზრიალ ზრიალით წავიდა მოუსავლეთში... ნაბეღლავი მოვაბრუნე და მაწონმა მოგჭამა ჭირი.. ყვავის ეკონომიკა აშკარად. მალე ბუტკებზე გადავალთ



თემურ ბასილია უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს „ფეისბუქზე“ გამოეხმაურა:

დიახ, "ყველაფერი სახელმწიფოში დამკვიდრებული მავნებლური კოაბიტაციის შედეგია. ქვეყანაში განვითარებული პროცესები, როდესაც ვერ გაიგებდი, ხელისუფლებაში "ქართული ოცნება" იყო თუ "ნაციონალური მოძრაობა", უნივერსიტეტზეც ერთი ერთში აისახა."

სამწუხაროდ, საოცნებო მთავრობის მიერ თავსმოხვეული კოჰაბიტაციის პოლიტიკა აბრკოლებს ყველაზე მეტად ქვეყნის განვითარებას და ეკონომიკურ ალმავლობას





ირინა სარიშვილი:

გამოცვლილმა პრემიერმა, არჩევნების შემდეგ საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა შეიცვლებაო....

შეიცვლება აბა რა! პირამიდის პრინციპზე აგებული სისტემა, თქვენც რომ არ შეცვალოთ, ძალიან მალე თავზე დაგენგრევათ, რადგან არ დარჩა კლინიკა, რომ სახელმწიფოს მისი ვალი არ ჰქონდეს!

ერთადერთი, რითაც თავი მოგწონდათ და კლინიკებისთვის "შეწერილი" ფულით ხალხს თვალში ნაცარს აყრიდით, ეგ იყო და იმასაც ცვლით, თან წინასწარ აცხადებთ, რომ ექიმების გული მოიგოთ საარჩევნოდ.

მიდით, აბა, ეხლა შეცვალეთ, არჩევნებამდე, თუ მაგრები ხართ! მაშინ პაციენტები განრისხდებიან!!!

ერთმა შულერმა მთელი ქვეყანა პირამიდის აფერისტულ სისტემაზე გადაიყვანა!

ჯანდაცვა კი არა, მთელი სისტემაა შესაცვლელი ამ მთავრობასთან ერთად!

არ შევცვლით და როგორც ჯანდაცვა, ისე მთელი ქვეყანა თავზე ჩამოგვენგრევა და ამ ნანგრევებში თქვენც მოყვებით, ქოცებო!

თქვენს მამა—მარჩენალს თავის კიდობანში მხოლოდ თავისი ცხოველებისთვის აქვს ადგილი, ადამიანებისთვის არა!!!

სტატუსი: გამოსაფხიზლებელია.



ირმა ინაშვილი

რაც შეეხება თემას, - მონაწილეობს თუ არა "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" საკრებულოს შუალედურ არჩევნებში, რომელიც ცოტა ხანში გაიმართება, პასუხი ასეთია: ჩვენ არ მივიღეთ მონაწილეობა გარდაბანში, გამგებლის არჩევნებში. ჩვენ არც საკრებულოს შუალედურ არჩევნებში ვმონაწილეობთ. ეს ბოიკოტი არაა. ეს ჩვენი უნდობლობისა და პროტესტის გამოხატულებაა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ (საარჩევნო გარემოს შეცვლის კუთხით) "საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. დღეს ჩემში პროტესტისა და უსამართლობის განცდა გაორმაგებულია. ვემზადებით ფართო კამპანიის დასაწყებად- უსამართლო არჩევნების წინააღმდეგ. ნაციონალური მოძრაობა და "ქართული ოცნება" მშვენივრად მოერგნენ სააკაშვილის შექმნილ საარჩევნო კანონმდებლობას. მურუსიძის სასამართლოც, სადაც არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევები უნდა გასაჩივრდეს, მათ ხელშია. ყველა პარტიას, ვინც აპირებს მონაწილეობას 2016 წლის არჩევნებში, მოვუწოდებ: კეკლუცის დრო აღარაა. ვიმოქმედოთ ერთად- უსამართლო არჩევნების წინააღმდეგ. გიმეორებთ: არავინ არავისთან არ ჰკრავს საარჩევნო ბლოკს. თუ პარტიები ამაზე საუბრობენ, ეს ბუნებრივი პროცესია წინასაარჩევნოდ, მაგრამ მხოლოდ საუბარია. ვისაც გული ერჩის, უთანასწორო საარჩევნო გარემოს წინააღმდეგ იმოქმედოს. იმოქმედოს, სოციალურ ქსელში პროფესორობა საკმარისი არ არის.



თამაზ ბიჭინაშვილი (არქიმანდრიტი ანთიმოზი)

ჩემო სულიერო მეგობრებო! ერთი კვირით გემშვიდობებით, მინდა ვნების შვიდეულში ჩავიკეტო და სულს ჩავუღმავრდე, მგონი შემინდობთ. ვნების შვიდეული შარშან, შარშაწინ კარგად მაქვს აღწერილი, აღარ მინდა გავნმეორდე.

თავს მივხედავ.

არქიმანდრიტი ანთიმოზი (ივერიელი)

# დედა-შვილის მკვლელობის შემზარავი დეტალები

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

## „ცხედარს მჟავა ჰქონდა გადასხმული და მარტო ფეხები ჰქონდა გადარჩენილი... დაფერფლილი იყო მთლიანად“











19 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის გახსნის შესახებ განაცხადა. უწყების ცნობით, „2014 წლის 17 დეკემბერს, თბილისის ზღვის დასახლებაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ნაპოვნი იქნა 1965 წელს დაბადებული ნატო კვეზერელის ცხედარი, ხოლო მისი შვილი – 1986 წელს დაბადებული გურამ კვეზერელი გაუჩინარდა. სამართალდამცველებმა, საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაადგინეს, რომ ორმა პირმა კვეზერელების კუთვნილი თანხის დაუფლების მიზნით, დედა-შვილის მკვლელობა დაგეგმა. ამ მიზნით, 2014 წლის 17 დეკემბერს დამნაშავეებმა კოჯორში, ერთ-ერთ აგარაკზე, მოტყუებით მიიყვანეს გურამ კვეზერელი და ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შედეგადაც ის შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დანაშაულის დაფარვის მიზნით, დამნაშავეებმა გარდაცვლილის ცხედარი კასრში მოათავსეს, სპეციალური მჟავა დაასხეს და აგარაკის ეზოში ჩამარხეს. იმავე დღეს, აღნიშნული პირები, განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის, მივიდნენ თბილისის ზღვის დასახლებაში, გურამ კვეზერელის დედის, ნატო კვეზერელის სახლში.

ნატო კვეზერელს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა. დამნაშავეებმა სახლიდან 12 000 აშშ დოლარი, გურამ კვეზერელის სახელზე გაფორმებული 2 ცეცხლსასროლი იარაღი, პორტატული კომპიუტერი, პირადი ნივთები გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნაპოვნია გარდაცვლილი გურამ კვეზერელის ცხედარი, ამოღებულია გარდაცვლილის სახლიდან გატაცებული პორტატული კომპიუტერი და მისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი.

დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები დამნაშავეების, დანაშაულის ადგილებისა და ცხედრებიდან აღებული დნმ-ის ნიმუშების იდენტიფიცირებისთვის.

აღნიშნულ საქმეზე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, შსს-ს თანამშრომლებმა ორი პირი დააკავეს. გამოძიება მათ მიმართ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით მიმდინარეობს. რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის ჩამდენ პირებს, მათ ბრალი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით წარედგინათ, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ერთ-ერთი ბრალდებული დაკავებულია.

სამართალდამცველებმა მეორე დამნაშავის ადგილსამყოფელიც დაადგინეს, ის საზღვარგარეთ იმყოფება და მისი ექსტრადირებისთვის შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს“.

კოჯორში გურამ კვეზერელის ცხედრის აღმოჩენის შემდეგ, ადგილზე მთელი ღამე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. სააგენტო „ამბები.ჯე“ კოჯორში მცხოვრები რამდენიმე პიროვნების კომენტარს ავრცელებს, რომლებიც შემთხვევის შესახებ საზარელ დეტალებს ჰყვებიან. ადგილობრივი მაცხოვრებელი დავით მინასაშვილი აცხადებს, რომ ცხედარს მჟავა ჰქონდა გადასხმული და მარტო ფეხები ჰქონდა გადარჩენილი. თვითმხილველის თქმით, შემთხვევის ადგილზე პოლიცია დამნაშავესთან ერთად იყო მისული და ბოროტმოქმედმა თავად აჩვენა სამართალდამცველებს, სად დამარხა ცხედარი:

„დაფერფლილი იყო მთლიანად. სავარაუდოდ, ორი წლის წინათ დამარხეს. ოჯახი, ვის სახლშიც ცხედარი აღმოაჩინეს, ძალიან კარგი ოჯახია და არაფერ შუაშია ამასთან. თავად სახლის პატრონი ირაკლი კაკაურიძეც იყო ამოსული ოჯახთან ერთად გუშინ და მას ბორკილები არ ედო. დამნაშავე სხვა პიროვნებაა“, – აცხადებს მინასაშვილი.

მეზობლების ინფორმაციით, სახლის მეპატრონე, სადაც 27 წლის მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს, გარდაცვლილია და სახლში მუდმივად არავინ ცხოვრობს. სახლის მეპატრონის შვილი ირაკლი კაკაურიძე კი, ზაფხულობით მეგობრებთან ერთად კოჯორში ხშირად ამოდიოდა.

„კარგი ოჯახია. ოჯახის უფროსი 4 წლის წინათ გარდაიცვალა. ხშირად ამოდიოდნენ და ვერაფერ ისეთს ვერ გეტყვით, რომ რაიმე საეჭვო შეგვენიშნოს ვერც ორი წლის წინათ და ვერც ახლა. ვისთან ერთად ამოდიოდნენ, არ ვიცი, მაგრამ ხანდახან ამოდიოდა მეგობრებთან ერთადაც. ხედავთ, როგორი ეზოა, რამდენად დაბალი ღობეა და სრულებით შესაძლებელია, რომ ვინმე სხვა გადასულიყო და დაემარხა იქ ცხედარი“, – აცხადებს კოჯორში მცხოვრები მანანა გალუაშვილი.

რაც შეეხება მოკლული ახალგაზრდა მამაკაცის დედის, ნატო კვეზერელის მკვლელობის დეტალებს – ქალის ცხედარი მისივე საცხოვრებელ სახლში 2014 წლის 17 დეკემბერს იპოვეს. სახლის აბაზანაში ნაპოვნ 50 წლამდე ასაკის ქალს ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა. ქალის ცხედარი მისი ვაჟის, გურამ კვეზერელის მეგობრებმა აღმოაჩინეს, რომლებიც მათ სახლში გურამის საძებნელად მივიდნენ. მეგობრებმა მას სახლში პირველად 16 დეკემბერს მიაკითხეს. ბინის კარი დაკეტილი დახვდათ, შუქიც – ჩამქრალი და უკან გაბრუნდნენ. მომდევნო დღესაც რომ არ გამოჩნდა, მისი 4 მეგობარი მივიდა კვეზერელის სახლში. კარი ისევ არავინ გააღო. ერთმა ძლიერად დაარტყა კარს ხელი და რკინის კარი გაიღო. შესასვლელთან სისხლის კვალი რომ შენიშნეს, პოლიცია გამოიძახეს.

ბინაში პირველად სასწრაფო დახმარების ბრიგადა შევიდა და სააბაზანოში გურამის დედის, 49 წლის ნატო კვეზერელის ცხედარი იპოვა. როგორც გაირკვა, მკვლელობა 14 დეკემბერს მოხდა. ქალს საძილე არტერია ჰქონდა გადაჭრილი. როგორც

### შემზარავი მკვლელობა

გაირკვა, ქალი სამზარეულოში მოკლეს და მკვლელმა ის შემდეგ სააბაზანოში შეათრია. სამზარეულოში მაგიდა ორ კაცზე იყო გაშლილი, საჭმელი და სუფთა თეფშები ელაგა, ვახშმობა ვერ მოესწროთ. ძვირფასეულობა წაღებული არ იყო, ამიტომ ყაჩაღობა მაშინ გამოირიცხა. ნატო კვეზერელის მეზობლები ამბობდნენ, რომ მისი ვაჟი ფოთში უცხოეთიდან გამოგზავნილი ავტომობილის დასახვედრად იყო წასული, თუმცა როგორც ისინი აღნიშნავდნენ, ახალგაზრდა მამაკაცთან კონტაქტი ვერ ხერხდებოდა.

დედა-შვილი კვეზერელები კახეთიდან იყვნენ, ისინი 21 წელზე მეტი თბილისის ზღვაზე მდებარე კადეტთა კორპუსში ცხოვრობდნენ. მეზობლები მათ მშვიდ და გაწონასწორებულ ოჯახად ახასიათებდნენ:

„ქალმა შვილი მარტომ გაზარდა. მათი სახლიდან ხმამაღალი საუბარი არ გამოსულა. ნატოს შვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. იმას ნატრობდა, როდის შეირთავდა ცოლს. წარმოიდგინეთ, ყოველ დილით აცილებდა სამსახურში. სანამ გურამი მანქანაში ჩაჯდებოდა, დედა პირჯვარს გადასახავდა, აკოცებდა და ისე უშვებდა. გურამი დიდი ხანი თბილისის მერიაში მუშაობდა, სამი თვეა, რაც სამსახურიდან წამოვიდა. ნატოს საოფისე ავეჯის ფირმა ჰქონდა... ტრაგედიის წინა დღეს ვიყავი მათთან, ნატომ სუფრა გამიშალა, თქვა, ერთადერთს ვნატრობ, მალე მომიყვანოს გურამმა ცოლიო. ძალიან გაწონასწორებული ადამიანია გურამი – მშრომელი, მისალმებას ვერ დაასწრებ. ნატოს პატარა ბოსტანი ჰქონდა, ყვავილებსაც უვლიდა...“ – ამბობდა „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში გარდაცვლილის მეზობელი.

როგორც აღვნიშნეთ, სამართალდამცველებმა მეორე დამნაშავის ადგილსამყოფელიც დაადგინეს, რომელიც საზღვარგარეთ არის გაქცეული და მისი ექსტრადიციისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook



დავით ლაგვილავა:

ხაინდრავას მძაფრსიუჟეტიანი, პორნოსერიალის, ერთი კვირით ადრე გამოყრის იმედზელა არიან მგონი.

ვაჟა ხანდაკელი: - ლინჩის წესით,დედის ტყ...ით ნაცმოძრაობის გასამართლება ნამდვილად არაა მოხსნილი საზოგადოების დღის წესრიგიდან! .... ასე რომ მაგრად აქვს ამ არსებას რამსები არეული!.... ცოტა ფრთხილად ცუნცულ! ცოტა ფრთხილად!

## დაპირისპირება




მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19


# „ეს არის ყველაზე ცუდი, რაც ივანიშვილმა გააკეთა!“



## რას პასუხობს „გირჩელი“ მამუკა კუდავა „ნაციონალების“ ბრალდებებს?



**ამერიკელი კონგრესმენი ივანიშვილის „რუსეთის კაცობაში“ გვარწმუნებს და მისი განეიტრალების აუცილებლობაზე საუბრობს, აქეთ „ნაციონალები“ გადაჭრით ირწმუნებიან, რომ „გირჩი“ ივანიშვილის პროექტია და ამომრჩეველს აფრთხილებენ, ემანდ ჩვენში არ აგერიოთო. „ალია“ საფრანგეთში საქართველოს ყოფილ ელჩსა და „გირჩის“ წარმომადგენელს მამუკა კუდავას ესაუბრა.**

– ის ყველა საკითხი, რაზეც რასელმა ისაუბრა, რა თქმა უნდა, აქტუალურია. განსაკუთრებული აქცენტი, რაც მას ჰქონდა, იყო ძალიან დადებდრე ჩამოყალიბებული პარტიული იდეოლოგია. რაც შეეხება პრორუსებს, თუ რუსეთის ინტერესების გამტარებლებს, ისინიც შეიძლება მოხვდნენ პარლამენტში, ესეც დემოკრატიის ნაწილია, მაგრამ დასავლური ორიენტაციების მქონე ძალებმა არ უნდა მისცენ საშუალება უკვე პარლამენტში გაერთიანდნენ „ოცნებასთან“, რომელმაც შეიძლება გაითვალისწინოს პრორუსული სენტიმენტები და გაატაროს ოკუპანტის ინტერესები. ყველაზე დიდი საფრთხე, რაც ამ არჩევნებს ემუქრება, ჩემი აზრით, სწორედ ეს არის. „ოცნება“ რომ უმრავლესობას ვერ მოაგროვებს, ეს უკვე ცხადია და ეცდება, კოალიციური გზით მიაღწიოს ამას. მაგრამ ძალიან არარაციონალური გადაწყვეტილება, ჩვენ უნდა ვიდგეთ ურყევად ჩვენს მიმართულებაზე. ელჩი კი არა, ობამამ თქვა ეს ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, მერკელმაც თქვა, რომ არ არის მზადყოფნა ჯერ ამისთვის ნატო-ში. არცთუ ისე ადვილია კონსენსუსის მოპოვება ქვეყნებს შორის ამ საკითხთან მიმართებაში, გასაგებია, ეს რეალობაა და ამას ჩვენც უნდა გავუსწოროთ თვალი, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფარ-ხმალი დავყაროთ და უარი ვთქვათ ჩვენს ისტორიულ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მოსახლეობამ დაადასტურა რეფერენდუმზე. დღეს თუ არ არის ევროპაში ამისთვის მზაობა სხვადასხვა დიდი პრობლემეითი კონტექსტი ჩვენი უახლესი ბოლო 20-25 წლის ისტორიის. ფაქტობრივად, ჩამოარაკრაკა ზეპირად 10-წუთიან გამოსვლაში ძალიან დიდი მხარდამჭერი ტექსტი საქართველოს ინტერესებისა და დასავლეთის სწრაფვისკენ. ასეთი კარგად მცოდნე და კარგად ჩახედული ჩვენს საქმეებში ბევრი არ გვყავს არც ევროპაში და არც ამერიკაში. მეორე საკითხია, რამდენად გაიზიარებენ მის დამოკიდებულებას კონგრესსა თუ ევროპარლამენტში. ერთ-ერთი მთავარი თემა, რაც მან წამოსწია, ეხებოდა არაფორმალურ მმართველობას და ჩვენ კარგად ვიცით, ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ ესაა. როგორც ხელისუფლებაში „ოცნების“ ყოფნის წლებმა გვაჩვენა, ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ქვეყნის ეკონომიკა არ არის ისეთი განვითარებადი, როგორიც გვინდა იყოს, არის სწორედ ასეთი ჩრდილოვანი მმართველობა.

**— მთავარი აქცენტი რასელმა ივანიშვილის რუსული თამაშის წესებით მოქმედებაზე გააკეთა, როგორ უნდა მოიყვანოს უმრავლესობაში ივანიშვილმა პრორუსული ძალები, როცა ღიად აქვს გაცხადებული „ოცნების“ გუნდს, რომ დასავლეთისკენ მიისწრაფვის, პრემიერის ყოველი გამოსვლა ამის მკაფიო მაგალითია...**

– „ოცნების“ პრობლემა სწორედ ისაა, რომ გუნდს არ აქვს არანაირი ერთიანი იდეოლოგია, ზოგი ამბობს, მემარცხენე ვარო, კვირიკაშვილი ამბობს, მემარჯვენე ვარო, ერთი იძახის, ნატოში არ შეგვიშვებენ და არ უნდა ვისწრაფოდეთ ამისკენო, მეორე ამბობს, რომ ნატოშია ხსნა, პოლიტიკური აჯაფსანდალია მოკლედ, ვინ თავიანთ აზრს, მათთან რაიმეს მტკიცებას აზრი არ აქვს, ჩვენ გვირჩევნია, პირდაპირი კომუნიკაცია გვქონდეს მოსახლეობასთან და ვაჩვენოთ პროგრამა, რის გამოც ვართ ჩვენ განსაკუთრებულები, უნიკალურები და მეტი სარგებლის მომტანები, ვიდრე სხვები. ჩვენ არ გვაქვს პოპულისტური პროგრამა, ძალიან რეალური და ძლიერი ეკონომიკური პროგრამაა, რომელიც არავის ჰპირდება „ცის მანანებს“, მაგრამ რეალური მესიჯები გვაქვს ამომრჩევლისთვის.

**— თუმცა ძალიან ძნელია ნდობის მოპოვება, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღარავის ენდობა, წინასაარჩევნო პროგრამის შესრულების არ სჯერათ, ადრე თუ პოლარიზებული იყო ძირითადად 2 პოლიტიკური ჯგუფის ირგვლივ, ახლა სრულიად საპირისპირო სიტუაცია გვაქვს, არც „ოცნება“ უნდათ და აღარც „ნაციონალური მოძრაობა“, ვერც სხვა რეალურ ალტერნატივას ხედავს ხალხი, ამაში გადარწმუნება ძალიან გაუჭირდება დღეს ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტს...**

– ნამდვილად ასეა, ისტორიულად დაბალია ხალხის აქტივობა. ყველაზე ცუდი, რაც ივანიშვილმა გააკეთა, არის ის, რომ უსაზღვრო დაპირებებითა და მოტყუებებით გააბითურა მთელი პოლიტიკური სპექტრი. ნაწყენი მოსახლეობა არა მარტო „ოცნებაზე“, არამედ ყველაზე იგივეს საუბრობს. როცა დავდივართ ხალხში, ამ განწყობას ნამდვილად ვხვდებით. გვეკითხებიან, რატომ უნდა გენდოთ თქვენ, თუ ამხელა ფულის პატრონმა ივანიშვილმა ვერ გააკეთა, თქვენ როგორ შეძლებთ? ეს არამარტო ჩვენი გუნდის, ყველა პოლიტიკოსის წინაშე არსებული გამოწვევაა, ნდობის ხარისხი ისტორიულად დაბალი მაჩვენებლით განისაზღვრება. ამას მხოლოდ ის გამოასწორებს, რომ ხალხს პოლიტიკური პარტია სიმართლეს ელაპარაკოს. არ დაჰპირდეს იმას, რის გაკეთებაც არ შეუძლია. არავის დავპირდებით, რომ ხვალ ვინმეს ფულს ჩავუდებთ ჯიბეში. პირდაპირ ვუხსნით, რომ ვერ გამდიდრდება მოსახლეობა, თუ ქვეყანა ვერ გამდიდრდება და ქვეყანა კი ვერ გამდიდრდება იმ ეკონომიკური პროგრამის გარეშე, რომელიც რეალისტურია და არა პოპულისტური.

[...]

დაუშვებელია, მიაღწიოს პრორუსულ ძალებთან ერთად, ალბათ, ამაზე ამახვილებდა კონგრესმენი ყურადღებას. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა ოპოზიციისთვისაც და „ოცნების“ გუნდში მყოფი პროდასავლელი პოლიტიკოსებისთვისაც, რომ მსგავსი სცენარი შეიძლება განვითარდეს, რაც არ უნდა დავუშვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა პროგრესს დაემშვიდობება. ეს მოსაზრებაა და აქვს არსებობის უფლება, თუმცა, ჩემი აზრით, ამის დიდი შანსი მაინც არ არსებობს, რადგან ყველა გამოკითხვა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ პრორუსული განწყობების მქონე პარტიების რეიტინგი ერთიანად არის 15%-მდე. ამიტომ მათ არ ექნებათ საშუალება, დიდი ძალებით შევიდნენ პარლამენტში, მაგრამ ისეთი მეგობრები, როგორიცაა რასელი თუ სხვა დასავლელი პოლიტიკოსები, მუდმივად იქნებიან მოწოდებული, რომ ჩვენ გაგვაფრთხილონ იმ საშიშროებაზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ქმედებებს სხვადასხვა პარტიის მხრიდან.

**— მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობისა და პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია აქვს გაცხადებული, ამ დღეებში გავრცელდა ნატოში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენლის დუგლას ლიუტის განცხადება, რომელიც უახლოესი წლების მანძილზე, ფაქტობრივად, გამორიცხავს ნატო-ს გაფართოებას, ეს არ უხსნის უფრო ხელ-ფეხს იმ ძალებს, ვინც ამტკიცებს, რომ მაინც არ მიგვიღებენ ნატო-სა და ევროკავშირში?**

– რა თქმა უნდა, მათ არგუმენტებსა და პოზიციებს აძლიერებს, მაგრამ ნატო-ზე უარის თქმა იქნება ბის გამო, არც ვაშინგტონში, განსაკუთრებით ობამას ადმინისტრაციის პირობებში, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გავწევრიანდებით, არის ამის იურიდიული გადაწყვეტილება, ბუქარესტის სამიტზე მიღებული, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ საქართველო უკრაინასთან ერთად გახდება ნატოს წევრი.

**— დიდი ხანი არაა, რაც თქვენ „გირჩის“ გუნდის წევრი გახდით, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი განიხილავს, როგორც „ნაციონალების“ ერთ-ერთ შტოს, თუმცა ყოფილი მმართველი გუნდი ბოლო პერიოდში აქტიურად გესხმით თავს და ივანიშვილისგან მართულ ძალად მოგიხსენიებთ...**

– არის სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა მოსაზრებები და აბსოლუტურად ლოგიკურია, კარგად მესმის რატომაც. მაგრამ არსებობს პოლიტიკაში დრო, როდესაც გუნდს გამოეყოფა ერთი ნაწილი, სხვა მიმართულებით წავა და ამას ყველა ვერ აღიქვამს სათანადოდ. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ გახლეჩა არის ხელოვნური, რომ ხმები სხვადასხვა ნაწილიდან აიღონ პარტიებმა, ამ დისკუსიას აქვს არსებობის უფლება. მე პარტიული არასდროს ვყოფილვარ, ახლახან შემოვუერთდი ამ გუნდს, მაგრამ პოლიტიკური სცენარების განხილვა არაა უცხო, ამიტომ მე და ჩემი გუნდი ვცდილობთ, არ ავყვეთ ამ დისკუსიას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არის მთავარი პრობლემებიდან ყურადღების გადატანის ერთგვარი მცდელობა. მესმის „ნაციონალებისაც“, რადგან, როცა გუნდი იყოფა, არის წყენა, ზოგი მეტად რადიკალურია, ზოგი უფრო ზომიერი და გამოხატა-

---

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები



**დემურ გიორხელიძე** ამერიკელი კონგრესმენის განცხადებაზე:

ცივი გონებით ვცდილობ გავიაზრო

ამერიკელი სენატორის ვინმე სტივ რასელის გამოსვლა.

...

პირველი შთაბეჭდილება:

წინა წყობაში კომუნისტური პარტიის ფუნქციონერის

გამოსვლა მომაგონა!

მეორე:

რაც თქვა - უდიდესი ნაწილი, უბრალოდ, ტყუილია!

რა ბოლო დღეზე საუბრობს?

საიდან იგონებს?!

რა აპოკალიფსი ელანდება?

საღ ჭკუაზეა?!

მესამე:

კაცი აღფრთოვანებულია წინა ხელისუფლების რეფორმებით და ნაღვაწით, - ანუ ამით გვეუბნება, სულ ფეხებზე მკიდიხართო!

მეოთხე:

ეს თითიდან გამოწოვილი კოშმარული საფრთხეები და

მათი უაზრო პარაბოლიზება სერიოზული არ არის.

სასაცილოა!

მეხუთე:

ამ გადაცემის ტირაჟირება ქართული ე.წ. "მეინსტრიმული ტელევიზიებით" შესანიშნავად ასრულებს მთელი ამ შენიღბული პროპაგანდის მ ი ზ ნ ე ბ ს:

ქართველებს შორის დასავლეთისადმი ნეგატიური განწყობების გაძლიერებას და დაუფარავი მიუღებლობის გაღვივებას...

ეს საშიში ტენდენცია სახეზეა!

და მოვლენების ასე განვითარება მიუთითებს, რომ

ამრიკელი ფუნქციონერები,

რომლებიც საქართველოზე მუშაობენ,

დიდად არიან აცილებული ქართულ რეალობას

და ვერ გრძნობენ, რა შეიძლება მოჰყვეს ამას...

ეს ცუდია საქართველოსთვის, მაგრამ

შენიღბული ა ნ ტ ი დ ა ს ა ვ ლ უ რ ი კამპანია

"დასავლურუზის" ტყავში გახვეული

ვაი-მედასავლეთელების მიერ წარმატებით გრძელდება,

მაგრამ ამერიკელები აქ სერიოზულად მარცხდებიან...

სანამ გაგრძელდება ეს ნეობოლშევიზმი.

---



**ზაზა ჭაია**

სახელმწიფო პოლიტიკის კრახი!

დედა-შვილ კ ვ ე ზ ე რ ე ლ ე ბ ი ს მკვლელებიდან:

პირველს - 27წ. ჰქონდა მისჯილი, 2007წ-ს, თბილისში, პოლიციელის მკვლელობისთვის,

მეორეს - 25წ. ჰქონდა მისჯილი, 2008წ-ს, თბილისში, ორი აზერბეიჯანელი მამაკაცის მკვლელობისათვის,

თუმცა 2013წ-ს, მკვლელები, „მოწყალედ“, ვადაზე ადრე გ ა ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ს, ნებაზე მიუშვეს და მათაც ამინისტიის ავტორებს „გარჯა“ „დაუფასეს“!(



**მაკა რაზმაძე**

არის თემები,როცა ჩემთვის სულერთია ვინ რას იტყვის ჩემზე-მაინც უნდა გამოვხატო ჩემი ემოცია და ჩემი განწყობა:) ,ეს სიტყვები ღირდა მთელ ამ ვიზიტად მგონი:

-"საქართველო არის ნაწილობრივ ოკუპირებული და მთლიანად ევროპული, - ასე შეაფასა ქვეყანა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას.....




ზვიად კვაჭანტირაძე:

„ბევრი აღაშფოთა აშშ-ის კონგრესმენის სტივ რასელის ცნობილმა გამოსვლამ და ცხადია აღშფოთება სამართლიანია. მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბატონმა რასელმა გააჟღერა პირადი მოსაზრებები, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას და მეტიც, სრულიად ეწინააღმდეგება მას. მის მიერ გაკეთებული სრულიად აბსურდული განცხადებები, ცხადია, ზეგავლენას ვერ იქონიებს საქართველოს და შეერთებულ შტატებს შორის არსებულ ურთიერთობებზე , ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანაში არსებული ერთი-ორი პოლიტიკაში მყოფი პერსონის გაუგებარი განცხადებები აშშ-ს მიმართ და ჩვენი ქვეყნების ხელისუფლებები გააგრძელებენ და კიდევ უფრო გააღრმავებენ ორმხრივ თანამშრომლობას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც მზად არიან ნებისმიერი განცხადების გასახმოვანებლად, უყვართ სკანდალი, ყურადღების ცენტრში მოქცევა ნებისმიერ ფასად.... ჩვენთან რა, არ ვიცნობთ ასეთ პოლიტიკოსებს?

მოკლედ, ბატონ რასელს რომ დავუბრუნდეთ, ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კონკრეტულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა და ლობისტურმა კომპანიებმა შეცდომაში შეიყვანეს.

მის განცხადებაში ხომ პირდაპირი ტექსტით არის გადატანილი ჩვენი ოპონენტების მიერ გამოგონილი ბრალდებები და ცუდია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ბრალდებების გაჟღერება მიზანმიმართულად პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის აშშ -ში ვიზიტის წინ შეგნებულად მოხდა. ჩვენმა ოპონენტებმა ზუსტად იციან, რომ პრემიერ კვირიკაშვილის ვიზიტი აშშ-ში, რომელიც 25 აპრილს იწყება იქნება წარმატებული და ასეთი აქციებით უნდათ , როგორმე, მცირედით მაინც დააკნინონ ის პოზიტიური მოლოდინები, რაც პრემიერის აშშ-ში ვიზიტის მიმართ არსებობს.

ამის გათვალისწინებით, დაუშვებლად და ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მიმაჩნია ბატონი რასელის ამ ნაბიჯის გამო კრიტიკა და გულისწყრომა ვინმემ ზოგადად ამერიკელებზე და აშშ ხელისუფლებაზე გაავრცელოს. დაუშვებლად მიმაჩნია ემოციურ ზღვარს გაცდენილი, დაუფიქრებელი კომენტარების გაკეთება. არ უნდა ავყვეთ ამ ამბავს, რადგანაც ზუსტად ეს აქვს ჩაფიქრებული ჩვენს ოპონენტებს, რომ ხალხს მოთმინება დააკარგვინონ. ამ ამბავზე აყოლა მითუმეტეს დაუშვებლად მიმაჩნია, რადგანაც მე და ჩემს თანამოაზრეებს გულით გვჯერა, რომ უფრო დიდი მეგობარი, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს არასდროს ყოლია და ამერიკელები ამას მარტივად ადასტურებენ ჩვენი ქვეყნისთვის გაწეული თანადგომით და დახმარებით დღიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა. ეს ფაქტებით დასტურდება და მათი უარყოფა შეუძლებელია.

ჩემთვის, პირადად, უმნიშვნელოვანესია ამ საკითხში სრული თანხვედრა მქონდეს ჩემს მეგობრებთან და თანამოაზრეებთან. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ამერიკაზე უფრო თავისუფალი ქვეყანა, სადაც ადამიანი შეიძლება უფრო თავისუფლად გრძნობდეს თავს, სადაც მას წარმატებისთვის ყველა გზა ხსნილი აქვს. ამიტომაც, უზომოდ შეყვარებული ვარ ამერიკასა და ამერიკელებში და მათ მიმართ უსამართლო დამოკიდებულებას ვერასდროს შევეგუები.

მოდით, ჩვენი საქმე ვაკეთოთ ყველამ. ვიცი, რომ კონგრესმენმა რასელმა გვაწყენინა, მაგრამ გაივლის ეს წყენაც , რადგანაც აგერ ნახავთ, პრემიერის ვიზიტი აშშ-ში რომელიც მომავალ კვირაში შედგება აუცილებლად იქნება წარმატებული და იგი გახდება ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობის განმამტკიცებელი ფაქტორი,"

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



## ჰაი, სირცხვილო?!

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი, ზვიად ტომარაძე დიდი ხანია იბრძვის საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებისა და სხვა უმსგავსოების წინააღმდეგ. რამდენიმე დღის წინ მან საქართველოს პარლამენტში შეიტანა საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი (3 კანონპროექტი), რომლის მიხედვითაც, კონკრეტული კანონებიდან კონკრეტული ტერმინების ამოღებას ითხოვს. 1. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონიდან ხდება ტერმინების: „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღება. 2. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან“ ხდება ტერმინების: „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღება. 3. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ხდება ტერმინის: „სექსუალური ორიენტაცია“ ამოღება. ამის შესახებ ზვიად ტომარაძემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაპოსტა და ბოლოს, აღნიშნავს: „სავარაუდოდ, ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, ეს კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე არ გავიდეს და თუ გავიდა, ამ ინიციატივას მხარს რამდენიმე პარლამენტარი დაუჭერს, მაგრამ, ერთი მხრივ, ეს იქნება მორიგი ლუსტრაცია და მეორე მხრივ, კიდევ ერთი შანსის მიცემა დაშვებული შეცდომის გამოსწორებისა.

ვიდრე პარლამენტის დეპუტატებს მივხედავ, მანამდე ამ საკანონმდებლო პაკეტის შესახებ **ზვიად ტომარაძეს** ვასაუბრე.

**— ბატონო ზვიად, რას მოგვცემს ამ 3 კანონიდან ამ ტერმინების ამოღება?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ საკანონმდებლო სივრცეში ამ ტერმინების ასახვით დაირღვა ზნეობრივი ნორმები. ეს არ არის ბუნებრივი, ეს არის ნორმებიდან გადახრა, ავადმყოფობა. მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციამ, სექსუალური გადახრები ამოიღო დაავადებათა ნუსხიდან და ამით დიდი დანაშაული ჩაიდინა. ცნობილ მეცნიერებს, პროფესორებს, ირვინგ ბაიბერსა და ჩარზ სოკარიდოსს წიგნები აქვთ გამოცემული ამის შესახებ და იქ ჰყვებიან, როგორ მოხდა ამ ფსიქიკურ დაავადებათა ამოღება დაავადებათა ნუსხიდან, რომ ეს იყო შანტაჟის, ქრთამისა და სხვა უკანონო გზით... საქართველო იმყოფება უმძიმეს დემოგრაფიულ სიტუაციაში და სახელმწიფო და საზოგადოება ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ ტრადიციული ოჯახი იყოს ძირითადი უჯრედი სახელმწიფოსი, ჩვენს ქვეყანაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და აქედან გამომდინარე მომაჩნია, რომ არ უნდა იყოს კანონმდებლობაში ეს ტერმინები და ისინი უნდა აღმოვფხვრათ.

**— ბარემ ბოლომდე გავშიფროთ, ეს ტერმინები ამ კანონებში იმიტომ არის, რომ სამომავლოდ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება გაუიოლდეთ მავანთ?**

– ძალიან კარგად თქვით, კი ბატონო... სწორედ ამ ჩანაწერების საფუძველზე მოხდა, რომ ვინმე ტრანსგენდერმა მაცაცომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება მოითხოვა. ეს ჩანაწერები ამ კანონებში რომ არ ყოფილიყო, საკონსტიტუციო სასამართლოს ვერ მიმართავდა ეს პიროვნება და ვერ იტყოდა, რომ შეუსაბამობაა კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსს შორისო. ამ ჩანაწერების საფუძველზე ხდება დაშენება ჩვენთვის მიუღებელი სხვადასხვა კანონებისა... მე დიდი ილუზია არ მაქვს, რომ ამ კანონპროექტს მხარს დაუჭერს ჩვენი პარლამენტი. ჯერ ყველანაირად ეცდებიან, რომ პლენარულ სხდომაზე არ გავიდეს, თუ გავიდა და ალბათ, მაქსიმუმ 10 დეპუტატი მისცემს ხმას, მეტის იმედი არ მაქვს. თუმცა, ესეც რაღაცას ნიშნავს. ეს წინასაარჩევნოდ მოახდენს დეპუტატთა ლუსტრაციას, დავინახავთ, ვინ არის ქართველი საზოგადოებისა და მისი მოთხოვნების მხარეს და ვინ ეწინააღმდეგება მათ. დღეს ხომ ბევრი დეპუტატი ნანობს, რომ „ანტიდისკრიმინაციულ კანონს“ ხმა მისცა და ახლა მათ ვაძლევ შანსს, თავიანთი ეს შეცდომა გამოასწორონ.

**— ბატონო ზვიად, თქვენ ბრძანებთ, რომ საკანონმდებლო ინიციატივის დაყენება გსურდათ, მაგრამ არც ერთმა დეპუტატმა არ აიღო ეს თავის თავზე, კონკრეტულად რომელ დეპუტატებს მიმართეთ, რომ ეს კანონპროექტი თავად დაეყენებინათ ინიციატივად?**

– არ მინდა ახლა ამ დეპუტატების დასახელება, არ იქნება ჩემი მხრიდან ლამაზი, თავს შევიკავებ. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან რთულია დეპუტატების დაყოლიება, რომ ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებები აიღონ თავიანთ თავზე და წარადგინონ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივად. მართლა ძალიან გამიკვირდა, რომ ამჯერად ვერც ერთი ასეთი გაბედული დეპუტატი ვერ ვნახე.

**— კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატები იყვნენ მათ შორის?**

– კი, ამ კოალიციისა და პარტიის დეპუტატებსა და სხვებსაც მივმართე მხარდაჭერისთვის, მაგრამ ყველამ შორს დაიჭირა.

**— უარის მიზეზად რას ასახელებდნენ?**

– პირდაპირ უარი თითქმის არავის უთქვამს, ეს საკანონმდებლო ინიციატივები ყველას მოსწონდა და ამბობდნენ, რომ მათ იზიარებდნენ, მხარს უჭერდნენ, თუმცა, საბოლოოდ ზოგი მეუბნებოდა, რომ გუნდური პრინციპით მოქმედებდა და მას არ დაარღვევდა, ზოგი აცხადებდა, რომ ამ ცვლილებების დაყენებას საკანონმდებლო ინიციატივად აზრი არ ჰქონდა, რადგან ეს პარლამენტი მათ მიღებას ვერ მოასწრებსო, ზოგი ამბობდა, აზრი არ აქვს ამის გაკეთებას, რასაც დასავლეთი მოინდომებს, მაინც თავისას გაიტანსო... სხვადასხვა მიზეზებით იმართლებდნენ თავს, ზოგმა თქვა, ამან შესაძლოა დააზარალოს საქართველოს დასავლური კურსიო... აშკარაა, რომ ეს ხელისუფლება, პარლამენტი მათ შორის, დასავლეთის დირექტივებით მოქმედებს, მათ წინააღმდეგ ვერ მიდის და მათი იმედი არ უნდა გვქონდეს.

ზვიად ტომარაძე აცხადებს, რომ როცა ამ საკანონმდებლო ცვლილებებს დააყენებს პარლამენტში, მაშინ ჩვენი დეპუტატების ლუსტრაცია მოხდება. არა, ეს ლუსტრაცია უკვე მოხდა, უკვე გამოჩნდა, ვინ მგლისკენ არის და ვინ – ცხვრისკენ. ვინ ქართული საზოგადოების მხარესაა და ვინ – დასავლეთიდან ნაკვები ულტრალიბერალების, საქართველოს პედერასტიზაციის მოსურნეთა მხარეს. წარმოგიდგენიათ, საპარლამენტო უმრავლესობაში ერთი კაცს რომ ვერ იპოვი საიმისოდ, მხარი დაგიჭიროს, საკანონმდებლო ინიციატივა დააყენოს, რათა სამომავლოდ ერთსქესიანი ქორწინებისა და სხვა ამგვარი უბედურებების მომხრეებს საკანონმდებლო ხვრელები ამოუქოლო, სამართლებრივი ბერკეტები წაართვა და ქართველი საზოგადოების გარყვნა-გადაგვარების საშუალება მოუსპო? ეს უკვე კატასტროფაა და მეტი არაფერი. მართალია, ზვიად ტომარაძე იმ დეპუტატების გვარებს არ ასახელებს, ვინც დახმარებაზე უარი უთხრა, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? რას შეცვლის იმის გაგება, პეტრე იყო ეს თუ პავლე? ფაქტია, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომელიც ზვიად ტომარაძეს მხარს დაუჭერდა. ჯანდაბას, კოალიცია ჭრელია, დაშლის პირასაა და ვინ საით არის, ახლა ვეღარ გაიგებ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის საამაყო პარტიაში, „ქართულ ოცნებაში“ ხომ 42 დეპუტატია? ყველას ერთად რა ჯანდაბა დაემართა, რომ ამ საქმეს დაემალნენ და რაღაც ელემენტარულზე თქვეს უარი – საკანონმდებლო ინიციატივის დაყენებაზე? რა ვიცი, მაგათ რომ ჰკითხო, სათითაოდ ყველას, გულმოსული ვაჟკაცები და პატრიოტები არიან, ცოცხალი თავით საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებას მხარს არ დაუჭერენ და პირიქით, მხარს იმას დაუჭერენ, რაც ამ საშინელების წინააღმდეგ იქნება მიმართული. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველა დაიმალა, ყველა დაფრთხა, ზუსტად იმას გაექცნენ, რაც ამ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ იყო მიმართული. სირცხვილი და თავის მოჭრა. ახლა, მეტი რაღა გინდა? ფაქტი ის არის, რომ კაცმა ერთი დეპუტატი ვერ მოძებნა, საქვეყნო ჭორის წინააღმდეგ საბრძოლველად გვერდში რომ დასდგომოდა, სხვა და კარგი რა უნდა ვიფიქრო? ეს ჩვენი დეპუტატები ბიძინა ივანიშვილის მარიონეტები არიან, რასაც „შუშის სასახლის“ მბრძანებელი ეტყვის, იმას აკეთებენ, ივანიშვილი კი, ეტყობა, ამ ცვლილებების მოწინააღმდეგეა, სხვაგვარად დეპუტატების რიგი დაუდგებოდა ზვიად ტომარაძეს. ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ლიბერასტთა მხარეს დგას, ერთი მუჭა მავნებლებისა და არა ქართველი ხალხისა, არ ვიცი, ეს ივანიშვილის არჩევანია, არ ვიცი, მას მართლა აშანტაჟებს დასავლეთი ამერიკასა და ევროპაში მისი ანგარიშების გაყინვითა და სხვა ფინანსური სანქციებით, მაგრამ ფაქტია, ივანიშვილი დასავლეთის დაკრულზე დადის და რაც მათ სურთ, მისი ხელისუფლება, მათ შორის მისი დაყმევებული დეპუტატები, იმას აკეთებენ.

ეს პარლამენტი არ არის, ეს არის ერთი კაცის გასართობი და მისი ნების აღმსრულებელი ორგანო, მონებისა და დაჩმორებული ადამიანების თავშეყრის ადგილი.

## ეს პარლამენტი არ არის, ეს არის ერთი კაცის გასართობი და მისი ნების აღმსრულებელი ორგანო, მონებისა და დაჩმორებული ადამიანების თავშეყრის ადგილი

### „ქართული ოცნების“ ყველა დეპუტატი დამემალა! ამაზე მეტი სირცხვილი რა გინდათ!“



**ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ლიბერასტთა მხარეს დგას, ერთი მუჭა მავნებლებისა და არა ქართველი ხალხისა**





პოლიტიკა

# სოსო ჯაჭვლიანი: „ჩემო ხალხო, გვაპატიეთ, სამწუხაროდ, ასე მოხდა“



**რა შიდა დაპირისპირებებსა და ფარულ ინტრიგებს გვიმხელს სოსო ჯაჭვლიანი?**


ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი „ალიასთან“ ინტერვიუში ალაპარაკდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებაზე და იმ ვითომერთობაზე, რასაც „ოცნების“ პარტიული ლიდერები გვიმტკიცებდნენ. რეალურად კი ისინი ერთმანეთის გამოცხადებული მტრები იყვნენ და არიან. სოსო ჯაჭვლიანმა ჩვენთან ინტერვიუ ირონიული კითხვით დაიწყო: აბა, რა ხდება, დემოკრატიულ საქართველოში?!.**

**— ეს თქვენ უნდა გვითხრათ...**

– დემოკრატიული საქართველოს საზოგადოებაში ხდება სერიოზული საკითხების გადაწყვეტა, ქალაქსა თუ სოფელში, ტყეში თუ ღრეში, ყველგან საუბრობენ პოლიტიკაზე, გაგიგიათ ასეთი ცოფი?.. ამას წინათ ვსაუბრობდი რამდენიმე ადამიანთან და ვეთანხმები, როცა საზოგადოება დასაქმებულია, ასი წელი არ იკითხავს, ვინ არის მისი მინისტრი, ვინ არის მისი მაჟორიტარი და ა.შ. სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლების დაპირებაა სამუშაო ადგილების შექმნა, მათ შორის, ეს დაპირება ჩვენმა გუნდმაც გასცა, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან დღემდე სტატისტიკა გვეუბნება, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდა, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის იმ ფონზე, როცა 300 ათასი ადამიანი უმუშევარია. ამ ფონზე ხალხის აგრესიაც ბუნებრივია. შენ ძალიან კარგად მიცნობ და იცი, რომ შემიძლია, 24-საათიან რეჟიმში ჩემს თავს ველადაო, მე მიხარია, რომ ასე გვეკაიფებიან და ასე გვაკრიტიკებენ.

**— ხალხი რომ გაკრიტიკებთ და გეკაიფებათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველობის ოთხი წლის თავზე ჩაფლავდით...**

– როცა ხელისუფლებაში მოვედით, თითქმის ერთი წელი პრეზიდენტად სააკაშვილი იყო, ვიდრე არ ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, ადგილობრივ არჩევნებამდე მუნიციპალიტეტებს მართავდნენ „ნაციონალები“. „ქართულ ოცნებას“ ადვოკატად კი არ ვუდგები და თავს კი არ ვიმართლებ, ვხსნი მიზეზებს, რის გამოც ხალხი გვაკრიტიკებს. ადამიანებს ძალიან მალე ავიწყდებათ რაღაცები და მინდა შევახსენო ის განვლილი გზა, რაც გამოვიარეთ. ხალხი გვსაყვედურობს, ამდენი ხანია ხელისუფლებაში ხართ და არაფერი კეთდებაო. აღარ ჩამოვთვლი იმას, რაც ხელისუფლებამ გააკეთა, თუკი ადამიანებს ადრე ბინის დაგირავება და გაყიდვა უწევდათ იმის გამო, რომ ავადმყოფისთვის ემკურნალათ, ეს დღეს აღარ ხდება, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ყველაზე მთავარი, რაც არ მოხდა, ეს არის სამართლიანობის აღდგენა, რომელიც მდორედ მიდის, ახლა რასაც ვიტყვი, მინდა ჩემმა თანაგუნდელებმა სწორად გაიგონ, მე, სოსო ჯაჭვლიანს, როგორც ფრაერს, რომელიც ჩემს თავს 24-საათიან რეჟიმში ველადავები, გამომრჩა ის, რომ კოალიცია შედგებოდა ექვსი სუბიექტისგან, მე და ჩემნაირები კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის თუ ფრაქციებისთვის, სასაცილოები ვიყავით. მინდობილი ვიყავი მათზე და, სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში იმდენი რამ დავინახე, რომ აბსოლუტურად შემომიტრიალდა აზროვნება და ბევრი რამ სხვანაირად დავინახე. გლდანში, როცა მაჟორიტარად ვიყრიდი კენჭს, საარჩევნო შტაბში დამხვდა კოალიციიდან ექვსივე პარტიის წარმომადგენელი. შემეძლო, ისინი შემეცვალა, მაგრამ არ გავაკეთე, ვთვლიდი, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვიყავით. ნუგზარ გაბუნია, რომელიც „რესპუბლიკური პარტიიდან“ იყო, ჩემი შტაბის უფროსად დავნიშნე. არჩევნების დასრულების შემდეგ, ნუგზარ გაბუნია უმუშევარი დარჩა, მას მე არ შევუწუხებივარ, გაიარა ატესტაცია პარლამენტში მოსახვედრად და 99 ქულა აიღო, მაგრამ ჩატეხეს, იმიტომ, რომ ის ჩემი შტაბის უფროსი იყო. ნუგზარ გაბუნიამ პროტესტის ნიშნად დატოვა „რესპუბლიკური პარტია“ და „ქართული ოცნების“ წევრი გახდა. კოალიცია დასაშლელი იყო და დაიშალა, ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ყველა დამიდასტურებს, დახურულ სხდომებზე მე რას ვამბობდი. კერძოდ, 2012 წლის მიწურულს ჩემს თანაგუნდელებს ვეუბნებოდი, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, თუკი პარლამენტი დაიშლებოდა და რიგგარეშე არჩევნები ჩატარდებოდა. მაშინ ჩემი თანაგუნდელები დამემდურნენ, ამას რატომ ამბობ, რა გინდაო. მინდოდა ის, რომ ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა და არჩევნებზე ყველა თავის წონით კატეგორიაში გასულიყო. რიგგარეშე არჩევნები რომ ჩატარებულიყო, მერწმუნეთ, 40%-ით „ნაცმოძრაობა“ ვერ მოვიდოდა პარლამენტში და არც ჩვენი კოალიციის წევრები არ დავიწყებდით ერთმანეთზე გადაბრალებას, რასაც ახლა თქვენთან ინტერვიუში ვამბობ და არ გამიჩნდებოდა ის აზრი, რომ „რესპუბლიკელებმა“ საკუთარი თანაპარტიელი გაწირეს იმიტომ, რომ ჩემი საარჩევნო შტაბის წევრი იყო და ამიტომ მას სამსახური არ აღირსეს. ასეთი ეკლექტური და ჭრელი რომ იყო კოალიცია, „ნაციონალებიც“ რომ ხელს გვიშლიდნენ, ამიტომ არის, ხალხს ჩვენდამი სამართლიანი პრეტენზია რომ აქვს. და კიდევ მიზეზი იმისა, ყველაფერი რომ კარგად არ მიდიოდა, იყო ის, რომ ორივე მხარეს იდო კომპრომატები და ერთმანეთი დაშანტაჟებული ჰყავდათ. რამდენიმე ფარული ჩანაწერი გავრცელდა კიდეც. ამ ორ ვარიანტში სოსო ჯაჭვლიანი რომ არ დაევასებოდათ, ეს ხომ კარგად იცით. არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ გავრცელდეს ვინმეზე ფარული ჩანაწერი. ორივე მხარე ცდილობდა, სოსო ჯაჭვლიანისგან გამოსირებული ტიპი შეექმნა, მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ. მე სულ ვამბობ, ილადაონ და მეკაიფონ, რამდენიც უნდათ. ბიჭო, რა მაგარი ყოფილა, ბიძინა ივანიშვილი, ხისგან ფიგურა შექმნა და ტიტა მაჟორიტარად რომ წარვადგინოთ, არჩევნებს მოიგებსო. თუ მაგარი ხარ, მიდი და შეეკამათე, მარტო ფული არ არის გადამწყვეტი, ფული მიშას რომ ჰქონდა, იმდენი უნდა. მაგრამ არის ისეთი რაღაც ინგრედიენტები, როცა საჭმელს ამზადებ, რანაირი კარგი პროდუქტითაც არ უნდა დაამზადო, თუ ის სუნელები არ უქენი, გემრიელი არ გამოვა. ეს ის ინგრედიენტებია, რომელიც ჯერჯერობით მუშაობს. ახლა რა როგორ დალაგდება, კაცმა არ იცის. ყოველწუთიერად იცვლება რაღაც-რაღაცები, ძალიან ბევრი რამ დატრიალ-ამოტრიალდება, არავინ თქვას, რომ მე იქ დამაყენებენ მაჟორიტარად, იმას სიაში შეიყვანენ, ამის ილუზია ნუ ექნება ნურავის, რადგან ყოველ წამსა და წუთში, რაღაცები შეიცვლება.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, რა შეიცვლება?**

– ინფორმაცია კი არ მაქვს, მაქვს ინტუიცია.

**— თქვენ იმასაც ამბობდით, რომ კოალიცია დაიშლებოდა და დაიშალა, მაგრამ არ მჯერა, რომ თქვენი ინტუიციის ამარა იყავით.**

– ახლა ერთ რაღაცას გეტყვით, ჩვენ ვიყავით 50-კაციანი ფრაქცია, 6-კაციანი, 9-კაციანი და 10-კაციანი ფრაქციები იყო. ტარანი ხომ თვლითაა... სამი წლის განმავლობაში 50-კაციანი ფრაქციიდან ხომ შეგვეძლო 8-9 ფრაქცია გაგვეკეთებინა... ყველა ფრაქციას თავისი ხმა ჰქონდა, ახლა ვეკითხები მათ, თქვე კაი ხალხო, ჩვენ თუ გავაკეთებდით რვა ფრაქციას, ყველა მინისტრის პორტფელი და წამყვანი პოზიცია პარტია „ქართული ოცნებისა“ იქნებოდა... მაგრამ ივანიშვილმა რაც გააკეთა, კარგადაც მოიქცა და იცით, რატომ? როცა თქვა, ხელისუფლებიდან წელიწად-ნახევარში წავალო, ისიც დაამატა, რომ პასუხისმგებლობა კოალიციის წევრებმა გადაინაწილეთო. ვიღაც „სიმონები“ და „ფრაერები“ მაგაზე ავარდნენ და მადა ჭამაში მოუვიდათ – „მაიტა, მაიტას“ გაიძახდნენ და ვერ გაძღნენ. ფრაქციის შიგნით ხშირად მქონია კამათი ამაზე, ვამტკიცებდი, რომ ასე არ შეიძლება. რაც მოხდა ლოგიკურია, მაგრამ ქართველ ამომრჩეველს ვეუბნები, ჩემო ხალხო, გვაპატიეთ, სამწუხაროდ, ასე მოხდა, ეტყობა, ეს კოალიცია სახადი იყო და უნდა მოგვეხადა. მე მაღელვებს ის ფაქტიც, რომ სტრუქტურებში „ნაცმოძრაობის“ წევრები არიან ჩარჩენილები, სააკაშვილს ყველგან კუდი ჰყავს, სამწუხაროდ, ეტაპებია, რომელიც უნდა გაიარო და ასე უცბად ერთი ხელის მოსმით არ გამოდის ისე, როგორც შენ გინდა.

**— თქვენ საზოგადოებას ბოდიშს უხდით იმ სახადისთვის, რასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ერქვა და „ნაციონალებთან“ კოჰაბიტაციისთვისაც იხდით ბოდიშს?**

– სოსო ჯაჭვლიანი „ნაციონალებთან“ კოჰაბიტაციაში არასოდეს არ შესულა, არც შევა და ნურას უკაცრავად, ამას ჩემზე ვერავინ იტყვის, ამ საყვედურს ვერ მივიღებ. ჩემი საპარლამენტო გამოსვლები ამას ამტკიცებს, მაგალითად, ჩემი და გია ბარამიძის დაპირისპირება. რას გადავეკიდე ამ ბარამიძეს, მაგრამ, როცა აფრასიძეების მკვლელობაში დავადანაშაულე, დღემდე არ დაკითხულა და იცით, რატომ? იმიტომ, რომ იმდენი კადრები გამოქვეყნდა და კიდევ გამოქვეყნდება, აღმოჩნდება, რომ ვიღაც-ვიღაცები ვას-ვასებში იყვნენ. მეტი გასაგებად რა გითხრა, ყველამ ძალიან კარგად იცის ყველაფერი. მე ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ ან ვიღაც მფარველობდა ბარამიძეს, ან ვიღაცებზე არსებობს კადრები და ამიტომაც სარგებლობს ხელშეუხებლობით, ზოგ-ზოგიერთები გამოჭერილი ჰყავს. კადრები რომ გავრცელდა, ყველამ ყველაფერი დაიგლიჯა, ამ კადრების გავრცელება როგორ გაბედესო. იმაზე კი არავინ ამბობს, რომ ისეთ ადამიანებს, ვისზეც კომპრომატი არსებობს, სახელმწიფო მაღალ თანამდებობებზე არ უნდა იყვნენ. პორნოვარსკვლავი ჩიჩოლინა იტალიის პარლამენტის წევრი გახდა, იცით, რატომ? გამოვიდა პარლამენტში და თქვა, – მე ვარ ჩიჩოლინა და ჩინჩვლის მასტერი, ჩინჩვლაში ვარ მსოფლიო ჩემპიონიო... ამომრჩეველს არ დაუმალა ბერლინის მერმაც, რომ ის იყო გეი. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „აი ემ გეი, ითს ოქეი“ და ხალხმა მას ხმა მისცა. ახლა გადმოვინაცვლოთ საქართველოში და ვთქვათ, აქ რა ხდება. პოლიტიკოსები ერთს ვლაპარაკობთ, მეორეს ვაკეთებთ... მე „იბიარდზე“ წავილადავე და ამ სიტყვას გადამაყოლეს, არადა, აღმოჩნდა, რომ თურმე მთელი ქვეყანა „იბიარდობს“.

**— სოსო, თქვენ ერთხელ უკვე გაგაფრთხილეს, მორალს ნუ გვიკითხავთ და შენი საქმე არ არის, ხელისუფლებაში დავრჩებით თუ არა კომპრომატების მიუხედავადო.**

– ბებიათქვენის წაბლა პრ...ჭმათქო!.. როცა ოჯახი არ მქონდა, სადაც მომინდებოდა, იქ ვგრიალებდი. ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, ზოგი აძლევს უკანალს, ეს მისი მორალია. ჩემი მორალი სხვა რამაა, ამათი კი პირობითია. საქართველოს კი თავისი მორალი ჩამოყალიბებული აქვს. არავის საქმეში არ ვერევი და ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს, მაგრამ, როცა პოლიტიკაში მოდიხარ, კეთილი ინებე და ზნეობრივი სტანდარტი დაიცავი.



**ჯონდი ბაღათურია:**

**დღეს, ხელისუფლებამ ისეთი რამე ქნა მიშას რომ არ უქნია!**

**დღეს, 15:00 საათზე, პარლამენტში, დაიწყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა, რომელიც როგორც წესი გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში ...**

**მეორე საკითხი იყო „ქართული დასის” საკანონმდებლო ინიციატივა, „საპენსიო რეფორმა”:**

**რომლის მიხედვითაც პენსია უნდა გაიზარდოს ამათი პრემიების და დროსტარების ხარჯების შემცირების ხარჯზე...**

**მომხსენებელი რა თქმა უნდა მე ვიყავი...**

**ზუსტად 16:00 საათზე დასრულდა პირველი საკითხი და როცა მე მივედი ტრიბუნასთან პირდაპირი ტრანსლიაცია გაწყდა და დაიწყეს გადაცემა რომელიც 17:00 საათზე უნდა გასულიყო ...**

**ეს რატომ მოხდა ასეთქო რომ ვიკითხე, მიპასუხეს უბრალოდ დაემთხვაო ... და ორი კვირის წინ იგივე მოხდა მაინც და მაინც მაშინ მე რომ ვიყავი მომხსენებელი და წამლის ფასების სიძვირეს რომ განვიხილავდითქო რომ ვთქვი, მაშინ მეორედ დაემთხვა ესეიგიო ...**

**ნუ ახლა დამპირდნენ 20:15 საათიდან გაუშვებთო ...**

**თუ გდართავთ მეორე არხზე ძაან საინტერესო დიალოგი გაიმართა და ღირს ამის ყურება ...**

**არა რა ქვია ახლა ამ საქციელს ?**

**მალხაზ კოხრეიძე: -და ამათ უნდა დაუჭირონ მხარი, რასაც „ნაციონალები" აკეთებდნენ არა კაცურს, იგივეს იმეორებენ ესენიც.**

**ქეთინო ხუციშვილი: -ასეთ საქციელს მაინც თავხედობა ქვია, ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთ!**

**ქეთა ვადაჭკორია: - ამას ქვია ვირთხების კოჰაბიტაცია დამნაშავეებთან...**

**სოფიო გაგუა: - მიშა რომ გაიქცა პარლამენტიდან თქვენი მოხსენების შემდეგ და ძლივს მოაბრუნეს, ის შემთხვევა გამახსენდა...**

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები



**ლევან ალაფიშვილი**

**ეკონომიკა დაპატარავდა და ხელფასებიც, ოღონდ მხოლოდ კერძო სექტორში. სახელმწიფო სამსახურში უცვლელად, 2 მილიარდზე მეტი ჯდება ხელფას-პრემიები. თანაც არც სამინისტროებსა და მოხელეთა რიცხოვნობას შევამცირებთო. ხელფასების შემცირება ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის მოცულობასაც შეამცირებს, ეს კი თავის მხრივ შეამცირებს თვითმმართველობების შემოსავლებს ამ გადასახადიდან. ეს თავის მხრივ გაზრდის მუნიციპალიტეტების ცენტრზე დამოკიდებულებას და შეამცირებს მათი დამოუკიდებლობის ხარისხს ... კიდევ შეიძლება გაგრძელება!**

**წინ არჩევნებია :))**



**გიორგი გუგავა**

**თუ უმრავლესობის ლიდერ-კვაჭანტირაძეს დავუჯერებთ, თურმე ამერიკის პოლიტიკური ელიტას შალვა ნათელაშვილი "სიცრუეში აცხოვრებს".**

**უკეთესი მოიგონეთ რამე თორემ დაგენგრათ "ოცნება"))))**

Facebook ამბები



საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, ნუგზარ სულაშვილი „ფეისბუქზე“ წერს:

თავს უფლებას ვაძლევ იმიტ-ომ, რომ სხვაზე უკეთ ვიცნობა ამ ადამიანების ცხოვრებას და თავა-დაც ემიგრანტი ვარ, რომელიც მთელი ათეული წელია უანგაროდ ვემსახურები საკუთარ მამულიშ-ვილებს უცხო მიწაზე. ვცხოვრობ მათი ტკივილითა და სიხარულით.

ჩვენ გავიქეცით? არა ბატონე-ბო სცდებით! ჩვენ არ გამოვქ-ცეულვართ. ჩვენ გამოგვაძევეს თქვენნაირმა უგულო და უსინდ-ისოადამიანებმა იძულებით, რად-გან საკუთარი სიცოცხლე გადა-ერჩინათ! ჩვენ გამოგვაძევეს იმ-ისთვის, რომ სახელმწიფო შიმ-შილისგან გადაერჩინათ! ჩვენ გა-მოგვაძევეს იმიტომ, რომ თქვენ "ვესტერიონიონი"-თ გზავნილები მიგეღოთ და იცით რის ხარჯზე?!

თითეული, დამცირებული, გა-ნადგურებული, გაწამებული დე-დის, დის, ბებიის, ძმის, მამის, მე-ზობლის თუ ნათესავის ხარჯზე!

სწორედ ემიგრანტების წამე-ბით ღებულობს სახელმწიფო ყოველ წლიურად მილიარდზე მეტ დოლარ შემოსავალს, საიდ-ანაც თქვენი ჯანდაცვის პრობ-ლემების უზრუნველყოფა ხდება. საიდანაც იღებთ პენსიებს და საიდანაც თქვენი მუქთახორა მთავრობა ღორივით ძღება!!!

პირი გამოირეცხეთ როდესაც ემიგრანტების ღალატზე საუბრობთ! ისინი უსახელო გმირები არიან, რომლებმაც საკ-უთარ სიცოცხლეს, ჯანმრთელო-ბას ფეხი ჰკრეს და თავი გადადეს მილიონობით ადამიანის გადა-სარჩენად!

მაშინ, როდესაც თქვენ გაშ-ლილ სუფრებთან სხედხართ და სამშობლოს სადღეგრძელოს ბა-ნალური ფრაზებით სვამთ, უნდა გახსოვდეთ, რომ ეს ადამიანები საკუთარ, დაკარგულ ადამიანურ ცხოვრებას ნატრულობენ და ტირიან! უნდა იცოდეთ, რომ თქვენ, მათ ცრემლებს სვამთ და მათი ოფლით ივსებთ სტოქარს!

ემიგრანტები?! ისინი გმირები არიან!!!

ადვილია არა, ცოლის გამოგ-ზავნილ ფულს ძმაკაცებში ამაყ-ად, რომ ხარჯავ და პუტანკებს სტენი!? ადვილია არა, ბებიის ნაყიდი მერსედესთ გრიალი?! ად-ვილია არა თქვენი შვილების გამ-წარებული ახალგაზრდობის წლე-ბზე, პირადი სიცოცხლის გახან-გრძლივება?! ადვილია, არა სუ-პერმარკეტებში კალათების გავსება?!

კი ადვილია რადგან თქვენ არ იცით და ვერც ვერასოდეს შიგნებთ იმ ფულის გემოს, რომელიც თქვენივე ახლობლე-ბლის ცრემლით არის გაჟღენ-თილი!!!

არცერთი ემიგრანტი პირადი ბედნიერების გამო არ წამოსულა საქართველოდან. ისინი თქვენ გა-მოაძევეთ, იმიტომ რომ თავად გა-დარჩენილიყავით!!!“.

სკანდალი

# რატომ გაიქცა უნგრეთში ზურაბ ადეიშვილი და რა საფრთხე ემუქრება მას და მიხეილ სააკაშვილს?

## რა საიდუმლო დოკუმენტები გადასცა სააკაშვილზე რუსეთის სპეცსამსახურებმა აშშ-ს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



სააკაშვილსა და მის გაუკრა-ინელებულ „ნაცებს“ უკრაინაში წყა-ლი აემღვრათ. ეს პროცესი მაშინ დაი-წყო, როცა უკრაინის გენპროკურორ-ის მოადგილის პოსტიდან დავით საყ-ვარელიძე მოხსნეს, მანამდე კი ჯან-დაცვის მინისტრობიდან სანდრო კვი-ტაშვილი გადადგა. უკრაინული მედია იუწყება, რომ ამ დროისთვის წყალი აქვთ შეყენებული შს მინისტრის მოადგილეს, ეკა ზღულაძეს, საპა-ტრულო პოლიციის შეფს ხატია დე-კანოიძეს და ოდესის ოლქის მთავარ პროკურორს, ზურაბ ადეიშვილს. ამ ამ აბდულას გარდა, რუსეთის სპეც-სამსახურებმა კიდევ რამდენიმე კაცი დაიჭირეს, რომლებიც ამ ტრანსპლან-ტოლოგიურ ცენტრში მუშაობდნენ და მათგანაც აღიარებითი ჩვენებებიც მიიღეს. და მთავარი. წყაროს ინფორ-მაციით, რუსულმა სპეცსამსახურებმა თურქეთში დააკავეს პიროვნება, რომელიც ორგანოებით ვაჭრობის ამ სქემაში საკმაოდ მნიშვნელოვანი რგოლი იყო, ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეკავა და მისგანაც საჭირო ინფორმაცია მიიღეს, მათ შორის, უკრაინიდან ევროპაში და სირიიდან ევროპაში ორგანოებით ვაჭრობის მარშრუტი, ორგანოების ყიდვა-გაყიდ-ვის სრული სქემა და ამ საქმის სათა-და ცალკე მსოფლიოს წამყვანა ქვეყ-ნებმა, მიხეილ სააკაშვილს, სანდრა რულოვსსა და სხვებს, ბრალი დასდონ ომის დროს ორგანოებით უკანონო ვაჭრობაში, რაც სამხედრო დანა-შაულია და შესაბამისად, ომის დროს ჩადენილ დანაშაულს სამხედრო ტრი-ბუნალი განიხილავს. მოკლედ, რუსე-თი სამართლებრივი მეთოდებითაც ცდილობს, სააკაშვილი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლოს. წყარო აცხადებს, რომ ამერიკა და ევროპის ქვეყნები, ჯერჯერობით, რუსეთის მიერ მიწოდებული მტკიცებულებებ-ის საფუძველზე, რეაგირებას არ ჩქარ-ობენ, არც ასაჯაროებენ მათ. დიდი ალბათობით, ამერიკასა და ევროპას ვდებ, მაგრამ რასაც წყარო აცხადებს, იმას მოგახსენებთ. წყარომ კი ისიც მითხრა, რომ მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პო-როშენკოს არაერთხელ სთხოვა, ამჯერადაც გადარჩინოს, უკრაინის სამხედრო პროკურატურამ გამოძიე-ბა არ დაიწყოს და ეს საქმე ჩაფარცხ-ოს, მაგრამ პოროშენკო კატეგორიულ უარზე ყოფილა. წყარო აცხადებს, ჯერ ერთო, პოროშენკო არ გაჩერდე-ბა და ომში გმირულად დაღუპული უკრაინელი პატრიოტების ორგანოე-ბით ვაჭრობას არ აპატიებს სააკაშ-ვილს და ის რომც გაჩერდეს, მიხეილ



მომენტისთვის, როგორც უკრაინელე-ბი იუწყებიან, ადეიშვილი უნგრეთშია გაქცეული, სადაც მას პოლიტიკური თავშესაფარი აქვს მიღებული და შესაძლოა, უკრაინაში აღარც დაბ-რუნდეს.

რატომ გაუუარესდა ასე საქმე სააკაშვილის გუნდს, როცა უკრაინელები ხელგაშლილად შეხვდ-ნენ ამ გუნდის წევრებს და მაღალ-მაღალი პოსტებიც არ დაიშურეს მათ-თვის? რატომ გაიქცა უნგრეთში ზურაბ ადეიშვილი და რა საფრთხე ემუქრებათ მას და მიხეილ სააკაშ-ვილს? „ალიას“ უკრაინულ წყაროს ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხები აქვს:

უკრაინულ მედიაში არაერთხელ გამოქვეყნდა მასალები იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე, სანდრა რულოვსი, რუსეთ-უკრაინის ომის დროს, გარდაცვლილი და სასიკვდილოდ დაჭრილი მე-ბრძოლების ორგანოებით ვაჭრობდ-ნენ. ბოლოს უკრაინულმა „ვიკილიკს-მა“ გამოაქვეყნა მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საუბრის ფარული ჩანაწერის სტენოგრამა. რა თქმა უნდა, მის ნამდვილობაზე თავს ვერ დავდებთ, თუმცა ამ ჩანაწერში სააკაშვილი აღშფოთებით ამბობს, რომ მას ვინმე მალიკოვმა შეატყობი-ნა, რომ სირიაში, „სანდრას სას-ტავიდან დაუკავებიათ ვილაც აბდუ-ლა“, რომელიც სირიის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც საომარი მოქმედებე-ბი მიმდინარეობდა, სანდრა რულოვ-სის ტრანსპლანტოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი იყო. ეს აბდულა, სააკაშვილი თქმით, რუსეთის სამხედროებს ჰყავთ. „ალიას“ წყარო უდასტურებს, რომ ის მართლაც სირიიდან მოსკოვში ჩაიყვანა რუსე-თის სამხედრო დაზვერვამ – „გრუ“-მ და მისგან რაც საჭირო იყო, ყველა ინფორმაცია მიიღო. წყაროს თქმით, ვეში მყოფი ადამიანების ვინაობაც. ამავე ჩანაწერში ზურაბ ადეიშვილი შიშს გამოთქვამს, რომ, თუ ორგანოე-ბით ვაჭრობის საქმე გასკდა, ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალამდე მივა და დიდ სკანდალს გამოიწვევს. თუმ-ცა, სააკაშვილი მას ამშვიდებს, რომ საქმეს მოაგვარებს და შემდგომ გართულებას თავიდან აირიდებს. მკითხველს შევახსენებ, რომ 2015 წლის 27 დეკემბერს, უკრაინულ „ვი-კილიკსში“ მიხეილ სააკაშვილისა და საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის საუბრის, ასევე, ფარული ჩანაწერის სტენოგრამა გამოქვეყნდა, რომელიც, ასევე, ორგანოებით ვაჭრობას ეხება. სააკაშვილი და კეზერაშვილი მაშინ დეტალურად საუბრობდნენ სირიიდან არ მხოლოდ გარდაცვლილი და დაჭრილი ჯარისკაცების ორგანოებით ვაჭრობის დეტალებზე, არამედ ცოცხ-ალი ადამიანების, ტყვეების შესახე-ბაც, რომელთა ორგანოებსაც, სავარ-აუდოდ, სწორედ გასაყიდად გამოიყ-ენებენ. კეზერაშვილი ციფრსაც კი ასახელებს: „ტყვეები 96 კაცი არის უკვე“. ამავე ჩანაწერში სააკაშვილი აცხადებს, რომ ამ საქმეში მას თურქე-თის პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიპ ერ-დოღანის ვაჟი, ბილალ ერდოღანი ეხ-მარება და სირია-თურქეთის საზღვრის უპრობლემოდ გადაკვეთა-ში თურქი სამხედროებიც არიან ჩართულნიო.

„ალიას“ წყარო აცხადებს, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა უკ-რაინელ სამართალდამცავებს არაერ-თი მოწმის ჩვენება და სხვა სახის უტყუარი მტკიცებულებები გადასც-ეს, რომ მიხეილ სააკაშვილი, სანდრა რულოვსი, სააკაშვილის ახლო გარემოცვის სხვა წევრები აქტიურად არიან ჩართულნი ადამიანების ორგა-ნოებით ვაჭრობაში. რუსეთის ქმედე-ბის მოტივი ნათელია. მისი ხელისუ-ფლება ცდილობს, ცალკე უკრაინამ არ უნდათ, მათივე გამოზრდილი, მათ მიერ ნასაზრდოები სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები თავადვე ამხ-ილონ ამ საშინელ დანაშაულში და ამის გაკეთება უკრაინის ხელისუ-ფლებას დაავალეს, მით უფრო, რომ სავარაუდო დანაშაული სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე ხდებოდა.

ჩვენი წყარო აცხადებს, რომ რუსე-თის მიერ მიწოდებულ მტკიცებულე-ბებს, უკრაინის სამხედრო პროკუ-რატურამ ახალი დაუმატა, უკრაინელ ჯარისკაცთა შორის გამოჩნდნენ მოწ-მეები, რომელთაც მისცეს ჩვენებები, რომ ომის დროს, მოკლულ ჯარისკა-ცებს ტრანსპლანტოლოგთა კონკრე-ტული ჯგუფი ორგანოებს აცლიდა და ისინი გაურკვეველი მიმართულებით მოჰქონდათ. გამოძიებამ კი დაადგი-ნა, რომ ამ „გაურკვეველი მიმა-რთულების“ ბოლო პუნქტი მიხეილ სააკაშვილი და სანდრა რულოვსი იყვნენ. წყაროს თქმით, უკრაინის სამხედრო პროკურატურას საკ-მარისზე მეტი მასალა აქვს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტისა და მისი მეუღლის წინააღმდეგ, გამოძიე-ბა დაიწყოს და ისინი დააპატიმროს.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ინფორ-მაციამ გაჟონა და ამის შემდეგ გაიქ-ცა უკრაინიდან ზურაბ ადეიშვილი. მას და სააკაშვილს უკრაინის პროკუ-რატურის სისტემაში სანდო ინფორმა-ტორები ჰყავთ და თუ მათ ან მათი გუნდის რომელიმე წევრს რაიმე დაე-მუქრათ, სასწრაფოდ ატყობინებენ. წყარო აცხადებს, რომ თუ ამ საქმეს გამოიძიებენ, სავარაუდოდ, პასუხის-გებაში მისცემენ ზურაბ ადეიშვილს, რომელიც ვაჭრობის პროცესში იყო ჩართული და გარკვეულ საკითხებს კურატორობდა. მართალია, ამ ინ-ფორმაციის უტყუარობაზე თავს არ გროისმანი, ახალი პრემიერი ამ ამ-ბავთან შეგუებას ცოცხალი თავით არ აპირებს და სააკაშვილის, მისი მეუღლისა და ამ საქმეში გარეული სხვა პირების სამაგალითოდ დასჯა არათუ ემხრობა, ამის დიდი მოწადინე ყოფილა. წყაროს თქმით, სწორედ გროისმანი აჩქარებს სამხედრო პროკურატურას, რომ გამოძიება სწრაფად დაიწყოს.

ვინმე იკითხავს, სააკაშვილს თუ ასე შავად აქვს საქმე, ისიც რატომ არ გარბის უკრაინიდან ადეიშვილივით და რატომ ელოდება, როდის დაიჭერ-ენო? სააკაშვილი უკრაინიდან რომ გაიქცეს, ეს უკვე დანაშაულის აღი-არებას ნიშნავს, თანაც, თავად შესანი-შნავად იცის, თუ ეს უმძიმესი ბრალი წაუყენეს, მას სადაც არ უნდა იყოს, იქ მიაგნებენ და უკრაინას გადასცე-მენ. გარდა ამისა, ჯერ არ გადასწურ-ვია საქმის ჩაფარცხვის იმედი და ამ იმედს ეპოტინება.

„ალიას“ წყაროს თქმით, ამ საქმის ჩაფარცხვით, ასევე, დაინტერესე-ბულნი არიან გავლენიანი ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები, რომ-ლებიც დიდი ხანია ამ ბინძურ ბიზნეს-ში არიან ჩართულნი და სააკაშვილი და მისი მეუღლეც, ამ საქმეში სწორედ მათ გარიესო. ცხადია, ისინიც სთხ-ოვენ პოროშენკოს, საქმის გამოძიება არ დაიწყოს, მაგრამ ვერც ისინი ახ-ერხებენ მის გაჩერებას, რადგან მე-ორე მხარს დგანან სუფთა და მორ-ალური პოლიტიკოსები, რომლებიც პოროშენკოს, პირიქით, აჩქარებენ, რომ დროულად დაიწყოს გამოძიება და მიხეილ სააკაშვილს მათი კოლეგე-ბი, ადამიანების ორგანოებით მოვაჭრე ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები მიაყოლონ.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook



**ნიკა გვარამია** პრემიერზე:

თავი დავანებოთ ახლა უდაცვოდ მიწისქვეშა გადასასვლელში სიარულს. შევარდნაძის სტადიონზე შევარდნის მითის გვერდით მაინც ვერ დაიმკვიდრებს ეგ აბდაუბდა ადგილს.

მთავარზე შევჩერდეთ: თვითმმართველობის წევრებით გარშემორტყმულმა პრემიერმა რომ თქვა, თვითმმართველობა გადმონაშთია და უნდა გაუქმდესო, ამას რომ არანაირი განვითარება არ ექნება, როგორც ყველაფერს დანარჩენს მის მიერ ნათქვამს, ამას მიადევნეთ თვალი და ყური...

**მეგი გოცირიძე:** სანამ მოვიდოდნენ მუნიციპალიტეტების გაუქმებას გვიანონსებდნენ, გაუქმების ნაცვლად შტატები დაამატეს და აქტივისტებით გაავსეს იქაურობა.

# კოალიცია „ქართული ოცნება“ აფეთქების პირასაა... უკვე დაწყებულია შიდა გადატრიალება

## ვინ და რატომ დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილს?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61





**„ქართული ოცნების“ კულუარებში ლაპარაკობენ, დღეს უკვე აქტიურად მიდის ბიძინა ივანიშვილის „გაკოტრების“ პროცესი, მას უკვე შემოაცალეს ე.წ. „ტრუსიკის ძმაკაცები“, კლასელები, კურსელები**



კოალიცია „ქართული ოცნება“ აფეთქების პირასაა. როგორც „ალიას“ ინკოგნიტო წყარო უყვება, უკვე დაწყებულია შიდა გადატრიალება და ძალაუფლება, პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის მცდელობით თანდათანობით გადადის „ახალი მემარჯვენეების“ ხელში (ის ამ პარტიის წევრი იყო 2000 წლიდან და პარლამენტარიც გახდა). იგივე წყაროს ინფორმაციით, „ქართული ოცნება“ დღეს დაყოფილია კლანებად, სადაც ყველაზე გავლენიანი კვირიკაშვილის დაჯგუფებაა. ვინ არიან ამ დაჯგუფებაში, ვის გამოჩენასა და გააქტიურებას უნდა ველოდოთ მაისის შემდეგ?

„ესენი არიან: ბანკირი მამუკა ხაზარაძე, ვანო ჩხარტიშვილი, ძმები გაჩეჩილაძეები, ანუ „გრეჩიხები“, დათო კოლუაშვილი და კოკა გუნცაძე. „მემარჯვენეებს“ ასევე უნდათ, რომ საარჩევნო სიაში ჩასვან თავიანთი წევრი ლევან კალანდაძე, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და ფულის ტომარას ეძახდა. გიორგი მოსიძე – ე.წ. მოაზროვნე, რომელიც ნიკა გვარამიასთან ჩახუტებული ტიპია. ამ კლანის გეგმის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარე უნდა გახდეს თამარ ჩუგოშვილი, რომელიც „რესპუბლიკელების“ გაზრდილია. როგორც ხედავთ, ამ ფონზე ძალიან არის შესუსტებული კახი კალაძის ფლანგი. სხვათა შორის, მას ეგონა, როგორც კი ირაკლი ღარიბაშვილს მოვიშორებ, ბიძინა ივანიშვილის კარზე პირველი ვიქნები და „პარადს“ მე წავიყვანო, მაგრამ შეცდა. ფაქტობრივად, ენერგეტიკის მინისტრი უკვე განწირულია, მას ერთი გზაღა რჩება, ან საერთოდ წავიდეს, ან კიდევ სამტრედიაში იყაროს კენჭი და მშვიდად გააგრძელოს თავისი ბიზნესების ლობირება პარლამენტიდან. ჩემი აზრით, ის გახდება სამტრედიის მაჟორიტარი. „ქართულ ოცნებაში“ არის კიდევ ერთი გაუგებარი ძალა, რომელსაც „20/30“-ის კლანს ეძახიან და მისი მოექსპერტო ელემენტებიც ემზადებიან პარლამენტში შესასვლელად. დღის წესრიგიდან მოიხსნა „ოცნების“ დეპუტატების შემდგომი დასაქმების საკითხი – ალბათ, გახსოვთ, ივანიშვილი მათ დაჰპირდათ, პარლამენტში აღარ იქნებით, მაგრამ კარგ თანამდებობებს მოგცემთ, დაუსაქმებლებს არ დაგტოვებთო, მაგრამ დღეს ამაზე აღარავინ ლაპარაკობს. დეპუტატები უკვე მიხვდნენ, რომ მათ პატრონი არ ჰყავთ და თავადვე დაიწყეს ფიქრი საკუთარ მომავალზე. 20 დეპუტატი უკვე წკიპზეა, ისინი მზად არიან, სიტუაცია საერთოდ ააყირაონ პარტიაში. მათ აქვთ აზრი, რომ უახლოეს ხანში კატეგორიულად მოითხოვონ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება. რასაკვირველია, თუ დანარჩენებიც დარწმუნდებიან, რომ პერსპექტივა აღარ აქვთ, ისინიც აჰყვებიან და საერთო ჯამში, დიდი ძალა გამოდის. სიტუაციის ასე გამწვავება ამ ეტაპზე, ანუ არჩევნებამდე ყველაზე მეტად არ აწყობს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ თუ საკუთარი პარტიის წევრები „აუხტებიან“ და ულტიმატუმებსაც წაუყენებენ, შეიძლება რაღაც დათმობებზე წავიდეს – თუ საარჩევნო სიაში არ მოხერხდება მათი ჩასმა, კარგი თანამდებობებით მაინც უნდა დააკმაყოფილოს. მაგალითად, თემურ ჭკუასელმა და თამაზ მეჭიაურმა, რომლებიც ძალიან ახლოს იყვნენ ბიძინა ივანიშვილთან და სიაში ადგილები თითქოს გარანტირებული ჰქონდათ, პარტიიდან უკვე მიიღეს უარი. იქ ფიქრობენ, რომ ზედმეტი „ბარგი“ აღარ არის საჭირო. ძველი „სასტავიდან“ სიაში რჩებიან გია ვოლსკი და ზვიად კვაჭანტირაძე, არავითარი მანანა კობახიძე და ეკა ბესელია“.

ჩვენ ბოლო დროს აშკარად ვხედავთ, რომ „რესპუბლიკელები“ იმაზე მეტად გახდნენ ამ ხელისუფლების „ფანები“, ვიდრე აქამდე იყვნენ. წყაროს თქმით, ასე იმიტომ ხდება, რომ მათ უკვე აქვთ გარანტია – ამ არჩევნებისთვის მიიღებენ დიდ ფულს, გადაალახვინებენ ბარიერს და იგივე „სასტავი“ უცვლელად შევა პარლამენტში. რაც მთავარია, თანამდებობაზე დარჩება თინა ხიდაშელი: „ზოგი რომ ნაადრევად ზეიმობს, „რესპუბლიკელები“ მოვიშორეთ, ბიძინამ საერთოდ გარიყაო, ასე არაა. „ფორუმის“ ამბავი უკვე დამთავრებულია, ეგენი პარლამენტში ვერ შევლენ. იგივე ბედი ელით „კონსერვატორებს“ და „მრეწველებს“. სხვათა შორის, „კონსერვატორებს“ ძალიან უნდათ „ოცნების“ ფორმატში დარჩენა, მაგრამ უარს ეუბნებიან“.

რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, ირაკლი კობახიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მათ ჩაატარეს შიდა კვლევა და მათი პარტია რამდენიმე პროცენტით კი არა, რამდენიმეჯერ უსწრებს „ნაციონალურ მოძრაობას“. ასე რომ იყოს, ალბათ, „ოცნება“ გამოკითხვის შედეგებს არ დამალავდა და აუცილებლად გაამჟღავნებდა. „ალიას“ კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, როგორია სინამდვილეში შიდა კვლევის შედეგები:

„საბოლოოდ დადეს ასეთი შედეგი: „ქართული ოცნება“ – 32%, „ნაცმოძრაობა“ – 25%. როდესაც კვლევა ჩაატარეს, თავიდან „ოცნებას“ ჰქონდა 19%, შეეშინდათ, ეს ბიძინა ივანიშვილის როგორ უნდა ვაჩვენოთო? ამიტომ წაუმატეს. ასევე, გაზარდეს „ნაციონალების“ მაჩვენებელი და ახლა მას უმტკიცებენ, საქართველოში რეალურად მხოლოდ ორი ძალა არსებობს, „ნაცები“ ჩვენი სერიოზული მეტოქეები არიან, ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ საჭირო იქნება, უნდა გადმოვიბიროთ კიდეცო. ეს უკვე სხვა თამაშია, „ოცნებაში“ ჩანერგილი „ნაცები“ ცდილობენ, გადაიბირონ თავიანთივე მომხრეები და მერე შიგნიდან ააფეთქონ ივანიშვილი. ფაქტობრივად, მზადდება 2003 წლის სცენარი, როცა შევარდნაძეს არწმუნებდნენ, ყველაფერი კარგადაა, ხალხი მხარს შენ გიჭერსო. იმავე კვლევების მიხედვით, აჭარაში 14%-ით ლიდერობს „პატრიოტთა ალიანსი“, 12% აქვთ „ნაციონალებს“, ხოლო 10% – „ოცნებას. სამეგრელოში 15%-ით ლიდერობს „ნაცმოძრაობა“, „ოცნებას“ აქვს 8%. შემდეგ მოდიან ირაკლი ალასანია და პაატა ბურჭულაძე. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, ასე არ არისო, უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ არჩევნებში ერთად გამოვლენ ალასანია, ბურჭულაძე და „ნაციონალები“, ხოლო საბოლოოო ჯამში ვიღებთ ასეთ კონფიგურაციას: ყველა ერთის წინააღმდეგ, ანუ ყველა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ! ფაქტია, რომ ამ ადამიანის გარშემო წრე ნელ-ნელა ვიწროვდება“.

### კულუარები

როგორც „ქართული ოცნების“ კულუარებში ლაპარაკობენ, დღეს უკვე აქტიურად მიდის ბიძინა ივანიშვილის „გაკოტრების“ პროცესი, მას უკვე შემოაცალეს ე.წ. „ტრუსიკის ძმაკაცები“, კლასელები, კურსელები და ასე შემდეგ. მათი ჩანაცვლება მიდის ვითომ პროდასავლური კურსის მიმდევრებით. წყაროს ინფორმაციით, არც ამერიკელი კონგრესმენის, სტივ რასელის მოწოდებაა შემთხვევითი:

„ჩვენთან ძალიან ბევრი არასერიოზულად ეკიდება რასელის განცხადებას, გამოდიან და ქილიკობენ, არიქა, რაღაც სისულელე დაუწერეს და ძლივს წაიკითხაო. თქვენ რა გგონიათ, სანამ რასელი გამოვიდოდა, კონსულტაციებს არ გაივლიდა, სულ მცირე, სახელმწიფო დეპარტამენტში? ასეთი განცხადებები ასე ჰაიჰარად არ კეთდება. ეს გახლავთ გაფრთხილება: არჩევნებში საერთოდ არ ჩაერიო, თორემ საერთოდ უკაპიკოდ დაგტოვებთო. ივანიშვილი ასევე გააფრთხილეს, მარტო შენ კი არა, შენი ახლობლებიც კი არ გაეკარონ არჩევნებსო. მას უნდოდა, უახლოეს ხანში ირაკლი ღარიბაშვილი გამოეყვანა ისევ ასპარეზზე, მაგრამ ამას ველარ გააკეთებს. ვინაიდან ივანიშვილმა უკვე ბევრი სერიოზული გაფრთხილება მიიღო, თვითონვე აუნთო წითელი ღარიბაშვილს და, თავის მხრივ, გააფრთხილა, ამ ეტაპზე პოლიტიკაში ნუ ჩაერევიო“.

ფაქტია, რასელის განცხადებით გაცხადდა იმაზე მეტი, ვიდრე ველოდით – ივანიშვილს მართლაც მისცეს გაფრთხილება: ნუ ჩაერევი არა მხოლოდ არჩევნებში, არამედ მთავრობის ფორმირებაშიცო! რა დოზით მიიღებს ამ გაფრთხილებას და რა დოზით გაიზიარებს, ეს სხვა საკითხია. თუმცა, თუ მოვლენებს გადავხედავთ და წყაროს მონათხრობს დავუჯერებთ, აშკარად მიდის ძალაუფლების ხავერდოვანი გადაბარების პროცესი. ამ შემთხვევაში, ალბათ, უნდა მისცენ იმის გარანტიაც, რომ საქართველოში სააკაშვილი არ შემოვარდება ცეცხლითა და მახვილით. თუ არ იქნება გარანტია, თუ ეს საკითხი საერთოდ არ დგას დღის წესრიგში და როგორც ვხედავთ, არ დგას, მაშინ გადაბარების მიუხედავად, მაინც მივიღებთ კიდევ ერთ ფერად რევოლუციას. ამაზე ბოლო დღეებში ისევ ალაპარაკდნენ გარკვეულ წრეებში. ჩვენ კი, საქართველოს მოსახლეობას, ამათი გადამკიდე ხომ დალხენილი ცხოვრება გვქონდა და კიდევ ერთი რევოლუცია გვაკლია სრული ბედნიერებისთვის!

## Facebook ამბები





**ირინა სარიშვილი:**

ბარბარე რაფალიანცის საქმესა და მანანა ბერიკაშვილზე „ფეისბუქზე“ წერს:

რა საშინელებაა!!!

ნაციონალი კანდიდატის ჩასაძირად ჩვილი ბავშვის დაგეგმილი მოტაცება, რომელიც ბავშვის სიკვდილით დასრულდა!!!

ამ მდედრ წარმონაქმნთან საქმე არ მაქვს!

მე ირაკლი ალასანიას მინდა მივმართო!

მაშინდელი "ოცნების" წევრს, რომელიც ამ საბედისწერო შემთხვევიდან რამოდენიმე წუთში ზუგდიდიდან ტრაგედიის ადგილზე აფრინეს ამ საშინელი დანაშაულის "გასაპრავებლად" და ნაციონალი კანდიდატისკენ ხელის გასაშვერად!

ნამდვილად დაბნეული იყო მაშინ "ოცნების" შემადგენლობა, რადგან ბავშვის სიკვდილი მათ გეგმებში არ შედიოდა, ის მხოლოდ უნდა მოეტაცებინათ და ეს ნაციონალი კანდიდატისთვის დაებრალებინათ ბავშვის ოჯახის დახმარებით...

არაფერს ვამბობ საზღაურზე, რომელიც ამაში ამ ქალად წოდებულმა მაშხალამ გადაიხადა!

მე მივმართავ ირაკლი ალასანიას!

დღეს ხომ ხარ ოპოზიციაში!

ხომ გინდა რომ მე თუ არა, სხვამ დაგიჯეროს!

მიდი, გამოდი ეხლა მაინც, გადალახე შიში, რომელიც ყოველთვის შენი მთავარი დაბრკოლება იყო, და თქვი, რა მოხდა სინამდვილეში!

თქვი!!!

**დაჩი ჩიტაია:** -ქალბატონო ირინა, ეს მთავობა რომ ავადმყოფებითაა  სავსე გასაგებია, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს თქვენ სად ბრძანდებოდით???? რატომ იყავით ჩუმაად???? რატომ არ წერდით ასეთ შეშფოთებულ ტექსტებს?? თქვენი მხრიდან ეს არის ძალიან ძალიან სუბიექტურობაა!!!! და საერთოდ ეს "ედიკას სასტავი" მოგვშორდით რა და მოშორდით ამ ქვეყანას!!!!! წლებია უკვე ყელში ხართ ედუარდიდან დაწყებული, მიშა და ბიძინათი დამთავრებული და ყველა ამათი დარტყმული თანამოაზრეე.... მეორეც ეს ფაქტი რომ საზარელია გავიგეთ მაგრამ, თქვენ რომელი ექსტრასენსი გვყავხართ ესე რომ იშვერთ ხელებს?? ქოცებმა მოკლესო.... ქალბატონი ბერიკაშვილი რომ ხელებს ასე ღიად იშვერს მაგან გამომიყვანა წყობიდან ( და არამარტო მე), ეხლა თქვენ რას აკეთებს?? თუ ასეთი სანდო წყარო გყავთ ხვალვე მიბრძანდით პროკურატურაში და უჩივლეთ "ქოცებს"!!!!! და თუ არ იზავთ იცი რისი ღირსი ხართ??? აი ამ ქალთან ერთად თქვენზეც შეიტანონ სარჩელი ცილისწამებაზე და კარგი რამდენიმე წელი, ერთად ბრძანდებოდეთ იქ...

## Facebook ამბები





**ლევან მამალაძე**

სააკაშვილმა ტელეფონი გადაყლაპა თუ მოისროლა , ოდესელებს ეცოდინებათ!

ამსწინათ ინტერვიუ მივეცი უკრაინულ ტელეკომპანიას! ჟურნალისტი შემიჩნდა სააკაშვილს დაურეკე , რას გეტყვის მოგვასმენინიეო. სააკას ტლეფონი კიევში ჩემი კავშირების შედეგად მქონდა. დაურეკე და ვუთხარი - "მიშა ლევენი ვარ მამალაძე, თბილისში უნდა ჩავიდეთ და პასუხი უნდა გაგებინო საქართველოს დახლეჩაზე და მილარდობით მითვისებულ თანხებზე რაც ხალხს მოპარე." საკამ შეჰყვირა " ვინ მისცა ტელეფონი მამალაძეს!" მოისროლა თუ გადაეყლაპა ტელეფონი ოდესელებს ეცოდინებათ. მიშა მრავალგზის გამექცა პირდაპირი ეთერიდან , სიმართლის მოსმენას ვერ უძლებს და ფსიქიურ აშლილობას უმძაფრებს. მივმართავ ყველა მედია საშუალებას და ტელევიზიას , იქნებ დაითანხმოთ სააკა პირდაპირ დებატებზე, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს!

**მირიან ყარაულაშვილი** ლევან, გამოაქვეყნე ტელეფონის ეგ ნომერი- ჩვენც გვინდა დავურეკოთ ...

ლევან მამალაძე +380994513737 მოგესალმები მირიან! ეს ნიმერი ქონდა , დაბლოკილი ქონდა მერე , მოსინჯე თუ არ შეცვალა. ახალს რომ გავიგებ შეგატყობინებ!

facebook



გია ნოდია:

ერთი ბანალობა ერთხელაც უნდა გავიმეორო: ძალიან გვიჭირს იმასთან შეჩვევა, რომ შეიძლება, ადამიანებს არ დაეთანხმო, და რაღაცეებისთვის გააკრიტიკო, მაგრამ ამავე დროს არ აგინო და შეურაცხყოფა არ მიაყენო. მაკრიტიკებლებსაც უჭირთ ამის გარჩევა და, ხანდახან, კრიტიკის ობიექტებსაც და კრიტიკის გარე მსმენელებსაც.

„გირჩელების" უმრავლესობას (სავარაუდოდ) პირადად ვიცნობ და პატივს ვცემ. არსებითად სწორად მოაზროვნე ხალხად მიმაჩნია.

მაგრამ ჯერჯერობით არ გამიგონია იმის საწინააღმდეგო არგუმენტი, რომ ამ ეტაპზე მათი არსებობა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალას აძლევს ხელს - „ქართულ ოცნებას". აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ გირჩელები ბიძინას ნაყიდები არიან. მაგრამ საბოლოოდ, მარტივი არითმეტიკის ამბავია. ვის სწამს, რომ „გირჩი" ოქტომბერში ხუთპროცენტიან ბარიერს გადალახავს? თუ გადალახვის რეალური შანსი აქვთ, მივესალმები ამ პარტიის პარლამენტში შესვლას. ვისაც სჯერა, სიამოვნებით გავატარებ. მაგრამ რომ არ მჯერა, და არც ის ვიცი, თვითონ მათ სჯერათ თუ არა?

ხოლო თუ ვერ გადალახავენ, ეს ნიშნავს, რომ მათი ხმები (რომლებიც მხოლოდ პროდასავლურ ანუ პროდემოკრატიულ პარტიებს დააკლდება - არ არის აუცილებელი, დავაზუსტოთ რომელს) გადანაწილდება იმავე „ოცნებაზე", ინაშვილზე, შეიძლება ბურჯანაძეზე, თოფაძეზე და ა. შ. თუ ნახევარ პროცენტს მიიღებენ, ჯანდაბას (თუმცა ან ნახევარი პროცენტი რატომაა დასაკარგი), მაგრამ თუ სამს ან ოთხს - ეს უკვე მომავალი არჩევნების შედეგისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა და მისი პოლიტ-ტექნოლოგები დარწმუნებული არიან, რომ „გირჩი" უკეთეს შემთხვევაში 2-3 პროცენტს დააგროვებს და ამ ხმებს მათ ძირითადი მოწინააღმდეგეებს წაართმევს. ამიტომ ამ ეტაპზე „გირჩის" პოპულარობის ზრდა (ვთქვათ, ნახევრიდან ოთხ პროცენტამდე) „ოცნების" ინტერესშია; ესე იგი მთავრობას მისი დახმარების მოტივი აქვს. არაფერი პირადული, მხოლოდ პოლიტიკური ბიზნესი.

ასე რომ „გირჩს", ან ნებისმიერ ადამიანს, ვისაც „გირჩი" მოსწონს (ცალკე და აბსტრაქტულად, მეც მომწონს, როგორც უკვე ვთქვი) ეს ყველაფერი გააზრებული უნდა ჰქონდეს და ამ საკითხზე მკაფიო პოზიცია გააჩნდეს. და არ გაიბუტოს და სიტყვა ბანზე არ ააგდოს, ამასთან დაკავშირებულ კითხვებს რომ დაუსვამენ.

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



**წინა წერილებში ქართველი პარლამენტარების ურთიერთდაპირისპირების რამდენიმე „ხმაურიანი" საქმე გავიხსენეთ. ამ თემას კვლავ ვაგრძელებთ და პოლიტიკოსების გახმაურებულ სხვა სკანდალურ შემთხვევებს მოგიყვებით.**

საქართველოს პარლამენტის არსებობის ისტორიაში დეპუტატის დაკავების პირველი ოფიციალური ფაქტი 1995 წლის 30 სექტემბერს დაფიქსირდა. ამ დღეს სამგორის რაიონის პოლიციამ ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად დააკავა პარლამენტის წევრი, „კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის„ ლიდერი თეიმურაზ ჟორჟოლიანი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჟორჟოლიანს დაკავების მომენტში პოლიციამ აღმოუჩინა 4 ამპულა მორფინი, 14 ტაბლეტი კოდეინი, 5-გრამი შპრიცი, ე.წ. „პეპელა", ხოლო მისი ბინიდან ამოიღო 2 ცალი უნომრო ავტომატი, 2 მჭიდითა და 60 საბრძოლო ვაზნით, „**P-38**" სისტემის პისტოლეტი 8 საბრძოლო ვაზნით, სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო ვაზნები, მათ შორის „ტტ"-ს სისტემის, სადისტანციო რაცია, ცედუქსინის ამპულა, ასაფეთქებელი პაკეტი. იმდროინდელი ქართული მასმედიის მტკიცებით, სამედიცინო შემოწმების შედეგად ჟორჟოლიანს ალკოლოიდის ჯგუფის ოპიუმის მიღებაც დაუმტკიცდა.

ჟორჟოლიანი დაიჭირეს. ანალოგიური ბედი მის რამდენიმე კოლეგასაც ელოდა. 2003 წლის ივნისში პროკურატურამ დავით გამყრელიძის, ზურაბ ჟვანიასა და გიორგი ბარამიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ზემოჩამოთვლილი პიროვნებები „კმარას" ერთ-ერთ აქციაზე იმყოფებოდნენ, ამ ორგანიზაციის აქტივისტებს გზის გადაკეტვაში ეხმარებოდნენ და პოლიციასთან შეხლა-შემოხლაც მოუვიდათ. რასაკვირველია, „კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის" ლიდერის საქმიდან განსხვავებით ეს კრიმინალური შემთხვევა ბოლომდე არ გამოიკვლიეს და ზემოჩამოთვლილი პოლიტიკოსებიც ციხის კედლებში დიდი ხნით სტუმრობას გადაურჩნენ.

რადგან სიტყვამ „დაჭერა" მოიტანა, მიკვირს თავის დროზე სათანადო ორგანოებმა დეპუტატი კობა ამირხანაშვილი რატომ არ დააკავეს. ხალხის ეს „რჩეული" საპარლამენტო სხდომებზე იარაღით შედიოდა. ამას თავად ბატონი კობაც არ მალავდა და ერთხელ შემდეგი ისტორიაც გაიხსენა:

„ხომ გახსოვთ ინციდენტი, რჩეულიშვილს თავი რომ გაუტეხეს? შემოიღეს ძალიან მკაცრი რეჟიმი. ბურჯანაძის დაცვაც კი განაიარაღეს. მაგრამ მე მაინც შემოვდიოდი იარაღით. ძალიან მთხოვეს და რომ არ ჩამეგდო უხერხულობაში ჩემი მეგობრები, „კაროჩე", ერთ იარაღს ვაბარებდი და ორი ჯიბეში მედო. მერე ჟურნალისტებმა „ჩამიშვეს", მაგრამ მანდ მოხდა კიდევ სხვა რამე საინტერესო. ვიცოდი, რომ ერთ დეპუტატს ჰქონდა გართულება, ახლა გვარსა და სახელს არ ვიტყვი. მოკლედ, სპეციალურად მოვიტანე ის პისტოლეტი, კაფსულებს რომ ისვრის, ნაღდისგან ვერ განასხვავებ. ერთი სიტყვით, ნაღდი იარაღი ქვემოთ დავტოვე, ვიცი ახლა, რომ ჩემზე უნდა მოხდეს „თავდასხმა". დაცვასთან გაწევ-გამოწევაა, იარაღი გვაჩვენეო, მეც დავაძვრე და მივუშვირე: გაგინგრევთ შუბლს-მეთქი. კინაღამ ჩაისვარეს ერთ მომენტში, როცა „ტკაც" გავადინე და ბურთულა დაბლა გავარდა. მე ვუთხარი, თქვე გოიმებო, ყველაფრის როგორ გეშინიათ-მეთქი".

დაჭერა-არ დაჭერის თემის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი უნდა გავიხსენო. წინა საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში „მიშა მაგარია" პერსპექტიული პოლიტიკოსის იმიჯით სარგებლობდა და მავანი და მავანი მას საქართველოს მომავალ გადამრჩენელადაც გვისახავდა.

## მიხეილ სააკაშვილი: „ფრანკფურტიდან დილის 11 საათზე ჩამოვედი... ტრაპის პირველ საფეხურზე ჩამოსვლისას გამახსენდა, რომ თვითმფრინავის სალონში დამრჩა საფულე... როცა მივბრუნდი, უკნიდან ვიღაცა ხელით მწვდა... მომმართავდა სხვადასხვა უხეში გამოთქმებით, — „შე ჩემის გადანგრეულო"...





**„კაროჩე", ერთ იარაღს ვაბარებდი და ორი ჯიბეში მედო და პარლამენტში ასე შევდიოდი"**



1996 წელს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი პირველ შარში გაეხვია. იმ მოვლენებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს ხელში ერთი უცნაური და საყურადღებო წერილი ჩაუვარდათ. ამ „დოკუმენტის" დამწერი მიხეილ სააკაშვილი ბრძანდებოდა და მას ქვემოთ უცვლელად გთავაზობთ.

„ქალაქ თბილისის პოლიციის აეროპორტის განყოფილებას

განყ. უფროსს პოლკოვნიკ თუთბერიძეს

მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის მცხოვრები გ. ახვლედიანის 21 ტელ 931084

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1996 წლის 5 ოქტომბერს „ეარ ჯორჯიის" რეისით ფრანკფურტიდან დილის 11 საათზე ჩამოვედი. ტრაპის პირველ საფეხურზე ჩამოსვლისას გამახსენდა, რომ თვითმფრინავის სალონში დამრჩა საფულე. როცა მივბრუნდი, უკნიდან ვიღაცა ხელით მწვდა და მკითხა, „სად მიდიხარ", მე ავუხსენი თუ სად მივდიოდი. მანაც მომიგო „ახლავე უკან ჩამოეთრიეო". მეც მივუგე, რომ მას უფლება არ ჰქონდა ასეთი ტონით ელაპარაკა, თანაც დავძინე, რომ ვიყავი პარლამენტის წევრი. ამ პირმა, რომელსაც არც ფორმა ეცვა და არ ჰქონდა რაიმე სხვა ნიშანი ხელი ჩამავლო პერანგში და ორჯერ მიბიძგა. მე ხელიდან დავუძვერი და ზემოთ ავედი. უკან ჩამოსვლისას ისევ ჩამავლო ხელი მხარში და მითხრა, რომ „ფეხებზე ჰკიდია პარლამენტი", „შემიძლია სადაც მინდა იქ ვუჩივლო", მომმართავდა სხვადასხვა უხეში გამოთქმებით. („შე ჩემის გადანგრეულო" და ა.შ.) იძულებული ვარ სიზუსტისთვის ყველა გამოთქმა ზუსტად დავაფიქსირო. მე მოვთხოვე თავი წარედგინა და მითხრა, რომ მისი სახელია გობეჩაშვილი და ფეხებზე ჰკიდია პარლამენტი და თვითონ ხომ არ მივარდება პარლამენტში და ა.შ. მუდმივად ხელს მკრავდა. ჩემი მოადგილეს თენგიზ შარმანაშვილის და მისი მეგობრების მცდელობა ხელი გაეშვებინათ უშედეგოდ დამთავრდა. იქვე იდგა ფორმიანი პიროვნება, რომელმაც მოგვიანებით თავი წარგვიდგინა როგორც საავიაციო უშიშროების უფროსმა. მან გაამართლა გობეჩაშვილის მოქმედება და განგვიცხადა, რომ იგი მთლიანად სწორი იყო. მთავრობის დარბაზში გამოსვლისას გამოვიძახე პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც დაუყოვნებლივ მოვიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ფიზიკური ზემოქმედება არ ატარებდა მძიმე ხასიათს და არანაირი დაზიანება არ მიმიღია, თვითონ მოქმედება იყო შეურაცხმყოფელი და მოვითხოვ მიღებული იქნას სათანადო ზომები საჯარო შეურაცხყოფისთვის".

ამ წერილის წამკითხავ ადამიანს, ალბათ, თავდაპირველად ერთი აზრი გაუჩნდება — ქართული წერა-კითხვის ასეთმა „მცოდნე" პიროვნებამ „ადგილობრივი მასშტაბის" უმაღლეს სახელისუფლებო მწვერვალს როგორ მიაღწია. სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, წერტილსა და მძიმეს სწორედ სვამდეს, დანარჩენ სასვენ ნიშნებზე ალარაფერს ვამბობთ. რაც შეეხება განცხადების ტიპურ ფორმას, ეს რომ მეოთხე კლასში ესწავლა, მაშინ აღარ დაგვიწერდა: „მანაც მომიგო ახლავე უკან ჩამოეთრიეო. მეც მივუგე, რომ მას უფლება არ ჰქონდა ასეთი ტონით ელაპარაკა, თანაც დავძინე, რომ ვიყავი პარლამენტის წევრი".

1999 წლის 10 დეკემბერს სააკაშვილს მეორე „უბედურება" შეემთხვა. ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს, თავად საპარლამენტო უმრავლესობის იმდროინდელი ლიდერი უფლებაშელახული და ნაცემი აღმოჩნდა.

როგორც „დაზარალებული" აცხადებდა, დაახლოებით 19 საათზე, სახლთან მისულს (ახალშენის ქუჩა) რამდენიმე შეიარაღებული უცნობი დაესხა თავს, რომელთაც იარაღის გამოყენება ვერ მოასწრეს, მაგრამ გაწევ-გამოწევას მისი პიჯაკი შეეწირა.

სააკაშვილზე თავდასხმის შემდგომ, პოლიციამ შესაშური ოპერატიულობით იმუშავა და რამდენიმე საათში მოიძებნა მანქანა, რომლითაც თავდამსხმელები მიიმალნენ. როგორც გაირკვა, იგი ედპ-ის წევრს გია დალაქიშვილს ეკუთვნოდა.

2003 წლის 26 სექტემბერს არჩევნებამდე 37 დღით ადრე სააკაშვილი კვლავ გაილახა, ამჯერად მომხრეებთან ერთად. ბოლნისში „ნაციონალებისა" და ლევან მამალაძის მხარდამჭერები ერთმანეთს დაერივნენ. ამ რაიონში „ნაციონალი" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ჯემალ მურადხანოვის წარსადგენად ბოლნისში ჩასულ სააკაშვილსა და მის გუნდს ბოლნისის შესასვლელთან მამალაძის მხარდამჭერები დახვდნენ. სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთს ქვები და ხელკეტები დაუშინეს. ათეულობით ადამიანი დაშავდა, მათ შორის ბოლნისის რაიონის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე და საკრებულოს თავმჯდომარე აბას აბასოვი. ეს უკანასკნელი საავადმყოფოში გადაიყვანეს...

ერთხელ თავი საქართველოს პარლამენტის წევრმა ბეჟან ხურციძემაც „გამოიჩინა". ამ უკანასკნელმა 2003 წლის 31 აგვისტოს სოფელ სალხინოში 28 წლის ვინმე გურამ ხარბეიშვილი სცემა. ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად ხარბეიშვილს ქალა-ტვინის ტრავმა და სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა ჰქონდა მიღებული. როგორც პოლიციაში აცხადებდნენ, ბეჟან ხურციძე ხარბეიშვილისგან ვალის სახით 500 დოლარს ითხოვდა.

დასასრულ, ერთ „კოლორიტულ" პარლამენტარს (წინა წერილებში გამომრჩა) და მის „საგმირო საქმეს" გავიხსენებ. საუბარი მაქვს ბატონ აკაკი ბობოხიძეზე, რომელიც თავის დროზე პარლამენტარმა გიორგი თარგამაძემ „უზრდელი დეპუტატის" სახელით მონათლა.

2011 წლის 26 სექტემბერს პარლამენტის სხდომაზე აკაკი ბობოხიძე პეტრე მამრაძეს ფიზიკურად დაუპირისპირდა. დაპირისპირება პლენარულ სხდომაზე პეტრე მამრაძის სიტყვით გამოსვლას მოჰყვა. მან 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს „ქართული პროვოკაცია" უწოდა, რასაც აკაკი ბობოხიძის აღშფოთება მოჰყვა. მან მამრაძეს „ახვარი" დაუძახა და სახეში ჩაარტყა...

*გაგრძელება იქნება*

Facebook ამბები

facebook



**გოგი ლორთქიფანიძე** თინა ხიდაშელს პასუხობს, რომელმაც განაცხადა: ჯარში სავალდებულო გაწვევა 2017 წლიდან აღარ გვექნებაო

– და რატომ, იქნებ აგვიხსნათ?

ასე იმპერატულად და წასვლის წინ რატომ?

ჯარი საქართველოს მარტო საომრად და საბრძოლველად ჭირდება?

არანაირი არგუმენტი ფინანსურ მიზანშეწონილობაზე და ა.შ. არ მიიღება, ქართული ჯარი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიის შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი მდგენელი უნდა იყოს, აქედან გამომდინარე შესაბამისი ქმედებებით - აქ იგულისხმება პატრიოტული თემატიკა, ჯანდაცვა, სახელმწიფოებრიობის განცდის გაძლიერება და სხვ.....

და კიდევ ერთხელ რატომ, პატივცემულო?

**ზაზა ჭკუასელი:** – არც მე მივესალმები მხოლოდ პროფესიულ ჯარს...ვისაც ძალიან გიხარიათ ერთს გკითხავთ ..საიდან მოგაქვთ ფული პროფესიონალებისთვის და მთავარი სად ცზოვრობთ მიმოიხედეთ...ვისზე ნაკლები ჯარი ყავს ისრაელს ან თურქეთს.იქ იმაზე ნერვიულობენ ჯარში თუ არ წაიყვანეს ახალგაზრდაჯარში უნდა გამოსწორდეს სიტუაცია და ხალხმაც უნდა შეიგნოს ჩვენს სამშობლოს სხვა არავინ არ დაიცავს თუ არა ჩვენ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



„პატრიოტთა ალიანსის“ ოფისში უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები კარგა ხნის წინ ჩამოწერილ პარტიებთან და კარგად დავიწყებულ პოლიტიკოსებთან. რამდენიმე დღის წინ შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, სადაც გაერთიანდნენ: „პატრიოტთა ალიანსი“, „თავისუფალი საქართველო“, „ევროპელი დემოკრატები“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „ტრადიციონალისტთა კავშირი“, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და ლური მოძრაობის“ გარდა, რომ გავერთიანდეთ, ერთიანი ძალებით დავამარცხოთ ხელისუფლება, შევცვალოთ საარჩევნო გარემო რამდენიმეთვიან მონაკვეთში და გამოვაცხადოთ რიგგარეშე არჩევნები. დაახლოებით ისეთივე სურათია, როცა „ოცნებაში“ გაერთიანდნენ სხვადასხვა ძალები, გადააგდეს სააკაშვილის ხელისუფლება, შესრულდა მიზანი და საპირისპირო იდეოლოგიის მქონე პარტიები დარჩნენ ერთად. თუმცა ბოლომდე ერთად ყოფნა მაინც არ გამოუვიდათ და მაინც დაიშალნენ.

**— ესე იგი, რა გამოდის, ირმა ინაშვილმა უნდა ჩაიბას მკვდარი პარტიებრივებული...**

ტრირებული, არჩევნებში გავიმარჯვებთ, ამ ცვლილებებს მივიღებთ და მაშინვე ვაცხადებთ რიგგარეშე არჩევნებს. ასე უნდა მოქცეულიყო 2012 წელს „ქართული ოცნება“, მაგრამ არაფერი გააკეთა.

**— არა, აქ ახლა სხვა პრობლემაა, დავუშვათ, შეიყვანეთ პარლამენტში ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია, კაკო ასათიანი იმ პირობით, რომ 3 თვეში დატოვებენ მანდატებს, მაგრამ გაუტკბათ და არ დატოვეს, მერე რას შვრებით?**

– ამ საკითხზეც ნაფიქრი გვაქვს, ამის 100-პროცენტიანი გარანტია არ არსებობს, მაგრამ, როცა საზოგადოებას ამას ვთავაზობთ, მხარი

## ირიჴsss

დებობებისთვის კი არა, ქვეყნის გადარჩენისთვის ვიბრძვით.

**— კი, მაგრამ არჩევნებამდე სავარაუდო მთავრობაც ხომ უნდა დააკომპლექტოთ?**

– დიახ, ეს იქნება ტექნიკური მთავრობა, რომელიც იმუშავებს მხოლოდ სამთვიან მონაკვეთში.

**— პრემიერ-მინისტრი ვინ იქნება?**

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ უკვე გითხარით, „პატრიოტთა ალიანსს“ ამ თანამდებობაზე არ აქვს პრეტენზია.

**— არ იფიქროთ, რომ ბაჩუკი ქარდავაზე ჩავიხვიე, მაგრამ იმედია, მაგას არ დანიშნავთ.**

# ბაჩუკი ქარდავა — პრემიერ-მინისტრი, პაატა დავითაია — პარლამენტის თავმჯდომარე, აკაკი ასათიანი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი(!!!)

## კოალიცია „ნაფტალინი“ თუ უკვე ჩამოწერილი „ქართული ოცნება“? ისა და... თქვენ ალაოდ ხომ არ ხართ?!



პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „თავისუფლება“, „რეფორმატორები“. საბჭოში დამკვირვებლების სტატუსით არიან „ლეიბორისტები“ და ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“. საბჭოს მდივანი გახლავთ ზურაბ ხარატიშვილი, ხოლო სპიკერი — ირმა ინაშვილი. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საარჩევნო ბლოკი, შემდგომში კი კოალიცია, რომელმაც (იდეაში) უნდა დაამარცხოს ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“, პარლამენტში მოვიდეს საკონსტიტუციო უმრავლესობით, დააკომპლექტოს მთავრობა და რაც ამის შემდეგ (იდეაში) მოხდება, ამას უკვე ველარ დაიჯერებთ. მართალია, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, ირმა ინაშვილი აცხადებს, ამ ეტაპზე არავითარი ბლოკის შექმნაზე საუბარი არ არის, საბჭოს მხოლოდ ორი ფუნქცია აქვს, უნდა ვიმუშაოთ საერთაშორისო საზოგადოებასთან, ერთობლივი განცხადებები ამ საქმეში წაგვეხმარება და ასევე, ამ განცხადებებს დიდი ძალა ექნება ქვეყნის შიგნითაცო, მაგრამ აგერ, მისივე პარტიის წარმომადგენელი, გოჩა თევდორაძე „ალიას“ იმ სქემის შესახებ უმხელს, რასაც საბჭო (შემდგომში კოალიცია) უახლოეს მომავალში აპირებს:

– ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ მოხდეს გაერთიანება ბლოკის სახით, ეს ჩვენი იდეაა და ამიტომაც კეთდება „პატრიოტთა ალიანსის“ ეგიდით. რაკი ასეთი უსამართლოა საარჩევნო გარემო, ჩვენ შევთავაზეთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, „ნაციონა-

**ბი და ასე დაამარცხოს ხელისუფლება? დავუშვათ, დაამარცხა, ეს ხომ იგივე სქემაა, რაც თავის დროზე გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა? პირდაპირ გეტყვით, რა დაიმსახურეს, რატომ უნდა შევიდნენ პარლამენტში ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია და სხვები?**

– მე მესმის, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ 2-3-თვიანი უმრავლესობა. ჩვენ პირდაპირ ვეუბნებით საზოგადოებას: მოვალთ, შევცვლით საარჩევნო გარემოს და დავნიშნავთ ხელახალ არჩევნებს.

**— მერე, რატომ გგონიათ, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ ყავლგასული პარტიების შეერთებით არჩევნებში გაიმარჯვებს?**

– ეს გარკვეული მინუსი შეიძლება იყოს იმ კუთხით, რომ ჩვენ ბევრად მეტი გვაქვს რეიტინგი, ვიდრე ამ პოლიტიკურ პარტიებს.

**— ჩვენ ხომ კარგად ვიცით, ვინ იყო გარიგებული „ნაციონალებთან“? ახლა „ნაციონალებზე“ უარს ამბობთ და იბამთ მათ სატელიტებს?**

– ჩვენ ამ ხალხთან გვაქვს მხოლოდ ერთი თემა, არის უსამართლო საარჩევნო გარემო და ეს უნდა შეიცვალოს. ამაზე ყველა ვთანხმდებით, ხელისუფლება, რომელიც დღეს გვყავს, ამისი კიდევ დიდხანს დატოვება იქნება ქვეყნისთვის დამღუპველი. ამ ხელისუფლებამ წარმატებას ვერ მიაღწია ვერც ერთ სფეროში, ვერც საშინაოში, ვერც საგარეოში. სანამ არჩევნები ჩატარდება, მანამდე შევიტანთ პარლამენტში ცვლილებების პაკეტს, იქნება დარეგის-

უნდა დაგვიჭიროს, ჩვენ მხოლოდ ერთი საკითხი გვაინტერესებს, საარჩევნო კოდექსის შეცვლა. ჩვენ ყველა სუბიექტს ხელს მოვაწერინებთ ამაზე და საზოგადოებას წარვუდგენთ ხელმოწერილ დოკუმენტს. თუ პარლამენტიდან არ გამოვლენ, ამათ არავინ დააპატიმრებს, მაგრამ მათი პოლიტიკური კარიერა ამის შემდეგ მოკვდება.

**— ბატონო გოჩა, გვეხუმრებით, ალბათ... საქართველოში ბევრ რამეზე მოუწერიათ ხელი, მაგრამ მერე კარგადაც დაუვიწყებიათ.**

– გასაგებია, ეს რისკი ყოველთვის არსებობს, მაგრამ თავდაცვის მექანიზმად მოფიქრებული გვაქვს ეს მეთოდი, ანუ ხელმოწერები.

**— ჯერ ერთი, ხელახალი არჩევნები ორმაგი ხარჯია და ამდენი ფული უნდა გადაიყაროს, მეორე — გიორგი მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ფიცი დაუდო, მაგრამ მერე უთხრა, ვინ ხარ, საერთოდ ვერ გიცნობ და არც ამ შენობიდან გამოვალო. თქვენ რომ ბაჩუკი ქარდავამ გითხრათ, ვინ ხართ, საერთოდ საქმე არ მქონია თქვენთანო, გაგიკვირდებათ?**

– მე უკვე გითხარით, 100 პროცენტით ამის გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლება. სხვათა შორის, ჩვენ თავიდანვე გამოვაცხადეთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრის პოსტს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი არ დაიკავებს, ამ თანამდებობებზე არ ვაცხადებთ პრეტენზიას. ჩვენ ამით ვაჩვენებთ ამ პარტიებს, რომ თანამ-

– არა, ბაჩუკი ქარდავას დანიშვნას არ ვაპირებთ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება შევცვალოთ. რაც საგარეჯოში „რესპუბლიკელებმა“ გააკეთეს, ერთი-ერთზე ჯდება „ნაციონალების“ ქმედებებთან. ამის გამეორება დაუშვებელია.

**უკაცრავად კი ვარ „პატრიოტებთან“, მაგრამ მე პირადად მათ გარშემო შეკრებილი ყველა პარტია იმ „ჟიგულს“ მაგონებს, ძალიან მაგრად რომ აპრიალებენ და მაინც არაფერი გამოდის, მაინც ფახფახებს. ალბათ, თავადაც ხვდებით, ამ ნაფტალინწაყრილი პარტიების მხრიდან ხელისუფლების დამარცხებაზე ფიქრი უკვე ფსიქიატრიის სფეროა. აბა, წარმოიდგინეთ, ამათ გაიმარჯვეს არჩევნებში, ტაშის გრიალით შევიდნენ პარლამენტში, ბაჩუკი ქარდავა გახდა პრემიერ-მინისტრი, პაატა დავითაია — პარლამენტის თავმჯდომარე, ძალოვანმა ვეტერანებმა წაიღეს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ზურაბ ხარატიშვილს ისევ ჩააბარეს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აკაკი ასათიანი გახდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი (ამას ვალები აქვს, ამ ეტაპზე ეს თანამდებობა სჭირდება), ამის შემდეგ, 3 თვეში აცხადებენ თვითლიკვიდაციას და ნიშნავენ ვადამდელ არჩევნებს. მერე, ვინ იმარჯვებს იმ არჩევნებში, სადაც ხელახლა ხარჯავენ ჩვენი ჯიბიდან სიმწრით გადახდილ 56 მილიონ ლარს, ისევ კოალიცია „ნაფტალინი“ თუ უკვე ჩამოწერილი „ქართული ოცნება“? ისა და... თქვენ ალაოდ ხომ არა ხართ?!**

## Facebook ამბები



**თამაზ ჭეიშვილი:**

ლექსი თ.მეჭიაურზე!
(ხევსურულ მოტივებზე სამღერად!)
———————————
თამაზი მეჭიაური, კაცია დავლათიანი!
მიკროფონთან რომ დადგების სიტყვა მაუდის ფხიანი!
ვერას დააკლებს ვაჟკაცსა, მელოტი, ანდა თმიანი!
უყვარს,ვისკი და ხვანჩკარა , აგრეთვე ლოქო ძმრიანი!
მოქეიფე და მომლხენი, ერთგული, მრავალძმიანი!
ჩხუბში გიჟურად დამრტყმელი,
პარლამენტს შინა ჭკვიანი!
მისამღერი:
——————————
ქიციც იცის, ქიციც, ქიცმაცურიც!
ბავშვთან ბავშვი,დიდთან დიდი!
რას დააკლებს თამაზს ნაცი,
თუ გინდ დახვდეს 100 კაცი,ჰე!
:)))))

მე:
„ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი,
ჩამო ანანურს, დავლიოთ, სუფრა შაიქნა მტვრიანი!
ის(მეჭიაური):
მანდაც ჩამოვალ,ხინკალზე,
გამოუვლიდი ჩარგალსაც!
პარლამენტ როგორ დავტოვო?
რა ვუყო ამდენ ჩ"""""""სა?
მე:
კარგი ნუ დარდობ მთიულო,
ხინკალ მ"""""""""ნია პატრონი,
ვინც შენზე ცუდი რამე თქოს,
გაექცეს გვერდზე მამწოლი!
პს (მისამღერი)
ქიციც იცის,ქიცმაცურიც!
ბავშვთან ბავშვი,დიდთან დიდი!
რას დააკლებს თამაზს ნაცი,
თუ გინდ დახვდეს 100 კაცი, ჰე! :

**ხათუნა გვასალია:** არცა ფხიანი! არცრა ჭკვიანი!
დავლათიანი?
თავსლაფსხმიანი!

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები




**ლაშა ბუღაძე:**

თუ გვინდა ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ, ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთ. ამას უნდა ვაცნობიერებდეთ! არ არსებობს ლიბერალური დემოკრატია თანასწორობის პრინციპის გარეშე. თანასწორობა კი ცალსახად ნიშნავს, რომ უმცირესობებს და, მათ შორის, სექსუალურ უმცირესობებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ქორწინების და ბავშვის აყვანის ისეთივე უფლებები, როგორიც ყველა დანარჩენს.

**ზვიად სეხნიაშვილი:** -ეს რანაირი განათლებულია?..ამის განათლებას ქართველი გლეხი ჯიბეში ჩაისვამს. ეს არის ბევრი ნაგვის გროვად ქცეული წიგნის მკითხველი ნაძირალა,რომელიც ყველა სიწმინდეს აგინებს და აფურთხებს,რაც კი გააჩნია ქართველ ერს..

ბონდო ქურდაძე: დავიჯერო ალენ დელონზე მაგარია, ეს გრანტიჭამია სკვინჩა... ბავშვს რატომ არ ეკითხები, უნდა შენაირი დედა(?!).



ინგა გრიგოლია მედიასაშუალებებთან დაკავშირებით ატეხილ მითქმა-მოთქმას ასე შეეხმიანა:

“რუსთავი 2“-ის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში 27 აპრილს გაგრძელდება, უკვე გაჩნდა მოლოდინი, რომ ყველაფერი შესაძლოა, ძალიან სწრაფ ტემპებში გადაწყდეს და არჩევნებამდე “რუსთავი 2“იც წაიღონ... “მაესტრო” უკვე გადავიდა “იმედის” რეალური მმართველის, ირაკლი რუხაძის დაფინანსებით, გაჩეჩილაძეების ხელში -ანუ, რეალურად “იმედის” ხელში ((((( თუ “რუსთავსაც” წაიღებენ, გამოვა, რომ არჩევნებისთვის ყველა დიდი მედია საშუალება ერთ ხმაში იმუშავებს(((( სხვათა შორის, იმ მოსამართლეებში, ვინც ამ დღეებში “რუსთავი 2“-ის საქმე უნდა გადაწყვიტონ, ლევან მურუსიძის მიერ განმწესებული მოსამართლეცაა )))) აქედან გამომდინარე, დღეს უკვე კითხვაც აღარ დამრჩა, რატომ იყო ჩართული თავიდან ბოლომდე (როგორც რამიშვილმა თქვა) “იმედის” გენდირექტორი ბახტაძე იუსტიციის საბჭოს ამბებში და ბატონი მურუსიძის გაპიარებაში... მოკლედ, 5 მაისამდე დიდი მედიაშეტევების მოლოდინში მოგვიწევს ცხოვრება... და მე პირადად, ამ ამბის გაგების შემდეგ უფრო დამაინტერესა შალვა რამიშვილის განცხადებებმა, რომ “იმედის” ფორმალური თუ არაფორმალური მმართველები იძლეოდნენ დირექტივებს, ვინ უნდა დაესვათ იუსტიციის საბჭოდან ეთერში და რომელი მოსამართლე რას იტყოდა... მოკლედ, ახალი და ერთერთი გადამწყვეტი მედია-ომი გვაქვს წინ...

პ.ს– სხვათა შორის, არავის სჯეროდა და მეუბნებოდნენ, არჩევნებანდე შანსი არააო და მგონი ერთადერთი ვიყავი ჩემს მეგობრებში, ვინც ამტკიცებდა, რომ ყველაფერი გაკეთდებოდა არჩევნებამდე “რუსთავი 2?-ის წასალებად... მგონი, ჩემი პროგნოზი და მოლოდინი მართლდება”.

ეკატერინე მიშველაძე: სწორედ ამას ემსახურებოდა მედიაშეტევა, რომელიცდაიწყო ჩვენით და ალბათ უნდა დასრულდეს რუსთავი 2-ით. თუმცა მე ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ რუსთავს ვერ მოერევიან

# თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ არ იქნება, ქვეყანაში მოხდება ხელისუფლების დამხობა

## ზუსტად მაგიტომ იყო სტივ რასელი შერჩეული, ეს იყო ერთგვარი ირიბი გაფრთხილება,



**„სრულ ტექსტში აღწერილია მთელი ის პერიოდი, როდესაც რუსეთის მეშვეობით მოხდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, სამჯერ არის ტექსტში ზვიად გამსახურდია ნახსენები, ნუ დაგვავიწყდება, რომ უფროსმა ბუშმა ზვიად გამსახურდიაზე თქვა, რომ ის დინების საწინააღმდეგოდ მიდის, ჩემთვის ეს დეტალები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ეს ტექსტი შედგენილი იყო ქართველის მიერ, რომელმაც საკმაოდ კარგად იცოდა საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ“**



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„ენდიაის“ შემდეგ კვლევის შედეგებს, როგორც ყოველთვის, აქვეყნებს „აირაი“. ამ ორი ანეკდოტად ქცეული კომპანიის მძევალი ხდება ქართველი საზოგადოება. ამ „გამოკვლევებულებმა“ წაბილწეს და წარლვნეს ქართველი ამომრჩევლის უფლება, რომ არჩევანი გააკეთოს შეხედულებისამებრ. ის, რასაც ეს კომპანიები აკეთებენ, არის ამომრჩევლის ნებაზე ძალადობა, ზეწოლა და არჩევნების ოკუპაცია. ამ კვლევების მიხედვით, დასავლეთის გზავნილი გახლავთ შემდეგი: თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ არ იქნება, სულ მცირე, დომინანტი ოპოზიციური ძალა, ქვეყანაში მოხდება ხელისუფლების დამხობა და „ქართული მაიდანის“ მოწყობა... უცნაურია, რატომ არ ფიქრობს დასავლეთი, რომ მოსახლეობის არჩევანის მონოპოლიზებით, „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ, ანტაგონისტურად განაწყობს დასავლური ღირებულებებისადმი. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამ კვლევის შედეგებს წაიკითხავს, სადაც ამომრჩევლის 20% ირჩევს „ქართულ ოცნებას“, 19% — „ნაცმოძრაობას“, 13% — „ირაკლი ალასანია — თავისუფალ დემოკრატებს“ და პროცენტულ მაჩვენებელს აღარ ჩამოთვლი, რომ არ გადავღალო მკითხველი, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი წყლის ნაყვაა, გაუჩნდება აგრესია და შესაძლოა, საარჩევნო ყუთთან მისულმა აბსოლუტურად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღოს.**

**ჩვენ არ ვართ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა, სამწუხაროდ, საქართველოს 20% ოკუპირებული აქვს რუსეთს, დანარჩენი — დასავლეთს, განსხვავება დაპყრობის ტექნოლოგიასა და გამოყენებულ იარაღშია. რუსეთი ცივი იარაღით გვიპყრობს, ხოლო დასავლეთი — ფარული მექანიზმებით. ჯამში, ორივე დამპყრობელია და ორივე მიუღებელი. კვლევებიდან ირკვევა, რომ „ენდიაის“ შემდეგ, „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის, შუალედური პროცენტები თანაბრდება.**

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, „ალიას“ კითხვაზე: რის მიღწევა სურს დასავლეთს და რის მიღწევა უნდა ჩვენგან, პასუხობს:**

– ყოველთვის სკეპტიკურად ვარ განწყობილი კვლევების მიმართ, რასაკვირველია, „ენდიაისა“ და „აირაის“ ამის გამო ვაკრიტიკებ, თუმცა ვთქვათ ერთი რამ, როგორ ხდება ამ სურათის შექმნა. „ენდიაი“ თუ „აირაი“ კვლევებს უკვეთს კონკრეტულ ქართულ კომპანიებს, ჩემთვის ცნობილი არ არის ამჯერად ვინ შეასრულა ეს კვლევები. შემდეგ ხდება დაჯამება, აი, რა ეტაპზე ხდება კორექტირების შეტანა „ენდიაის“, „აირაის“ თუ უფრო დაბალ დონეზე, ეს მე არ ვიცი, საბოლოო ჯამში, სურათი იდება ასეთი, რაც რეალობას ნამდვილად არ ასახავს. არ გამოვრიცხავ, რომ მავანი ამ კვლევების შედეგის მიღებაში ჩაერია, თუმცა იკვეთება საინტერესო მომენტი, კერძოდ, იმდენი ქნეს, ამ კვლევებით, რომ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნების მიმართ ნიჰილისტურად იყო განწყობილი და საერთოდ, პროტესტს უცხადებდა არჩევნებს, დღეს ამ კვლევების შედეგად, განწყობები შეიცვალა და საზოგადოებაში გაჩნდა განწყობა – მე მივდივარ არჩევნებზე, ოღონდ ჯერ არ ვიცი, ხმას ვის მივცემ. რაც უფრო მეტად გააგრძელებს „ენდიაი“ თუ „აირაი“ მსგავსი კვლევების შედეგების დადებას, მით უფრო მეტი ხალხი მივა არჩევნებზე, ამაში დარწმუნებული იყავით, ვისაც ამ კვლევებში კორექტივები შეაქვს, ის მუშაობს შემდეგი პრინციპით, რომ აჩვენოს თავისი ფსევდოძალა საზოგადოებას როგორც საქართველოში, ასევე დასავლეთში და როცა არჩევნებში ამ შედეგს ვერ დადებს, მერე თქვას, რომ არჩევნები გაყალბებულია, მაგრამ ამას რომ მეორე უკუშედეგი აქვს, როგორც ჩანს, ვიღაცა არ ითვალისწინებს. ხალხში ამ კვლევებმა გააჩინა სერიოზული შიში და პანიკა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნდება. ჯოხს ხომ ორი ბოლო აქვს, ერთი მხრივ, „ნაცმოძრაობა“ ამ კვლევებით აღწევს შედეგს, იმ შემთხვევაში, არ აიღებს ამ რაოდენობის ხმას, მათი მომხრეები დასავლეთში იტყვიან, კი მაგრამ, კვლევებმა სხვა შედეგი აჩვენა და რა ხდება, არჩევნები გააყალბესო?!. მაგრამ, მეორე მხრივ, დარწმუნებული იყავით ძალიან ბევრი ხალხი მივა არჩევნებზე და იმის შიშით „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში არ დაბრუნდეს, ხმას მისცემს ნებისმიერ სხვას, ოღონდ არა, „ნაციონალებს“. ამ ტიპის ფალსიფიცირებას, ყოველთვის ასეთი შედეგი მოჰყვება.

**— დასავლეთს ხომ არ აქვს შიში, რომ არჩევნების შედეგად შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ პრორუსული ძალები. ამიტომ, ხომ არ დაიწყეს „ქართული მაიდანის“ სამზადისი, არჩევნების გაყალბების საბაბით?**

– „ნაცმოძრაობა“ ყოველთვის აკეთებს იმას, რომ დასავლეთი დაარწმუნოს იმაში, რომ „ქართული ოცნება“ არის პრორუსული ძალა და ასევე, არსებობენ სხვა პრორუსული ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ. ახლა მინდა საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის პატარა განმარტება გავაკეთო, „ქართულ ოცნებას“ ძალიანაც რომ უნდოდეს ორბიტისკენ გადახრა, ამას ვერ მოახერხებს, რადგან არსებობს უამრავი ვალდებულება დასავლეთის მიმართ, ამ ვალდებულებების შეუსრულებლობას კი არავინ აპატიებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დასავლეთის მიმართ არსებობს ნიჰილიზმი, ის, რომ აშშ-მ უამრავი რამ გააკეთა საქართველოსთვის, შეიარაღებიდან დაწყებული ფინანსური დახმარებით დასრულებული, მიუხედავად იმისა, ბევრი ისეთი რამ არის, რაც ქართველ საზოგადოებას არ მოსწონს, ფაქტია, აშშ-მ დიდი ინვესტიცია ჩადო ამ ქვეყანაში, რასაც თავისი ვალდებულებები ახლავს და ასე მარტივად დღეს, ამერიკა არ მომწონს და რუსეთის ორბიტაზე გადავალო, ეს ამბავი არ მოხდება, ამას ვერავინ გააკეთებს. თუ არ დაიდო ის შედეგი, რასაც „ენდიაის“ თუ „აირაის“ კვლევები გვიჩვენებს, მერწმუნეთ, დასავლეთი უხეშ ჩარევას არ მოახდენს. თვითმკვლელი იქნება ის პოლიტიკოსი, რომელიც შეეცდება, პრორუსული პოზიცია დაიკავოს, თუმცა სხვა რამაა რუსეთთან დიალოგი. დასავლეთმა ძალიან კარგად იცის აქაური რეალობა, ამიტომ იყო, რომ სენატორ რასელის შემდეგ, გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ნიკოლას ვერლინერი, გააკეთა განცხადება, რომ რასელის განცხადება იყო მისი პირადი მოსაზრება და არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და მინისტრთა კაბინეტის მთავრობის პოზიციას.

### ექსპერტი



**— აშშ-ს კონგრესმენმა სტივ რასელმა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სხდომაზე განაცხადა: „რუსეთი ჩვეული გეგმის მიხედვით ცდილობს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას იმ იმედით, რომ საქართველოს დედაქალაქში პრორუსული ხელისუფლება იქნება. მთავარი მოქმედი გმირი ამ პოლიტიკურ პროცესებში ვლადიმერ პუტინის ახლო მოკავშირე ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილია, მისი მიზანია საარჩევნო პროცესებში ჩარევა, ხმების ყიდვა და პოლიტიკური ოპონენტების დასჯა. ქვეყნის ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსების გამოყენებით არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენა...“**

– კი და ვერლინერმა შეარბილა რასელის ნათქვამი, იმ თვალსაზრისით, რომ რასელი არ არის ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენს, ის წარმოადგენს სენატორთა საკმაოდ ძლიერ ჯგუფს, მართალია, ის არ არის აშშ-ს ადმინისტრაცია, მაგრამ საკმაოდ გავლენიანი ჯგუფია. მისი ნათქვამი ასე არ ჩაივლის.

**— თქვენი აზრით, რასელმა ვისი სიტყვები გაახმოვანა? „ნაცმოძრაობას“ გამოუჩნდა თუ არა მოკავშირე, რომლებიც ახდენენ გავლენას სენატორებზე?**

– როგორც ევროპარლამენტში დეპუტატები კითხულობდნენ ფურცლიდან ტექსტებს და ჰქონდათ ე.წ. შპარგალკა, რა უნდა ეთქვათ და როგორ უნდა გაეკრიტიკებინათ საქართველოს ხელისუფლება, მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობა“ უფრო შორს წავიდა და ახლა უკვე ტექსტებს კონგრესის წარმომადგენელს უწერენ. რასაკვირველია, რასელთან ნამუშევარი იყო.

**— სხვათა შორის, ამ ბოლო დროს „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას“ განცხადებებში „გადაუჯოკრა“. გავრცელდა მისი ფოტო სტივ რასელთან გადაღებული და გაჩნდა ეჭვი და არც უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე არ გამორიცხავს, რომ ამ ტექსტის ავტორი არის ნათელაშვილი და გამხმოვანებელი რასელი. ნუთუ შალვა ნათელაშვილი მტრის სიძულვილმა ისე დააბრმავა, რომ პოლიტიკურ სატანას — „ნაცმოძრაობას“ შეეკრა?**

– მე ძალიან მიკვირს შალვა ნათელაშვილის, არ მინდა დავიჯერო,

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



**თამაზ ჭეიშვილი**

ფრთხილად,ვიღაც ქვეყანაში აგრესიას აღვივებს!

ტელეარხების 90% აგრესიის გაღვივებას ემსახურება! გადაცემის „ქუდები„ წამყვანების საუბრის სტილი,ვიდეო მასალა,აშკარად აგრესიის შემცველია! ამას დაემატა,ბოლო დროს, საზოგადოებრივ ქსელში „შიშის თესვის„ ტენდენცია: „მალე აპოკალიფსი იქნება„ ...„დედამიწისკენ კომეტა მოფრინავს„„ ...აღარაფერს ვამბობ საინფორმაციო საშუალებების მიერ განგაშის ხასიათის მასალების პუბლიკაციებზე.

ეს ყველაფერი,ჩემო კარგებო, მიმართული ადამიანების ფსიქიკის დასათრგუნად და ჩვენ ცნობიერებაში აგრესიული მუხტის გასაძლიერებლად!

მედიცინაში არის ასეთი ტერმინი - „სარკის ეფექტი„!... ანუ, ადამიანი, გაუცნობიერებლად „აეწყობა იმ ტალღაზე„ რაც მის ირგვლივ „ღელავს„!

ასე თუ გაგრძელდა,სულ მალე მივიღებთ, უკიდურესად აგრესიულ საზოგადოებას,ფსიქიური გადახრებით და ...მერე მოგჭამათ ჭირი, ნატომაც „ტასომაც„ და ევროპულმა ფასეულობებმაც! „ქვის მსროლელი„ საზოგადოება არვის ჭირდება! აი, ტერიტორია, გეოგრაფიული სიბრტყე კი რა თქმა უნდა ჭირდება როგორც ჩრდილოეთს, ასევე დასავლეთს და რასაკვირველია ახლო აღმოსავლეთსაც!

რასაც მასზე ლაპარაკობენ, რომ თითქოს დიდძალი ფული აიღო „ნაციონალური მოძრაობისგან“, კონკრეტულად, სააკაშვილისგან და ამიტომაც აკეთებს ამას, რასაც აკეთებს. თუმცა, უამრავი წყარო, ღიად თუ დახურულად, ამაზე საუბრობს. მესმის, რომ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგია და ბუნებრივია, მისი მხრიდან ოპონენტის კრიტიკა, მაგრამ „ნაცმოძრაობასთან“ ერთად უნისონში რატომ უნდა იყოს, ეს ვერ ამიხსნია. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, მაგრამ შალვა ნათელაშვილის სტივ რასელთან ნამუშევარი არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ ამ კონგრესმენს ეს პოზიცია დაეფიქსირებინა. დარწმუნებული ვარ, უფრო სერიოზულმა ძალამ იმუშავა. მინდა ერთ მნიშვნელოვან დეტალს მიაქციოთ ყურადღება, შეირჩა რასელის რთ და ამაზე ააგო რასელის ტექსტი. მე აღტაცებული ვარ, როგორ მუშაობს დასავლეთში „ნაცმოძრაობა“. ის, რასაც ევროპარლამენტში ერთი გიორგი კანდელაკი აკეთებს, უდრის ძალიან ბევრი ადამიანის მუშაობას. სხვა საკითხია, რომ ისინი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობენ, ეს მათ სინდისზე იყოს, მაგრამ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან ეფექტურად მუშაობენ. ამიტომ ვაკრიტიკებ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, რომ მათი მხრიდან ასეთი ტიპის ეფექტურ მუშაობას ვერ ვხედავ.

**— სტივ რასელის ფიგურა მიანიშნებს თუ არა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დაემხობა ზუსტად ისე, როგორც სადამ ჰუსეინი დაემხო?**

– ზუსტად მაგიტომ იყო სტივ რასელი შერჩეული, ეს იყო ერთგვარი



ექსპერტი

**ლაუფლებას, ყველას აინტერესებს, რას ფიქრობს ბიძინა ივანიშვილი...**

– მე ვხედავ ერთ რამეს, კვირიკაშვილი არ იწყებს თავისი მოვალეობის შესრულებას, როგორც პარტიის თავმჯდომარე. ის, რომ ჯერ არ ჩატარებულა ყრილობა და ამის გამო არ იწყებს მუშაობას, ეს გასასამართლებელი საბუთი არ არის, რადგან ის მაინც არის პარტიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ ვხედავ რატომაც არ იწყებს კვირიკაშვილი ამ საქმის კეთებას, რადგან დღეს უამრავი ხალხია ჩარეული, კანდიდატების შერჩევის საკითხში. სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებს თუ დეპუტატებს, ვისაც არ ეზარება, ყველა ერევა კანდიდატებ-

# სულ მცირე, დომინანტი ოპოზიციური ძალა, და „ქართული მაიდანის“ მოწყობა...

## რომ ადამიანს, რომელმაც სადამ ჰუსეინი დაამხო, არც სხვისი დამხობა გაუჭირდება

**„ძალიან მიკვირს შალვა ნათელაშვილის, არ მინდა დავიჯერო, რასაც მასზე ლაპარაკობენ... თუმცა, უამრავი წყარო, ღიად თუ დახურულად, ამაზე საუბრობს“**



**„აღტაცებული ვარ, როგორ მუშაობს დასავლეთში „ნაცმოძრაობა“. ის, რასაც ევროპარლამენტში ერთი გიორგი კანდელაკი აკეთებს, უდრის ძალიან ბევრი ადამიანის მუშაობას“**



ფიგურა ამ ტექსტის გასახმოვანებლად, ეს არ გახლავთ უბრალო კონგრესმენი, ეს ადამიანი უშუალოდ მონაწილეობდა სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობაში, მას აქვს უდიდესი გამოცდილება ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა ტიპის აქტივობისა, ეს არ გახლავთ ევროპარლამენტის ქარაქუცა რიგითი წარმომადგენელი, არის ძალიან სერიოზული პოლიტიკური ფიგურა, რაც მთავარია, არის ძალიან გონიერი, როგორც ჩანს, მას ბევრჯერ მიაწოდეს ამ ტიპის ინფორმაცია და საჯარო განცხადება გააკეთა. სხვათა შორის, რასელის ვრცელ განცხადებაში მოყვანილ დეტალებს ქართულმა მედიამ ყურადღება არ მიაქცია, იყო საინტერესო პასაჟი ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით, სრულ ტექსტში აღწერილია მთელი ის პერიოდი, როდესაც რუსეთის მეშვეობით მოხდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, სამჯერ არის ტექსტში ზვიად გამსახურდია ნახსენები, ნუ დაგვავიწყდება, რომ უფროსმა ბუშმა ზვიად გამსახურდიაზე თქვა, რომ ის დინების საწინააღმდეგოდ მიდის, ჩემთვის ეს დეტალები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ეს ტექსტი შედგენილი იყო ქართველის მიერ, რომელმაც საკმაოდ კარგად იცოდა საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ და ამაზე აგო რასელის ტექსტი. ირიბი გაფრთხილება, რომ ადამიანს, რომელმაც სადამ ჰუსეინი დაამხო, არც სხვისი დამხობა გაუჭირდება, თუ ეს პოლიტიკურმა აუცილებლობამ მოითხოვა და ეს გადაწყვეტილება თეთრმა სახლმა მიიღო. აი, ეს გზავნილი იყო ჩადებული მთელ ამ ამბავში. აბსოლუტურად გამოვრიცხავ ხელისუფლების დამხობას, მაგრამ არ გამოვრიცხავ, არეულობას, რადგან აქეთკენ არის ორიენტირებული „ნაციონალური მოძრაობა“. არეულობის მიზეზი გახდება არჩევნების შედეგები, როგორც გითხარით, „აირ-აისა“ და „ენდიაის“ კვლევები ემსახურება აზრის ფორმირებას და დასავლეთში ნიადაგის მომზადებას. თუ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებზე ვერ მიიღებს სასურველ შედეგს, ისინი აუცილებლად ატეხენ ყვირილს, არიქა, არჩევნები გაგვიყალბესო. „ნაცმოძრაობის“ ჩართვა ინტერპარტიულ ჯგუფში აქედან გამომდინარეობს. „ნაცმოძრაობას“ სჭირდება, რომ სხვა პარტიებიც მისი მხარდამჭერები იყვნენ სამომავლო აქციაში. ინტერპარტიულ ჯგუფს აქვს კონკრეტული ამოცანა საარჩევნო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებით. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ ამაში იმიტომ ჩაერთო, რომ ამ პარტიებთან იყოს ახლოს, და ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი აიყოლიოს. იმ ტექნოლოგიით და იმ ტემპით, როგორც მუშაობს „ქართული ოცნება“, სამწუხაროდ, შესაძლოა, „ნაცმოძრაობას“ ამის შესაძლებლობა მიეცეს. გუშინ ჩამოვფრინდი ვენიდან კიევის გავლით და უამრავი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი თუ პოლიტიკოსი შემხვდა, რომელიც „ნაცმოძრაობასთან“ არის ასოცირებული. მათ „თბილისი-კიევის“ რეისი ტრამვაივით აქვთ, ზოგმა მითხრა, რომ ოდესაში იყო. პრინციპში, ეს არის ინსტრუქტაჟი, მუშაობა.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩემოდნებზე ზის და შესაძლოა, ოდესის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსის პოსტზე ის მისმა დაუძინებელმა მტერმა რაბინოვიჩმა ჩაანაცვლოს. ხელმოცარული სააკაშვილი უფრო აგრესიული ხომ არ გახდება საქართველოში დაბრუნებისთვის ბრძოლაში?**

– ჯერ არავინ იცის, დატოვებს თუ არა სააკაშვილი პოსტს. ზოგიერთმა მედიასაშუალებამ სიხარულით აიტაცა ინფორმაცია, არიქა, ადეიშვილი კიევიდან გაიქცაო. არსადაც არ გაქცეულა, ის ვენაში სამკურნალოდ წავიდა. საყვარელიძის პროკურატურობიდან გადაყენება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილი უკრაინაში დამარცხდა. მან ოდესაში დაიწყო მნიშვნელოვანი აქცია ძეგლების დანგრევასთან დაკავშირებით და მას როგორც სჩვევია, ერთმანეთს დააპირისპირა საზოგადოების ორი ნაწილი. ამით საზოგადოების ყურადღება მან სხვა თემაზე გადაიტანა. ამ კაცმა იცის პიარტექნოლოგიები, რასაც ვერ დაუკარგავ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ერთი საინტერესო ინფორმაცია გავაჟღერო. შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართველებით დაკომპლექტებული, რომლებიც უკრაინის საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობენ. არამარტო საქართველოში, უკრაინაშიც შექმნეს „ნაციონალებმა“ არასამთავრობო ორგანიზაციები. მოკლედ მინდა ვთქვა, რომ „ნაცმოძრაობა“ არის რეჟიმში და ისინი ორგანიზებულად ემზადებიან. მათ მუდმივ მობილიზაციის რეჟიმში ჰყავს მხარდამჭერები, მინდა ეს ყველაფერი ხელისუფლებამ კარგად გაიაზროს.

**— ხელისუფლების კულუარებში აქვთ განცდა, რომ ისინი კარგავენ ძალაუფლებას, ყველას აინტერესებს, რას ფიქრობს ბიძინა ივანიშვილი...**

ის წარდგენის შეთავაზების პროცესში. როგორც ვხედავ, კვირიკაშვილს პაუზა აქვს აღებული და ელოდება, როდის მივა კონდიციამდე და რა იქნება დუღილის ზღვარი. რომ მივიდეს იმ მაგიდასთან, სადაც იქნება სიები, საიდანაც მოხდება სელექცია. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, შემიძლია გითხრათ, ძალიან ბობოლა და მაღალი თანამდებობის პირებსაც კი, რომლებიც აქამდე დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი ადგილი იყო სიაში, ივანიშვილმა უთხრა, კარგი იქნება, თუ მაჟორიტარად იყრით კენჭსო. ამით მიანიშნა ივანიშვილმა, რომ მზის ქვეშ დაბევებული ადგილი არავის არ აქვს, ორი-სამი კაცის გარდა და ყველამ უნდა იბრძოლოს საბოლოო წარმატებისთვის. ის, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელი აქვს ჩაქნეული, არავინ დაიჯეროს.

**— „ქართული ოცნება“ აპირებს, არჩევნებამდე ორმოცი დღით ადრე წარუდგინოს საზოგადოებას საარჩევნო სია, ძალიან მოკლე მანძილიდან იწყებენ სიის პრეზენტაციას. რატომ?**

– თუ 2012 წლის არჩევნების გამოცდილებას გავიზიარებთ, მაშინ სიის კეთება ივლისის ბოლოს დაიწყო. მაშინ ცაიტნოტი იყო და ამიტომაც იყო სია ასეთი ეკლექტური. ყველა ხელმძღვანელს აქვს სიის თავისი პაკეტი და საბოლოო ჯამში რა სახეს მიიღებს, არავინ იცის.

## Facebook ამბები



ლევან ლორთქიფანიძე 23 აპრილს „ფეისბუქზე“ წერს:

ცოტა ხნის წინ დავტოვეთ კანცელარია, შედგა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან. განვიხილეთ რამდენიმე საკითხი:

- ყველანი ვთანხმდებით, რომ ფაკულტეტის საბჭოსა და სენატში სტუდენტი წევრების არჩევა უნდა მოხდეს პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე; სენატის წევრი სტუდენტები არ უნდა იყვნენ საფაკულტეტო საბჭოს წევრები; რექტორის მ.შ.-ს არ უნდა ჰქონდეს რექტორის არჩევნებში მონაწილეობის უფლება; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა უნდა გაიზარდოს; რექტორი ან პირდაპირ უნდა ავირჩიოთ, ან მრავალრიცხოვანი და პლურალისტური, დემოკრატიულად დაკომპლექტებული აკადემიური საბჭოს საშუალებით.

უახლოვეს მომავალში, სხვებთან განხილვის შემდეგ სამინისტრო ამ საკითხებთან დაკავშირებულ კანონის პროექტს დაჩქარებული წესით შეიტანს პარლამენტში.

- ჩვენ მკაცრად გავაკრიტიკეთ განათლების სამინისტრო კომკავშირის, სტუდკავშირის სამართალმემკვიდრე სტრუქტურის შექმნის/შენარჩუნების მცდელობის გამო. კიდევ ერთხელ ვთქვით, რომ სტუდენტებმა წარმომადგენლობით ორგანოებში (ფაკულტეტის საბჭო, სენატი) პირდაპირი წესით უნდა აირჩიონ თავისი დელეგატები. არჩეული პირების ერთადერთი ფუნქცია უნდა იყოს ამ სტრუქტურებში მუშაობა. ისინი თანხას ერთპიროვნულად არ უნდა განკარგავდნენ. სტუდენტური ხარჯები თავისუფალი, თანასწორი, კონკურენტული საგრანტო კონკურსების საფუძველზე უნდა გადანაწილდეს სტუდენტურ ინიციატივებს შორის. პრინციპების დონეზე ამ მიმართულებითაც თანხმობა მიღებულია. მთავრობამ ითხოვა ერთი თვე, რომ თვითმმართველობის ყველასთვის მისაღები მოდელი საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს. ვადაგასულ სტრუქტურებს პრივილეგიები ახალი რედაქციის მიღებამდე ჩამოერთმევათ, არც ახალი რედაქციის მიხედვით ექნება ვინმეს სხვების დაჩაგვრის უფლება. მოკლედ, მთავრობას ერთი თვე სჭირდება ჩვენი მოდელის დასახვეწად და ასამოქმედებლად.

- ვისაუბრეთ სწავლების ხარისხის, მეცნიერების დაფინანსების, საპროფესორო კონკურსების ახალი წესების დამკვიდრების, სტუდენტთა შრომითი უფლებების დაცვის აუცილებლობის საკითხებზე. მივიღეთ პირობა იმის შესახებ, რომ შეიქმნება განათლების სტრატეგიულ მიზნებზე მომუშავე პლატფორმა. პლატფორმის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება ექნება ყველა დაინტერესებულ ჯგუფს. პლატფორმა შეიმუშავებს გეგმებს სწავლების, კვლევის ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე.

- გაუგებარია პრემიერის დამოკიდებულება უშიშროების სამსახურებთან მიმართებით. ის მათ გულმოდგინედ იცავს. არც ჩვენ ვამბობთ, რომ ქვეყანაში უსაფრთხოების მექანიზმები არ უნდა არსებობდეს. უბრალოდ არ გვესმის, რატომ ერევიან ისინი შიდა საქმეებში, დემოკრატიულ პროცესში ... აისისი-სგან და რუსეთისგან და სხვა უბედურებებისგან დაგვიცავით, მაგრამ პროტესტის მონაწილეებს ნუ გვაშანტაჟებთ. ჩვენ მკაცრად მოვითხოვეთ ჩვენი მეგობრების და მათი ოჯახის წევრების პროვოკაციებისგან დაცვა. იმედია, ჩვენი მოთხოვნა რეაგირების გარეშე არ დარჩება.

- ვისაუბრეთ პარტიის ახალგაზრდულ ფრთაზე, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ გამართულ კონტრაქციას აძლიერებდა. ამ თემის გარკვევის პირობაც მიღებულია.

მოკლედ, ჩვენ მოლაპარაკების გზა ვცადეთ. მგონი, წარმატება ახლოსაა, თან ისეთი წარმატება, რომელიც აუდიტორია 115-სთვის კი არა, ყველასთვის, თანასწორობისა და თავისუფლებისთვის იქნება სასარგებლო. ვნახოთ რა გამოვა, თუ არ გამოვა, მერე არ დაგვაბრალოთ, რომ ვინმე გვმართავს. თუ მოგვატყუებთ, ჩვენ კვლავ გავაპროტესტებთ.

დიდი მადლობა ყველას ... კანცელარია შიგნიდან სხვანაირი ყოფილა, პრემიერი კარგი მოსაუბრე და შესანიშნავი მსმენელია, ოღონდ თუ გაგვაწბილებს - ვიტოვებთ საერთო სტუდენტური გაფიცვის ხელახლა ორგანიზების უფლებას :)))))

ღმერთი არს ჩვენთან, ვიწყებთ ....



დათო გოგიშვილი კონგრესმენის განცხადებაზე :

ზოგიერთი ,,ექსპერტისა,, და პოლიტიკოსის საყურადღებოდ!!! ამერიკელი კონგრესმენის სტივ რასელის დღევანდელი გამოსვლა მიმართული იყო არა იმდენად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ??? არამედ იყო პირდაპირი წაქეზება და მოწოდება ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობისაკენ საქართველოში. აღნიშნული გამოსვლა მიმართული იყო იმ პოლიტიკური ძალების მისამართით, რომლებსაც ოქტომბერში არჩევნების არასასურველი შედეგის შემთხვევაში ჰაერივით აწყობს ვითარების დესტაბილიზაცია. საამისოდ საქართველოში ძალიან მალე უზარმაზარი ფული შემოვა. და კიდევ ერთი: ძვირფასო დეპუტატებო!! როდესაც აშშ-ს კონგრესმენის განცხადებაზე ამბობთ, რომ მის განცხადებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, უბრალოდ ან როგორც დეპუტატები და პარლამენტის წევრები ხართ ძალიან დიდი არაპროფესიონალები, როგორც კანონშემოქმედები, ან კიდევ პოლიტიკური უსუსურობის შენიღბვის სირაქლემასეული პოზიცია გიჭირავთ,რაც პერსპექტივაში დამღუპველია ქვეყნისათვის. აშშ-ს კონგრესმენმა ძალიან კარგად იცის, რომ მილიარდერისათვის თავისი შემოსავლების წარმომავლობის კანონიერების დადგენის საკითხი და შემდეგ ანგარიშების გაყინვის პროცედურა არის დროში გაწელილი ურთულესი სამართლებრივი პროცესი. ასე, რომ სტივ რასელის განცხადება მიზნად ისახავდა ერთის მხრივ ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟებას, ხოლო მეორეს მხრივ აშშ-ს მოკავშირე პოლიტიკური ძალებისათვის არჩევნებზე მათთვის არასასურველი შედეგის დადგომის შემთხვევაში მოწოდებას ამბოხებისა და ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისაკენ.

მალხაზ კოხრეიძე: - ბლეფია და ივანიშვილის წისქვილზე ასხამს წყალს.წინასაარჩევნოდ გულშემატკივრებს უმრავლებს. გაიხსენეთ "ქართუ" ბანკის "გაპარტახების" ამბავი და ლარით ხელში ბანკის წინ დამდგარი კლიენტ-ამომრჩევლები. ახლა ამერიკა ებრძვის ივანიშვილის კეთილდღეობას და თავგანწირვას თურმე. ეს ინფორმაცია "ნაციონალების" და "ოცნების" პოლიტიკური პინკპონკის შედეგია. იქნება "ოცნება", იქნებიან "ნაციონალები" ან პირიქით.

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



პარტია „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია აცხადებს: „ხელისუფლებამ ისეთი რამე ქნა, მიშას რომ არ უქნია. 23 აპრილს, 15:00 საათზე, პარლამენტში, დაიწყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა, რომელიც, როგორც წესი, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ერთ-ერთი საკითხი იყო „ქართული დასის“ საკანონმდებლო ინიციატივა, „საპენსიო რეფორმა“. მომხსენებელი, რა თქმა უნდა მე ვიყავი... ზუსტად 16:00 საათზე დასრულდა პირველი საკითხი და როცა მე მივედი ტრიბუნასთან, პირდაპირი ტრანსლაცია გაწყდა და დაიწყეს გადაცემა, რომელიც 17:00 საათზე უნდა გასულიყო. ეს რატომ მოხდა ასე-თქო, რომ ვიკითხე, მიპასუხეს, — უბრალოდ, დაემთხვაო. ორი კვირის წინაც იგივე მოხდა, ჩვენ, საზოგადოებას, და ხელისუფლებას ვთავაზობთ პენსიის გაანგარიშების სამართლიან ფორმულას. თვითონ რეფორმა არის რამდენიმესაფეხურიანი. ჩვენი საკანონმდებლო წინადადების თანახმად – პენსია უდრის საარსებო მინიმუმს, დამატებული სამუშაო სტაჟი – გამრავლებული 2 ლარზე, დამატებული ხელფასის ოდენობის განაკვეთიდან დაანგარიშებული კომპონენტი და დამატებული დამსახურების პროცენტები – მაგალითად, თუ არის დამსახურებული პედაგოგი, მეომარი ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, ან რამე მსგავსი.

ექსპერტების გაანგარიშებით, რეალური საარსებო მინიმუმი 215 ლარია. ამ კანონპროექტის მიხედვით, 215-ლარიან პენსიას მიიღებს ის ადამიანი, რომელსაც თავის ცხოვრებაში არ უმუშავია. დანარჩენი კი მიიღებენ ამ საარსებო მინიმუმს დამატებული მისი სამუშაო სტაჟი გამრავლებული 2 ლარზე. პირობითად – თუ თქვენ გაქვთ 25-წლიანი სამუშაო სტაჟი, თქვენი პენსია იქნება, საარსებო მინიმუმს (215 ლარი) დამატებული სამუშაო სტაჟი გამრავლებული 2 ლარზე, ანუ ამ შემთხვევაში 25 გამრავლებული 2-ზე, ანუ 265 ლარს. ეს ბევრი არ არის, მაგრამ ეს არის მინიმუმი, რითაც აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ პენსიონრები. ეს იქნება საშუალო პენსია, რაც არ არის ცუდი ვარიანტი. შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს ხელფასისა და დამსახურებების გავლენას პენსიაზე, მაგრამ ეს უკვე შემდეგი ეტაპის საქმეა. ასევე, საკანონმდებლო წინადადებაში გათვალისწინებულია ინფლაციის საკითხი. ანუ, თუ მსგავსი რამ ხდება ქვეყანაში, უნდა გაიზარდოს საარსებო მინიმუმიც და შესაბამისად, მინიმალური პენსიაც. აი, ესაა ჩვენი კანონპროექტის ძირითადი სულისკვეთება.

საპარლამენტო კომიტეტებში არიან ადამიანები, რომლებიც საკმაოდ კონსტრუქციულად არიან განწყობილები ამ კანონპროექტის მიმართ, მაგრამ არის ძალიან ბევრი ისეთი, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ, რომ არ შეიძლება, პარლამენტარს ჰქონდეს პენსიონერზე 25-ჯერ მეტი ხელფასი. მაძღარი პარლამენტარი, თავისთავად, ფილოსოფოსობის ხასიათზე დგება. კალკულაცია გაკეთებულია და წლიურად საპენსიო თანხა შედგენს 466 მილიონს. როცა დეპუტატებმა გვკითხეს, საიდან უნდა გამოძებნილიყო ეს თანხები, მე იქვე მივუთითე, რომ დაფინანსების წყარო უნდა გახდეს მათი კომფორტული ცხოვრების მამოძრავებელი ხარჯების შემცირება. მე წარვადგინე ხარჯთაღრიცხვაც, სადაც ნაჩვენებია, რომ ხელისუფლებამ მათი პრემიების ბაზა გაზარდა 220 მილიონით, ერთი ამდენია სასაქონლო მომსახურება – მანქანები და კომპიუტერები, რესტორნებში ქეიფი ბიუჯეტის ხარჯზე და ა.შ. მე ვამბობ, შეიზღუდოს დეპუტატების ღვინო, დუდუკი და დროსტარება ბიუჯეტის ხარჯზე და ამ თანხებით დაფინანსდეს ხალხის საპენსიო ფონდი. ეს, რა თქმა უნდა, უჭირთ და ხმამაღლა მეკამათებოდნენ კიდეც, რომ არ რცხვენიათ, მაღალი ხელფასები რომ აქვთ. მათ ამ შინაარსის დებატები, ასე, სახალხოდ არ აწყობდათ, მართალია, არ ჰყოფნით ნამუსი, მაგრამ ჭკუა ეყოთ, რომ ეს ყველაფერი ხალხისთვის არ ეჩვენებინათ, რომ ისედაც განრისხებული ხალხი არ გაეღიზიანებინათ და ჯოხებით არ შევარდნოდნენ პარლამენტში. ამიტომაც ჩემს გამოსვლაზე, შეწყვიტეს ტრანსლაცია და დაიწყო ის გადაცემა, რომელიც უნდა დაწყებულიყო ერთი საათის შემდეგ. ასეთი რამ მიშასაც კი არ უქნია. მეორე არხზე მაინც თავისუფლად ვშუქდებოდით.

ხელისუფლება, ნაცვლად საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებისა, იყენებს სააკაშვილის მეთოდს და დაკავებულია, ვითომოპოზიციური პარტიების შექმნით, რომელთა მთავარი სამუშაოც იქნება ოპოზიციის ოპოზიციონერობა. არ მინდა, ჩავერიო „ნაციონალების“ და ყოფილი „ნაციონალები“ კინკლაობაში, ხელს არ შევუშლი მათ ერთმანეთის დაჭმაში.

# „შეიზღუდოს დეპუტატების ღვინო, დუდუკი და დროსტარება ბიუჯეტის ხარჯზე და ამ თანხებით დაფინანსდეს ხალხის საპენსიო ფონდი!“

## რა „გაუჩალიჩეს“ დეპუტატებმა ჯონდი ბაღათურიას



„წლიურად საპენსიო თანხა შეადგენს 466 მილიონს. როცა დეპუტატებმა გვკითხეს, საიდან უნდა გამოძებნილიყო ეს თანხები, იქვე მივუთითე, რომ დაფინანსების წყარო უნდა გახდეს მათი კომფორტული ცხოვრების ხარჯების შემცირება“



მაინცდამაინც მაშინ, მე რომ ვიყავი მომხსენებელი და წამლის ფასების სიძვირეს რომ განვიხილავდით-თქო — მაშინ, გამოდის მეორედ დაემთხვა ესე იგიო. რა ჰქვია ახლა ამ საქციელს?“ რას გულისხმობს პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადების „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები?

„ალია“ პარტია „ქართული დასის“ ლიდერს, ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა:

– საქართველოს ისტორიაში, ბოლო 26 წლის განმავლობაში, პირველი შემთხვევაა, როცა პოლიტიკურმა პარტიამ შექმნა რეალური და სამართლიანი საპენსიო რეფორმის პროექტი. დღემდე პენსიებზე საუბარი შემოიფარგლებოდა, მხოლოდ და მხოლოდ წინასაარჩევნო სპეკულაციით, მარტო მაშინ ახსენდებათ, რომ გვყავს პენსიონრები.

[illegible]!

ვუყურებ, რამდენად გამოიყენებს ივანიშვილი „გირჩებს“. მართალია, პალიკო კუბლაშვილი გამოცდილი იურისტი და გაქნილი პოლიტიკოსია, მაგრამ მის უკან „ნაციონალური“ წარსულია და მეექვება, მათ დიდი მომავალი ჰქონდეთ. თითქმის ასეთი პიროვნებები არიან ამ გაერთიანებაში. ყველა შემთხვევაში, მივმართავ, ვისაც გული შესტკივა ქვეყანაზე. მოდით, ნუ ჩავერევით „ნაციონალების“ და ყოფილი „ნაციონალების“ ერთმანეთის დაჭმაში. ვაცადოთ. ისინი სხვადასხვა ორგანიზაციების მეშვეობით ამზადებენ პოლიტიკურ ნიადაგს არჩევნების გასაყალბებლად, მაგრამ არაფერი არ გამოუვათ. ვერანაირი „ენდიაი“ და „აირაი“ ვერ გადაიფარავს იმას, რაც მათ წლების განმავლობაში ამ ქვეყანას და ხალხს გაუკეთეს.

Facebook ამბები



ხათუნა ხოფერია აირაის კვლევის შედეგებზე:

შეკითხვაზე ვინ მოაგვარებდა პრობლემებს- გამოკითხულთა 15% თვლის, რომ "ნაციონალური მოძრაობა", 13 % - "ქართული ოცნება", 5% -"თავისუალი დემოკრატები".

დარწმუნებული ვარ, გამოსაკითხთა სია მეგისამ დაწერა. ხოლო გამოკითხვას "კასტილებიანი" ატარებდა...

ბევრი ვიცინე.......

დავით ნიჟურაძე: -გადარეულა პიკასო, რა დავუშავე ნიკასო



თამაზ ჭეიშვილი:

უმწვავესი დიალოგი პარლამენტის კულუარებში:

- შეიტენეთ ეგ თქვენი პროექტი,,ერთ ადგილას,,!

- არ შემიძლია, არ მოთავსდება!,,ერთი ადგილი,, უკვე სავსეა, კონსტიტუციის მუხლით, სხვადასხვა კანონებით და ნათელი მომავლით!

**ეს წერილი პარასკევს გაზეთ „ალიაში“ დაიბეჭდა და მისი სკანდალურობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, „ყოველკვირეული ალია“ უცვლელად გთავაზობთ.**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# ბატონო პრემიერო, არ შეგრცხვათ...?!



„ცხოვრება მაშინ დასრულდება, როდესაც ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე გავჩუმდებით!“ 1963 წლის 28 აგვისტოს მარტინ ლუთერ კინგის გამოსვლამ ამერიკის ისტორია შეცვალა. 2016 წლის 21 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, შავკანიანთა უფლებების დამცველის, მარტინ ლუთერ კინგის ეს სიტყვები ევროსაბჭოში გამოსვლისას გაიმეორა, მაგრამ რა შეცვლა „ოცნებამ“ ხალხისთვის?!

თუკი მარტინ ლუთერ კინგის სიტყვები ასე მნიშვნელოვანია კვირკაშვილისთვის და ამ ლეგენდარული ადამიანის ციტატებით თავს იწონებს ევროპის საბჭოში, პრემიერს იმასაც პოლიტიკური ჯოჯოების, სადისტების და სექტის მძევალი გახდით, როცა უსიტყვოდ გადმოიბარეთ ჯოჯოხეთის მანქანა და სისტემაში ჩატოვეთ მეხუთე კოლონა, რომელიც რას მოგიწყობთ კიდევ არჩევნებამდე, არავინ იცის და ღირსებიც იქნებით. უსიტყვოდ შეეგუეთ სასამართლო სისტემის „უგვირგვინო მეფე“ გამხდარიყო გირგვლიანის მკვლელების მფარველი, სასიკვდილოდ გამეტებული სულხან მოლაშვილის საქმის ფალსიფიკატორი ლევან მურუსიძე... რა ბანძი სასამართლოც გვაქვს, მაგაზე სწორედ მაგ ევროსაბჭომ, არაერთხელ ჩაწერა თავის რეზოლუციებში და არ გრცხვენიათ, სასამართლოს რეფორმაზე და წარმატებეზე რომ ლაპარაკობთ?! მონა სხვების თავისუფლებისთვის ვერ იბრძოლებს, როცა მონა თვითონ არის გამოსახსნელი. ჰოდა, როცა „ოცნების“ ხელისუფლებას „ერთი კაცის“ მონის სტატუსი აქვს, აბა, კაცის კაცი რა კაცია და თქვენ ჩვენი თავისუფლებისთვის როგორ იბრძოლებთ?! ბატონო პრემიერო იცით რომ ეს სიტყვებიც – „არასოდეს, არასოდეს შეგეშინდეთ აკეთოთ ის, რაც ცვლით, ესაა უბედურება... მოკლედ, რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებაა, იყოს ადამიანი და თქვენ იგი ცხოველად აქციეთ, ნაგავში საქექად გაიმეტეთ და ყველაზე მთავარი – სააკაშვილის რეჟიმგამოვლილ, ღირსებააყრილ ხალხს, საბოლოოდ მოუკალით იმედი, რომ მათი ღირსება ოდესმე აღდგება, თქვენ მთელი 4 წელი მარტო საკუთარი ოცნებების ასრულება გადარდებდათ და 8 ოქტომბრამდეც მხოლოდ ეს იქნება თქვენი სადარდებელი.

ბატონო პრემიერო, არ შეგრცხვათ, როცა განაცხადეთ, რომ „სასამართლო პროცესის გამჭვირვალობა აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი თანაბარი პირობების შექმნისთვის“? რომელ სასამართლოს გულისხმობთ, რომლის რეფორმაც ჩავარდა და ივანიშვილმა გირგვლიანის საქმის მოსამართლე მურუსიძეს ჩაუსვა ჯიბეში?! მურუსიძე, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა რეჟიმის მსხვერპლად გამოგვიცხადა, არადა ამ კაცის მსხვერპლი იყო ლამის ნახევარი საქართველო. მოღალატეებს სჯიან, მე ასე ვიცოდი და კიდევ, არასოდეს არ უნდა ენდო ჩემი გაზეთის მკითხველის საფულეს ობი აქვს გაჩენილი და ბოლო კაპიკს ხარჯავს, იყიდოს „ალია“ და დარწმუნდეს, რომ ის ჯანმრთელია, არაფერი მოლანდებია და უბრალოდ, მას ხელისუფლება „აბოლებს“... ბიუჯეტის, ანუ ხალხის ფულს დებთ ინვესტიციებად და ხალხი იღებს სამი თითის კომბინაციას... ბატონო პრემიერო, როცა თქვენი ქვეშევრდომები, მაგალითად, მრჩევლები თუ თანაშემწეები ათასობით ლარს იღებენ, სხვებზე რომ აღაფერი ვთქვა, მათთვის, რა თქმა უნდა, ბელეტრისტიკაა, რასაც ვწერ და რა პრობლემებსაც ხაზს ვუსვამ, მაგრამ ადამიანებისთვის თქვენი საუბარი, უბრალოდ, ის ტყუილია, რომელმაც მოკლე ფეხებიც დაკარგა...

ვინც თქვენ მოგისმინათ, რომ არ სცოდნოდა ვინ იყავით, მინიმუმ, იფიქრებდა აყვავებული ქვეყნების – ნორვეგიის, შვედეთის ან ფინეთის შესახებ საუბრობდით, ისე ვარდისფრათ დახატეთ ყველაფერი. დიახ, ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ქვეყანაში, როცა პატიმრებზე ძალადობენ, მაგრამ პოლიცია დეპოლიტიზებული როგორ არის, როცა შევახსენებთ, რა იყო ლუთერ კინგის ოცნება: „ჩემი ოცნებაა – ხალხის ნებამ საწადელს მიაღწიოს!“ და როცა ასეთი ადამიანის ფრაზებს ახმოვანებ, მინიმუმ უნდა გესმოდეს შენი ხალხის გასაჭირის. ქართული „ოცნების“ ხელისუფლებისთვის, რომელიც „ზემოდან“ გადმოყუდებული გვესაუბრება, აბსოლუტურად გაუგებარია, რა არის შიმშილი, უკიდურესი გაჭირვება, უწამლობა, სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში იმედგაცრუება, უმუშევრობა... ეს არის სახელმწიფოს ტრაგედია, „ოცნების“ ხელისუფლებას კი ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია და მხოლოდ „საგარეო მოხმარების“ პოლიტიკაზეა დაქოქილი.

ევროპის საბჭოში გამოსვლისას, კვირიკაშვილმა ბრძანა: „ჩვენ გვსურს, რომ საქართველო გახდეს უკეთესი ადგილი მოქალაქეებისთვის ცხოვრების თვალსაზრისით და ეს არ იყოს მოჩვენებითი... „ჩვენი სიცოცხლე მაშინ მთავრდება, როდესაც გავჩუმდებით მნიშვნელოვან საკითხებზე“, – ბრძანა მარტინ ლუთერ კინგმა. ჩვენ ეს პუნქტი უნდა გავიზიაროთ და არ გავჩუმდეთ უსამართლობის წინაშე. საქართველოს ესაჭიროება სამართლის რწმენა – ეს გახლავთ დემოკრატიული კონსოლიდაციის არსი“...

ბატონო პრემიერო, მმართველი გუნდის სიცოცხლე მაშინ დასრულდა, როცა თქვენ გაჩუმდით უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როცა სისხლიან რეჟიმთან შეხვედით კოჰაბიტაციაში და ამ სამართლიანი და სწორია. საზოგადოებრივი სასჯელი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენს სულს ელის იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზას ავირჩევთ“ – მარტინ ლუთერ კინგს ეკუთვნის? და თუკი მისი ფრაზები აღგაფრთოვანებთ, ესეც გაითვალისწინეთ პრაქტიკაში და მოსახლეობას დაანახეთ რომ მართლაც რაღაცას აკეთებთ!

ახლა, კი ის ვთქვათ, რით მოიწონა თავი ევროსაბჭოში პრემიერმა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, იყო დიდი სიყალბე. „საქართველოში უზენაესი ადამიანის უფლებების დაცვაა“... კარგი დევიზია, მაგრამ თავადაც ხომ იცით, რეალურად რაც ხდება? ადამიანის უფლებაა, უკანონოდ წართმეული ქონება დაიბრუნოს და არ უბრუნებთ; ხალხს აქვს მუშაობის და ოჯახისს რჩენის უფლება, მაგრამ არაფერს აკეთებთ, რომ დასაქმდნენ და ხალხი შიმშილობს... არა, იმას არავინ გეუბნებათ, სამუშაო ადგილები თავად შექმენითო, ეს არ არის თქვენი საქმე, მაგრამ შეამცირეთ გადასახადები, მიეცით ბიზნესს განვითარების საშუალება და ისინი დაასაქმებენ ხალხს. კაპიკ-კაპიკ ითვლით, ბიუჯეტს ამით ამდენი მოკლდებაო და ამ დროს, ლამის ორ იმდენს იჯიბავს თქვენი „ოცნების“ ხელისუფლება ხელფას-დანამატებად, იხარჯება ფუფუნებაში, კომფორტში, ჯიპებში, ბანკეტებში და ათას მარაზმულ რამეში. ახალს ვწერ რამეს? არაფერს, მაგრამ ეს რომ თქვენი ხელისუფლების ტვინებში არ დაილექა და არაფერს მას, ვინც ერთხელ მაინც უღალატებს ხალხის ინტერესებს. რატომ ენდო ივანიშვილი მურუსიძეს? იქნებ მართალია, ზაზა ხატიაშვილი, ივანიშვილს მურუსიძე წაგებული არჩევნების „გასაპრავებლად“ სჭირდებაო და თუ მართლაც ასე მოხდა, „ნაციონალების“ ბედი სანატრებელი გაგიხდებათ „ოცნების“ შეფობას...

ბატონო პრემიერო, საქართველოს მთავრობის ამოცანა დაასახელეთ და განაცხადეთ: „ჩვენი დღის წესრიგი ყოვლისმომცველია... ბიზნესის შემდგომი ლიბერალიზაციისთვის ადამიანთა ხელშეწყობა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს შეუსაბამობა. ღია მმართველობის გაძლიერება, როდესაც ოპოზიციას, ცალკეულ ინდივიდებს ეთქმით სიტყვა და ხდება მათი აზრის განხორციელება. ჩვენ ვახდენთ ინვესტიციებს, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალი“... 2012 წლიდან ეს ტექსტი გვესმის, იმ განსხვავებით, რომ მას სხვადასხვა გამხმოვანებელი ჰყავს, – „ოცნების“ პირველი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი, „ოცნების“ მეორე პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი და ახლა თქვენ. ინვესტიციები, სამუშაო ადგილები... ბლა... ბლა... ბლა... სად არის საქმე? რა ხეირი ნახა მოსახლეობამ ამ ინვესტიციებით, მათ ჯიბეებს და მაცივრებს დაეტყო რამე? მოდით, გავხსნათ საფულე და ჩავიხედოთ, ამ საოცნებო ხელისუფლების პირობებში ვის რამდენი გვაქვს? აღმოჩნდება, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი თარხან გასვიანი სულ რამდენიმე დღის წინ პოლიციის განყოფილებაში უფროსის მოადგილემ ისე სცემა, რომ თავ-პირი გაუერთიანა და თანაც მიაძახა, მიშას დრო რომ იყოს „აზოიმას“ დაგაცლიდიო... ახლა, ჩვენ რა ვქნათ სამი მაიმუნის პოზაში ჩავიცუცქოთ და ვიძახოთ, რომ არაფერი გვესმის, ვერაფერს ვხედავთ და არაფერს ვიტყვით?! აბა, სად არის დეპოლიტიზებული პოლიცია, მმართველობიდან ოთხი წლის თავზე პოლიცია პოლიტიკური ნიშნით სცემს ხალხს და ნანობს, რომ მოკლვლა არ შეუძლია... სირცხვილი! სირცხვილია, როცა ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი, წამების კადრების ავტორები კვლავ სისტემაში არიან, როცა სისტემის უშუალო კურატორს ვაჟა ლელუაშვილს იჭერ და მერე უშვებ, იმ შიშით, რომ რომელიმე დეპუტატს თუ მინისტრს პორნოვიდეო არ აუტვირთოს, შანტაჟისტებს, სადისტებს, მკვლელებს ენის მოჩლექით ელაპარაკები და სანამ სახეში არ გირტყეს საკუთარი თანაგუნდელების პორნოვიდეოები, მანამ ეს კაცი მეორედ არ დააკავეთ, ხალხი კი დამშეულია და სანახაობად მხოლოდ თქვენი ხელისუფლების ყოფილი თუ მოქმედი წევრების ბინძური სექსვიდეოებიღა დარჩა.

გიორგი კვირიკაშვილის გადასახედიდან, ჩვენ მივდივართ წინ! რა თქმა უნდა, 2012 წლის არჩევნების შემდეგ სულ წინ მიდიხართ, არაფერს იკლებთ, ხალხი კი „აფსაიტშია“...

## Facebook ამბები



**ნანუკა ჟორჟოლიანი** გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნის შესახებ წერს:

მესამე წელია ციხეში ზის. საკუთარი სურვილით. ქონდა შანსი წასულიყო ქვეყნიდან, მაგრამ გაქცევას ეს გზა არჩია. იცოდა რთული გზა იყო, ურთმელიძეების პირობებში ვერაფერს დაამტკიცებდა, მაგრამ დარჩა. ფიქრობს, რომ შეცდომები დაუშვა, მაგრამ ამ ქალაქისთვის ბევრიც გააკეთა. იყო თუ არა მისი ვალდებულება ეს? იყო ბუნებრივია. ისევე, როგორც დღეს არის ნარმანიას ვალდებულება იგივე გააკეთოს, მაგრამ არ აკეთებს.

ამ ყველაფერზე რომ ვფიქრობ მხოლოდ თქვენ მახსენდებით ბატონო პრეზიდენტო. თქვენ იმიტომ, რომ პატივს გცემთ. ვიცი ახლა შემომივარდებიან ამ პოსტზე და დამიწერენ, რისთვის დაიმსახურა შენი პატივისცემაო, მაგრამ ჩემთვის ამ ბნელ უმრავლესობაში თქვენ ხართ ერთ-ერთი ნათელი წერტილი. სულ რომ ფილოსოფიურად შევხედოთ ამ ყველაფერს, კითხვები უპასუხოდ მრჩება. ამდენი ხანი ის ციხეში უნდა იჯდეს და თქვენივე ხელისუფლება იწყალებდეს, ჯაშუშებს, მკვლელებს, ნარკოტიკების რეალიზატორებს?! თუ ის იმსახურებს სასჯელს, რატომ არ სჯით იგივე ქმედებებისთვის მოქმედ მერს, გამგებლებს, მინისტრებს. თქვენგან როგორც პრეზიდენტისგან მაინტერესებს პასუხი კითხვაზე, როცა ჯანყარაშვილები და თამაზაშვილები არ ისჯებიან და ის საკანში ზის, არის თუ არა ეს ორმაგი სტანარტი.

ფილოსოფების უცნაური ხალხი ხართ. ალბათ ესეც დაეხმარა ჩემს მეგობარს, ციხეში პოზიტივი ეპოვნა და სათავისოდ გამოეყენებინა 4 კედელი. რომ არა ფილოსოფია საკუთარ შეცდომებზე ასე ვერ დაფიქრდებოდა. თქვენ როგორც ფილოსოფოსს ეს არ გაგიკვირდებათ:)

სულ რომ ფილოსოფიურად მივუდგეთ ამ ყველაფერს, ალბათ მის ადგილას ყოფნა ჯობია. იმიტომ რომ ჯობია გააფუჭო, მაგრამ გააკეთო კიდეც შენივე ქვეყნისთვის, ვიდრე არც გააფუჭო და არც გააკეთო.

მე მეჩქარება თორემ ისტორიაც ამას იტყვის ბატონო პრეზიდენტო:)

**მანანა მანჯგალაძე:** -ოი, როგორ მენატრება...

**თამუნა მანიჟაშვილი:** -ნანუკა იმედია პრეზიდენტი წაიკითხავს ამ უმაგრეს პოსტს! ოთხ კედელში გამომწყვდეული ეს ადამიანი გაცილებით ფასეულია ქვეყნისთვის, ვიდრე თავისუფლად "მოფარფატე უმაქნისები"...



**ნიკა გვარამია** ამერიკელი კონგრესმენის კრიტიკას ივანიშვილის მიმართ ასე შეეხმიანა:

ჰუსეინის შეპყრობის სპეცოპერაციას რომ ხელმძღვანელობდა, იმ ამერიკელ კონგრესმენსაც ვუსმინე

აირაის კვლევის შედეგები ჩამიგდეს ჩემებმა და ახლა იმას დავყურებ

წადი ბიძი(ნ)ა, სანამ ტიტის ხეზე დაგკიდებენ. წადი. ლინჩის წესიღა გვაკლია 21ე საუკუნეში. ამას მაინც აგვარიდე და დაგვინდე. წადი

**რუსუდან ვაშაკიძე:** - წა-დიი! წა-დიი! წა-დიი! წაეთრიე, წაშავდი, წაბნელდი!

**ხარებაშვილი გიორგი:** ვფიქრობ ეყოფა გონიერება, თუ არადა ერთ ლინჩს როგორმე აიტანს საქართველო .



**კობა სუბელიანი**

ქოცები

1. ნადია სავჩენკოს მკვლელად იხსენიებენ და ლანძღავენ.

2. მაიდნის მოვლენების დროს მაიდნელებს აგინებდნენ.

3. პუტინის ყირიმში შეჭრისას სიხარულის ყიჟინა დასცეს.

4. ზენდუქიძე იუდა ეგონათ და მისი სიკვდილი გაუხარდათ.

5. გონიათ რომ მიშას თავისთვის უნდოდა სიღნაღი,მესტია და ა.შ.

6. ჯერათ რომ ბიძინამ ფული დაარიგა „პროსტა" ხალხია უმადური.

7. ამერიკელ სენატორებს და ევროპელ ლიდერებს ვოლზე უვარდებიან.

8. მჭადი და ამოზელილი ლობიო ქართული გონიათ, თუ ეტყვი რომ ამერიკულია ბრაზდებიან, ბიგმაკს მაინც ხომ ჯობიაო გპასუხობენ. რა შუაშია ? 9. მათთვის რუსეთი მართლმადიდებელი და ქრისტიანული ქვეყანაა, რომელსაც ჩვენთვის არაფერი დაუშავებია და თუ რამე დაგვიშავა ეს იყო ღმერთის სასჯელი რომელიც რუსებმა ღვთის ნებით აღასრულეს თორემ თითონ კი არ უნდოდათ. უბრალოდ ღმერთს ვერ აწყენინეს.

---

კიდევ ბევრი შეიძლება დაიწეროს.

**პეტრე ცისკარიშვილი** – ღომი და "ახალი კარტოფილიც" ამერიკასააო არ მითხრა!

**კობა სუბელიანი** – ღომი და მჭადი ერთი და იგივეა... კარტოფილი ოჯახურად შემწვარი როგორ შეიძლება ამერიკული იყოს. პამიდვრის საწებელი ოჯახურად შემწვარ კარტოფილთან უჰუჰუჰუ. რა იციან ამერიკელებმა ჭამა...

**კობა სუბელიანი** – „მექიაური: თუ რუსს მოკლავ, გმირი ხარ, თუ სხვა ქვეყნისას, ციხეში უნდა წახვიდ“ არა რაა, ისტორიაში შევალთ ამათთან ერთად რომ ვიყავით პარლამენტის წევრები... სხვა რომელი მოწვევის პარლამენტი ახსოვს საზოგადოებას ისე, როგორც ეს პარლამენტი დაამახსოვრდათ ?

**პეტრე ცისკარიშვილი** – ნამდვილად - მექისნაირი პრომოუტერი აღარასდროს ეყოლებათ

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# თუ „ჰერმესი“ არ ყიდის და სასაფლაო უფასოა, მაშინ ჭირისუფლები თანხას ვის აძლევენ?

## რას ამბობს „ჰერმესის“ დირექტორი?



— **ამბობენ, სასაფლაოს მიწა უფასოაო?**

— **მერე თქვენ გჯერათ? სადაა უფასო?**

— **„ჰერმესის“ დირექტორი ამბობს...**

— **ტყუის, უფასო არსად არაა...**

— **ქვითარი თუ გაქვთ, რომ გადაიხადეთ?**

— **ჩემმა შვილმა „ჰერმესის“ წარმომადგენელს გადაუხადა.**



უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ირგვლივ მშენებლობაა გაჩაღებული, იქით კლდე მოანგრიეს და თბილწყალკანალის სათავო ოფისს აშენებენ, აქეთ საბურთალოს სასაფლაო უკვე ბიბლიოთეკის შენობასთან ახლოს მოიტანეს. მთელი ეს ტერიტორია სასაფლაოებად აქციეს. უკვე დაკეტილი სასაფლაო კიდევ გააგრძელეს... „ჰერმესის“ ხელმძღვანელობა „ალიასთან“ საუბარში ირწმუნება, რომ ახალი სასაფლაოების გაცემა აღარ ხდება, თუმცა, საკუთარი თვალით ვნახე, რომ იქ დღესაც მიმდინარეობს მიწების გაცემა. მეტიც, მაღლივის ირგვლივ, მდინარე ვერემდე, ყველა კლდე და ფერდობი აითვისეს, სწორედ ამ კლდეებში ჭირისუფლებს სოლიდურ თანხებს ახდევინებენ – ფასი 2 ათასი ლარიდან იწყება. ამ ინფორმაციას კატეგორიულად არ ეთანხმება „ჰერმესის“ დირექტორი მიხეილ ძაგანია და აცხადებს, რომ ფერდობები და კლდეები, რომელიც სასაფლაოსთვის არის განკუთვნილი, უფასოა. ჭირისუფლებმა ფული 2014 წლამდე (მისი დირექტორად დანიშვნამდე) გადაიხადესო. წინასწარ გაყიდული მიწების რა მოგახსენოთ, მაგრამ ფერდობის მაღლაც ყოველდღე იყიდება მიწები, ამას კი „ჰერმესის“ დირექტორი კერძო პირების მიერ მიტაცებას უწოდებს. რის გამოც მერიის დაქვემდებარებაში მყოფ „ჰერმესს“ თურმე პატრულის გამოძახებაც კი უწევს. არის თუ არა დირექტორის ეს მონათხრობი რეალობასთან ახლოს? უფასოა თუ არა სასაფლაო? ამ კითხვაზე ჭირისუფლებს ეღიმებათ. თუ „ჰერმესი“ არ ყიდის და სასაფლაო უფასოა, მაშინ ჭირისუფლები თანხას ვის აძლევენ?

„ალია“ შეეცადა, გაერკვია, რა ხდება საბურთალოს სასაფლაოზე, გავესაუბრეთ ჭირისუფლებს, ზოგმა ვინაობის დასახელება არ სურთ, მაგრამ იმას არ მალავენ, რომ თანხა გადაიხადეს:

– საბურთალოზე სასაფლაო 2 ათასი ლარად ვიყიდე. შემდეგ „ჰერმესმა“ შემომთავაზა, ბეტონის ჩასხმა საფლავზე და ამ მომსახურებაში 1200 ლარი გადავიხადეთ.

— **„ჰერმესს“ გადაუხადეთ?**

– ვისიცაა...

— **ამბობენ, სასაფლაოს მიწა უფასოაო?**

– მერე თქვენ გჯერათ? სადაა უფასო?

— **„ჰერმესის“ დირექტორი ამბობს...**

– ტყუის, უფასო არსად არაა...

— **ქვითარი თუ გაქვთ, რომ გადაიხადეთ?**

– ჩემმა შვილმა „ჰერმესის“ წარმომადგენელს გადაუხადა.

— **მაშინ მიბრძანდით დირექტორთან და ქვითარი წარუდგინეთ. ის ამბობს, რომ უფასოა და შესაძლოა, მავანი ამით ხელს ითბობს...**

— **თანხას ვის უხდით?**

– „ჰერმესიდან“ ბიჭები მოდიან და იმათ ვუხდით.

— **ამბობენ, რომ საბურთალოზე 2-ადგილიანი სასაფლაოს მიწა უფასოა, მართალია?**

– რა სისულელეა, ქალბატონი, უფასოდ მიწას ვინ მოგცემს?

— **„ჰერმესის“ დირექტორი გვარწმუნებს, რომ უფასოა...**

– არა, გამორიცხულია... სანამ ფულს არ გადაიხდი, ვინ მოგცემს მიცვალებულის დამარხვის უფლებას. ისე რამდენიმე ჭირისუფალს პრივატიზებულიც კი აქვს სასაფლაო. ამ შემთხვევაში რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, არავინ არ შეეხება.

— **ისე, უპატრონო საფლავებს ეხებიან?**

– როგორა არა, ასეთი საფლავები აღრიცხულია და მეორედ მარხავენ და ამაში კიდევ „ჰერმესი“ ფულს იღებს.

– რა სისულელეა, დირექტორმა არ იცის, რომ სასაფლაო უფასო არ არის?..

**ელეონორა ცხადაძე, ჭირისუფალი:**

– როცა განცდაში ხარ, მაშინ ვერ აზროვნებ, ქვევით, ვერის მიმდებარედ ფერდობზე, ორადგილიან სასაფლაოში 2 ათასი ლარი მოგვთხოვეს, მაგრამ ქვიანი ადგილი იყო და არ გადავიხადე. შემდეგ კერძო სასაფლაო ვირჩიე და 2 ათასი დოლარი გადავიხადე. მთელი ცხოვრება ადამიანის გვერდით ვიყავი და ქვებში როგორ დამემარხა. იმ ქვებშიც კი ფულს აკეთებენ და საბრალო ჭირისუფლებს ძარცვავენ...

**ნიკო, ჭირისუფალი:**

– ფერდობზე ვიყიდე მიწა, ორივეში 1200 ლარი გადავიხადე, მერე თვითონ შემომთავაზეს სარემონტო სამუშაოები, ძალიანაც რომ გინდოდეს, მუშებს თვითნებურად აქ ვერ მოიყვან, „ჰერმესის“ საამქროები გვემსახურება. ისე, ქვემოთ მდინარე ვერისკენ მიწები უფრო ძვირია.

— **იქ რა თანხას იხდიან?**

– ჩვენ 2 ათასი გვითხრეს 2-ადგილიანში და აქ 1200 გადავიხადეთ.

„ალია“ „ჰერმესის“ დირექტორ **მიხეილ ძაგანიას** ესაუბრა:

— **ბატონო მიხეილ, ადრე თქვენ აცხადებდით, რომ საბურთალოს სასაფლაო დაიკეტა, თუმცა კვლავ გაგრძელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამდე...**

– ადრე ვამბობდი, რომ რამდენიმე ადგილია დარჩენილი-მეთქი, თუ თქვენ გულისხმობთ იმას, რომ რამდენიმე ადგილი დავამატეთ, ვერ გეტყვი.

— **არა, დამატებული არ არის, დაკრძალვა ჩვეულებრივად გრძელდება, ფერდობებიდან მაღლივისკენ. ვერისპირზე რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, მერიამ ისინი აყარეთ და იმ ადგილზე ახალი სასაფლაოები გააკეთეთ. ალბათ, იცით რომელ ადგილზეა საუბარი?**

– არა, მე საიდან უნდა ვიცოდე?

— **წესით, უნდა იცოდეთ, რადგან დირექტორი ბრძანდებით.**

– თქვენ საიდან იცით, რომ მე ვიცი, ან როგორ ასკვნით, ამიხსენით...

— **რატომ არ იცით? დირექტორი ხართ...**

– მაშინ, იცით, როგორ გავაკეთოთ? ასე არ გამოვა, თუ თქვენ გექნებათ დრო, დღევანდელი დღე უკვე გავიდა, ხვალ, ან ზეგ, თქვენც მობრძანდით, მეც მოვალ და ვნახოთ, შიგნითაა ეს სასაფლაო თუ გარეთ.

— **თქვენ ბრძანეთ ადრე, რომ სასაფლაო დაიკეტაო და, ფაქტობრივად, არ დაკეტილა...**

– როდის ეს?

— **ახლაც მიმდინარეობს იქ დაკრძალვები, მონიშნულია ადგილები...**

– არა, კონკრეტულად სად, მითხარით?

— **კონკრეტულად ეკლესიის ქვემოთ ვერემდე და ზემოთ ფერდობებზე მაღლივთან ახლოს.**

– როგორც მაშინ გითხარით, ფერდობზე 15 ადგილი იყო დარჩენილი, დღე არ გავა, 10-მა კაცმა მაინც არ დამირეკოს, ეს ადგილი უნდათ. იმ ფერდობზე წითელი ხაზებია და თუ გნებავთ, კიდევ დავაზუსტებ...

— **კი, დააზუსტეთ... რაც შეეხება ფასებს, ადრე თქვენ ამბობდით, რომ უფასო იყო ორი სასაფლაო, ამ დროს ჭირისუფლებმა თქვეს, რომ 2 ათასი ლარია გადასახადი.**

– გამორიცხულია, ორის შემდეგ მესამე და მეოთხე 700 ლარია და შეიძლება გამოვიდეს 2 ათასი ლარი. 5-ადგილიანი საბურთალოზე საერთოდ აღარაა.

— **5-ადგილიანზე კი არა, 2-ადგილიანზეა საუბარი.**

– ეს როდის?

— **შარშანაც და წელსაც, ამბობდით, უფასოა და თან პრაქტიკულად არააო და ამ დროს ფერდობები და კლდეებიც კი სასაფლაოებად გაყიდეთ...**

– მაშინ თქვენ მომწერეთ, რომელ წელს, რომელ თვეში გაიყიდა, თორემ ასე რიტორიკულად არ შეიძლება საუბარი.

— **რატომ რიტორიკულად, მე ვიყავი იქ და გავესაუბრე ჭირისუფლებს, მათ მითხრეს, რომ 2 ათასი ლარი გადაიხადეს.**

– ვის გადაუხადეს?

— **„ჰერმესს“ გადაუხადეს, ბატონო, ტყუილი რა არის?**

– ძალიან გთხოვთ, გამოართვით გადახდის ქვითარი, ასე ვერ შევთანხმდებით...

— **მე რატომ უნდა მოვთხოვო ჭირისუფლებს ქვითრები, „ჰერმესის“ წარმომადგენელი კი არ ვარ? თქვენ არ იცით, თქვენს უწყებაში რა ხდება?**

– როცა რაიმეს ამბობთ, პასუხისმგებლობაც უნდა იგრძნოთ...

— **ვამბობ იმას, რაც ვნახე და მოვისმინე...**

– თუ გამოძიებას აწარმოებთ, ან „ინვოისი“ გამოართვით, ან სახელი და გვარი დააფიქსირეთ...



**დავით ზურაბიშვილი:**

ამ ლეონიდ "ნუშეგვეცკი" ჩერნოვეცკის გაქრობის რამე საშუალება არსებობს? კედლიდან გაქრობას ვგულისხმობ რასაკვირველია, სოდი, კუდი, სუსი და ზონდერბრიგადები არ შემომთავაზოთ.

**გოგი გვახარია:** - გვერდზე შედით და დაბლოკეთ, აღარ გამოჩნდება.

**ოთო ოთო:** - მაგას რომ გააქრობთ თქვენც (რესპები) გაჰყევით, კაის იზამთ.

**დავით ზურაბიშვილი:** - აი რაც არ უნდა დაწერო, ერთი ასეთი ოთო ოთო რომ არ გამოერიოს, ვარიანტი არაა.



**ირმა ნადირაშვილი**

კვირიკაშვილმა დასაქმების პრობლემის მოგვარება ეფექტურად შეძლო. ამიერიდან ერთ ვაკანსიაზე ორი ადამიანი დაინიშნება. მაინც რამდენს ნიშნავს, როცა პრემიერი ეფექტურია:)



— თქვენ ამბობდით, რომ უფასო იყო ორი სასაფლაო, ამ დროს ჭირისუფლებმა თქვეს, რომ 2 ათასი ლარია გადასახადი.

— გამორიცხულია!

— სახელებსა და გვარებს კი გეტყვით, მაგრამ ჭირისუფლებს არ უნდათ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი...

– აბა, რა გავაკეთო? თუ დამეხმარებით, ძალიან დიდ სამსახურს გამიწევთ, თუ ვილაცამ დიდი თანხა გადაახდევინა...

— ქვითრებს ვერ გამოვართმევ, მაგრამ, თუ სახელ-გვარს დააფიქსირებენ, გეტყვით, ვინ რამდენი გადაიხადა და თქვენ მიხედეთ დანარჩენს....

– კი, ბატონო...

— თქვენ აცხადებდით, უფასოაო და ახლა თქვით, რომ მესამე-მეოთხე ფასიანია, ეს ვერ გავიგე, ანუ ფასიანია და გვატყუებთ?

– ახლა თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ, რა საუბარია? სულ უფასო არ მითქვამს... რომელ ადგილზე ამბობთ?

— ხომ გითხარით და კიდევ გიმეორებთ, საბურთალოზე, ფერდობებსა და კლდეებზე 2-ადგილიანში 2 ათასი ლარია გადახდილი.

– შესაძლოა, ვინმემ ზედმეტი გადაახდევინა, სად გადაიხადეს, ბანკში?

— ეს თქვენ უნდა იცოდეთ...

– სჯობს, დავაზუსტოთ, უნდა გაიგოთ, ვის და სად გადაუხადეს, მაშინ დამაკავშირეთ იმ ადამიანებთან... თუ ოფიციალურად არ გადაუხდიათ, მაშინ ასე გავიგებთ, ვის გადაუხადეს, ადრე ერთი ადგილი 2 ათასი ლარი ღირდა. მე რაც დავინიშნე (2014 წელს), ის ადგილები უკვე გაცემული იყო და ერთ ან ორ ადგილში რომ 2 ათასი ლარი გადაეხადოთ, ასეთი ფაქტი არ მახსენდება, 1000 ლარი ღირს მეორე ზონის სასაფლაოები, მე ვფიქრობ, ჩემამდე იყო გაყიდული, მერე ჩვენ ახალი ადგი-

**წყვეტილი**

ლის გამოყოფას ფასი აღარ დავადეთ... ამ ფერდობზე რაღა ფასი დავადოთ, სულ 40 ადგილი იყო, და ახლა დარჩენილია 1 ან 2 ადგილი, არა მგონია, იმ ფერდობზე ვინმემ ფული გადაიხადოს...

— თქვენ თუ ფასი არ დაადეთ, აბა, ვინ დაადო, დღესაც რომ იყიდება?

– ძალიან საინტერესოა, ვინ ყიდის...

— ჩვენც ეგ გვაინტერესებს და თქვენ რატომ არ იცით? ჭირისუფლები ვინაობას არ ასახელებენ და თუ გნებავთ, ფოტომასალას გადმოგიგზავნით... უნივერსიტეტისკენ რომ სასაფლაო გაგრძელდა, ისიც „ჰერმესისაა" და იმ ტერიტორიაზე რას იტყვით?

– ზოგჯერ თვითნებურად იკავებენ სასაფლაოს, ჩვენ რამდენჯერმე პატრულის გამოძახებაც დაგვჭირდა... ასეთი ფაქტებიც არის... უახლოეს პერიოდში გავიგებ, რა ხდება იქ...

# „ქალბატონო, პაჩემუ ნაროდ აბმანივაიტე?!. სლუში, აქ მკვლელობა არ მომხდარა!"

## რა მოხდა აწყურის ქუჩაზე?




**„ვითომმოკლული მარი ჯიოშვილი დილით მაღაზიაში ნახეს, ლუდის ჩამომსხმელად მუშაობს. შემთხვევის მერე ისიც კი თქვეს, ვიღაცას „ისანთან" გაჩერებაზე უნახავსო. „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტ ბიჭს ვუთხარი, მკვლელობა არ მომხდარა, ცრუ ინფორმაციას რატომ ავრცელებთ-თქო. გაკვირვებულმა გადმომხედა და გაიქცა, მაგრამ 6-საათიან „კურიერში" მაინც გამოაცხადეს, — აწყურის ქუჩაზე ქმარმა ცოლი მოკლაო"**

ნანა სულავა
599 07-01-89



**ამ დღეებში თბილისი კიდევ ერთმა მკვლელობამ შეძრა. აწყურის ქუჩა, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, უბედური შემთხვევა მოხდა, ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზეა. ჩემდა გასაოცრად, გზადაგზა ყველა შემხვედრი აღშფოთებას ვერ მალავს ამ ინფორმაციის გამო, ერთმა მოქალაქემ ისიც მითხრა, — თქვენ რა, ერთობით, მეტი საქმე არა გაქვთო?!. რა მკვლელობა, რის მკვლელობა!.. საიდან მოიტანეთ?!. — გაოცებას ვერ მალავენ ადგილობრივები. ერთი სიტყვით, ხელებს ასავსავებენ, აწყურის №31-ში არავითარი მკვლელობა არ მომხდარა, ჟურნალისტებმა კი აგვიკელითო!..**

**სომეხი ეროვნების ახალგაზრდა ბიჭი, სახელად გარიკა, მომეჭრა, ხან ქართულად, ხან რუსულად და ხან სომხურად დამიწყო ახსნა:**

– ქალბატონო, პაჩემუ ნაროდ აბმანივაიტე?!. სლუში, აქ მკვლელობა არ მომხდარა...

**მას მეზობლის ქალი დაუდგა გვერდით და გაკვირვებული მიხსნის:**

– ვისზეც ეს ინფორმაცია გაავრცელეს, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გახლავთ, ცოლი ვიღაც მარი ჯიოშვილია, ქმრის ვინაობა კი არ ვიცი. ერთი თვის წინ გადმოვიდნენ, წყნარად, უხმაუროდ ცხოვრობდნენ. მკვლელობა რომ მომხდარიყო, ან სასწრაფოს გამოიძახებდა ვინმე, ან გვამი მაინც ხომ უნდა გვენახა?!. თუ ქმარმა სხვაგან წაიყვანა ცოლი და მოკლა, ეს მისამართი რატომ მიუთითეს?!. აწყურის ქუჩა მჭიდროდ დასახლებული უბანია, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ თავის მდგმურებიანად.

**მითითებულ მისამართზე სახლის პატრონის სუმბათ ავთანდილოვის დისშვილს ი.ბ.-ს გავესაუბრე:**

– ცოლ-ქმარი ბიძაჩემის მდგმურები იყვნენ, დილის 12 საათი იყო, ეზოში მოულოდნელად შემოვარდა პოლიცია და „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები, აქ მკვლელობა მოხდაო, მეუბნება ჟურნალისტი. იმათგან შევიტყვე. სახლის პატრონს, ანუ ბიძაჩემს, გულის ოპერაცია ახალი გაკეთებული აქვს, წნევამ ისე აუწია, კინაღამ ხელში შემოგვაკვდა. დიასახლისიც სახლში იყო, სხვა არავინ. ვითომ მოკლული მარი ჯიოშვილი დილით მაღაზიაში ნახეს, ლუდის ჩამომსხმელად მუშაობს. შემთხვევის მერე ისიც კი თქვეს, ვიღაცას „ისანთან" გაჩერებაზე უნახავსო. „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტ ბიჭს ვუთხარი, მკვლელობა არ მომხდარა, ცრუ ინფორმაციას რატომ ავრცელებთ-თქო. გაკვირვებულმა გადმომხედა და გაიქცა, მაგრამ 6-საათიან „კურიერში" მაინც გამოაცხადეს, – აწყურის ქუჩაზე ქმარმა ცოლი მოკლაო. ყველას კარგად მოეხსენება, ცუდი ამბავი სწრაფად ვრცელდება, სახლის პატრონის სუმბათ ავთანდილოვის შვილები, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, გამწარებული რეკავდნენ, ჩვენს სახლში რა მოხდა, მამა ხომ კარგად არისო?!. ყველა სახტად დარჩა, რომ არც გვამი უნახავს ვინმეს და არც სასწრაფო სამედიცინოს ექიმები დაულანდავთ.

ქუჩაში გამოსულს იქაური მცხოვრებლები შემომესივნენ, ისინი მედიასაშუალებების მისამართით პრეტენზიებს გამოთქვამდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ:

– ჟურნალისტები რატომ ავრცელებთ ცრუ ინფორმაციებს?!. კარგია, რომ მობრძანდით, „ალია" მართალი გაზეთია და იქნებ, თქვენ მაინც თქვათ სიმართლე, ეს ინფორმაცია 12 საათზე გავრცელდა, ტელეარხებზე მთელი დღე ატრიალებდნენ და მთელი აწყურის ქუჩა ჟურნალისტებისგან გადაკეტილი იყო...

ამ მონაყოლით გაოგნებულს მგონია, აწყურის ქუჩაზე ჭრიჭინას სცენარი დატრიალდა...

**ცრუ განგაში?!**

**მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვე შსს-ს პრესცენტრს, ნატო ბერძენიშვილს:**

– თურქეთის მოქალაქემ მოკლა მეუღლე, ჩვენმა სამართალდამცავებმა მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მკვლელი თურქეთში დააკავეს. სად მოხდა ეს მკვლელობა, მისამართს ვერ გეტყვით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

ის-ის იყო, ეს კომენტარი ჩავიწერე, აწყურის ქუჩიდან ერთ-ერთი ქალბატონი დამიკავშირდა, რომელმაც მამცნო, – ქალბატონო, ეს წუთია, ვითომმოკლული ქალი მარი ჯიოშვილი, იმ მაღაზიაში მივიდა, სადაც მუშაობდაო... იმის დასადასტურებლად, რომ ეს ინფორმაცია მცდარი არ იყო და დავრწმუნებულიყავი, რამდენად შეესაბამებოდა მისი ნათქვამი სიმართლეს, ტელეფონი მაღაზიის მეპატრონეს, ქალბატონ ესმას გადასცა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა.

ვთხოვე, მარი ჯიოშვილსაც გამასაუბრეთ-მეთქი... დამპირდნენ. იმედია, შემდეგი ნომრისთვის ე.წ. გარდაცვლილ ქალსაც დაველაპარაკები და გავიგებ, ვინ და რატომ „მოკლა".

Facebook ამბები




თვალთვაძის თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე არჩევის შემდეგ გოგი ლორთქიფანიძე „ფეისბუქზე" წერს:

მე არ ვიცი, ვინაა ეს ქალბატონი (ლადო პაპავა აკადემიკოსი მაინც იყო). მაინც გადავხედე მისი წინსვლის ვექტორს "ნაცების" ეპოქაში.

"2010 — 2015 წწ. — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

2006 — 2010 წწ. — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;

2006 — 2012 წწ. — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

2004 — 2006 წწ.— თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი;

2006 — 2006 წწ. — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის წევრი;

2005 — 2005 წწ. — თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;"

შეგახსენებთ - ესაა ყველაზე ბნელი, რეპრესიული წლები საქართველოს აკადემიური მეცნიერების თანამედროვე ისტორიაში. ე.წ. "ლომაიას რეფორმების" წლები.

მიპყრობს კანონიერი ეჭვი: ამ საარჩევნო წელს ეს ერთ-ერთი იმ "პლან B"-თაგან ხომ არაა, "ნაცების" დროს მიღებული კანონებით, "ნაცების" საქართველოში სამარადჟამო დამკვიდრებას რომ ემსახურება?

გადამარწმუნეთ, თუ შეგიძლიათ. ოღონდ "პრეზუმპცია" არ მიხსენოთ. შემთხვევით ამ დონეზე არაფერი ხდება...

მანანა კვაჭაძე: -პირველ კურსზე ერთად ვსწავლობდით ფილოლოგიურზე. ბეჯითი, წიგნიერი, მეცნიერულად ღრმად მოაზროვნე, ორგანიზებული, თავმდაბალი, წესიერი, მეგობრული...... ჩემი გამოცდილებით ადამიანები არ იცვლებიან.

Facebook ამბები




ცოტნე გამსახურდია

დღეს დილას ადრიანად წავედი ბანკში და ჩვენ დაუზარელ, გულიან მეგობარს, გოგი ხაზარაძე-ს იმერეთში 350 ლარი გადავურიცხე 84 წლის ელენე გოგსაძისთვის გადასაცემად. ხომ გახსოვთ, რომ ვწერდი ქალზე, რომელსაც სერგეენკოს და სოფრომაძის შექმნილმა სისტემამ სოც. დახმარება მოუხსნა.

მაინც ვიტყვი, რომ საჩხერის საავადმყოფოს დირექტორს 2014-15 წლებში ხელფასის გარდა 65, 000 ლ აქვს აღებული, ხოლო სოფრომაძეს მხოლოდ 2015 წელს - 70, 720!




დიმიტრი შაშკინი

კვირა არ გადიოდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს პირადად არ მოენახულა სკოლები, კოლეჯები ან უნივერსიტეტები, პირადად არ ესაუბრა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან და პირადად არ გადაემოწმა რეფორმების მსვლელობა. ახლა თვეები ისე გადის, რომ პრეზიდენტი და პრემიერი კი არა, მინისტრი სასწავლებლებში არ მიდის...

facebook



შალვა რამიშვილი:

ჯერ რამოდენიმე სიტყვა ჩანწერაზე

ჩვენ ადამიანები ვართ. ჩვენ გვაქვს მინიმუმ ორი ცხოვრება. ერთი საჯარო, როცა იცი რომ ათასი თვალი და ყური გიყურებს. და მეორე - პირადი, ოჯახში, მეგობართა წრეში თანამშრომლებში ჩვენ ვლაპარაკობთ. ჩვენი სიტყვები ხუმრობანი, ადამიანთა (მათ შორის უახლოესთა) შეფასებანი მხოლოდ იმ ყურებს განეკუთვნება, რომლებიც ამ ლაპარაკს ღიად ისმენენ.

არა ფარულად! ღიად!

რამდენჯერ ყოფილა რომ თქვენ გიხუმრიათ ისე, რომ ამ ხუმრობის გასაჯაროების შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდით, რამდენჯერ გიგინებიათ უფროსისთვის, მეზობლისთვის, მთავრობისთვის ხოლო შემდეგ გინების ადრესატთან გიქეიფიათ კიდეც.

ასეა, ჩვენ გვინდა სივრცე სადაც მხოლოდ ჩვენ და ის ადამიანები არიან რომელთაც იქ შემოვუშვებთ.

გიფიქრიათ იმაზე რა ცუდია ცხოვრება ისეთ გარემოში სადაც შენი სიტყვები შეიძლება ჩაიწეროს თანამშრომელმა, მეგობარმა ვიღაც ახლობელმა და შინაურმა.

ახლა რაც შეეხება თათია სამხარაძეს.

მე ვარ ის კაცი, რომელმაც ეს გოგო ტასო ბარნოვად აქცია, სამხარაძე მარტის თვეში როცა ''შევიწროვებული'' იყო ''სარკესთან'' ინტერვიუში წერდა თუ რა ძვირფასი ადამიანი ვარ მისთვის. ჩემს ცოლს პირად მიმოწერაში ეუბნებოდა რომ საოცრად დადებითი აურა აქვს და მისი და ჩემი შვილის ნახვა უნდა. 3 წლის ურთიერთობის მანძილზე ათასი რამ აქვს ჩემთვისა და ჩემი ცოლისთვის ნათქვამ-მოწერილი. მათ შორის პირად თემებზე. მის შეყვარებულებზე, ქმარზე, ოჯახურ ამბებზე და მისთ. რა ვქნათ ახლა, ავყვეთ ამ გზააბნეულს და გავასაჯაროვოთ მიმოწერა? მოეწონება ეს თათია სამხარაძეს?

რა თქმა უნდა არა!

სასამართლო დაამტკიცებს რომ არანაირი მოძალადე მე არ ვარ!

ამას იტყვის პროკურატურაც!

რა თქმა უნდა თათია სამხარაძე არაა ამ ისტორიის გასაღები. ეს არის ისტორია ჩემი და ჩემი გუნდის წინასაარჩევნოდ

''იმედიდან'' მოსროლისა. ამაში ხელისუფლებას არანაირი ბრალი არ მიუძღვის. ეს ქართული მედიის ახალი ჩრდილოვანი მმართველების ჩადენილია!

არის ჯგუფი რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშებს თამაშობს! ჯგუფი ძლიერი და გავლენიანი. სწორედ მათ თამაშს შევეწირე.

მაგრამ ყველაფერი თავის დროზე!

ახლა კი კი ბრძოლის დროა!

ულრმესი მადლობა ჩემს ცოლს და ოჯახს. ბოდიში რომ ამ შარში გაგხვიეთ. მე არა ვარ ღირსი ასეთი თანადგომისა მაგრამ ვგონებ იღბალი მაქვს ისეთი, რომ ხშირად დაუმსახურებელ მხარდაჭერის ხელს მიწვდიან ხოლმე.

ყველას, განსაკუთრებით იმათ ვისაც არ მოვწონვარ. გთხოვთ სასამართლოს განაჩენამდე შეინარჩუნოთ მინიმალური ობიექტურობა!

მადლობთ ყურადღებისათვის.

ნინია კაკაბაძე: რა სასაცილო ხარ შალვა ამ შენი დასპონსორებული პოსტებით და ხალხზე გათვლილი მესიჯებით. მერე ალბათ ჯდები და საკუთარ თავს ეუბნები, - მაინც რა შებერტყილი ''ჩათლახი'' ვარ?! ხარ კი, ზუსტად იცი რა დაწერო. მაგრამ საბედნიეროდ საქმეს მაინც სასამართლო გადაწყვეტს და არა ეს ადამიანები, რომელნიც მხარს გიჭერენ.



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


20 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე გახდა. მას მხარი 1311 ამომრჩევლიდან 526-მა დაუჭირა. ვინ არის დარეჯან თვალთვაძე? ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, ბოლოს კი რექტორის მოადგილე. ამ ფორმით, როგორც უკვე ყოფილი რექტორი ლადო პაპავა ამბობს „ალიასთან" საუბარში, არჩევნები პირველად ჩატარდა. თუმცა იქვე აღიდეგ სთხოვეს, 10 წუთი დაგვითმეთ, გავისაუბროთო. პასუხი:

„აგერ ვარ და მითხარით, რაც გინდათ. უბრალოდ, მომეცით საშუალება, რომ ადამიანმა, რომელმაც დღეს, ალბათ, ძალიან ბევრი ვილელვე, დავალაგო რაღაცები, ანალიზი გავაკეთო და უფრო დალაგებულად შეგხვდეთ".

მე არ ვიცი, საერთო ჯამში, ის ფილოლოგიის როგორი დოქტორია, მაგრამ მეტყველებისა და სიტყვათა წყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხატრით 3-იანი ძლივს ეკუთვნის საბჭოთა პერიოდის შეფასების სისტემით. პრინციპში, ქალბატონმა დოქტორმა „იღელვა" და რა ქნას? სხვათა შორის, მან სტუდენტებთან დამშვიდობებისას ისეთი გაუგებარი წისიტეტის კანცლერი".

დარეჯან თვალთვაძე დაიბადა 1958 წელს წალენჯიხაში. 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1997 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია („ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი") და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იგი არის 1 მონოგრაფიის, 5 სახელმძღვანელოსა და 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. როგორც უნივერსიტეტის კულუარებში ამბობენ, მას არასოდეს ჰქონია პრეტენზია არც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და არც უნივერსიტეტში არსებული პრობლე-

### ფაქტი

ამისა, დარეჯან თვალთვაძის ქმარი არის თანამდებობის პირი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სტუდენტები ფიქრობენ, რომ ეს ადამიანი ძველი სისტემიდან არის გამოსული და ბუნებრივია, ვერ შეცვლის ძველ სისტემას. პრინციპში, დღევანდელი მდგომარეობით, თვალთვაძეს მხოლოდ მოვლენების თვალთვალი ევალება აგვისტოს არჩევნებამდე და არა სისტემის შეცვლა. სამ თვეში ქალბატონი დარეჯანი კი არა, ივანე ჯავახიშვილიც რომ გაცოცხლდეს, ისიც ვერ შეცვლის ვერაფერს. ისე, თუკი მხოლოდ მეთვალყურისა და ახალი აკ-

# ესეც იმ გეგმის ნაწილია, რომლის განხორციელებასაც აპირებენ ქვეყანაში — არეულობა, დაძაბულობა და კრიტიკულ მომენტში სტუდენტების გამოყვანა ქუჩაში

## ვინ არის თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალთვაძე?





არებს, რომ ეს მოხდა იმ ბრიყვული ჩანაწერის გამო, რომელიც 2013 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შევიდა, რომლის თანახმადაც, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევენ აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის პირები, ვისაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ყველაზე დიდი ლაფსუსი კი ის არის, რომ მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს თითქმის მთელი უნივერსიტეტი, ხოლო სამ თვეში რექტორს ნიშნავს 20-კაციანი აკადემიური საბჭო. რა საჭიროა მოვალეობის შემსრულებლის ასე პომპეზურად არჩევა, თუკი ცოტა ხანში რექტორი ისევ ასარჩევია? სწორედ ამიტომაც აცხადებს ლადო პაპავა, რომ ეს არის ბრიყვული ჩანაწერი კანონში, რომლის გაგებაც არავის უნდა. მოკლედ, აქციების ფონზე წავიდა ლადო პაპავა და ასევე აქციების ფონზე მოვიდა დარეჯან თვალთვაძე, რომელმაც საზოგადოების თვალში პირველივე დღეს დატოვა უცნაური შთაბეჭდილება. მას „აუდიტორია №115"-ის წევრებმა არჩევნების შემნადადება წარმოთქვა, დაინტერესებული წრეები დღემდე იკვლევენ და მაინც ვერაფერი გაარკვიეს.

ამჟამინდელი კანონმდებლობის მიხედვით, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს რექტორის არჩევნებში. აი, სწორედ აქ „გამოიჭირეს" სტუდენტებმა ქალბატონი დარეჯანი და პირობა ჩამოართვეს, რომ მას არ ექნება პრეტენზია რექტორობაზე. როდესაც სტუდენტებს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა, იქაც იყო საუბარი იმაზე, რომ შევიდეს კანონში ცვლილება და მოვალეობის შემსრულებელს ეს უფლება ჩამოერთვას. თვალთვაძე კი დაჰპირდათ „აუდიტორია 115"-ის წევრებს, რექტორობაზე პრეტენზია არ მექნებაო, მაგრამ მედიასთან ასეთ განცხადებას აკეთებს:

„თუ დამიჯერებთ, ჩემთვის ნომერ პირველი ამოცანაა, მივიდეთ იქამდე, რომ დაინიშნოს ეს არჩევნები. ეს არ არის იოლი საქმე. მათ შორის, ასარჩევია აკადემიური საბჭოს ახალი შემადგენლობა, ასარჩევია უნივერმების მიმართ, არასოდეს გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი და სრულ იდილიაში იყო ყველა დროის ხელისუფლებასთან. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ბევრი ვეცადეთ თქვენთვისა, გამოგვივიდა ჩვენთვისაო. ესე იგი, იმ პროფესორ მასწავლებლებმა, რომლებიც წლების განმავლობაში აპროტესტებდნენ სააკაშვილის რეჟიმის უსამართლობას, მიიღეს სამი თითის კომბინაცია და დღესაც სახლებში სხედან, ხოლო ყველაფერს შეგუებულმა დარეჯან თვალთვაძემ მიიღო რექტორობა. მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც. ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ კანონში არ შევიდეს ცვლილებები და აგვისტოში ის გახდეს ნამდვილი რექტორი.

„აუდიტორია 115"-ის წარმომადგენლის, ლევან ლორთქიფანიძის თქმით, თვალთვაძე ორმხრივად დისკრედიტებული პიროვნებაა, ის 2006 წლიდან არის ჰუმანიტარულ მცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, რაც არის მაღალი თანამდებობა და, შესაბამისად, პასუხისმგებელია წლების მანძილზე უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე. გარდა ადემიური საბჭოს არჩევა იყო საჭირო, მაშინ რა აუცილებელი გახდა ლადო პაპავას გადაყენება, ბარემ მისულიყო საქმე აგვისტომდე და პირდაპირ აირჩევდა უნივერსიტეტი ახალ რექტორს. როგორც გარკვეულ წრეებში ამბობენ, ესეც იმ გეგმის ნაწილია, რომლის განხორციელებასაც აპირებენ ქვეყანაში – არეულობა, დაძაბულობა და კრიტიკულ მომენტში სტუდენტების გამოყვანა ქუჩაში. უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს რომ რაღაც უხილავი ძალა მართავს, ამას „ალიასთან" ყოფილი რექტორი, ლადო პაპავაც ადასტურებს, მაგრამ კონკრეტულად რა ძალაა, ამაზე არავინ ლაპარაკობს.

„ალია" შეეცადა, რექტორის მოვალეობის შემსრულებელსაც გასაუბრებოდა ჭეშმარიტ განათლებასა და მეცნიერებაზე, მაგრამ არც ტელეფონს პასუხობს, არც ტექსტურ შეტყობინებას. ეტყობა, ძალიან გადაიღალა და თან ჯერ არ იცის, რომ პრესასთან უფრო უარესია დუმილი და ტელეფონის გათიშვა, ვიდრე შემდგომში „ღელვა".






facebook

ნიკა გვარამია (ირაკლი კობახიძეზე):

ამას მეგონა მარტო თავ-ზე ედო ტალახი. თურმე, თავ-შიც და შიგნიდან ჟონავს

პს ეს კვირიკაშვილი მგონი ტროლია. მთელი პარტია სხვას ლაპარაკობს და ეგ სხვას. ისინი - მემარცხენეები ვართო, ამან - მემარჯვენეო, ისინი - 9 წელი სისხლის კალოებს ლეწავდნენო, ამან - წარმატებები იყოო, ისინი - სულ 9 წელი უნდა ვახსენოთო, ამან - აღარ უნდა ვილაპარაკოთ ამ თემაზე, მობეზრდა ხალხსო.

პრემიერი ხარ, თუ ფორუმელი სპლიყვი, რას გვტროლავ, კვირიკაშვილო?

მაკრინე-მაკა: – ამას თავის თავი სხვაზე უკეთესი გონია, ნეტა სარკეში არ ჩაუხედავს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**ნატო-ში აშშ-ს მუდმივმა წარმომადგენელმა დუგლას ლიუტმა. ლონდონის უსაფრთხოების ფორუმზე გარკვევით და ცალსახად განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ნატო-ს გაფართოების შანსი არ არსებობს, ალიანსის ახალი წევრის მისაღებად ნატო-ს წევრი 28 ქვეყნის თანხმობაა საჭირო, რაც, მისი თქმით, ამჟამად მოსალოდნელი არ არის, მათ შორის, ნატო-ში არც საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების თაობაზე. უკვე მერამდენედ, თავად ნატო-ს ჩინოვნიკები, მისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლები გვიცხადებენ, რომ საქართველო უახლოეს კი არა, ახლო მომავალშიც კი ვერ გახდება ნატო-ს წევრი. არა, ამის შეგნება და გაგება ჩვენში ბევრს არ უნდა, ამ გავლენიანი პოლიტიკოსებისა თუ სამხედრო ჩინების ამგვარ განცხადებებს ჩვენი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების დიდი ნაწილი ყურადღებას არ აქცევს, ამგვარ განცხადებებს, როგორც წესი, გაატარებენ ხოლმე და თუ ნატო-ს რომელიმე წარმომადგენელს წამოსცდა, ალიანსის კარი საქართველოსთვის ღიააო, ამას აიტაცებენ და თავიანთი კონტროლირებადი თუ თანამოაზრე მედიით დასცხებენ ყიჟინას, — არიქა, დღე-დღეზე ნატოში გვიღებენო. ხალხს აქაც ტყუილში აცხოვრებენ, სრულიად უსაფუძვლო მოლოდინში, რომ ახლო მომავალში ნატო-ს წევრები გავხდებით და საქართველოს უსაფრთხოებასაც ალიანსი დაიცავს...**

**ამერიკის ხელისუფლების ამ განცხადების შემდეგ რეალურად რა შანსი დაგვრჩა, ნატო-ში გასაწევრიანებლად, „ალიას“ ამ და სხვა კითხვებზე, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, მისი თხოვნით კი, უბრალოდ, პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია ესაუბრება.**

— მე გავეცანი დუგლას ლიუტის მაგ განცხადებას და ასეა, დღეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ნატო-მ უნდა გადახედოს თავის მთლიან სტრატეგიას და მათ შორის, რუსეთთან მიმართებაში. რუსეთთან ლამის საომარ მდგომარეობაშია ნატო და ახლა აბსურდია იმაზე ლაპარაკიც კი, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ვინმე სერიოზულად განიხილავს. ნატო და რუსეთი ცივი ომის პერიოდს უბრუნდებიან, რომელიც დავიწყებული იყო. ნატო ახლა რუსეთთან ცივი ომის სტრატეგიის დამუშავების პროცესშია და ჩვენთვის ნაკლებად სცალია. თუმცა, მიზანი, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანდეს, რჩება.

**— კი ბატონო, მიზანი დარჩეს, მაგრამ ამ ეიფორიიდან გამოვიდეთ, რომ ნატო-ს ზღურბლთან ატუზულებს, ერთ დღესაც კარს გაგვიღებენ და შეგვიპატიჟებენ.**

— არანაირი ეიფორია არ არის საჭირო, ფაქტია, უახლოეს მომავალში არ გვიღებენ ნატო-ში, არც მაპ-ს მოგვცემენ, თუმცა, ნატო კვლავ რჩება საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთ გარანტად, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს ფაქტია. ახლა, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ნატო-მ საქართველოზე მთლად ხელი აიღო. ალიანსი მოიფიქრებს მექანიზმებს, ვიდრე მაპ-ს მოგვცემენ, რა სახით გაუწიოს საქართველოს სამხედრო და სხვა სახის დახმარება. ავიღოთ, თუნდაც ერთობლივი სამხედრო ცენტრის შექმნა, ნატო-ს მრჩეველ ოფიცერთა კონსულტაციები, კიდევ სხვა სახის დახმარებას გაგვიწევენ, როგორც ასაღებენ. ამათი გადამკიდე, უკვე მრცხვენია, ექსპერტი რომ ვარ. აღარ დაწეროთ ჩემზე სამხედრო ექსპერტი, პოლიტოლოგიის დოქტორი ვარ და დაწერეთ, უბრალოდ, პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია. ახლა ვინ არიან ეს ვითომ „ექსპერტები“... ადრე ისედაც ხომ არ გვაკლდა, ყველა ექსპერტობას იბრალებდა და ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააფუძნეს არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტებად გამოაცხადეს თავი, ხალხს ჭკუას არიგებენ. ესენი არიან, მუდამ ნატო-ს თემით რომ აპელირებენ, აცხადებენ, რომ დღეს არა, ხვალ შევალთ ნატო-შიო. რისი შემსვლელები არიან ეგენი? ხელისუფლებაში იყვნენ, შესვლა-გამოსვლა მაგათ ხელში იყო, 2004 წლის ბუქარესტის სამიტზე მართლა გვქონდა ნატო-ს წევრობის შანსი და სწორედ მაგათ დაუკარგეს ეს შანსი საქართველოს.

### STOP!

და რა გინდათ, ამას თავადვე მშვენივრად ახერხებენ. ბოლოს და ბოლოს, ხომ მიხვდება ხალხი, რომ ატყუებენ? როდემდე გაუვათ ეს ზღაპრები?

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ მაინც აცხადებთ, რომ საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი ნატოა. დავუშვათ, რუსეთი დაგვესხა თავს, ნატო-სგან რისი იმედი უნდა გვქონდეს, რით დაგვეხმარებიან? ჩვენს გამო რუსეთთან რომ არ იომებს ნატო, ეს კარგად ვიცი.**

— ალბათ, იარაღით დაგვეხმარება, ფინანსურადაც, ნატო-ს ოფიცრებიც გაუწევენ კონსულტაციას ჩვენს გენერალიტეტს, კიბერუსაფრთხოების კუთხით დაგვეხმარებიან, ნატო-ს სამხედრო დაზვერვა მოგვაწვდის საჭირო ინფორმაციას... 2008 წლის ომის დროს ამ ყველაფერს აკეთებდა

# „ახლა არის ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ლუსტრაციის პერიოდი... ბოლოს და ბოლოს, ხომ მიხვდება ხალხი, რომ ატყუებენ? როდემდე გაუვათ ეს ზღაპრები?“

## „ამათი გადამკიდე, უკვე მრცხვენია, ექსპერტი რომ ვარ“





ეს ადრე იყო და დღემდე გრძელდება.

**— გასაგებია, მაგრამ, მოდით, ჩვენც ადეკვატურად მოვიქცეთ. იმ იმედით და მოლოდინით, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდებოდა, ნატო-ს სამხედრო მისიებში, იმავე ავღანეთსა და ერაყში, ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორები ვიყავით, ჩვენგან ნატო-ს წევრ ქვეყნებზე მეტი ჯარისკაცები იბრძოდნენ, სხვა ხარჯიც ბევრი გავიღეთ ნატოს-ს ეშხით. შევამციროთ ეს ყველაფერი და თუ აღარ გვიღებენ, ამ საჯიშე ბიჭებს ნუღარ ვაგზავნით საზარბაზნე ხორცად სხვის ომებში.**

— გასაგებია, მაგრამ ამ ყველაფერს ისე არ ჩაუვლია, რაღაც მივიღეთ ამის საფასურად, საქართველოს თავდაცვის სისტემის გასაძლიერებლად ნატო-მ ბევრი გაიღო სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა სახით, ნატო-ს დამსახურებაა, რომ დღეს თანამედროვე ჯარი გვყავს და ნორმალური სამხედრო ინფრასტრუქტურა გვაქვს.

**— ამისთვის ძალიან მძიმე საფასური უკვე გავიღეთ და მე იმას ვამბობ, დღეის შემდეგ, როცა გადაწყვეტილია, რომ ნატო-ში აღარ გვიღებენ, ნუ გადავყვებით ამ ნატო-ს, მხოლოდ იმდენი გავიღოთ, რამდენსაც მოგვცემენ. დადგა დრო, თქვენ, ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა, ხალხს სიმართლე უთხრათ. გააგებინოთ, რომ მავანნი ტყუილად აპელირებენ ამ ნატო-თი და ახლო მომავალში არავინ არსად არ მიგვიღებს.**

— მე ყოველთვის სიმართლეს ვეუბნებოდი ხალხს და მაგ შენიშვნას ვერ მივიღებ. საუბედუროდ, დღეს ძალიან მომრავლდნენ „ექსპერტები“ და სწორედ ისინი არიან, ხალხი ტყუილში რომ ჰყავთ, სასურველს რეალობად

**— „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების წარმომადგენლებს გულისხმობთ?**

— აბა, ვის ვგულისხმობ? ჯერ იყო და რუსეთთან ომის, შემდეგ ქვეყანაში ავტოკრატიული რეჟიმის დამყარებით, ნატო-ში გაწევრიენების შანსი გადაუვადეს თუ მინიმუმამდე დაუყვანეს ქვეყანას. ახლა კი ექსპერტების რანგში მართლა თავბრუს ახვევენ ხალხს და ათას ტყუილსა და სისულელეს ეუბნებიან. მაგათ ერთი მიზანი აქვთ, ნატო გამოიყენონ რუსეთთან კონფრონტაციისთვის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მაქსიმალურად დაძაბონ და მერე ამ მღვრიე წყალში დაიჭირონ თევზი.

**— და რა არის ეს თევზი?**

— მინიმუმ, პროდასავლურ, პრონატოურ ძალად წარმოჩინდნენ, რუსეთთან აქტიურ მებრძოლებად და ქვეყნის პატრიოტებად და ამის შესაბამისი მხარდაჭერა მიიღონ ხალხისგან არჩევნებზე და სხვა ვითარებაში.

**— არც ხელისუფლების წარმომადგენლები აკლებენ ხელს, ისინიც ატყუებენ ხალხს, რომ მალე ნატო-ში მიგვიღებენ...**

— ატყუებენ და თავიანთი ნათქვამი დახვდებათ წინ, ამ პოლიტიკოსებს დაუდეთ შემდგომში ეს თავიანთი უსაფუძვლო განცხადებები ჟურნალისტებმა და ამხილეთ ამ ტყუილში, რომ ხალხი აღარ ენდოს მათ. ესენიც არ არიან „ნაციონალებზე“ ნაკლები და ქულების დასაწერად, იმ პროდასავლური იმიჯისთვის სჭირდებათ გამუდმებით იმის ძახილი, რომ 1 თუ 2 წელიწადში ნატო-ში მიგვიღებენ. ახლა არის ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ლუსტრაციის პერიოდი ნატო, ცალკე მისი წევრი ქვეყნებიც გვეხმარებოდნენ, არ დაგვავიწყდეს 4-მილიარდიანი დახმარება ამერიკიდან ომის შემდეგ, ამ თანხის დიდი ნაწილი, მართალია, სააკაშვილის რეჟიმმა შეჭამა კორუფციის გზით, მაგრამ მაინც ამ დახმარებით მოვახერხეთ ომით დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

**— ეს ფინანსური დახმარება, უკან მიდევნებული ლამპარივით იყო და მაგას რა ფასი ჰქონდა? შემოვიდა რუსის ჯარი, დაგვანგრია, დაგვაქცია და მერე იმ დანგრეულის აღსადგენად მოგვცეს ფული. ახლაც, ალბათ, ასე იქნება — თუ რუსეთი გადაგვივლის, მერე მოგვცემენ ფულს, ომის იარები მოიშუშეთო, მანამდე მოგვცენ ეგ მილიარდები, ვიდრე რუსეთი გადაგვივლის.**

— რა გითხრათ, ეგ ჩემი გადასაწყვეტი არ არის, ეს არის რეალური პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა და ნატო-ს წევრი გავლენიანი ქვეყნები საქართველოს მიმართ ახორციელებენ, მილიარდები დღესვე რომ მოგვცენ, ეგ მინდა მეც, მაგრამ ასეა და ამას, ჯერჯერობით, ვერ შევცვლით. თუმცა, ნატო-ს წევრი ქვეყნები არ გვეხმარებიანო, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით.

**— თქვენი ვარაუდით, მაინც უკეთეს შემთხვევაში, რამდენ ხანში შეიძლება მიგვიღონ ნატო-ში?**

— ჩემი ოპტიმისტური ვარაუდით, 2 წელიწადში მაპ-ს მოგვცემს ნატო და შემდეგ 4 წელიწადში კი ალიანსის წევრები გავხდებით. თუმცა, არ დავიჩემებ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა, შესაძლოა, ეს ვადები შეცვალოს...

## Facebook ამბები




ჩიორა თაქთაქიშვილი

იმის მაგივრად, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის დღევანდელი არაფრისმომცემი სისტემა რადიკალურად შეცვალონ, გააუმჯობესონ, უფრო ეფექტური გახადონ, ხანგრძლიობა შეამცირონ და კიდევ უფრო გააფართოვონ (თუნდაც ქალებზეც გავრცელდეს), საერთოდ აუქმებენ. სახელმწიფოს სტრატეგია ოკუპირებულ ქვეყანაში უნდა იყოს ის, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ქონდეს აუცილებელი მინიმალური ცოდნა საკუთარი თავის, ოჯახის, ქალაქის, სოფლის დასაცავად, დაზარალებულების დასახმარებლად.

ზღაპრები იმაზე, რომ ამაზე უკეთეს რამე ახალს შექმნიან, მოუყვნენ კარასინს და პუტინს, თუ მაგრები არიან!

არგუმენტი, რომ ჩვენ ომი არ გვინდა და პაციფისტები უნდა ვიყოთ, რუსეთის მეზობელი და მით უმეტეს, ოკუპირებული ქვეყნისთვის არის უკიდურესი მიამიტობა ან ნებაყოფლობითი უარი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებასა და სუვერენიტეტზე.

თან ეს იგივე მთავრობაა, რომელმაც რუსეთის ჯაშუშები ციხიდან გამოუშვა, გენერალი გიგი კალანდაძე და რუსეთთან ომში გამოჩენილი სამხედრო ელიტა ციხეში ჩასვა, ბაღაფშის და პუტინის მოთხოვნით გაასამართლა ჩვენი სპეც სამსახურების მებრძოლები, ქართული სამხედრო წარმოება გააჩერადა ამის გამკეთებლები დევნილებად აქცია, პაატა ზაქარეიშვილს და ზურაბ აბაშიძეს ჩააბარა რუსებთან ურთიერთობის დალაგება... ამ სიტუაციაში ეს გადაწყვეტილება არ ვიცი სხვა რა არის, თუ არა მტერთან კოლაბორაცია?!!!

გოჩა გაბოძე – სახელმწიფო ყარაულში ყოფნა ვერანაირ სამხედრო ცოდნას ვერ აძლევს ახალგაზრდას და მას მრავალ ზიანს აყენებს პირად კარიერულ თუ ფინანსურ დონეზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ იმაზე რომ 21 საუკუნის უფასო მუშახელად მიიჩნევენ მათ და ცხოვრების საუკეთესო წლებს აკარგვინებენ . რეფორმა რა თქმა უნდა საჭიროა მხოლოდ პროფესიული არმიის. საქართველოში კი იმ ადამიანთა დეფიციტი ვისთვისაც სამხედრო საქმე საამაყო პროფესია იქნება არასოდეს დაილევა. ქალებშიც და კაცებშიც.

ჩიორა თაქთაქიშვილი – გოჩა!! როგორა ხარ?? სწორედ ამიტომ ამ სისტემის რადიკალური რეფორმაა საჭირო, დაცვის სამსახურში ყოფნა სამხედრო სამსახურის ნაცვლად სრული კატასტროფაა, და ხანგრძლიობაც უნდა შემცირდეს მნიშვნელოვნად, რომ ამ მოვალეობის მოხდამ ადამიანს ხელი არ შეუშალოს ან სწავლაში ან პროფესიულ კარიერაში.

## Facebook ამბები




მას შემდეგ რაც გარცელდა ინფორმაცია, რომ ლევან გვაზავს ოქროყანის საქმეზე სასამართლომ 10 ათას ლარიანი გირაო შეუფარდა, მისმა მეუღლემ „ფეისბუქზე“ დაწერა:

ნინო ორდენიძე

არ მეგონა და ძალიან არ მინდოდა იმის დაწერა რასაც ახლა დავწერ, მაგრამ დღეს თავიდან დატრიალდა ჩვენს თავს ის ტრაგედია, რომელიც 9 თვის წინ მოხდა. ეს იყო ტრაგედიათა შორის ყველაზე დიდი ტრაგედია. ძალიან სამწუხარო და მე ვფიქრობ მარაზმული გადაწყვეტილება მიილო ვიღაცამ იმით, რომ ბრალი წარუდგინეს ლევან გვაზავას და დღეს გირაო შეუფარდეს. ყველაზე მდაბიო და უსუსური საქციელია ადამიანის პირადი ტრაგედიით ვაჭრობა! მინდა ყველამ კარგად გაიგოს, ლევანმა თავის თავს იმ წამსვე გამოუტანა განაჩენი და თქვენ ვის ასამართლებთ?! ლევანმა რაც გააკეთა იმას ვერცერთი თქვენთაგანი ვერასოდეს ვერ გააკეთებთ, ვინც ეს მარაზმი მოხარშეთ ვერცერთი თქვენთაგანი ვერ გახდებით არსებებიც კი. ამის გაკეთებას ვაჟკაცობა უნდა, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ. ბედნიერები ხართ დღეს ამ კაცს და მისი ოჯახის წევრებს თავიდან რომ გადაატანინეთ ეს ტრაგედია? მეცოდებით და მებრალებით! ვისი შეშინება გინდათ ამით? სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდით დაფიქრებულიყავით ვის უკეთებდით ამას. ბრავო და ტაში თქვენ!

facebook



**დოდონა კიზირია:**
„ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი, ირაკლი კობახიძე საკმაოდ განათლებული ახალგაზრდაა, თუ მის მონაცემებს დავუჯერებთ. ეს დიდი იშვიათობაა ამ უმთავრესად არაპროფესიული და გაუნათლებელი ავანტიურისტებით დაკომპლექტებულ გუნდში. მაგრამ მისი განცხადებები კაცს აფიქრებინებს, რომ ის მეჭიაურ-ჯაჭვლიანისგან დიდად არ განსხვავდება, ან, რაც უფრო რეალურია, ბორია ივანაშვილს თავ-ფეხიანად ნაყიდი ყავს.

ეს ახალგაზრდა თავის უკანასკნელ გამოსვლაში აცხადებს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც იგი ფაშიტურ პარტიას ადარებს, არის არალეგიტიმური პარტია და არჩევნების შემდეგ მას უნდა ჩაენაცვლოს „ლეგიტიმური ოპოზიციური" პარტია. ამასთან დაკავშირებით მე რამდენიმე შეკითხვა მაქვს:

1.რა სამართლებრივ და კანონის რომელ პარაგრაფებს, რა ფაქტებს, რომელ პოლიტიკურ და სოციოლოგიურ თეორიას ეფუძნება ეს განცხადება? ან უბრალოდ რომ ვთქვათ, რით ამტკიცებს ის მისი განცხადების ჭეშმარიტებას?

2. ხომ არ ნიშნავს - „უნდა ჩაენაცვლოს" - იმას, რომ ხელისუფლება, რომელიც მისი რწმენით ისევ „ქართული ოცნების" ხელში იქნება, თვითონ შექმნის საკუთარ ოპოზიციას? მაგრამ ეს ხომ ხელისუფლებას მორჩილი ფსევდო ოპოზიცია იქნება?

3. ამ ფრაზაში - „უნდა ჩაენაცვლოს" - იგრძნობა მუქარაც და მიზანიც, რომ ენმ, რომელსაც მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტი უჭერს მხარს, იქნება ძალადობრივად აკრძალული. ასე წარმოუდგენია ამ ბიჭუნას ის დემოკრატიული საქართველო, რომელიც მისი მარჩენალის სიტყვებით ევროპასა და მთელ მსოფლიოს გააოცებს?

**ლია ჩხიკვიშვილი:** -ქ-ნო დოდონა! ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, მაგრამ ადამიანი, რომელიც პოლიტიკოსობაზე აცხადებს პრეტენზიას და არ იცის, ან ჰგონია რომ ჩვენ არ ვიცით, რომ ლეგიტიმაციის ერთადერთი წყარო ხალხია, არის ან უსინდისო, ან დეგენერატი, ან უსინდისო დეგენერატი. ასეთი შეძახილები: ჩაუშესკუ და სხვა, ჩვენ უკვე ვისმინეთ 90 ებში. ტერმინებით და ეპითეტებით ეს არაკორექტული ჟონგლიორობა დაბალი დონის მაჩვენებელია და ამას არაფერი ეშველება. მე უფრო ის მწყინს, რომ დღემდე ასეთი არაკორეტულობა ახლავს ნაციონალური მოძრაობის გამონათქვამებსაც, როდესაც არც ერთ გამოსვლაში არ ხდება 1990 წლის არჩევნების შეფასება, როგორც ხავერდოვანი რევოლუციის, თუმცა სოციოლოგიის უმკაცრესი კრიტერიუმებით, სწორედ ეს იყო რევოლუცია, ანუ წყობილების შეცვლა, ხოლო 2003 წლის ვარდების რევოლუცია, მხოლოდ ძალაუფლების სხვა ძალების ხელში გადასხვლა იყო და არა ფორმაციის შეცვლა. დღესაც არაა გამოძიებული 1991 გადატრიალების მნიშვნელოვანი ფაქტები და დღესაც ზედაპირულია შეფასებები, რომ არაფერი ვთავქთ იმაზე რომ ამ გადატრიალების იდეოლოგების და შემსრულებლების არც დასჯილან და არც პანთეონის კედლები დაუტოვებიათ. და ის რომ ახალგაზრდობამ არაფერი იცის 9 აპრილის შესახებ, არის აგრეთვე , მინიმუმ უყურადღებო დამოკიდებულება საკუთარი ისტორიის მიმართ, რაც არ ეპატიება ჩე

მთვის ბევრ რამეში სანიმუშო წინა მთარობას. მაპატიეთ ასეთი დიდი ჩანართი.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



# ჯუმბერ პატიაშვილი: „ზვიად გამსახურდიას არ დაიხოცაო... იგივე უკითხავს ციხიდან

# „ხალხი სულს ღაფავს,





**„ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში რისი დანგრევაცა და გაპარტახებაც შეძლო, ყველაფერი გაანადგურა... იგივე 9 აპრილის ტრაგედია ლიდერებმა სათავისოდ გამოიყენეს, ყველა მათგანმა ცხოვრება მოიწყო"**

**რამდენიმე დღის წინ ჯუმბერ პატიაშვილს ვეწვიე სასაუბროდ. როგორც თავად მიყვება, 1989 წლის შემდეგ საცხოვრებლად მცხეთაში, მიწათმოქმედების ინსტიტუტთან ახლოს გადმოსახლდა. 2013 წელს გამოსცა მოგონებათა წიგნი „ოცდასამი წლის შემდეგ". 1992 წელს წეროვანში სკოლა დააარსა და მას ხშირად სტუმრობს. ბავშვებს ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებსაც ვუწყობო, ამბობს. ცოტა ხნის წინ გურამ დოჩანაშვილი მყავდა მოწვეულიო. — მოკლედ რომ გითხრათ, „აქტიური პენსიონერის" ცხოვრებას ვეწევი. იმედი მაქვს, მოვესწრები იმ დროს, როდესაც ჩემს ქვეყანას აღმავლობის დრო დაუდგებაო, ამბობს „ალიასთან" საუბარში ჯუმბერ პატიაშვილი და იმ პერიოდს იხსენებს, შევარდნაძემ არჩევნები რომ მოუგო.**

– 1995 წლის არჩევნები დიდი უპირატესობით მოვიგე. მახსოვს, ჩემი საარჩევნო ჯგუფის მონაცემებით, ქვეყანაში 65 პროცენტი დავაგროვე. სამწუხაროდ, არჩევნების გაყალბების ისეთმა „სპეციალისტებმა", როგორებიც ზურაბ ჟვანია, ხათუნა გოგორიშვილი და სხვები იყვნენ, შრომა და ხალხის სიყვარული წყალში ჩამიყარეს და მხოლოდ ოცი პროცენტი მარგუნეს. რასაკვირველია, ყოველივე ეს ოფიციალურად გავაპროტესტე, მაგრამ სამართალს დღემდე ვერ მივაღწიე. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სწორედ 1995 წელს ჩაეყარა საფუძველი ქვეყნისთვის ისეთ დამანგრეველ სისტემას, როგორიც არჩევნების გაყალბების მექანიზმია. ეს ტრადიცია დღემდე მოდის და საქართველოში ჯერ თავისუფალი, ხალხის ნების გამომხატველი არჩევნები არ ჩატარებულა. შედეგად მივიღეთ ის უმძიმესი მდგომარეობა რაც დღევანდელ საქართველოშია.

**— არჩევნების გაყალბების საშიშროება დღესაც არსებობს?**

– ამ „საქმის სპეციალისტები" ისევ არსებობენ. საქართველოში „გაყალბების ხელოვნებამ" მაღალ პროფესიულ დონეს მიაღწია. არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლების სათავეში რა ძალები იმყოფებიან. მეტიც, არჩევნებში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება მაქვს და წინასწარ შემიძლია ამა თუ იმ რეგიონში მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება. ჩვენი ქვეყანა ისე ვერ განვითარდება, ამ მავნე სენს თუ არ ვებრძოლეთ, არ აქვს მნიშვნელობა, ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნება" იქნება, „ნაციონალური მოძრაობა" თუ სხვა პარტია.

**— ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობააო, ამბობთ. კონკრეტულად, რა არ მოგწონთ?**

– მიგაჩნიათ, რომ საქართველო ნორმალურად ვითარდება? არც ერთ სფეროში წარმატებები არ გვაქვს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი გახლავართ და ამ სფეროში გარკვეულწილად ჩახედული ვარ. გაიხსენეთ, ბოლო წლების განმავლობაში ამჟამინდელი მთავრობისა და პარლამენტის წევრები სოფლებში თუ ჩასულან და ხალხს თუ დალაპარაკებიან. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტს ვერ მომიყვანთ. კი, არის ერთეული შემთხვევები, მაგრამ მათ პიარაქციების სახე აქვს და პრობლემების გადაჭრას არ ემსახურება. არის ლაპარაკი, რომ გლეხებისთვის შეღავათიანი კრედიტებია გამოყოფილი, მაგრამ შედეგი? სოფლები დაცარიელებულია და ხალხი სულს ღაფავს. თუ ქვეყნის წინსვლა გვსურს, უპირველეს ყოვლისა, სოფელი უნდა ავაღორძინოთ. ამ ხალხს ილია ჭავჭავაძე, ალბათ, წაკითხული არა აქვს. გაეცნონ მის ნაწერებს და პასუხს ბევრ კითხვაზე მიიღებენ. სოფლის მეურნეობას თავი დავანებოთ. „ნაციონალურ მოძრაობაზე" საუბარი არ მაქვს. იგივე „ქართული ოცნების" მმართველობისას რამდენი ახალი საწარმო გაიხსნა? ციფრის დასახელება გაგიჭირდებათ. ამის თავი და თავი ის გახლავთ, რომ როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტში სერიოზული მუშაობა არ მიდის და „ხალხის რჩეულები" დროს ფუჭ ლაპარაკსა და არაფრისმომცემი პროექტების დამტკიცებაში ატარებენ.

**— პარლამენტარებს კონკრეტულად რას უწუნებთ, რა არ მოგწონთ?**

– გადახედეთ ჩვენი დეპუტატების უმრავლესობას. უმეტესობას შრომითი სტაჟი საერთოდ არ აქვს. მეტიც, პიროვნულად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რა უნდა პარლამენტში თუნდაც იმ ახალგაზრდა ქალიშვილს, „ნაციონალური მოძრაობის" სიით რომ მოხვდა. მარიამ ქაჯაიაზე მაქვს საუბარი. კარგი გოგონაა, მაგრამ პარლამენტში მისი ადგილი ჯერ არ არის. აშშში იყო სასწავლებლად წასული და პარლამენტარის ხელფასი მაინც ერიცხებოდა. ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოში ასეთი ადამიანები ხვდებიან. კიდევ ერთს გკითხავთ. ყოველდღე ტელეეკრანებიდან სხვადასხვა დარგის ე.წ. ექსპერტები ქვეყნის განვითარებაზე ბჭობენ და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ. ამ „ექსპერტებს" ამ დარგებთან რაიმე შეხება აქვთ? ერთი-ორი წიგნი წაიკითხეს და თავი სპეციალისტებად მოაქვთ. საქართველოს პარლამენტი, უპირველეს ყოვლისა, მცოდნე ხალხით უნდა დაკომპლექტდეს და არა ისე, როგორც დღეს ხდება. ახლა ამბობენ, მომავალი არჩევნებისთვის ასპარეზზე ახალი სახეები გამოჩნდებიანო. რა ახალი სახეები? საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთმანეთის

## » პოლიტიკოსი პენსიაზე

შესახებ ყველამ ყველაფერი ვიცით. თავის დროზე ახალი სახეები შევარდნაძემაც მოიყვანა. გაიხსენეთ მიხეილ სააკაშვილმა და იმ სხვა „ახლებმა" ჩვენი ქვეყანა რა დღეში ჩააგდეს. ერთი წინადადება მაქვს, მაგრამ ვეჭვობ, ეს მოსაზრება ქვეყნის მმართველმა ძალებმა გაიზიარონ. ვთვლი, რომ მომავალ პარლამენტარებს ხელფასად თავიანთი ბოლო სამი წლის განმავლობაში გამომუშავებული ანაზღაურების საშუალო თანხა უნდა დაენიშნოთ... კითხვაც მაქვს. როდის ჩატარდა მოსახლეობის აღწერა საქართველოში უკანასკნელად და დღეს რეალურად რამდენი ადამიანი ცხოვრობს ქვეყანაში? ვერ მიპასუხებთ. რა არჩევნებზეა საუბარი, როდესაც ამომრჩეველთა რაოდენობა უცნობია და ამ ფაქტორს, ვისაც უნდა, თავის სასარგებლოდ ისე დაატრიალებს. მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ბოლოდროინდელი დაპირისპირება გავიხსენოთ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი დალაგებული არ არის... ახლა გაიძახიან, ნატოში შესვლა გვინდაო, ევროპასა და მსოფლიოს ვუახლოვდებითო. ერთი მითხარით, ნატო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარება? ევროპა ან აშშ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაგვიბრუნებს? მე არავისი მჯერა. პირიქით, მეჩვენება, რომ მავანისა და მავანის მიერ ამ საჭირბოროტო თემის მივიწყების მცდელობა მიმდინარეობს. მხარში ამოვუდგები მათ, ვინც დაკარგული ტერიტორიების აღდგენის საქმეში გვერდით დაგვიდგება.

**— თქვენი მმართველობისას რა იყო**

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook




facebook

**მეგი გოცირიძე** ბასილ მკალავიშვილის განცხადებას - „17-ი მაისისთვის ევროპიდან 1000 "ჰომოსექუალისტი" ჩამოჰყავთ !" – ასე ეხმაურება:

– ბასილჯან, რა თავში ვიხლით 1000 ევროპელ "ჰომოსექსუალისტი"-ს , როცა ჩვენ გვყავს ათჯერ ათასზე მეტი, თუ ძალიან მოინდომებ და რამე შპს "წვერი"-ს ან "ტაბურეტი"-ს დააფუძნებ, ევროპაში ექსპორტზეც გაიყვან.

**ნანა ბიჩიკაშვილი:** რა გაახურეს რა მართლა საქმე .....ევროპის დონის ქვეყანა იყვეს საქართველო არ უნდათ? უამრავი ხალხი სიღარიბის ზღვარზეა .სიკვდილი მკვლელობა ცალკე. ვინ ეპარებათ უკნიდან მართლა ვერ გამიგია რააააააააააააა

**ისეთი, რაც ახლაც გამოდგებოდა?**

– ვიცი, არაერთი ოპონენტი გამოჩნდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაშინ ქვეყანა ვითარდებოდა და საქმეც კეთდებოდა. კომუნისტები კი ვიყავით, მაგრამ არ შეიძლებოდა, კომუნისტები ქართველები და თან პატრიოტები ვყოფილიყავით? ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ქვეყნის განვითარების სწორი გზა გვქონდა არჩეული. საქართველოს პირველი პირი გახლდით და არაერთ საჭირო ინფორმაციას ვფლობდი. ვიცოდით, მატებულ ქვეყნებად ითვლებიან. ამ დროს ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში რისი დანგრევაცა და გაპარტახებაც შეძლო, ყველაფერი გაანადგურა. იგივე 9 აპრილის ტრაგედია ავიღოთ. ღირდა კი ამდენი სისხლის ფასად ის აქცია?

დღემდე მსაყვედურობენ, რომ ტრაგედიის თავიდან აცილება ვერ მოვახერხე. ამბობენ იმასაც, რომ ხალხში უნდა ჩავსულიყავი და მიტინგის დაშლისთვის მომეწოდებინა. პატრიარქს არ დაუჯერეს. ბატონი რეზო ჩხეიძე გახლდათ ეროვნული საკუთარი კეთილდღეობა აწუხებდათ. 9 აპრილის შემდეგ თითქმის ყველა მათგანმა ცხოვრება, გინდა მატერიალური, გინდა პოლიტიკური მოღვაწეობის კუთხით, შესანიშნავად მოიწყო. რასაკვირველია, იყო გამონაკლისიც, მერაბ კოსტავას სახით, რომელიც უპატიოსნესი ადამიანი გახლდათ და ბინძურ თამაშებში არ მონაწილეობდა. იგივე ჭანტურია, სარიშვილი, წერეთელი და სხვები ციხეშიც იჯდნენ, მაგრამ ეს, ალბათ, გარკვეულწილად სჭირდებოდათ კიდეც. გამოვიდნენ გარეთ და მათმა

**»» პოლიტიკოსი პენსიაზე**

საქართველო ამჟამინდელ მძიმე ყოფამდე მიიყვანა. არ არის შეფასებული 9 აპრილის ტრაგედია. მეტყვით, სობჩაკის დასკვნა რა იყოო. საქმე ისაა, რომ სობჩაკმა მე, ამ მოვლენებისდროინდელ რესპუბლიკის პირველ პირსა და იმ ტრაგედიის უშუალო თვითმხილველს, ჩვენება არ ჩამომართვა. საქართველოში ერთი კვირით გახლდათ ჩამოსული და დროის მეტ ნაწილს ექსკურსიებზე ატარებდა. არ არის შეფასებული ეროვნული

# სინანული გამოუთქვამს, 9 აპრილს რატომ მეტი განთავისუფლებულ ირაკლი წერეთელსაც“

# ქვეყანა უფსკრულში მიექანება“





**„რამდენიმე წლის წინათ დიდი ხმაური იყო, ბიძინა ივანიშვილმა 500 ტრაქტორი შემოიყვანაო. რა 500 ტრაქტორი. წინა საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს საქართველოში 30 ათასი ტრაქტორი იყო. სად გაქრა?“**

რომ საბჭოთა კავშირი დაშლისკენ მიექანებოდა. ამისთვის ვემზადებოდით კიდეც. იგივე მეცნიერებათა აკადემიაში არაერთი სემინარი გაიმართა, სადაც საქართველოს მომავალი განვითარების პროექტები იხილებოდა. ეს შეეხებოდა როგორც ეკონომიკას, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობასაც. საბჭოთა კავშირის დროს საქართველო აყვავებული და წარმატებული ქვეყანა გახლდათ. იმპერია ინგრეოდა. საჭირო იყო ჩვენს ხელში არსებული სიმდიდრეების უცვლელად შენარჩუნება. მაგალითს მოგიყვანთ. რამდენიმე წლის წინათ დიდი ხმაური იყო, ბიძინა ივანიშვილმა 500 ტრაქტორი შემოიყვანაო. რა 500 ტრაქტორი. წინა საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს საქართველოში 30 ათასი ტრაქტორი იყო. სად გაქრა? სად და ჩალის ფასად გაიყიდა. დღეს რომ ხალხი მასობრივად უმუშევარია, რამდენი ფაბრიკა-ქარხანა გვქონდა? გაპარტახდა ყველაფერი. გაიხსენეთ იგივე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითი. მართალია, კრემლმა ამ ქვეყნების დედაქალაქებში ჯარები შეიყვანა, მაგრამ დამოუკიდებლობას ნაკლები სისხლის ფასად მიაღწიეს. ეკონომიკაც შეინარჩუნეს და დღესდღეობით წარმოძრაობის ლიდერებთან მოსალაპარაკებლად წასული და მასაც არ დაუჯერეს და ჩემს სიტყვას ენდობოდნენ? სამაგიეროდ ტრაგედიის მეორე დღესვე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე და თანამდებობიდან გადავდექი. გაგახსენებთ. 9 აპრილის ტრაგედიის წინაპირობა ლიხნის მოვლენები გახლდათ. ჩასული ვიყავი აფხაზეთში, იმდროინდელი მათი ხელმძღვანელი ადლეიბა თანამდებობიდან მოვხსენი და მდგომარეობის სტაბილიზებას მივაღწიე. მართალია, კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ვიყავი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ქართველი გახლდით. ამის შემდეგ ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ლოზუნგი შეცვალეს და საქართველოს სსრკ-დან გამოყოფა მოითხოვეს. ამასთან ერთად, მოლაპარაკება უშუალოდ კრემლის წარმომადგენელთან მოისურვეს. იმ დროს ამაზე დიდი აბსურდი არ არსებობდა. გითხარით, საბჭოთა კავშირი მაინც იშლებოდა და უახლოეს წლებში დამოუკიდებლობა მაინც არ აგვცდებოდა. ერთსაც დავამატებდი. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, პირველ რიგში, პოპულარობამ მკვეთრად აიწია. დარწმუნებული ვარ, ეროვნული მოძრაობა გარედან იმართებოდა. ამასვე ვიტყვი 9 აპრილის ტრაგედიაზეც. ერთი მხრივ, იმ დროს მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე გრძელვადიანი პერსპექტივით საქართველოში დასაბრუნებლად ემზადებოდა. მეორე მხრივ, კრემლსა და სუკ-ს თავისი ინტერესები ჰქონდა. მესამე მხრივ, ეროვნული მოძრაობა და მათი ლიდერები აღზევდნენ, რაც მალევე დაგვირგვინდა კიდეც მათი ხელისუფლებაში მოსვლით. თვითმხილველთა გადმოცემით ზვიად გამსახურდიას სინანული გამოუთქვამს, 9 აპრილს რატომ მეტი არ დაიხოცაო. იგივე უკითხავს ციხიდან განთავისუფლებულ ირაკლი წერეთელსაც. ეროვნული მოძრაობა და 9 აპრილის ტრაგედია ერთი დიდი გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც მავანმა და მავანმა შეადგინა, განახორციელა და მოგვიანებით საქართველო უმძიმეს მდგომარეობამდე მიიყვანა. ნება მომეცით, ერთი გულისტკივილიც გაგიზიაროთ... ჩემი აზრით, დღემდე არ არის სწორად შეფასებული იმ მოვლენათა ჯაჭვი, რომელმაც მოძრაობის მოქმედებები. გააპარტახეს საათივით აწყობილი ქვეყანა და ეკონომიკაც დაასამარეს. არ არის შეფასებული თბილისის ომი, როდესაც ერთმანეთს ისევ და ისევ ეროვნული მოძრაობიდან გამოსული ლიდერები დაუპირისპირდნენ. არ არის შეფასებული ედუარდ შევარდნაძის ხანგრძლივი მოღვაწეობა და ის გაყალბებული არჩევნები, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული, არ არის შეფასებული „ნაციონალური მოძრაობის“ აღზევებაც, რომელმაც ქვეყანა კიდევ უკან დასწია, არ არის შეფასებული რუსეთ-საქართველოს ომიც. სანამ უახლესი ისტორიის სწორად გაზიარებას არ ვისწავლით არაფერი გვეშველება. კიდევ ერთი სატკივარი მაქვს. მიდის განუწყვეტელი საუბრები საქართველოს მომავალი განვითარების შესახებ. აგერ ნატო გადაგვარჩენს, ევროკავშირი, აშშ, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები შემოვა, საზღვარგარეთელი ექსპერტები დაგვეხმარებიან და ა.შ. რა ექსპერტები და რა ევროკავშირი. საქართველომ დღემდე მამათა და პაპათა საუკუნეების განმავლობაში აპრობირებული გამოცდილებით მოაღწია და ამ საუნჯეს საბოლოოდ ვკარგავთ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა უფსკრულში გადაიჩეხება.





**დაჩი ცაგურია:**

სად არიან ზაპადნიკები? კანდელაკის გამოსვლა და ღია საჯარო მონდომება როგორმე ვიზალიბერალიზაციის პროცესი გააჩეროს ჯერ არ უნახავთ? პროტესტი არ აქვთ ნაცმოძის მიერ პირდაპირ ვიზალიბერალიზაციის პროცეზე მიტანილ იერიშზე? მე მეძახდნენ კრემლის აგენტს, ამ ხელოსუფლებას აბრალებენ რუსეთისკენ მიდისო და კანდელაკის გარჯას ვერ ხედავენ? ფაქტია რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს როგორმე უვიზო მიმოსვლა მოიპოვოს "პროდასავლური" ნაცმოძი ყვლაფერს აკეთებს რომ ხელი შეუშალოს და საზოგადოება რომელიც დეკლარირებულად აცხადებს არის მედასავლეთე კანდელაკის ნაძირლობებს არ იმჩნევს? მე პირადად სადმე რომ გადამეყაროს ბატონი ამაოხრებელი გზირი იმის გამო რაც მან იკადრა შეიძლება თავი ვერ შევიკავო და "არაევროპულად" მოვექცე...





**ირინა სარიშვილი:**

არნახული გნიასია ამ მთავრობის მიერ დაქირავებულ ფეისბუკსპეცრაზმელთა და მიშას ჯინაზე ღლეების ბანაკში სააგენტოების საიტებზე გამოქვეყნებულ ჩემს ბოლო სტატუსებთან დაკავშირებით.

რა არ მოვისმინე თუ წავიკითხე თურმე ეს ჩემი წერილები ნაცების "გაპრავება" ყოფილა, ან ანაზღაურების, ან შანტაჟის გამო . და რითი მაშანტაჟებენ თურმე ნაცები, არ გაინტერესებთ? ჩემზე გადაღებული ბევრკილომეტრიანი ფარული ვიდეო—ჩანაწერებით»

განსაკუთრებით გამჭრიახებმა და მრავალსვლიანი კომბინაციის "დიდოსტატებმა" კი ორი კურდღლის დაჭერა მოინდომეს: სარიშვილი კი "აპრავებს" ხუთიანზე, მაგრამ მაგის "გასაპრავებელი" რო გახდებით ნაცებო და თან რომ მოუწონებთ, თავმოყვარეობა არ გაქვთო ნაცებს აგდებენ რა ჩემს წინააღმდეგ .

როგორი ტვინდაბრეცილი ან უბრალოდ, მსუნაგი უნდა იყო, რომ ჩემს ამ წერილებში ვინმეს "გაპრავების" სურვილი დაინახო!

ან მე გეგონო ფარული ჩანაწერებით დაშანტაჟებული, თან ნაცების მიერ

და სხვა თუ არაფერი შენს თავში არ შედის, იმას მაინც ვერ მიხვდე, რომ ეს სტატუსები შენს შვილებზეა!!!

არც ნაცებს და არც არავის ჩემი "გაპრავება" არ სჭირდება, მაგრამ აი თქვენ, არაფრის და არავის გაგება რომ არ გინდათ და საკუთარ შვილებსაც არ უსმენთ, თქვენ კი ნამდვილად დაგჭირდებათ რაღაც დროის მერე თქვენს საკუთარ შვილებთან "გაპრავება", ვინც გადაგირჩებათ, რა თქმა უნდა! ხოდა რაკი ასეთი მაღალი შეფასება მაქვს თქვენგან, არ მოგერიდოთ, დამიძახეთ და "გაგაპრავებთ"! საკუთარ შვილებთან!

**ჯიმო აბაშიძე** – მე ასე მგონია: აბსოლუტურად დამოუკიდებელი თუ თავისუფალი არავინ არ არის ამ დუნიაზე. ხო, ასეთი მხოლოდ გარდაცვლილია ალბათ: არავის არ უსმენს, არავის ჭკუაზე არ დადის. აი მე მაგალითად ძალიან არ მინდა დავალაიქო ირინა საირიშვილის პოსტები, მაგრამ ნათქვამით თუ ნაწერით "ძალადობს" ჩემზე და "იძულებულს მხდის" არამხოლოდ დავალაიქო, გავიზიარო კიდეც. ხოდა ქ-ნ ირინა, თუ ვინმეზე რამეს წერთ, ალბათ "გაიძულა" რაღაცით იმან, ან კარგის დაწერა, ან ცუდის. არ ხართ დამოუკიდებელი ქ-ნ ირინა და ნუ დაიწყებთ საწინააღმდეგოს მტკიცებას...

ირინა სარიშვილი – მე ნამდვილად არავის და მათ შორის არც თქვენ, რომელზეც "ვძალადობ" არაფერს არ გიმტკიცებთ , ასე გააგრძელეთ.

პროცესი

# ვინ „პატრონობს“ გარემოვაჭრეებს, ვის უხდიან ისინი „შავ ფულს“ და რატომ დაუპირისპირდნენ მათ ჩვეულებრივი მოვაჭრეები?

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



„დეზერტირების“ ბაზართან ერთმანეთს გარევაჭრობის მომხრეები და მოწინააღმდეგეები დაუპირისპირდნენ: გარემოვაჭრეები – პოზიციების შენარჩუნებას, მათი მოწინააღმდეგეები კი გარევაჭრობის აკრძალვას ითხოვდნენ. მოვაჭრეებმა გზის გადაკეტვა სცადეს, რაც აქციის რამდენიმე მონაწილის დაკავებით დასრულდა. საპატრულო ეკიპაჟმა მათ ამ ტერიტორიაზე ვაჭრობა აუკრძალა. დაკავების დროს ერთ-ერთ ქალბატონს გული წაუვიდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. გარემოვაჭრეები ბაზრის დირექტორს ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ ისინი ბაზრის დირექტორის ბრძანებით დაარბიეს. გარემოვაჭრეების პროტესტი კი საგადასახადო კოდექსის ცვლილებასაც უკავშირდება, რომელიც, ერთი შეხედვით, რედაქციული შესწორებაა, თუმცა ამ ცვლილებამ თბილისის ბაზრობებზე მოვაჭრეების უკმაყოფილება გამოიწვია. გარემოვაჭრეები აცხადებენ, რომ, თუ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნა მათაც შეეხება, მაშინ ამ მოთხოვნას არ დაემორჩილებიან. კოდექსის მიხედვით კი, სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირებს, მაქსიმუმ 5-ათასლარიანი ჯარიმა დაეკისრებათ, თუ არასაცალო პროდუქციის რეალიზებას ე.წ. სასაქონლო ზედნადების გარეშე განახორციელებენ.

არადა, გარევაჭრობა ყველა ხელისუფლების თავსატეხი იყო. ტროტუარებსა თუ მეტროს შესასვლელში სახელდახელოდ მოწყობილი სავაჭრო დახლები გამვლელს პრობლემას უქმნის. პრაქტიკულად, თბილისი გარევაჭრობამ წალეკა. ამას ემატება დანაგვიანებული ქუჩები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთ დიდ ნაგვის ქალაქში ვცხოვრობთ. თუმცა, მედალს ორი მხარე აქვს. ქვეყანაში, სადაც კატასტროფული სიღარიბეა, უმუშევრობა და შიმშილია, სადაც ლარი უფასურდება და ბანკები კრედიტორებს სესხებს უძვირებენ, შეიძლება ითქვას, რომ გარემოვაჭრეებისთვის ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვით, პრაქტიკულად, არსებობის უკანასკნელ საშუალებას ათობით ათას ადამიანს ართმევენ.

გარემოვაჭრეები ქუჩის დატოვებას არ აპირებენ. ახლა გარემოვაჭრეებს მოვაჭრეებიც დაუპირისპირდნენ, რადგანაც ისინი იმავე პროდუქციას ყიდიან და ამბობენ, რომ, გარემოვაჭრეებისგან განსხვავებით, მათ მაღალი საგადასახადო ვალდებულება აქვთ და კონკურენციას ვერ უძლებენ.

არავინ დაობს იმაზე, რომ გარევაჭრობა მართლაც უნდა აიკრძალოს, მაგრამ ხელისუფლებამ სანაცვლოდ გარემოვაჭრეებს სხვა ალტერნატივა უნდა შესთავაზოს. სამწუხაროდ, უკვე წლებია ასეთ ალტერნატივას მათ არავინ სთავაზობთ. ადამიანებს კი არსებობა უნდათ – მათ უკან, სულ ცოტა, 3-4 ადამიანი მაინც დგას. გარემოვაჭრეების თქმით, შიგნით ბაზარში კლიენტი ნაკლებად შედის, ამიტომ გარეთ ვაჭრობას ამჯობინებენ. იქვე დასძენენ, რომ ბაზარში ადგილის გადასახადი საკმაოდ ძვირია, შეიძლება მთელი დღის მანძილზე ვერ ივაჭრონ და გადახდილი თანხაც დაკარგონ.

მოკლედ, გარემოვაჭრეები შენობებში შესვლაზე უარს აცხადებენ...

**„ალია“ ორ დაპირისპირებულ მხარეს –– მოვაჭრეებსა და გარემოვაჭრეებს ესაუბრა:**

**ვიოლეტა დიხამინჯია, მოვაჭრე:**

– ჩვენ ვართ ბაზრობებზე მომუშავე ხალხი, აქ შეკრებილები ვართ რამდენიმე ბაზრობიდან... ყველანი მოვითხოვთ გარევაჭრობის აკრძალვას. გარემოვაჭრეების ნახევარს ადგილებიც აქვს, სულ რამდენიმე ადამიანი იქნება, ვისაც ადგილი არ აქვს ბაზრობაზე... ისედაც, აი, გაივლი ქალაქში და ნახავ – ქალაქი ნაგვის ბუდედაა ქცეული...

**ციცი ტაბახმელაშვილი, მოვაჭრე:**

– ჩვენც ბანკის ვალი გვაქვს გადასახდელი, ჩეკს ვერ ვიხდით... მათ ბაზრობებზეც აქვთ ადგილი და გარეთაც ვაჭრობენ... ჩვენც გაჭირვებულ დღეში ვართ...

**ლილი ვ., გარემოვაჭრე:**

– სამი ბანკიდან მაქვს ფული გამოტანილი, სახლი დამეწვა, 4 შვილი მყავს, ერთი ავადმყოფია, ვაჭრობისთვის ერთ კაპიკს არ გადავიხდი. შიგნით რომ დავჯდე, პურის ფულიც არ დამრჩება, რომ ბავშვებს ვაჭამო. ბაზარში კლიენტი ნაკლებად შედის, ამიტომ გარეთ ვაჭრობით ცოტაოდენი თანხა მაინც მრჩება, ბაზარში ადგილის გადასახადი საკმაოდ ძვირია, შეიძლება მთელი დღე იდგე და ვერაფერი ივაჭრო და გადასახადში გადახდილი თანხაც დაკარგო, მე შენობაში არ შევალ.

**ნათელა სამხარაძე, გარემოვაჭრე:**

– აქ, ამ ტერიტორიაზე, სულ 5-6 ადამიანი ვვაჭრობთ, ვერ შევძელით ბაზრის ტერიტორიაზე დადგომა და დიდი გადასახადების გადახდა. სწორედ ამიტომ გვაწიოკებენ ასე ხშირად. ამ ადგილის გვერდით, სადაც ჩვენ ვდგავართ, სასურსათო მაღაზიებია, რომლებსაც პროდუქცია გარეთაც აქვთ, მაგრამ მათ ხმას არავინ სცემთ. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი ავტოსადგომია, სადაც ჩვეულებრივ დგანან გარემოვაჭრეები და არც მათ ერჩიან. ალბათ, იმიტომ, რომ ეს ადგილები გაყიდულია – ისინი ბაზრის დირექტორს ფულს უხდიან. მართლა რომ არ გვიჭირდეს, ამ სიბინძურეში აქ დავდგებოდით? დღეში იმდენი გვრჩება, რომ საღამოს სახლში პური და მინიმალური საჭმელი მივიტანოთ. არავის ვაწუხებთ, არავის კონკურენციას არ ვუწევთ, ბაზარი საერთოა და ვისაც სად უნდა, იქ იყიდის სასურველ პროდუქტს. მოგვეცენ საშუალება, რომ ჩვენც ჩვენი პროდუქტი გავყიდოთ.

**თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ლექვინაძე კონსულტაციების რეჟიმზე ლაპარაკობს და მიზნად კონკურენტული გარემოს შექმნას ასახელებს:**

– ჩვენ დამუშავებული გვაქვს გარევაჭრობის ახალი წესი, რომელიც გულისხმობს თბილისის გარკვეულ არეალებში პროდუქციის გარკვეულ სახეობებზე მოწესრიგებულ და შედარებით ორგანიზებულ ვაჭრობას. რადგანაც ეს ადამიანები დღეს დგანან ქუჩაში, ჩვენი ინფორმაციით, ოფიციალურად – არა, მაგრამ არაოფიციალურად შეიძლება მათი იქ დგომა გარკვეულ თანხებთან იყოს დაკავშირებული, ეს (ახალი არეალები), რა თქმა უნდა, მათთვის იქნება ისეთი არეალები, სადაც ისინი შეძლებენ, ყოველგვარი გადასახადების გარეშე, თავიანთი ვაჭრობის შესაძლებლობების ზრდას. ეს შეიძლება არ იყოს ის ადგილები, სადაც ისინი დგანან, მაგრამ იყოს ის ადგილები, რომლებსაც, თუნდაც, ბაზრობის ხელმძღვანელობა გამოათავისუფლებს მათთვის, არის გარკვეული საკითხები, რომლებიც უფრო მეტ დამუშავებას ითხოვს – ასეთია დედაქალაქის ვიცე-მერის ოფიციალური პასუხი.

**„ალიასთან“ საუბარში მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მადონა კოიძე აცხადებს, რომ გარევაჭრობიდან ამოღებული „შავი ფული“ ვიღაცების ჯიბეებში ილექება, განმკითხავი კი არავინაა. საბოლოოდ ზარალდება ხალხი, რომელიც ქუჩაში ნაყიდი პროდუქციისგან ავადდება.**

– ვინაიდან სურსათის ეროვნული სააგენტო გარევაჭრობას არ აკონტროლებს, ეს კანონდარღვევაა. გარევაჭრობა კანონით აკრძალულია, მით უმეტეს, რომ პროდუქტის შენახვის პირობები დარღვეულია, მისი ქუჩაში გაყიდვა ყოვლად დაუშვებელია. ამ დროს ათასობით მომხმარებლის ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დგება.

**–– გარემოვაჭრეები აცხადებენ, რომ ბაზარში არ შეუძლიათ გადასახადის გადახდა.**

– სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს იმაზე, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობა, თუ 2-3 ათასი მოვაჭრის ახირება? თავად გახლდით იმ შეხვედრაზე, რომელიც მერიის ინიციატივით შედგა. შეხვედრას გამგებლები და ბაზრის დირექტორები ესწრებოდნენ, სადაც ბაზრის დირექტორებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ 4 თვის განმავლობაში გარემოვაჭრეებს თანხას ბაზარში არ გადაახდევინებენ.

**–– მაშინ გარემოვაჭრეები ბაზრებში რატომ არ შედიან?**

– ეს არ გახლავთ სოციალურად დუხჭირი ადამიანების პრობლემა, არამედ გარემოვაჭრეები ამით ბიზნესს აკეთებენ. მერწმუნეთ, რომ ეს არავისთვის არ არის დამალული. არიან ადამიანები, რომლებიც ქუჩაში თვითნებურად დგანან და როგორც პარკირების დროს ეხმარებიან მძღოლებს ავტოსადგომზე შესვლა-გამოსვლაში, ისევე არიან პირები, რომლებიც გარემოვაჭრეებისგან ფულს კრებენ, რაც, ფაქტობრივად, დამალული თანხებია.

**–– ეს მერიასთან შეთანხმებით ხდება?**

– არა, რა თქმა უნდა, ეს ილექება გარკვეული პირების ჯიბეში.

**–– ვის ჯიბეში, ბაზრის დირექტორების?**

– ბაზრის დირექტორების ჯიბეში როგორ წავა?

**–– კონკრეტულად ვის ჯიბეში?**

– სტადიონის წინ არის ავტოსადგომი, სადაც მანქანების დროებითი სადგომია, იქ ე.წ. „სტაიანშიკები“ ფულს კრებენ.

**–– მაგრამ ეს ფული სადღაც ხომ შედის, ვიღაცასთან ხომ მიაქვთ?**

– თქვენ თვითონ გაესაუბრეთ გარემოვაჭრეებს და გეტყვიან, გარეთ ადგილების ფასი 2-3 ლარამდე მერყეობს.

**–– მერე ვის უხდიან, მერიას თუ გამგეობას?**

– არც მერიას უხდიან, არც გამგეობას, მე თქვენ გიყვებით სიტუაციას, „დეზერტირების“ ბაზრის წინ გაჩაღებულია უკონტროლო გარევაჭრობა, სადაც ყოველდღიურად ფულს იხდიან, რომელიც მიდის კონკრეტული პირების ჯიბეში...

**–– ვინ არიან ეს კონკრეტული პირები?**

– ისინი არიან ავტოსადგომის მფლობელები.

**მოკლედ, ძნელი მისახვედრი არაა, რასთან გვაქვს საქმე. გარევაჭრობასაც ჰყავს „პატრონი“. მათგან ამოღებული „შავი ფული“ კი, ბაზრის დირექტორების გავლით, სავარაუდოდ, მავანი ჩინოვნიკების ჯიბეში ილექება... ხმამაღლა კი ამაზე საუბარი ჯერ არავის სურს, რადგან გარევაჭრობა მავანი ჩინოვნიკებისთვის ფულის კეთების საუკეთესო ადგილია. არჩევნების დროს კი, გარემოვაჭრეები მთავრობისთვის სასურველი ელექტორატია...**








**„სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს იმაზე, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობა, თუ 2-3 ათასი მოვაჭრის ახირება?“**

**„ეს ადგილები გაყიდულია — ისინი ბაზრის დირექტორს ფულს უხდიან. მართლა რომ არ გვიჭირდეს, ამ სიბინძურეში აქ დავდგებოდით?“**

**„არიან ადამიანები, რომლებიც ქუჩაში თვითნებურად დგანან და როგორც პარკირების დროს ეხმარებიან მძღოლებს ავტოსადგომზე შესვლა-გამოსვლაში, ისევე არიან პირები, რომლებიც გარემოვაჭრეებისგან ფულს კრებენ, რაც, ფაქტობრივად, დამალული თანხებია“**






*მსახიობი პაატა გულიაშვილი მხიარული ადამიანია. საქართველოში ანეკდოტებისა და სახალისო ისტორიების „მცოდნეებს“ რა გამოლევს, მაგრამ პაატა ამათგან მაინც გამორჩეულია. მშობლიურ თელავზე უზომოდ შეყვარებულ მსახიობს თავისი კუთხისთვის დამახასიათებელი პირდაპირობაც ახასიათებს. საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს და მის „კლანჭებში“ ახლობელ-მეგობრები „ეხვევიან“. პაატა გულიაშვილი დღეს ჩვენი სტუმარია და „ალიას“ მკითხველებისთვის რამდენიმე „თელავურ ამბავს“ გაიხსენებს.*

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



## „კინგ კონგი“

თელავი სხვა ქალაქებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ ადგილობრივები მიცვალებულებზე ხშირად სახუმარო სიტყვებს ამბობენ. ეს ტრადიცია დიდი ხანია არსებობს და გადაგვარება არ უწერია. ერთ ჩემს ნაცნობს 93 წლის მამა გარდაეცვალა. წავიდნენ ამ ბიჭის ძმაკაცები მეკუბოვესთან და სასახლე შეუკვეთეს. გარდაცვლილს ამ ადამიანისთვის თავის დროზე პატივი უცია და მანაც ხურდის დაბრუნება მოისურვა. ზომებს ყურადღება არ მიაქცია და დიდი სასახლე გამოთალა. ამ ბიჭის მამა სიცოცხლეში სიმაღლით ვერ დაიკვეხნიდა, იმ ქვეყანაში წასვლის შემდეგ კი სულ დაპატარავდა და დაპატარავდა. მოიტანეს ძმაკაცებმა სასახლე და აივანზე ააყუდეს. გამოვიდა ჭირისუფალი და რას ხედავს, სასახლე იმხელაა რომ სახურავზე „გაიჭედა“. უყურა, უყურა და „თქვენი დედ.... მამა მომიკვდა თუ კინგ კონგიო“, – აღმოხდა.

კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთი თელაველი ნაცნობი მშობლების საფლავზე შვიდი წელი არ ყოფილა. უკან რომ დაბრუნდა – რამხელა ბალახი გაზრდილა ამ საფლავზე, დედაჩემი და მამაჩემი ფეხის წვერებზე იდგნენ და ისე იყურებოდნენო.

## „ოფსაიდი“

რესტორანი „ოფსაიდი“ თელავში განსაკუთრებით პოპულარული გახლდათ. სტადიონთან მდებარეობდა. არც შორს იყო, არც ახლოს, სუფთა „ოფსაიდი“ იყო, რა და ხალხშიც ამ სახელით მოინათლა.

ერთ დღესაც ქალაქში ხმა გავარდა, „ოფსაიდში“ ცალხელა მზარეული მუშაობს, გუფთას ერთი ხელით ამზადებსო. ერთი ჩვენი ძმაკაცი ამ „ინფორმაციის“ დასაზუსტებლად წავიდა. დაბრუნდა უკან და, – მართალიაო, – გვახარა. ის კაცი ერთი ხელით დაკეპილ ხორცს იღებს, შემდეგ იღლიაში იდებს და აგუნდავებსო, შემდეგ კი გამზადებულს მაგიდაზე აგდებსო. ნამდვილია თუ ტყუილი, დღემდე არ ვიცი, ბიჭებმა კი ამ ამბავზე ბევრი ვიხარხარეთ.

ძმაკაცი მყავს ერთი, ჯონდი. სტუმრები ჩამოუვიდნენ და „ოფსაიდში“ შესვლა გადაწყვიტა. ფული არ ჰქონდა და იქაურ პერსონალს ნისიაზე ქეიფი მოსთხოვა. ვალები ადრეც ჰქონია და უარი უთხრეს. წამოვიდა გაწბილებული და წყენა გულში ჩაიდო. ამ ამბიდან რამდენიმე წელი გავიდა. ქვეყანა აირია და „ოფსაიდსაც“ ცუდი დღეები დაუდგა, არც საჭმელი ჰქონდათ, არც სასმელი. ამ ჯონდის ხომ ახსოვს, რომ ერთხელ ნისიაზე უარი უთხრეს. არ დაიზარა, მივიდა, კარი შეაღო და მზარეულებს შავი პური მოსთხოვა. არ გვაქვსო, – უთხრეს. მეტის ღირსები არც ხართო, – მიუგო გახარებულმა და უკან გამობრუნდა.



ამ ჯონდის მეზობელი ჰყავდა, რომელსაც არ ელაპარაკებოდა. ერთხელაც იმ კაცმა, შლანგი მათხოვეო. არაო, – უპასუხა ჯონდიმ, გაფუჭებულიაო. როგორო, გაუკვირდა მეზობელს. როგორო და ორივე ბოლოდან წყალს ასხამსო, – უთხრა და შლანგი ცოცხალი თავით არ გაატანა.

## „გაწბილებული“ გურჯაანელები

თელავში ერეკლე მეფის კულტი ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. ამ პატივისცემამ ბოლო ხანებში განსაკუთრებული „აქტიურობა“ შეიძინა. სახელგანთქმულ ხელმწიფეს ჩემს ქალაქში სიყვარულით „პაპას“ ეძახიან და ყველა რესტორნის დარბაზში მის დიდ სურათსაც წააწყდებით. ერთ-ერთი „დაწესებულების„ მეპატრონემაც მხატვარს „პაპის“ დიდი სურათი დაახატვინა და დარბაზში გამოსაჩენ ადგილას გამოფინა. თელაველებს იმ მაგიდასთან ქეიფი და დროსტარება განსაკუთრებით უყვარდათ. ერთ დღესაც რამდენიმე თელაველი ამ რესტორანში საქეიფოდ შევიდა. „აღმოაჩინეს“ რომ ის ადგილი დაკავებული გახლდათ. რა გაეწყობოდა. მეორე მაგიდას მიუსხდნენ, რომელსაც „ნატურმორტი“ ამშვენებდა. ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ უცნობები გურჯაანელები ყოფილან. თელაველებისა და გურჯაანელების ისტორიული „დაპირისპირების“ შესახებ, ალბათ, გაგიგიათ. ცოტა ხანში, როდესაც შეთვრნენ, ერთ-ერთი თელაველი, კუჭა ერქვა სახელად (გარდაიცვალა საწყალი) სტუმრების მაგიდას მიუახლოვდა და „გურჯაანელები ბრძანდებითო“, – ჰკითხა. დადებითი პასუხის შემდეგ, – „მნიშვნელობა აქვს, თქვენს მაგიდასთან რა ნახატი ეკიდებაო“, – დაინტერესდა. იმათაც, არაო, – უპასუხეს. ჩამოხსნა შენმა კუჭამ მეფე ერეკლეს სურათი და თელაველების მაგიდასთან გადმოიტანა. იმ მაგიდასთან კი ქალაქის ხედი დაკიდა. აი, ეხლა ამ ნახატს უყურეთ. თელავის რუკაა და მომავლისთვის გზა დაიმახსოვრეთო, – მიუგო. რასაკვირველია, თელაველებმა ქეიფი „პაპას“ ნახატის გვერდით გააგრძელეს.

## თვალის „ექიმი“

თელავი სპეციფიკური ქალაქია და ადგილობრივებმა ხუმრობაც რაღაც სხვანაირი იციან. ერთი თვალის ექიმი ცხოვრობს. მუდმივად ან მთვრალია ან „პახმელიიდან“ გამოსვლა სურს. ერთ დილასაც ნაცნობებმა დაურეკეს და ხაშზე მიიპატიჟეს. დახეთ უილბლობას. გასვლის წინ პაციენტი დაადგა. რა გაეწყობოდა. ჩამოუკიდა ის ნახატი, აი, სხვადასხვა ზომის რგოლები რომ ახატია და გასინჯვა დაუწყო. ნაკლი ვერ აღმოუჩინა. რადგან პაციენტი შესანიშნავად ხედავდა. შემდეგ აივანზე გაიყვანა და კავკასიონის მწვერვალი დაანახა. იმან, ვხედავო. „აბა, თუ ხედავ, კარგია, მაგრამ იმის იქით მეც ვერაფერს ვხედავ, რას მაწვალებ, წადი შენი დედ... რას მოდიოდი შე შობელძაღლო ჩემთანო“.

## „კახური ბორდელი“

ალბათ, გაგიგიათ თელაველი კოლორიტი გეგე სულხანიშვილი. გეგე ჯერ მამაჩემთან მეგობრობდა, შემდეგ კი მეც დამიძმაკაცდა. ახალგაზრდა ვარ, სადღაც თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა და გეგემ აიტეხა, ქალებში უნდა წაგიყვანოო – ბორდელში. ეს „დაწესებულება“ თელავთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში მდებარეობდა. მივედით მე და გეგე. რასაკვირველია, ვნერვიულობ, ქალთან პირველად მივდივარ. უნდა გითხრათ, რომ „კახურ ბორდელს“ თავისი სპეციფიკა აქვს. მასპინძელმა ქალბატონმა ჯერ მისაღებ ოთახში შეგვიყვანა, ნარდი გადმოგვიღო და საჭმელებიც მოგვართვა. მახსოვს „ბორდელის“ „პერსონალს“ დედა და ორი ქალიშვილი შეადგენდა. მე და გეგემ ნარდის თამაში დავიწყეთ. გავიხედეთ და კედელზე ერთი შეუხედავი მამაკაცის სურათი ეკიდა. ისეთი იყო, ნეტავი არ გენახოს. ამ დროს ერთ-ერთი და შემოვიდა, მწნილი შემოგვიტანა. გეგე ამ კაცის ვინაობით დაინტერესდა. „მამაჩემია. უბედური, სამი წლის ვიყავი, როდესაც გარდაიცვალა, აღარ მახსოვსო“, – გვიპასუხა. მალე მეორე დამაც მოგვაკითხა და ყველი მოგვართვა. „ესო, მამათქვენიო“, – დაიწყო გეგემ. „ჰოო. ჰოო. მამაჩემია, არც მახსოვს. დედაჩემი ჩემზე ფეხმძიმედ იყო, რომ გარდაიცვალაო“, – გვითხრა. მოგვიანებით დედაც მოვიდა და სუფრას ცხელ-ცხელი ხაჭაპური შემატა. გეგემ კვლავ დაიწყო, – „თქვენი ქმარიაო?“. „ჰოო. ჰოო. დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, საერთოდ აღარ მახსოვსო“, – გვიპასუხა. ამაზე გეგე „განრისხდა“ და, „თქვენი დედაც, თუ აღარ გახსოვთ, ჩამოხსენით და აქაურობას მოაშორეთ, რას დაგიკიდიათ ეს უშნო კაცი, ვინმე შესახედავი მამაკაცის ფოტოსურათი მაინც მოიტანეთო“.

## „გატეხილი ქოთანი“

რამდენიმე წლის წინათ თელავში რობიკო სტურუა ჩავიყვანე და თეატრში კლაისტის პიესა „გატეხილი ქოთანი“ დავდგით. როგორც ინგლისელებს შექსპირი ჰყავთ, გერმანელებისთვის იგივე კლაისტია. მშვენიერი სპექტაკლი გამოვიდა, თუმცა მძიმე წარმოდგენაა და პრემიერის შემდეგ მაყურებელი მოაკლდა. ამ ამბიდან ცოტა ხანში „ხანუმა“ წარმოვადგინეთ. პიესამ ქალაქში არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია და თეატრის დარბაზი მუდმივად სავსე გახლდათ. ერთ დღესაც თელაველი ნაცნობი მომიახლოვდა და მეუბნება: პაატა, ეს კლაისტის პიესა და „ხანუმა“ შარვალ-კოსტიუმივით არიანო. აი, ადამიანს ერთი გამოსასვლელი კოსტიუმი რომ აქვს და მხოლოდ საზეიმო დღეებში იცვამს, ეს „გატეხილი ქოთანიაო“, „ხანუმა“ კი ჯინსივითაა, ყოველთვის შეგიძლია ჩაიცვაო.



პროფესია

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „მეგონა, ამოისუნთქავდა ხალხი, ეს ხელისუფლება რომ მოვიდა, მაგრამ წინა ხელისუფლებასავით არიან ესენი — პირველ ორ წელს არაუშავდა, მაგრამ ახლა უკვე ძალიან აშავებენ...“

„ერთ დღეს ვიღაც შარიანი გადაუდგა ჩემს ქმარს გზაზე, გაწევ-გამოწევა მოსვლიათ და დამიჭრეს... ვერაფერი ვუშველე... 23 წელი გავიდა წლეულს მისი გარდაცვალებიდან... მერე კიდე უარესი ტრაგედია დამატყდა თავს, 19 წლის ბიჭი მომიკვდა ავტოავარიაში ხუთი წლის წინათ... როგორ ვარ ცოცხალი და რატომ ვარ ცოცხალი, ეს მიკვირს... გაძაღლებული ცხოვრება მაქვს“





„პროფესიის“ დღევანდელი რუბრიკისთვის რესპონდენტი, ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, თემატურად შევარჩიე. თავდაპირველად მინდოდა, რომელიმე ეკლესიასთან მივსულიყავი და იქ ჩამეწერა ადამიანი, რომელიც ბზას ყიდის, მაგრამ საბოლოოდ, არჩევანი ვაგზლის მოედნის მიმდებარე ბაზარზე შევაჩერე. ბაზარში რამდენიმეწუთიანი სიარულის შემდეგ, თვალში მომხვდა ერთი ბებო, რომელიც სხვადასხვა წვრილმანთან ერთად (ნემსები, ძაფები, პირსახოცები და ა.შ.), ბზას ყიდდა. შორიდანვე შევნიშნე მისი მზერა – სადღაც უსაგნოდ, ჩაფიქრებული იყურებოდა... როდესაც მასთან მივედი და ინტერვიუს მოცემა ვთხოვე, ძალიან მორიდებულად მითხრა: ბებო, ჩემზე გაცილებით საინტერესო მოსაუბრეები იქნებიან ამ ბაზარში, მე რა მოლაპარაკე ვიქნებიო... მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ნათელა ბებო დამთანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით – სურათს ნუ გადამიღებ, ძძები მაცვია, ვგლოვობ და არ მინდაო... რა თქმა უნდა, დავთანხმდი...

ნათელა ბებო წარმოშობით იმერელია. იმდენად სათუთი და ხმადაბალი საუბარი იცის, მისი ყველა სიტყვის „დაჭერა“ მოგინდება... თვალებში კი იმდენი „ამბავი“ აქვს ჩაქსოვილი, მისი მზერა ძალაუნებურად ჩაგაფიქრებს ადამიანს...

**— დიდი ხანია, რაც აქ ვაჭრობთ?**

– ადრე მე და ჩემს ქმარს მაღაზია გვქონდა, ჯერ კიდევ 90-იანებში, მაგრამ არეულობა რომ დაიწყო, იარაღიანები შემოგვივარდნენ, ყველაფერი ჩვენს თვალწინ გაზიდეს და დაგვაქციეს... სადღა გვქონდა იმის თავი, იმ გაჭირვებაში თავიდან დაგვეწყო? დავტოვეთ მაღაზია და რამდენიმე წლის შემდეგ გავყიდეთ კიდეც.

**— მას მერე ხართ აქ?**

– არა, თავიდან მაღაზია, რომ, როგორც იქნა, გავყიდეთ (სულ კაპიკებში), იმ ფულით გვინდოდა ორიოდე სული ძროხა გვეყიდა, სოფელში წავსულიყავით და იქ გვეცხოვრა შვილებთან ერთად, სახლკარი გაგვეცოცხლებინა, მაგრამ არ დაგვცალდა... ერთ დღეს ვიღაც შარიანი გადაუდგა ჩემს ქმარს გზაზე, გაწევ-გამოწევა მოსვლიათ და დამიჭრეს... ის გადადებული ფული სულ მის გამოკეთებაზე დავხარჯე, მაგრამ ვერაფერი ვუშველე... 23 წელი გავიდა წლეულს მისი გარდაცვალებიდან.

**— ძძები მას შემდეგ არ გაგიხდიათ?**

– არა, ბებო, მას მერე კიდევ უარესი ტრაგედია დამატყდა თავს, 19 წლის ბიჭი მომიკვდა ავტოავარიაში ხუთი წლის წინათ... როგორ ვარ ცოცხალი და რატომ ვარ ცოცხალი, ეს მიკვირს... გაძაღლებული ცხოვრება მაქვს. იმას ვკვირობ, რა ასეთი ცოდვა ჩაიდინეს ჩემმა წინაპრებმა, რომ მე და ჩემს ოჯახს ასე მოგვეწია?

**— მარტო ცხოვრობთ?**

– არა, ერთი შვილი მყავს კიდევ, ისიც ბიჭი და იმიტომ არ მინდა, სურათი დაბეჭდოთ, რომ შეიძლება გამიბრაზდეს – რამ გალაპარაკა გაზეთშიო. ისე, კი გამოდის, რომ მარტო ვცხოვრობ, ჩემს ბიჭს ცოლი ჰყავს სურამელი და იქაა ხოლმე ძირითადად, ჩემთან თვეში 3-4-ჯერ ჩამოდის, დამხედავს, ცოტა ფულს, წამლებს დამიტოვებს (პროდუქტებზე ვაჭრობს) და მიდის ისევ... დავშორიშორდით, ასე მოიტანა ცხოვრებამ, იმას თავისი ოჯახი ჰყავს და მე ტვირთად არ მინდა, დავაწვე... ამიტომ მერიდება საყვედურის თქმა, რატომ ხშირად არ ჩამოდიხარ-თქო. ახლა იმას ვნატრობ, შვილიშვილს მომასწროს ღმერთმა, სხვა აღარაფერი გამახარებს.

„ყოველ ბზობას ვატეხავ ტოტებს და ვყიდი. ახლა 1 ლარს ვაფასებ კონას, სხვაგან ლარ-ნახევარი ღირს, მაგრამ რახან ჩემია და არაფერი მეხარჯება, იაფად ვყიდი. ზოგს ვუკლებ კიდეც“

**— ნათელა ბებო, ეს ბზა საიდან ჩამოიტანეთ?**

– ჩემი ეზოდანაა, შვილო. ყოველ ბზობას ვატეხავ ტოტებს და ვყიდი. ახლა 1 ლარს ვაფასებ კონას, სხვაგან ლარ-ნახევარი ღირს, მაგრამ რახან ჩემია და არაფერი მეხარჯება, იაფად ვყიდი. ზოგს ვუკლებ კიდეც.

**— იყიდება? როგორც წესი, ამ დღეს ხალხი ბზას ეკლესიაში ყიდულობს ხოლმე.**

– კი, მაინც იყიდება. 30 კონა მქონდა დღეს და 10 კი გავყიდე უკვე. პირველს იმას მეკითხებიან – ნაკურთხიაო? როგორ მოვატყუებ ახლა მაგათ? არ არის ნაკურთხი და ასეც ვეუბნები. არ არის ამის თქმა გამართლებული, მაგრამ ზოგს უწერია „ნაკურთხი ბზაო“ და მე ხომ ვიცი, როგორია სინამდვილეში? ასეთი პატარა ტყუილია, რომ დააკვირდე, მაგრამ ტყუილია მაინც და ვერ ვაკადრებ კლიენტს ამას.

**— ისე, სხვა დღეებში რამდენი გრჩებათ ხოლმე ამ წვრილმანების გაყიდვიდან?**

– გააჩნია დღეს, ცუდ ამინდში უფრო ნაკლები ვაჭრობაა, ყოფილა მარტო 7-8 ლარი დამრჩენია მთელი დღის ნამუშევრისგან, ყოფილა – 15-18. საშუალოდ, სადღაც 10 ლარი და ცოტა მეტი. მე კურორტებზე არ დავდივარ, არც ძვირფას ტანსაცმელს ვიცვამ და საჭმელ-სასმელში კი მყოფნის, არც მინდა მეტი, მაგრამ... ყოველ დილას რომ აქ მოვდივარ, მიწა მისკდება ხოლმე ასე მგონია.

**— რატომ?**

– მე მკერავი ვარ პროფესიით, ქსოვა-ქარგვა ისე კარგად გამომდის, მთელი ჩემი სამეზობლო მთხოვს ხოლმე – ეს მომიქსოვე, ის მომიქსოვე... ჯანი სადღა მაქვს, თორემ კერვა-ქსოვა ჩემი ხელობაა. ამ დაბუშტული ხელებით რისი მომქსოვი ვარ... იძულებული ვარ, აქ ვეგდო ძაღლივით ქუჩაში, არადა, მიჭირს ფიზიკურად – დიაბეტი მაქვს, ასთმა ქრონიკულში მაქვს გადასული და იმდენი წამალი მჭირდება, ჩემი შვილი რომ არ მეხმარებოდეს, აქამდე ამომძვრებოდა სული, ან ერთი ავადმყოფობა მომიღებდა ბოლოს, ან მეორე... ხალხიც ისეთი გაავებულია, იმასაც თაკილობენ, რამის ფასი გკითხონ – შენ უნდა დააკვირდე რა უნდა, უნდა მიუხვდე, ისე არ გააღებენ პირს... ყველა არაა ასეთი, მაგრამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალა ყველაფერი.

**— რა შეიცვალა? არ მოგწონთ ქვეყნის პოლიტიკა?**

– რა არის მოსაწონი, ბებო? მე ახლა არავინ მერჩის, ასეთი წვრილმანების გამო აქედან არ მაგდებენ ხოლმე, მაგრამ ხალხი იძახის, ეს არჩევნებამდეა ასე, მერე რა იქნება, კაცმა არ იცისო. ამის შიშით სხვა ვერაფერი მომიტანია გასაყიდად, არადა, ვფიქრობდი, მეორადი ტანსაცმელი მომეტანა და დახლზე დამელაგებინა, როგორც სხვებს აქვთ, მაგრამ, რომ გამაქციონ აქედან ერთ დღეს, სად ვირბინო ამხელა ქალმა ტანსაცმელებით? სირბილი კი არა, სხვებივით „მოდი, რამე იყიდე ჩემგან“ – ამას ვერ მივაძახებ გამვლელს, მერიდება.

**— ახლა პატრული არ გიშლით აქ დგომას?**

– ახლა არა, მაგრამ მერე რა იქნება, ვერ გეტყვი. მეგონა, ამოისუნთქავდა ხალხი, ეს ხელისუფლება რომ მოვიდა, მაგრამ წინა ხელისუფლებასავით არიან ესენი – პირველ ორ წელს არაუშავდა, მაგრამ ახლა უკვე ძალიან აშავებენ თავისი უმოქმედობით. ქვეყანას ყოველთვის ეტყობა კარგი და ცუდი ხელი – ახლა აღმოჩნდა, რომ ცუდ ხელში ვართ. სადღაა იმედი? მე კი გავლიე ჩემი გასავლელი, მაგრამ მომავალ-მონაგარი რას გაივლის უკეთესს? არაფერს. ამ დილას იყო ერთი მოხუცი ქალი და კაცი მოსული ბზის საყიდლად, კილოზე შევატყვე, რომ აქაურები არ იყვნენ და გამოველაპარაკე – ორჯონიკიძეში ცხოვრობდნენ და იცი, რა მითხრეს? ჩვენ ორჯონიკიძეში პენსია 300 დოლარი გვაქვსო... რამე დაეჯერებათ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ასე კი მითხრეს და... თავი შემეზარა, მათხოვრად ვართ ქცეულები მოხუცები...

**— ჩვენი ხელისუფლება კი ჰპირდებოდა ხალხს პენსიის გაზრდას, მაგრამ...**

– დაპირებების ვიღას სჯერა? ან ვიღამ უნდა დაიჯეროს აწი ვინმესი? მათმა მოხუცმა მშობლებმა იცხოვრონ, აბა, ერთი იმ 160 ლარზე მთელი თვე, თუ შეძლებენ? მე განა მეტი არ მინდა მქონდეს? ამ 10 ლარს რომ ვკმარობ დღეში, იმიტომ ვკმარობ, რომ სხვა გზა არ არის და რაც გაქვს, იმას უნდა გასწვდე ადამიანი, თორე... ძველი ტელევიზორი მქონდა და ისიც გამიფუჭდა, მივდივარ ხოლმე გამოყრუებულ სახლში, გამომლაპარაკებელი არავინ მყავს და ასე მივჩოჩინობ. მაცივარი მე არ მაქვს და სარეცხი მანქანა, ერთი ნათურა მინთია ხოლმე და ლურჯი გაზის ბალონები რომ არის პატარა – ის მაქვს, ესაა სულ... ჩემთვის ახალი ამბავი ის არის, რაც ხალხისგან მესმის ხოლმე აქ და სმენით კარგი რომ არაფერი მესმის, ეს კი ვიცი...

**საუბრის ბოლოს ნათელა ბებომ ერთ-ერთი ყველაზე ფოთლებუხვი ბზის კონა მაჩუქა... საერთოდ, იშვიათად ვდგები ხოლმე სევდიან განწყობაზე, მაგრამ ეს სწორედ ის იშვიათი შემთხვევა იყო...**

„დაპირებების ვიღას სჯერა? ან ვიღამ უნდა დაიჯეროს აწი ვინმესი? მათმა მოხუცმა მშობლებმა იცხოვრონ, აბა, ერთი იმ 160 ლარზე მთელი თვე, თუ შეძლებენ?“

**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# ვინ „გააბლატავა“ უჩა ნანუაშვილი?

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ ღმერთს შესთხოვა, უჩა ნანუაშვილს გონება გაუნათოს! უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველია, რომელმაც ამას წინებზე 150 ათას დოლარად შავი ჯიპი იყიდა ჩვენი ჯიბიდან. ხედავთ, როგორ კარგად ირითმება? ნანუაშვილი ვერ გადმოვსვით შავი ჯიპიდან, რომელშიც მწვანე უზალთუნები გადაიხადა ჩვენი ჯიბიდან! ჰოდა, იმდენი რაღაცები შემატა საკუთარ ბიოგრაფიას, ჯერ სახალხო დამცველად მოჯდა, შემდეგ კი, როგორც უკვე გითხარით, მაგარ „მერსედესშიც“ ჩაჯდა. ნუ, ახლა, მე მესმის, როცა ადამიანს უნდა, რომ არდანბურდანს გადავიდეს, ხელიც უნდა შეუწყო, არ უნდა იწუწკო, მაგრამ ამდენი ყველამ არ იცის. მაგალითად, ყოფილი პარლამენტარი, ნუგზარ კაკიაშვილი ისე გაცოფებულა, ასეთი სტრიქონები დაუწერია:



„...ესენი მაშინ სად იყვნენ, როცა
უფალი ციდან კაცობას „ყრიდა“?
რომელ გვალვაში მოექცნენ იმ დროს,
ჭკუა-გონების წვიმა რომ წვიმდა?
ამდენ ბრიყვს ერთად როდესაც ვხედავ,
სიცილის ნაცვლად ტირილი მინდა“!



იმას ვამბობდი... ამ ხალხმაც ღმერთს შესთხოვა, გონება გაუნათეო. ვაააჰ, კაცოოო, შეიძლება, ყველგან შეცდომებს ვუშვებდეთ? უჩას გონება რომ გაუნათდა და გაუკაშკაშდა სპირალივით, ამიტომაც ჩაჯდა ძვირად ღირებულ „მერსედესში“, თორემ დახშული რომ ჰქონდეს, ვირით ივლიდა და ისე დაიცავდა ხალხის უფლებებს. იცით, რა უპასუხეს მისმა ხელქვეითებმა ჟურნალისტებს? ძველი მანქანით კარგი საქმეების კეთება არ ხერხდება, ამის მერე ნახეთ, ჩვენი „უმფროსი“ არდანბურდანს როგორ გადავაო. ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ გადავა. ერთი ამბავი მახსენდება ამ ნანუაშვილთან დაკავშირებით: წელიწადი ზუსტად არ მახსოვს, ალბათ, იქნებოდა 2007-2008 წლები, მაგას გმირთა მოედნის მიდამოებში ჰქონდა ადამიანის უფლებათა დაცვის „ტუფტა“ ცენტრი, თავისთვის „გრანტაობდა“. ერთხელაც ატყდა, გინდათ თუ არა, აფხაზებსა და ოსებს ბოდიში უნდა მოვუხადოთ, ქართველები მათ წინაშე დამნაშავეები ვართო. ვინაიდან ფული ჰქონდა, თანამოაზრეებიც შემოიკრიბა და დაიწყო კამპანია „ბოდიში“. აი, მაშინ მივუხტი ოფისში, – შენა, შვილო, ალაოდ ხომ არა ხარ, ქართველი ხალხის ნაცვლად ვის უხდი ბოდიშს, ამის უფლება ვინ მოგცა-მეთქი? უჩამ დააპირა ახსნა-განმარტებების მოცემა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე სხვებმაც შეუტიეს, გადაუარეს, გადმოუარეს და კამპანია „ბოდიში“ ჩაუვარდა. პრინციპში, არაფერიც არ ჩაუვარდა, იმდენი იძრომიალა,

**„ამათ რომ ვუცქერ, ბრმა ვიყო მიჯობს,**
**მოსმენისას კი — ყრუ ვიყო მინდა,**
**ესენი მაშინ სად იყვნენ, როცა**
**უფალი ციდან კაცობას „ყრიდა“?**
**რომელ გვალვაში მოექცნენ იმ დროს,**
**ჭკუა-გონების წვიმა რომ წვიმდა?**
**ამდენ ბრიყვს ერთად როდესაც ვხედავ,**
**სიცილის ნაცვლად ტირილი მინდა“!**

ამას წინებზე მაია ასათიანმა (ფსიქიატრიული „პროფილის“ წამყვანი როა) მათრახი აიღო ხელში და სტალინისტებს ჩამოუარა, თქვე ასეთებო და ისეთებო, საბჭოთა კავშირის აღდგენა გინდათო? სტალინის წმინდანად შერაცხვას აპირებთო? ვერ მოგართვით, მე ამას არ დავუშვებო! ე, გოგო, არ გინდა, ნუ მიგყავს ეს ავადმყოფი ხალხი (ერთი ყოფილი მამაო ჰყავდა მიყვანილი, რომელსაც თავის დროზე ფსიქიკური პრობლემები ჰქონია და მღვდლობა ჩამოურთმევიათ), ნუ ქმნი ფსიქოზს, – ვეძახით აქედან მაიკოს, მაგრამ არ ესმის, დგას დოინჯშემოყრილი და პერიოდულად მათრახსაც ატყლაშუნებს, საბჭოთა კავშირის აღდგენას არ დავუშვებ, რას ჰქვია, ძია სოსოს „ხატზე“ ლოცულობთო?! ისე, მართლა მაგარი ყოფილა იოსება პაპა, ზუსტად 63 წლის წინათ გარდაიცვალა და მისი სახელით ზოგი დღესაც ფულს აკეთებს, გრანტებს იზიდავს. ვიღაცამ დაწერა: კარგი, ჰო, სტალინი დიქტატორი იყო, ტირანიც იყო, მაგრამ 5 მილიონი „დანოსი“ ვინ დაწერაო? სრული სიმართლეა – დავუშვათ, იოსება პაპა მთლად გადავიდა ჭკუიდან და ჰიტლერსაც კი აჯობა სისხლისმსმელობაში, ამდენი მოღალატე და ჩამშვები მან გააკეთა? ან დღეს რაც ხდება, ყოველი მეორე რომ ბოზია, ესეც მისი ბრალია? ამ დღეებში ზოგიერთმა ამოიგმინა: რაც დღეს ხდება, ამის გამო, ალბათ, სტალინი საფლავში ტრიალებსო. აბა, საფლავი? სანამ ნიკიტა ხრუშჩოვი გენერალური მდივანი გახდებოდა, იოსება პაპა ლენინის გვერდით იწვა, მერე ნიკიტამ დაწვა, ფერფლი ქილაში ჩაყარა და კრემლის კედელში შედგა. ფერფლისა ეშინიათ დღევანდელ უტრაკო ყარაჩოხლებს, მხოლოდ ფერფლისა, ამ უცხოელებსაც სჯერათ, რომ სტალინი ფენიქსივით აღდგება და უცებ საბჭოთა კავშირს აღადგენს. როგორც ჩანს, თავს იტყუებენ, რადგან ამაშიც ფული კეთდება. არადა, ყოფილი ბელადიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო მომენტებში, რომელიც ასეთ ლექსებსაც წერდა („მთვარეს“):

**„იარე დაუღალავად,**
**თავი ნუ ჩაგიკიდია,**
**გაჰფანტე ნისლი ღრუბლების,**
**უფლის განგება დიდია.**
**ნაზად შესცინე ქვეყანას**
**შენ ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა;**
**მყინვარს დამღერე ნანინა,**
**ზეციდან გადმოკიდულსა.**
**კარგად იცოდე, რომ ერთხელ**
**ძირს დაცემული, ჩაგრული**
**კვლავ აღემართვის მთას წმინდას,**
**იმედით აღტაცებული.**
**მაშ, ტურფავ, წინანდებურად**
**ღრუბლებში გაიკაშკაშე,**
**ლურჯ კამარაზე საამოდ**
**სხივები შეათამაშე.**
**მეც გადავიხსნი საკინძეს**
**და მკერდს მოგიშვერ მთვარესა,**
**ხელ-განპყრობილი თაყვანს გცემ**
**ქვეყნად შუქ-მომფინარესა“!**

ხედავთ? სტალინმაც კი თქვა, უფლის განგება დიდიაო! ახლა რომ გითხრათ, იოსება პაპა დიდი პოეტური ნიჭით გამოირჩეოდა-მეთქი, მოგატყუებთ, ცოტა წამბაძველობაც ეტყობა, მე-19 საუკუნის პოეტების გავლენაც და რევოლუციური განწყობაც, მაგრამ რაც გამოუვიდა, კი გააკეთა. კი, ბატონო, „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ კარგია, აქ ნამდვილად იგრძნობა „მგოსნური“ სული, დანარჩენი ხუთი ლექსი, რომელიც სიჭაბუკეში დაწერა, სადღეგრძელოებს უფრო ჰგავს, ვიდრე პოეზიას. მოკლედ, მიხვდა კაცი, რომ ამ სფეროში ბევრს ვერაფერს გააკეთებდა და წავიდა იქ, სადაც ფრთებს გაშლიდა. პრინციპში, ჩვენთვის რა შეიცვალა, თუკი სტალინი მოკვდა? არც არაფერი, იყო იოსება პაპა, მერე თავზე დაგვაჯდა ნიკიტა პაპა... ესეც მოკვდა და ახლა ვასრულებდით ლეონიდ ილიჩის ბრძანებებს. დღეს რა ხდება, ვის „ტუფლებს“ ვლოკავთ, ვის ვეგებით ლაქიებივით ფეხქვეშ? ამაზე მშვენივრად გვპასუხობს კახა ჭოლაძე:

„ობამაო ჩვენო, რომელი ხარ თეთრ სახლსა შინა, ბარაკ იყავნ სახელი შენი, მოვედინ შეშფოთება შენი, იყავნ ნატო შენი, ვითარცა აშშსა შინა, ეგრეცა ევროკავშირსა ზედა, მაპი ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ კოჰაბიტაცია ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ ცოცხიანებსა მათ ჩვენთა

და ნუ შემიყვანებ ჩვენ ევრაზიულ კავშირში, არამედ მიხსენ ჩვენ პუტინისაგან“.

ახლა გინდათ სტალინი ვლანძღოთ, გინდათ – ხრუშჩოვი, გინდათ – ლეონიდ ილიჩი, ერთი რამ ცხადია... როგორც ცხონებული მუხრან მაჭავარიანი იტყოდა:

**„ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!**
**მრავალს უწია ცოდვამ:**
**ვინ რა ყოფილა — გამოჩნდა!**
**კაცი აღმოჩნდა ცოტა!**
**ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!**
**ცოდვის კითხვააა... — ჰოდა!**
**ყველა ისეთი აღმოჩნდა,**
**რა წარმოდგენაც მქონდა!**
**ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!**
**მივხვდით, ბრძანდება ვინ — ვინ!..**
**ღმერთი! - თვით ღმერთი გაოცდა!**
**ამდენი დამპლის ხილვით“!**

## 24 აპრილი, 1 მაისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** პირად ურთიერთობებში პოტენციალის გამოვლენა გაგიჭირდებათ. სამწუხაროდ, ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ურთიერთობები ბევრად მეტ სანერვიულოს მოგიტანთ, ვიდრე ელით. მორალურად მზად იყავით სიტუაციის გაუარესებისთვის, განსაკუთრებით კვირის ბოლოსკენ. არ გიყვართ, როცა პარტნიორი გზღუდავთ, მაგრამ უახლოესი დღეების მანძილზე ამას უნდა შეეგუოთ. არ დაუშვათ, რომ თქვენი პრობლემების მოგვარებაში უფროსი თაობის წარმომადგენლები ჩაერიონ.

**სამსახური –** სამწუხაროდ, კვირა არც, ამ მხრივ, იქნება სახარბიელო.

**სასიკეთო დღეები:** 30 აპრილი, 1-ლი მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 აპრილი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** ბრწყინვალე პერიოდია ნაცნობობისთვის, განსაკუთრებით ხანმოკლე მოგზაურობისას: ექსკურსიებზე, კონფერენციებზე, სადაც პოტენციურ პარტნიორთან ინტელექტუალური თემების განხილვა დაგაახლოებთ. გაითვალისწინეთ, რომ ურთიერთობას შესაძლოა, ბევრად სერიოზული გაგრძელებაც კი მოჰყვეს, თუმცა ისიც შეიძლება, ყველაფერი მხოლოდ მსუბუქი ფლირტით შემოიფარგლოს. დაქორწინებულ კუროებს ეს კვირა მარტივ ოჯახურ ურთიერთობებსა და იდილიას ჰპირდება.

**სამსახური –** სანაცნობო წრის გაფართოება თქვენი საქმის განვითარებაზე ძალიან დიდ გავლენას მოახდენს.

**სასიკეთო დღეები:** 28, 30 აპრილი, 1-ლი მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 აპრილი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** სასიყვარულო ფრონტზე დიდი წარმატებები გელით. ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტია, სასურველს მიაღწიოთ. არ დატოვოთ საყვარელი ადამიანები ყურადღებისა და საჩუქრების გარეშე. საერთო ჯამში, თქვენს მიმართ გულგრილი ვერავინ დარჩება, უბრალოდ, იმოქმედეთ!

**სამსახური –** გელით მატერიალური მდგომარეობის გამტკიცება და სარფიანი გარიგება. ფინანსური საქმიანობა შემოსავალს გაგიზრდით.

**სასიკეთო დღეები:** 30 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 აპრილი.





მაია იასეშვილი

599 94-64-58

**პოზიტიური ენერგიის მისაღებად მხოლოდ მეგობრებთან და კეთილგანწყობილ ადამიანებთან ურთიერთობა არ არის საკმარისი, თურმე მცენარეებსაც უზარმაზარი ენერგეტიკული პოტენციალი აქვთ და შეუძლიათ, კეთილი ენერგია ადამიანებსაც გაუნაწილონ. როგორ მივიღოთ ენერგია ხეებისგან და რა სიკეთის მოტანა შეუძლია „მეგობარ" მცენარეებს. გვესაუბრება პარაფსიქოლოგი ნათელა ლობჟანიძე.**

# როგორ უნდა გამოჯანმრთელდეთ ხეებთან სიახლოვით?

## „ხეებით მკურნალობა 20 წუთზე მეტი მიზანშეწონილი არ არის"

– არიან ხეები, რომლებიც დიდი რაოდენობით ენერგიას აგროვებენ, შემდეგ ადვილად გასცემენ და ასევე ადვილად აღადგენენ დაკარგულს. მათ „დონორ ხეებს" ეძახიან. ასეთებია: მუხა, ნეკერჩხალი, ცირცველი, არყის ხე, აკაცია, ფიჭვი. დონორი ხეები მზის, ჰაერის და მიწის ენერგიას თავისებურად გარდაქმნიან, ახალ თვისებებს სძენენ და შემდეგ, დაუნანებლად გადასცემენ მსურველს.



**— ცნობილია, რომ ვამპირი ხეებიც არსებობენ. რომელია ეს ხეები?**

– ზოგჯერ ადამიანმა უნდა მოიშოროს ის ენერგია, რომელიც წამლავს მის ორგანიზმს, თორემ ცუდად იგრძნობს თავს. ამ შემთხვევაში საუკეთესო დამხმარენი ხევამპირები არიან. ყველაზე ძლიერები არიან ვერხვი, ალვის ხე, ხოლო წაბლის ხე, ნაძვი, ტირიფი, შოთხვი, შედარებით სუსტები არიან. სხვადასხვა დაავადების დროს, სხვადასხვაგვარად უნდა მოვიქცეთ. თუ ნერვული დაავადებები გვაწუხებს, ხეს ხერხემლითა და ხელისგულებით უნდა შემოვეხვიოთ, თუკი რაიმე ადგილი გტკივათ, მაშინ მტკივნეული ადგილით უნდა მივეკრათ. შინაგანი ორგანოების დაავადების დროს, ორივე ხელით უნდა შემოვეხვიოთ. ნეგატიური ენერგიის სიჭარბე თუ არის ჩვენში, ასეთ დროს ხე ვამპირი ერთ-ერთი საუკეთესო დამხმარეა, კერძოდ, ვერხვი. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩახუტებული ხე, ყოველ ჩვენს ღრმა ამოსუნთქვაზე, გვათავისუფლებს უარყოფითი ენერგიისგან. მთავარია, დავაფიქსიროთ, ეს ხე ნამდვილად გვეხმარება თუ არა. გაითვალისწინეთ, რომ მას უძველესი დროიდან იყენებდნენ სხვადასხვა მიზნით. წყალში ჩაგდებული ამ ხის ნაჭერიც კი ანადგურებს მიკრობებს. ამიტომაც, ძველი ხალხი მას კომბოსტოს მწნილში აგდებდა, რომ მისი გაფუჭება აეცილებინა თავიდან. ამ ხეს იყენებდნენ სახურავებზე, ეკლესიის გუმბათების მოსაპირკეთებლად. თავის ტკივილის დროს, ამ მცენარის ტოტს ან ნაჭერს, სახეზე იდებდნენ. რაც შეეხება ალვის ხეს, შეიძლება მივმართოთ ნერვული აგზნებადობისას, კანის დაავადებებისას, დამწვრობისას, ანთებითი პროცესებისას, იგივე ითქმის შოთხვსა და ნაძვზე.

**— რომელი ხე რას შველის?**

– მთავარია, ჩვენი ხე ვიპოვოთ, ზოგისთვის რომელია მშობლიური და სამკურნალო, ზოგისთვის – რომელი... მუხა უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც უდიდესი ენერგეტიკის მქონე, მისი ენერგია განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვისაა სასარგებლო, რომლებიც გონებრივად შრომობენ. ძველ ოჯახებში ასეთი ჩვევა არსებობდა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ მუხასთან იძინებდნენ ან სხდებოდნენ, რადგან სწამდათ, რომ ეს გონებას გაუნათებდათ და ისეთ ინფორმაციას მიაწოდებდათ, რაც ყველაზე ოპტიმალური და საჭირო იყო. აკაცია განსაკუთრებით სასარგებლოა ქალებისთვის, ითვლება, რომ მისი ენერგია გამამხნევებელი და კეთილი სურვილების მომტანია. აკაციას სიყვარულის ხედ მიიჩნევენ და ხშირად ურჩევენ შეყვარებულ წყვილებს აკაციის სიახლოვეს სეირნობას. ფიჭვთან სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებულად მათთვის, ვისაც გულის დაავადება აწუხებს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხეებით მკურნალობა 20 წუთზე მეტი მიზანშეწონილი არ არის. ნეკერჩხლის ხეივანში გასეირნება სასარგებლოა თითქმის ყველა ადამიანისთვის, რადგან ითვლება, რომ უზარმაზარ დადებით ენერგიას გადასცემს ადამიანებს. რაც შეეხება არყის ხეს, ჩვენში ნაკლებადაა გავრცელებული, სამაგიეროდ, მის სამშობლოში საკმაოდ პრეტენზიულ და მგრძნობიარე ხედ თვლიან. ამბობენ, რომ თავისებურად აღიქვამს ადამიანს და ვინც მოეწონება, უხვი დადებითი ენერგიით ასაჩუქრებს. მისი ენერგია ხელს უწყობს სულიერი ტკივილების დაამებას, ჭრილობების შეხორცებასაც უხდება და საერთოდ, არაჩვეულებრივი დამამშვიდებელი ეფექტით გამოირჩევა. როგორც აღვნიშნეთ, ხესთან კონტაქტი 20 წუთზე მეტხანს მიზანშეწონილი არ არის. ამასთანავე, მნიშვნელობა აქვს დროს, რადგან მათი ენერგეტიკული პოტენციალი დღეღამის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაა. ფიჭვს უმჯობესია, ენერგია საღამოს 9 საათის შემდეგ ვთხოვოთ, ალვასთან ურთიერთობას დღის 3 საათიდან საღამოს 6 საათამდე გირჩევთ, არყის ხე აქტიურია დილის 5 საათიდან დილის 9 საათამდე. პირიქით, ენერგეტიკული პოტენციალი, დადებითი თვისებები კი საღამოს 6-დან 9 საათებშია.



**— კონკრეტულად, როგორ უნდა მივიღოთ ენერგია ხეებისგან, გარდა იმისა, რომ ხელით შევეხოთ?**

– ჯერ უნდა გავარკვიოთ, რომელი ხე მოგვიხდება, ამისთვის დაგვჭირდება ფოლგა, შეიძლება ავიღოთ შოკოლადის ფოლგის ნაჭერი სიგანით 2-5 მმ და სიგრძით 10-12 მმ. ფოლგა საჩვენებელი თითით ნელა უნდა მივიტანოთ ხესთან, თუკი მისი ბოლო ხისკენ გადაიხარა, მაშინ ეს ხე თქვენთან კონტაქტისას ენერგიას წაილებს, ხოლო თქვენკენ თუ გადმოიხრება, პირიქით, თქვენ აგავსებთ ენერგიით. დეპრესიის, დაღლილობის, ანდა რაიმე ტკივილის დროს, სამხრეთიდან უნდა მიუახლოვდეთ, ხეს შუბლით მიეყრდენით, ხელისგულებით შემოეხვიეთ და მიეყუდეთ. ანთებითი პროცესების, გამოფიტვის, აგზნებულობის დროს ხეს ჩრდილოეთიდან უნდა დაუდგეთ, ზურგით მიეყუდეთ და ჩამოშვებული ხელებით მიეხუტოთ. რაც შეეხება „ხე ვამპირებს", მათთანაც იგივე ურთიერთობაა საჭირო, განსხვავება ისაა, რომ ხეს მტკივანი ორგანოთი უნდა მიეყუდოთ და წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ტკივილის ენერგიას ხე თავის თავზე იღებს, ასეთ შემთხვევაში, მოგეხსნებათ თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი და სხვა. ტკივილის მოხსნის შემდეგ, ადამიანმა შესაძლოა, სისუსტე და თავბრუსხვევა იგრძნო, ეს იმის ბრალია, რომ ენერგია დაკარგა, ენერგიის მარაგის აღსადგენად აუცილებელია ბიოენერგია, ახლა უკვე დონორი ხისგან შეივსოთ. სეანსის წინ აუცილებლად უნდა შესთხოვოთ ხეს, თუნდაც უსიტყვოდ და უხმოდ, დაგეხმაროთ პრობლემის მოგვარებაში, დაახლოებით ასე: „მუხა, დამმუხტე შენი ძლიერი ბიოენერგიით, მომეცი ძალა და ჯანმრთელობა". როგორც კი თავბრუსხვევასა და ხერხემლის არეში ჩხვლეტას იგრძნობთ, იმას ნიშნავს, რომ ხეების ენერგია თქვენში შემოვიდა. როგორც კი ნათხემის არეში მსუბუქ ბიძგს იგრძნობთ, სეანსი უნდა შეწყვიტოთ. შეგიძლიათ, ეს პროცედურა 3-4 დღის განმავლობაში გააკეთოთ. დროთა განმავლობაში უნდა მიაგნოთ თქვენს ხეს და მისი მუდმივი „პაციენტი" უნდა გახდეთ. ზოგჯერ ისეთი ეფექტურია ხესთან ურთიერთობით მიღებული შედეგი, რომ მედიკამენტები არც კი დაგჭირდებათ. რაც უფრო ძლიერია ხე ენერგეტიკულად, მით უფრო ნაკლებად ხარობენ მის გვერდით სხვა ხეები. თუკი ათი მეტრის რადიუსში სხვა ხეები არ დგას, გამოდის, რომ ენერგეტიკულად ის ხე ძალიან ძლიერია და სამკურნალოდ უკეთესს ვერც აღმოაჩენთ. ასე რომ, თუ ხეებთან ურთიერთობით მკურნალობას გადაწყვეტთ, შედარებით ცალკე მდგომი მრავალწლიანი ხე აირჩიეთ, თუ ხესთან კონტაქტის შემდეგ თავი კარგად იგრძენით, ჩათვალეთ, თქვენი კავშირი შედგა. ენერგიის მიღების საუკეთესო დროა – დილა, მზის ამოსვლიდან ერთი-ორი საათის შემდეგ და მზის ჩასვლამდე ერთი-ორი საათით ადრე, ცნობილია, რომ ბუნებასთან ურთიერთობაზე უკეთესი წამალი, არც ერთ დაავადებას ჯერ არ მიუგნია. ამიტომ ზერელედ არ უნდა შეხედოთ მცენარეებთან ურთიერთობის ზემოხსენებულ მეთოდებს. როცა ხეებთან კონტაქტს იწყებთ, უნდა წარმოიდგინოთ, რომ თქვენი სხეულის თითოეულ უჯრედში სუფთა ვერცხლისფერი თეთრი ენერგია შემოდის. როგორც კი იგრძნობთ შინაგანად, რომ მისი ენერგიით აღივსეთ, მადლობა უნდა გადაუხადოთ თქვენს მკურნალ ხეს და დაემშვიდობოთ. არსებობს კიდევ ერთი ეფექტური მეთოდი, რომელიც სასარგებლოა ძალებისგან გამოფიტვის შემთხვევაში. მიდით ხესთან, თუ მის მიმართ სიმპათია იგრძენით, სიმშვიდე შემოვა თქვენში. ჩათვალეთ, რომ ხემ მიგიღოთ. დადექით ნახევარი მეტრის მანძილზე და ვიზუალიზაციას მიმართეთ. წარმოიდგინეთ ხის ბიოველი, როგორ მოძრაობს მისგან მომავალი ენერგია, როგორ ადის ქერქიდან ღეროში, ნაწილდება ტოტებში. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მთლიანი ჰარმონიული სისტემის ნაწილი, რომლის ბიოველი და თქვენი ბიოველი, ჰარმონიაშია ერთმანეთთან. წარმოიდგინეთ, როგორ ივსებით მაცოცხლებელი ძალით, როგორც კი შინაგანი ჰარმონიისა და სიძლიერის შეგრძნება გაგიჩნდებათ, სეანსი შეწყვიტეთ. როგორც წესი, ასეთი სეანსი 10 წუთამდე გრძელდება ხოლმე, ბიოენერგია სასურველია ვერცხლისფერმოცისფრო, ან იისფერი სახით წარმოიდგინოთ.

## 24 აპრილი, 1 მაისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** რამდენად იქნებით ღირსი, მიაღწიოთ წარმატებას, მიიქციოთ ყურადღება და მიიღოთ თანხმობა სიყვარულში, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. აუცილებელია განსაზღვროთ პრიორიტეტები და სასურველია, რომ პირადი ხასიათის საკითხები პირველ პლანზე წამოსწიოთ. გახსოვდეთ: თქვენს ინიციატივაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მთავარია, სწორი სტრატეგია დაისახოთ.

**სამსახური –** ყველაფერი წარმოუდგენლად წარმატებულად ლაგდება, თქვენი პროექტები ყველას აღფრთოვანებას გამოიწვევს.

**სასიკეთო დღეები:** 26, 30 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 25 აპრილი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** უმჯობესია, თუკი სასიყვარულო ფრონტზე ყოველგვარ აქტიურობას შეაჩერებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზულ შეცდომებს დაუშვებთ. დროებით ჩრდილში გადაინაცვლეთ, დაუთმეთ დრო ფიქრსა და ფსიქოანალიზს, დაისვენეთ ყველასგან. ვინმეს გაცნობის მცდელობა მოცემულ მომენტში, უბრალოდ, ჩიხში შეგიყვანთ. იყავით ფრთხილი და წინდახედული: თქვენი ცხოვრების ზოგიერთი დამალული მომენტი შესაძლოა, სააშკარაოზე გამოვიდეს.

**სამსახური –** რაც უფრო შეუმჩნეველი იქნებით, იმდენად ნაკლები პრობლემა შეგექმნებათ.

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 აპრილი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** ცვლილებების სურვილი გაგიჩნდებათ და იმისთვის, რათა მარტოსულად არ დარჩეთ, მაქსიმალურად შეეცადეთ, ცხოვრებაში სიახლის ელემენტები შეიტანოთ. მოცემული მომენტი ხელსაყრელია მეგობრების წრეში საფუძვლიანი დასვენებისთვის. შესაძლოა, რომელიმე მათგანთან ბევრად ახლო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ, თუმცა უფრო მეტია ალბათობა, რომ სერიოზული შედეგი ამას არ ექნება. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია – ახალი შთაბეჭდილებები ჰაერივით გესაჭიროებათ. ამდენად, ერთ ადგილზე არაფრით გაჩერდეთ.

**სამსახური –** სწორედ ის დროა, წარმატებული მომავლის გეგმები დაისახოთ.

**სასიკეთო დღეები:** 30 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 აპრილი.

## 24 აპრილი, 1 მაისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** სასურველია, კონცენტრირება პროფესიულ და კარიერულ წინსვლაზე მოახდინოთ და არა სასიყვარულო თავგადასავლებზე. გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორთან ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები გელით და დიდი ალბათობით, პრობლემების ინიციატორი თქვენი რჩეული იქნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის ასაკით უფროსი და მეტად ავტორიტეტულია. მოსალოდნელია ეჭვიანობის შეტევები და არცთუ სასიამოვნო გარჩევები.

**სამსახური –** ბიზნესში თქვენი მიღწევები შესაფერისად დასაჩუქრდება.

**სასიკეთო დღეები:** 30 აპრილი, 1 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 აპრილი.

### ღრიანკალი 23.10-21.11



**სიყვარული –** დიდი მოგზაურობა გელით, რაც სასიყვარულო ფრონტს ბევრად მომხიბვლელსა და პერსპექტიულს გახდის. თქვენი ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ულამაზესი ფერებით მოირთვება. რაც მთავარია, ეს ეხება როგორც დაქორწინებულ, ისე დასაოჯახებელ ღრიანკლებს.

**სამსახური –** მიმდინარე კვირაში ხელმძღვანელობისგან შექებას უნდა ელოდეთ. გარდა ამისა, გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი და რაც ყველაზე მთავარია, ეს ყველაფერი ასახვას ხელფასზე ჰპოვებს.

**სასიკეთო დღეები:** 25, 26 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 აპრილი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** ცხოვრებისეულმა ვითარებამ შესაძლოა, ურთიერთობის გაწყვეტისკენ გიბიძგოთ. ეს არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი თქვენს ენერგიას სწორი მიმართულებით წარმართავთ. არ ღირს ჩაციკვლა პირადი ცხოვრების პერიპეტიებზე, თორემ შედეგად ეჭვიანობას, გარჩევებსა და ბრალდებებს მიიღებთ. შემდეგ კი გელით მარტოობა, დეპრესია და დაუკმაყოფილებლობა. იმისთვის, რათა ამ საშინელებას გადაურჩეთ, მოთმინების გამოვლენა გმართებთ.

**სამსახური –** შემოსავლის გაზრდის იმედი ნუ გექნებათ. დიდი ალბათობით, შესაძლოა, ვალიც კი დაიდოთ.

**სასიკეთო დღეები:** 30 აპრილი, 1 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 26 აპრილი.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...



**მაია იასეშვილი**
599 94-64-58



# როგორ შეიცვალნენ ცნობილი ადამიანები ქრისტიანული სასწაულების შემდეგ?

**ახლოვდება უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმრები იმ სასწაულებს იხსენებენ, რომელიც მათი ცხოვრების ქრისტიანულ სასწაულთა ქრონიკაში განიხილება.**

**ლია ბედოშვილი,** პოეტი:

– ბავშვობაში, შუა ზაფხულში ბებიასთან წავედი არდადეგებზე, სოფელ აჩხოტში, რომელიც ყაზბეგის რაიონში, სნოს ხეობაში მდებარეობს. ერთხელ სისხამზე ბავშვებმა დედას გარეთ გაყოლა მოვთხოვეთ, გვეგონა, ბებიას ეძინა, თურმე ისიც წამომდგარიყო და ძროხებს უვლიდა. ბებიამ, გომურიდან გამოსულმა რომ დაგვინახა, ჩვენკენ გამოემართა და გვითხრა: დღეს სასწაულის ხილვის დღეა, წელიწადის ყოველ ამ დროს არშას მხრიდან ცა იხსნება და ციდან ანგელოზი გადმოდისო. ვიფიქრე, ალბათ, კომეტაა და ბებოს ანგელოზად ეჩვენება-მეთქი, ცაში კომეტებს დღემდე კუდიან ვარსკვლავებს ეძახიან. ამ ფიქრებში ვარ და ბებოს ხმა ჩამესმის, – გაჩუმდით, გაცისკრდა, იქით გაიხედეთო. ორივემ გავიხედეთ და ვხედავ, ჯერ სინათლის სხივი დაეცა ცას, მერე ამ სინათლის სხივმა, როგორც დანამ, ისე გააპო ცა. იქიდან გადმოვიდა სინათლე. მინდა ვუთხრა სიამაყით ბებიას, – ეს ხომ კომეტაა-მეთქი, მაგრამ ვხედავ, რომ ეს სინათლე გაწვა, გაიშალა ცაზე ძალიან დიდად და აშკარად გამოჩნდა ანგელოზის სახე გვირგვინითა და ფრთებით, ეს ფრთები ისე ამოძრავდა, თითქოს ცაზე მიმოდიოდა, ოღონდ ფეხები არ უჩანდა, ფეხების ადგილასაც სინათლე კაშკაშებდა. მკაცრი გამომეტყველების ადამიანი ჩანდა. მერე მართლაც ტაატით გაუყვა ცას და იქით მხარეს, სადაც სპა-ანგელოზის ნიშია, იქ ჩაეშვა. უცებ ბებიას ხმამ გამომაფხიზლა, – ჩქარა, რაიმე ინატრეთ და ანგელოზი შეგისრულებთო. ნატვრის ჩაფიქრება მოვასწარი და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ის ნატვრა ამისრულდა, იმ დღეს ჩემი რწმენა-წარმოდგენები ანგელოზზე და უხილავ სამყაროზე განმტკიცდა, უფლის რწმენა გამიძლიერდა.

**ეკა ჯანელიძე,** თავდაცვის მინისტრის, მინდია ჯანელიძის მეუღლე:

– 2014 წლის მაისში დედამთილს დაუსვეს დიაგნოზი – ჰოჩკინის ლინკომა, ვენაში გაგზავნილი ანალიზებითაც იგივე დადასტურდა, მაგრამ სტადია ვერ განსაზღვრეს, რადგანაც მასალა, რაც უნდა აეღოთ დასათესად, ისეთ ადგილებში იყო, საქართველოში ვერ გაკეთდა. ამიტომ გავემგზავრეთ ვენაში პუნქციის გასაკეთებლად – მე, დედაჩემი და დედამთილი. ეს დღე დაემთხვა პეტრე-პავლობას. იმ ღამეს მესიზმრა – ხელში მეჭირა ღვთისმშობლის ხატი და მეუბნება: წამიყვანე შენთან სახლში, ნახე, სულ სველი ვარო. დილით გავიღვიძე თუ არა, სიზმარი მოვყევი. კვირა დღე იყო, სასეირნოდ წავედით. გზად ნაყინი ვიყიდეთ და მოვხვდით ქუჩაზე, სადაც ანტიკვარული ნივთები იყიდებოდა. ერთი ბროში მომეწონა, რომ უნდა მეყიდა, საფულე ვეღარ ვნახე, სადაც ყველა საბუთი და 500 ევრო მედო. წამოვედით იმ სანაყინეში, სადაც დილით ვიყავი, სულ სხვა გამყიდველი დამხვდა. რომ ვუთხარი, საფულე აქ დამრჩა და დავკარგე-მეთქი, იუარა და პოლიციით დამემუქრა. შევედი გამყიდველთან და ვთხოვე, არ მინდა ფული, ოღონდ საბუთები დამიბრუნეთ-მეთქი. ამ კაცმა დამიწერა და მითხრა, – ნიკოლა იკითხე და შენს საბუთებს მოგცემსო. წავედით მოცემულ მისამართზე. მოვიდა ნიკოლა და მომცა საფულე და არა მარტო საბუთები, ფულიც ხელუხლებელი იყო. 50 ევრო ნიკოლას ვაჩუქე, მეგობარი გვახლდა, ვინც დაგვყვებოდა და მკითხა, სად წავიდეთო. მე ისევ იმ ბროშის საყიდლად წავედი, ვიყიდე, რომელიც სულ რაღაც 5 ევრო ღირდა და ვხედავ, ჩემი მეგობარი პირჯვარს იწერს. სასწრაფოდ მივედი და ვხედავ, ის ხატი უჭირავს ხელში, რომელიც სიზმარში ვნახე და წაყვანას მთხოვდა. ჩემს დედამთილს ემოციისგან გული წაუვიდა, ძლივს ამოვილუღლუღე და ფასი ვიკითხე, ძალიან ძვირს ველოდი, ხატის ფასი 500 ევრო მითხრა, ის თანხა, რაც დავკარგე და სასწაულად ვიპოვე. ივერიის ღვთისმშობლის ხატი მე-18-19 საუკუნის არის, არავინ იცის, როგორ მოხვდა ვენაში, ყიდდნენ, როგორც ანტიკვარს, და არა, როგორც ივერიის ღვთისმშობლის შეუფასებელ ხატს. ხატი საქართველოში წამოვაბრძანეთ. რეგისტრაციაზე არ გამოჩნდა, ჩემს დედამთილს დიაგნოზი არ დაუდგინდა, აბსოლუტურად ჯანმრთელია, ყვავილი, რომელიც პირველად მოართვეს, არ დაჭკნა, ხატმა ფერი იცვალა და გაბრწყინდა, საბერძნეთის ეკლესიიდან ჩამოტანილ ხმელ დაფნის ფოთოლს მირონდენა დაეწყო, ღვთისმშობლის მადლი არ მოკლებოდეს საქართველოს.



**მამუკა პავლიაშვილი,** მომღერალი, მსახიობი:

– რასაც ახლა გიყვებით, ეს სასწაული სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნის დროს გადამხდა. ხშირად გვქონდა საველე გასვლები და სწავლებები, განსაკუთრებით მკაცრი სამხედრო რეჟიმი იყო, რადგან არსახსენებელ რაკეტებთან მქონდა ურთიერთობა. ერთ-ერთი ასეთი გასვლის დროს ვზივარ დანიშნულების ადგილზე და უცებ, ყველაფერი ატრიალდა, აღრიალდა, ყველა ღილაკი ერთდროულად აირთო. ვიფიქრე, მესამე მსოფლიო ომი დაიწყო. გამოვცვივდით ყველა ერთად და ვხედავთ, ციმბირის ულამაზეს ცას ორი მთვარე ანათებს, ერთ-ერთი საკმაოდ დიდი იყო, ისეთი, როგორიც ფილმებში გვინახავს, გაშტერებულები ვუყურებდით ერთმანეთს, ეს იყო ნამდვილი შოკი. ამ დროს გამოცხადდა სამხედრო განგაში და სასწრაფოდ დაგვაბრუნეს სამხედრო მანქანებში, გარეთ გამოსვლა მკაცრად აგვიკრძალეს. როდესაც ყველაფერი დამთავრდა ცაზე ერთი მთვარეღა ანათებდა, ბაზაში დაგვიბარეს და კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, რომ ეს ამბავი წერილშიც კი არ მიგვეწერა ოჯახის წევრებთან. მე, როგორც კანონმორჩილმა სამხედრომ, ბრძანება შევასრულე და ამდენი წლის შემდეგ პირველად ვყვები ამ უცნაურ ისტორიას.

კიდევ ერთ სასწაულს გავიხსენებ, გასული საუკუნის 90-იან წლებში აქტიურად ვმღეროდი ესტრადაზე, უამრავი ნაცნობ-მეგობარი, კონცერტები, ბანკეტები და ერთხელაც, აღმოვჩნდი ავჭალაში, ახლობლის ოჯახში, სადაც მოვისმინე ისტორია, რომ მეზობელთან ცხოვრობდა გარდაცვლილი ქმრის სული. იმ ქალბატონს კარგად ვიცნობდი, რადგან ჩემი მსმენელი იყო. ვიყიდე საზამთრო და მივედი სტუმრად. მთელი სტუმრობის მანძილზე ვეხუმრებოდი მასპინძელს მისი ქმრის სულთან დაკავშირებით, რამდენჯერმე გამაფრთხილა, ამ თემაზე ნუ ხუმრობო, მაგრამ არ გავჩერებულვარ. ხუმრობა იმ მომენტამდე გავაგრძელე, სანამ თავში გაშლილი ხელი არ მომხვდა და პირთან მიტანილი საზამთრო ხელიდან არ გამივარდა, ვინ საით გარბოდა, აღარ მახსოვს, არც ის მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ქალაქის ცენტრში. ამ ამბის შემდეგ ავჭალისკენ აღარც გამიხედავს. ამ დღიდან მივხვდი, რომ სულებზე და მსგავს მოვლენებზე ხუმრობა მკრეხელობაა.

**კოკა გოქსაძე,** მხატვარი:

– როცა ეს ამბავი მოხდა, მორწმუნე ადამიანად არ ვითვლებოდი, სიკვდილის მოახლოების შეგრძნება გამიჩნდა, ძალიან ღრმა დეპრესიაში ვიმყოფებოდი, უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ანდერძი დავტოვე, როგორ უნდა გადამენაწილებინა შვილებისთვის ქონება – ბინები, სახელოსნო და ფერწერული ნამუშევრები, მაგრამ სწორედ იმ ღამეს მოხდა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სასწაული. უეცრად, ბნელ ოთახში მზის სხივი შემოიჭრა, შემდეგ უცნაური თვალისმომჭრელი ნათება, ნათებას კი ხატი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. უცებ, აღმოვჩნდი ფანჯრის საპირისპირო მხარეს, სინათლე ვარსკვლავის ფორმით მოდიოდა და თანდათან იზრდებოდა, მუხლზე ვემთხვიე მაცხოვარს და ვეხვეწებოდი, შემინდე ჩემი ცოდვები-მეთქი, თან ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა. მან ძალით გაითავისუფლა ხელი და მითხრა, – კურთხეულ იყავ, შვილო, ჩემო... მას შემდეგ ქრისტე აუჩქარებლად გაუჩინარდა ჩემი სახელოსნოდან. სახელოსნო მთლიანად განათდა, მომხდარით გაოცებული მთელი გულით ვტიროდი, დილით რომ ავდექი, ბალიში სველი მქონდა ცრემლებით. მეორე დღეს სულ სხვა კაცმა გავიღვიძე, გამოვმჯობინდი, დამიბრუნდა სულიერი და ფიზიკური მხნეობა, მინდოდა ნანახის ტილოზე გადატანა, მაგრამ ვიცოდი, საამისოდ მოძღვრისგან კურთხევა იყო საჭირო. მეტეხის ტაძარში მივედი და ჩემი ხილვის შესახებ ვუამბე წინამძღვარს, მამა აკაკი მელიქიძეს. ვუთხარი, მგონი, ქრისტე მომევლინა-მეთქი. კი არ მოგევლინა, გამოგეცხადაო და მომცა კურთხევა, ტილოზე გადამეტანა მაცხოვრის გამოცხადება. მალე შევუდექი ეკლესიურ ცხოვრებას, მამა აკაკის სულიერი შვილი გავხდი და უფლის მადლით, ჩემი მოძღვრის პორტრეტიც შევქმენი. მაცხოვრის გამოცხადების ტილოზე გადმოტანამ განსაკუთრებული მადლით შემოსა ჩემი ცხოვრება, ამის შემდეგ ჩემს შემოქმედებაში იმატა რელიგიურმა თემებმა.

## 24 აპრილი, 1 მაისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** ის, თუ როგორ წარიმართება ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, დამოკიდებულია არა თქვენზე, არამედ დიდწილად თქვენს პარტნიორზე. შესაძლოა, თქვენი შეხედულებები გარკვეულ პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით დიამეტრალურად განსხვავებული აღმოჩნდეს, რაც ურთიერთობის გაცივების მიზეზი გახდება. თუმცაღა, იქიდან გამომდინარე, რომ პარტნიორზე მეტად ბრძენი ხართ, სიტუაციას გამოასწორებთ და ორივესთვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მიხვალთ.

**სამსახური –** მოგიწევთ, უარი თქვათ ნაწილზე, რათა არ დაკარგოთ ყველაფერი.

**სასიკეთო დღეები:** 26 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 აპრილი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** დროებით სიყვარული უნდა დაივიწყოთ, რადგან გაჩნდება არაერთი პრობლემა, მათ შორის, ჯანმრთელობისაც. არ არის გამორიცხული, იძულებული გახდეთ, რომელიმე ავადმყოფ ნათესავს მოუაროთ, ან თავად დაგჭირდეთ სამედიცინო დახმარება. მოკლედ, სიყვარული კი იქნება თქვენს ცხოვრებაში, მაგრამ მისი გამოვლენა ზრუნვითა და დახმარების აღმოჩენით მოგიწევთ.

**სამსახური –** პროფესიულ საქმიანობაში ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორება მოგიწევთ. მზად იყავით შემოწმებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 25 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 27 აპრილი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** პირად ურთიერთობებთან კრეატიული მიდგომა სასურველ შედეგებს მოგიტანთ. ახლა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო პერიოდია ნაცნობობისთვის, რომანტიკული შეხვედრებისთვის, კონტაქტების დამყარებისთვის, დაქორწინებისთვის. წინ სასიამოვნო სიურპრიზები და მრავლისმომცველი შეხვედრები გელით. არ გაუშვათ შანსი!

**სამსახური –** აუცილებელია, საკუთარი თავი მეტად ენერგიულად წარმოაჩინოთ, აწარმოოთ სარეკლამო კამპანიები და მსგავსი აქციები.

**სასიკეთო დღეები:** 26 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 აპრილი.

კვირის ჰოროსკოპი... კვირის ჰოროსკოპი...

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. სალვინე ვაზის ჯიში
2. ზამბახი
3. სოკრატეს აწნილი ცოლი
4. შტატი აშშ-ში
5. რეჟისორი ბერნარდო ...
6. თამაში ვოლანით
7. მწერალი თეოდორ ...
8. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
9. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გლაფირას როლი ში ვალენტინა ...
10. ეთიოპიის ძველი სახელწ.
11. ... გასცემ მეხია
12. ლიმონის კანი
13. ...-დე-ჟანეირო
14. რეჟისორი პედრო ...
15. ლუიზა ... ფიზე ... მადონა
16. ნავის დეტალი
17. საეკლესიო კრება
18. უძრავი ქონების შესყიდვის ფორმა
19. ბერძ. ანბანის პირველი ასო
20. კალიფორნიის უნივერსიტეტი
21. თვითნასწავლი მხატვრობა
22. მუხის ნაყოფი
23. მატონიზირებელი სასმელი
24. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
25. ვერტიკალური, ანუ ...
26. მომღერალი ნოდიკო ...
27. ფეიხოვანი ბაეჭორლო ... (?)
28. ბრაზილიური ცეკვა
29. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
30. ბამბუკის დათვი
31. მდინარე ინდოეთში
32. ზღვის დიდი კიბორჩხალა
33. ... დედალა-მაზიკ-ვილი
34. საბაჟო აჭარაში
35. ჯუჯა ცხენი
36. საყანედ გარჩილი ტყე
37. „ადამიანი ამფიბია“ პერსონაჟი
38. შვარცენეგერი რენის ...
39. ცეცხლსასროლი იარაღი
40. მომღერალი ... ბურჭულაძე
41. ციხიდან გათავისუფლების ფორმა
42. ვიტამინების ნაკლებობა
43. ქალაქი შვეიცარიაში
44. წყალქვეშა კლდე
45. მსახიობი ... დანაუერი
46. მეცნიერული ფილტრები
47. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
48. სოფელი ახმეტის რაიონში
49. გურ. „შიშველი“
50. უძველესი ასურეთის დედაქალაქი
51. კაზინოს თანამშრომელი
52. მწერალი ... ტვენი
53. კონტინენტი
54. პატარა არხი
55. გალაქტიკა ანდრომედას ...
56. ცხაველი დიდებული
57. მსახიობი ... მარტინი
58. მსახ. ბეგალიშვილი
59. შესვენება თეატრში
60. მეტყველების ენები
61. მწერალი კარლო ...
62. მაგიდის ჩოგბურთი
63. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
64. კოშკის ქამანდი
65. მსახ. აიშვარია ...
66. 100კგ
67. მსახიობი მონიკა ...
68. მომღერალი მარიო ...
69. იტალიის დედაქალაქი
70. მსახიობი ... პაპასი
71. მისი დედაქალაქია ტოკიო
72. გამადიდებელი მინა
73. ემბაკი
74. მომღერალი ბონ ...
75. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
76. სომხონის დამკვიდრებული კომპოზიტორი
77. მსახიობი ... არტმანე
78. ავი ძაღლი
79. ბარაქა
80. მსახიობი ... მარსო
81. აუქციონზე გატანილი ნივთი
82. მსახიობი ... ბენინგი
83. სრუტე პა-დე-...
84. ურემი ... გადაბრუნდება
85. მამათა დიდი მონასტერი
86. დირიჟორი ... ბერგერი
87. „გრაფი ... კრისტო“
88. ხრენინ-კოვი
89. ქალაქი გერმანიაში
90. სპორტის სახეობა
91. მსახიობი ჯენიფერ ...
92. მსახ. ... უიზერსპუნი
93. რეჟისორი ... ბესონი
94. მეტლის ადგილი ეტლზე
95. რეპტილია
96. ტაძრის მოცეკვავე ქალი ინდოეთში
97. მსახიობი ... გიბსონი
98. მსახიობი ბრიუს ...
99. სამზარეულო დიდი ჩანგა
100. მსახიობი ... გარდნერი
101. თეთრი თაის კურადიკა
102. მსახიობი ... ბიჩი
103. მწვანილების მეკვრა
104. კურორტი ხაშურთან
105. მისამართის მოსახელი
106. მსახ. ბილი ... თორნტონი
107. მეფის მხლებლები
108. ადმინისტრაც. ერთეული ძველად
109. მსახიობი ... დაზიელ
110. ქალაქი პერუში
111. ქალაქი ფლორიდაში
112. კერძების ჩამონათვალი
113. ფრანგი მხატვარი
114. თხის წინაპარი
115. სოგრძის ძვინდ. ერთეული
116. გეომეტრიული ფიგურა
117. ერიხ ... რემარკი
118. მდინარე კახეთში
119. სანელებელი
120. ... პუგაჩოვა
121. კურორტი ჩულარეთში
122. მდინარე ქართლ-რაში
123. შენღოდუსთლის კუნძული რეგიონი
124. თოვლის კაცი
125. მოქადაგეთ ... ჩიტურდანიძე

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი ბერნარდო ...
2. ... და ანდრომედა
3. მსახ. ... ანჯაფარიძე
4. პოეტი იოსებ ...
5. გრძელი კბილი
6. მწერალი ... ლომოური
7. ისლანდიელი მომღერალი ქალი
8. ძალიან იშვიათი ნივთი
9. კონტინენტი, ანუ ...
10. მომღერალი ... პიეხა
11. მსახიობი ... დიკაპრიო
12. რუსი ილუზიონისტი
13. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
14. რეპტილია
15. ძვ. ბერძენი დრამატურგი
16. ესპანელი მხატვარი
17. მხატვარი კობა ...
18. ცეცხლის ღვთაება ინდუ-იზმში
19. ... ტერეშკოვა
20. ნადუღის სანელებელი
21. მსახიობი ... ემე
22. ტიბეტური ხარი
23. ცვარი
24. ფინური აბანო
25. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
26. დაავადება შაქრის ...
27. პატარა ტანის მტაცებ. ცხოველი
28. პოეტი აკაკი ...
29. აეროდრომი ქუთაისთან
30. მსახიობი ... წულაძე
31. რისი ორგანოა ყური
32. თავსახურავი
33. ქვანახშირის აუზი გერმან.
34. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
35. ცურვის სტილი
36. ტბა თბილისში
37. იტალიის კუნძული
38. კონტინენტი
39. გივი ბერიკაშვილი ფილმში
40. სოფლის ბოსტნეულისათვის
41. კარგად მოარული ცხენი
42. მწერალი ალექსანდრე ...
43. მწერალი ... კიზი
44. ნორვეგიის დედაქალაქი
45. მსახიობი ... აფლეკი
46. მსახიობი ... შეპარდი
47. მსახ. სილვესტერ ...
48. გამარჯვების ქალღმერთი
49. ოპერა „აბესალომ და ...“
50. პატარა სასაცილო ამბავი
51. მხარე დას. საქართ.
52. ფასდაკლება
53. ამინდის პროგნოზისტი
54. ინტუიცია
55. გამადიდებელი მინა
56. საზეიმო წვეულება
57. დაზგა
58. ის, ვინც საჭმელებს ამზადებს
59. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
60. მომღერალი ფილიპ ...
61. ღობე
62. მხ/ფ „... ჭაბუკი“
63. გოგებაშვილი „... რა ჰქმნა?“
64. ახალი ზელანდიის მკვიდრი
65. მსახიობი ... ჰოუკი
66. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
67. თვალის ნაწილი
68. უცნობი ადამიანი
69. სამხედრო გემი
70. პურის სოკო
71. კომპოზიტორი ენიო ...
72. შხამიანი ხე
73. ქალაქი ქვემო ქართლში
74. ტოლჩა
75. გერმანული ავტომობილი
76. სიმინდის ყვავილედი
77. ბისტი თვალზე
78. დასტინ ჰოფმანი ფილმში
79. ... შვარცენეგერი
80. ორბელიანი „სიტყვის ...“
81. პიტნის ზეთი
82. ხელის საგრილებელი
83. რეჟისორი გას ... სენტი
84. ქალაქი იტალიაში
85. მუხლის მოდრეკვა ლოცვისას
86. ფოლგა
87. ჟურნალისტი ... ქორქია
88. ქართ. საესტრადო ანსამბლი
89. ღია უქუსლო ფეხსაცმელი
90. კონტინენტი
91. მესაყვირე კრის ...
92. ექს-პრეზიდენტი რონალდ ...
93. თეატრალური ქუჩა ნიუიორკში
94. მსახიობი ... არტმანე
95. მხატვარი რაფაელ ...
96. ქალაქი იტალიაში
97. სახალხო პოეტი მომღერალი
98. ცვარი
99. ტყის მხალი
100. მწერალი ... ბრედბერი
101. ბედი
102. ჩოგბურთის მოედანი
103. ზლოტის მეასედი
104. მხატვარი ამედეო ...
105. „ბითლზი“ ჯონ ...
106. ლითონი
107. რუსული ავტომობილი
108. ყვავილი
109. ავსტრიის დედაქალაქი
110. უმაღლესი ხარისხის ცხვრის მატყლი
111. ბეწვი, ბალანი
112. ქვეყნიერების გადამრჩენი
113. ბოჭკოვანი მცენარე
114. კურორტი გურიაში
115. განმუხტვა ღრუბლებში
116. ... პუგაჩოვა
117. მსახიობი ... პაჩინო
118. თმის წითელი საღებავი
119. კომპოზიტორი ანდრია ...
120. ჰომეროსის პოემა
121. შინაური ცხოველი








პასუხები: 1. ბერტოლუჩი; 2. პერსევსი; 3. ვერიკო; 4. ნონეშვილი; 5. ეშვი; 6. ნიკო; 7. ბიორკი; 8. რარიტეტი; 9. მატერიკი; 10. ედიტა; 11. ლეონარდო; 12. კიო; 13. ელიზო; 14. კუ; 15. ევრიპიდე; 16. გოია; 17. გურული; 18. აგნი; 19. ვალენტინა; 20. პიტნა; 21. ანუკ; 22. იაკი; 23. ნამი; 24. საუნა; 25. სირიუსი; 26. დიაბეტი; 27. მაჩვი; 28. წერეთელი; 29. კოპიტნარი; 30. ბაადურ; 31. სმენა; 32. სარქველი; 33. რური; 34. მისისიპი; 35. ბრასი; 36. ლისი; 37. სიცილია; 38. ამერიკა; 39. „ლონდრე“; 40. მაიონეზი; 41. იორღა; 42. დიუმა; 43. კენ; 44. ოსლო; 45. ბენ; 46. სემ; 47. სტალონე; 48. ნიკე; 49. ეთერი; 50. ანეკდოტი; 51. იმერეთი; 52. სეილი; 53. სინოპტიკოსი; 54. ალღო; 55. ლუპა; 56. რაუტი; 57. ჩარხი; 58. მზარეული; 59. იანიჩარი; 60. კირკოროვი; 61. მესერი; 62. საბუდარელი; 63. იავნანამ; იტან; 66. მაკ; 67. რქოვანა; 68. ინკოგნიტო; 69. კრეისერი; 70. ობი; 71. მორიკონე; 72. ანჩარი; 73. დმანისი; 74. კათხა; 75. „მერსედესი; 76. ტარო; 77. ლიბრი; 78. „ტუტსი“; 79. არნოლდ; 80. კონა; 81. მენთოლი; 82. მარაო; 83. ვან; 84. ნეაპოლი; 85. მეტანია; 86. კილიტა; 87. ანუკი; 88. „ივერია“; 89. სანდალი; 90. აზია; 91. ბოტი; 92. რეიგანი; 93. ბროდვეი; 94. ვია; 95. სანტი; 96. ტრიესტი; 97. აკინი; 98. ნამი; 99. პანტა; 100. რეი; 101. სვე; 102. კორტი; 103. გროში; 104. მოდილიანი; 105. ლენონი; 106. ნიკე; 107. „ნივა“; 108. ია; 109. ვენა; 110. მერინოსი; 111. თმა; 112. მესია; 113. სელი; 114. ურეკი; 115. ელვა; 116. ალა; 117. ალ; 118. ინა; 119. ბალანჩივაძე; 120. „ილიადა“; 121. თხა. იკითხება: ტოსტერი. მიქსერი. ბლენდერი. ჩაიდანი.

Facebook ამბები



ხატია სიჭინავა:

იმ დედამთილზე გიყვებით, ჩემი ქმრის სიყვარულით ყველაფერი, რომ დავივიწყე და დედა დავუძახე. მერე ყველგან ვაქებდი და ვადიდებდი და მართლა გულწრფელად მჯეროდა, რომ შევუყვარდი... იმ დედამთილზე ვამბობ ბაღიდან რომ მოხსნეს და სასამართლო, სასამართლო დავწანწალებდი, რომ გულდაწყვეტილი არ დარჩენილიყო.

ეს ის დედამთილია თურმე სტერეოტიპებს ამსხვრევს კი არა გულში ბაღლამს რომ ატარებს ალბათ იმიტომ, რომ რომ ოდესღაც მისმა შვილმა მისი არჩეულის მაგივრად, თავისი რჩეული მოიყვანა ცოლად... დიახ ეს ჩემი საყვარელი დედამთილია, რომელიც სიხარულით აზიარებს იმ პოსტს მე რომ არც მინახავს და რომელიც მე კი არა პირდაპირ თავის შვილს გაუგმირავს გულს ... აი ესეთი სამწუხარო ამბებიც ხდება ცხოვრებაში .... ესეც გაივლის"

პასუხად რამაზ ნოზაძის დედამ დააკომენტარა:

ლალი ნოზაძე: "რატომ არ მოგეწიათ ის წყევლა კრულვა, მა რა გგონია შე გომბიო, ისეთი შვილი როგორიც ნანოა (რამაზ ნოზაძე) შენისთანასთვის მემეტებოდა? ეხლაც არ გაკლებ წყევლა-კრულვას, ან წინ დაგეწევა ან უკან ჩემი ოჯახის დალუპვისთვის შენი შემოსვლით რომ გააბედნიერე. ეხლა ამოიდგი ენა შე არშემდგარო, რა სახელი გაქვს ქალაქში მიიხედ-მოიხედე, გატრუნული უნდა გდებულიყავი, როგორც ბარდებში კუ.."

საინტერესო ამბები...

## მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი შიმპანზე რიცხვებს ნებისმიერ ადამიანზე სწრაფად იმახსოვრებს



აიუმუ ერთ-ერთია იმ 14 შიმპანზედან, რომლებიც დაიბადნენ, გაიზარდნენ და დღესაც კიოტოს პრიმატების შემსწავლელ ინსტიტუტში ბინადრობენ. სწორედ აქ პროფესორი მაცუზავა შიმპანზეების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლობს. ის მაიმუნებს „სამეცნიერო პროექტის პარტნიორებს" უწოდებს და პრინციპში, არც ცდება.

პრიმატებს შორის ნამდვილი გენიოსი აღმოჩნდა აიუმუ, რომელიც თურმე, ძალიან მოუსვენარი, მაგრამ ყველაზე შრომისმოყვარე ყოფილა.

მისი უნიკალური ტალანტი ის გახლავთ, რომ შეუძლია ეკრანზე რიცხვების ადგილმდებარეობა დაიმახსოვროს, რასაც 1 წამსაც არ ანდომებს და შემდეგ შეცდომის გარეშე თითოეული რიცხვი აკრიფოს.

აიუმუ 11 წლისაა და დაგვეთანხმებით, მართლაც გამორჩეულია, თუმცა პროფესორმა მაცუზავამ მისი განსაკუთრებულობა ჯერ კიდევ 6 წლის წინათ შენიშნა.

სკეპტიკოსები, ალბათ, იტყვიან, რომ აიუმო რიცხვებს, უბრალოდ, შემთხვევით იცნობს და ეკრანზე თითს ქაოსურად აჭერს, თუმცა მეცნიერები ამ თეორიას კატეგორიულად არ ეთანხმებიან და განმარტავენ, რომ ასეთი სიზუსტის ალბათობაა: 1/362000.

*tainamira.ru*

საინტერესო ამბები...

## გვითხარით, რომელი ხილი გიყვართ და გეტყვით, ვინ ხართ თქვენ



ხედავთ, რა ყოფილა? თურმე, ადამიანის ხასიათის დადგენა კონკრეტული ხილის სიყვარულითაც ყოფილა შესაძლებელი. ერთი კია, ამ მეთოდით მხოლოდ ქალების უკეთ გაცნობა გამოდის. ჰოდა, ძალიანაც კარგი – გავიხაროთ მამაკაცებმა, იქნებ, ცოტათი მაინც წაგვადგეს ახალი ნაცნობის საიდუმლოებების წინასწარ ამოცნობაში, რათა ისეთი შეცდომა არ დავუშვათ, ორი აგურის ძებნა რომ არ დაგვჭირდეს საკუთარ თავში ჩასაბრახუნებლად.

მოკლედ, ზოგს მსხალი უყვარს, ზოგიერთს ვაშლი, გარკვეული ნაწილი კი ღორქლიავაზე გიჟდება. რატომ და რით შეიძლება ამის ახსნა? ფსიქოლოგები ამბობენ, რომ „დამნაშავე" ტემპერამენტია.

მაგალითისთვის, ქალი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს გრეიფრუტს, ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს, ჭკვიანები და ცოტა მორიდებულები არიან. გარდა ამისა, გამოირჩევიან გადასარევი იუმორით. მოკლედ, ასეთებთან ურთიერთობა შეიძლება – ჭკვიანი ქალი, რომელიც ცოტათი მორცხვიცაა და იუმორიც რომ ჰქონდეს, ნამდვილად სანთლით არის საძებარი.

მსხლის მოყვარულებს თურმე, ადვილად გამოსდით და ძალიან უყვართ მამაკაცების მოხიბვლა. ჰოდა, თუ არ გსურთ, რომ ვინმეს მახეში გაებათ, თუკი ხელში ხეჭეჭური დაუნახეთ, უკან მოუხედავად მოკურცხლეთ, მაგრამ თუ გსურთ, რომ მინიმუმ ფლირტით მაინც ისიამოვნოთ, სწორედ ხეჭეჭურიანებს მიეძალეთ, ხეჭეჭურიანებს.

ის, ვისაც ვაშლი უყვარს, მტკიცე ხასიათისანი არიან და ჭკვიანებიც. რაც მთავარია, საიმედოები.

აფსუს, როგორ გვეგონა, ლეღვის მოყვარულებზეც იქნებოდა რამდენიმე სიტყვა ნათქვამი...

*lenta.ru*

საინტერესო ამბები...




## „ასპირინი" კიბოს დასამარცხებელ პრეპარატად აღიარეს

კარდიფის უნივერსიტეტის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ „ასპირინის" მცირე დოზების მიღება კიბოს საწინააღმდეგო თერაპიის დროს, დაავადებულთა გადარჩენის შანსებს 20 პროცენტით ამაღლებს.

მკვლევარები აცხადებენ, რომ გადარჩენის შანსების გაზრდასთან ერთად, პრეპარატი ხელს უშლის მეტასტაზების გავრცელებას.

მეცნიერთა თქმით, ასპირინის მცირე დოზებით მიღება ხელს უშლის კიბოს გარკვეული სახეობების გაჩენას, თუმცა ზუსტად რომელი ბიოლოგიური მექანიზმები ასრულებს ამ როლს, უცნობია.

მეცნიერებმა შეისწავლეს კოლორექტალური კიბოს, ძუძუს კიბოს და პროსტატის კიბოს დაახლოებით ორმოცდაათი კვლევის შედეგები და დაადგინეს, რომ სხვა თერაპიებთან ერთად, ასპირინი ხელს უწყობდა სიკვდილიანობის შემცირებას 15-20 პროცენტით და ასევე, აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნის გავრცელებას.

*pia.ge*

საინტერესო ამბები...

## 20 დოლარიანზე შესაძლოა, ფერადკანიანი ქალის პორტრეტი გამოჩნდეს




აშშ-ის ვალუტის 20-დოლარიან კუპიურაზე შესაძლოა, ისტორიაში პირველად, ფერადკანიანი ქალის პორტრეტი გამოსახონ.

მედიის ცნობით, 20-დოლარიან კუპიურებზე მონობის წინააღმდეგ მებრძოლი ფერადკანიანი ქალის გარიეტ ტაბმენის პორტრეტის დატანაა დაგეგმილი.

20-დოლარიანი კუპიურის დიზაინის შეცვლამდე აშშ-ის ხელისუფლებამ მოსახლეობაში გამოკითხვა ჩაატარა.

მთავრობას აინტერესებდა, აშშ-ის მოსახლეობა კუპიურაზე რომელი ცნობილი ქალის პორტრეტს ისურვებდა.

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა ბანკნოტებზე ელეონორა რუზველტისა და როზა პარკსის პორტრეტების დატანა ისურვა, თუმცა, ყველაზე მეტი მომხრე ფერადკანიანი ქალის პორტრეტის დაბეჭდვის მომხრე აღმოჩნდა.

„ქალი, ლიდერი და მებრძოლი! მე არ წარმომიდგენია უკეთესი არჩევანი წარმოვიდგინოთ 20-დოლარიანი ბანკნოტისთვის, ვიდრე გარიეტ ტაბმენია", – დაწერა „ტვიტერში" აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ბანკნოტების დიზაინი ივნისიდან შეიცვლება. კუპიურებიდან აშშ-ის პირველი ფინანსთა მინისტრის ალექსანდრე ჰამილტონის პორტრეტის შეცვლა იგეგმებოდა, თუმცა ამ ინიციატივამ მღელვარება გამოიწვია ამერიკის მოსახლეობას შორის.

მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივა მიაწოდა ხელისუფლებას, რათა ფერადკანიანი მებრძოლი ქალის პორტრეტი 20 დოლარიან კუპიურაზე აშშ-ის მე-7 პრეზიდენტის, ენდრიუ ჯექსონის ნაცვლად დაებეჭდათ, რომელიც აშშ-ში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს.

*info9.ge*

საინტერესო ამბები...

## ჩინელებმა სუპერქალი შექმნეს



ჩინური სუპერქალი ინტერაქტიული რობოტია, რომელიც ჩინეთის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა საზოგადოებას წარუდგინეს.

ჟია ჟია – ასე ჰქვია რობოტს, რომელიც ძალიან ჰგავს ცოცხალ ადამიანს. ის დადის, საუბრობს და ცოცხალი მიმიკები აქვს.

„ძალიან გთხოვთ, ფოტო სახეზე ახლოდან არ გადამიღოთ – ასუქებს", – ასეთი ფრაზა უთხრა რობოტმა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს.

შემქმნელები ახალ რობოტზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, რათა მისი გამოხედვა და საუბრის სინქრონიზაცია ტუჩების მოძრაობასთან მის წინამორბედზე უკეთესი ყოფილიყო.

*info9.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

Facebook ამბები



ნათია ფანჯიკიძე

მე და მამა, მზეზე მოჭუტულები

ბავშვი გარაჟებზე დახტის, ვერ ჩამოვხსენით, - მამას უხაროდა, -რა საყვარელია, რომ დახტის!

ნეკნები ჩაიმტვრია! - რა ყოჩაღად აიტანა!

ბავშვი ბუმბულებით და ტირიფის ტოტების ქვედაკაბით დარბის, ინდიელი ვარო, აიჩემა, - მამას უხაროდა, რომ ბავშვი ბოდვაშია.

მამას უხაროდა ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი, როგორც ვფიქრობდი და მეც მიხაროდა სიცოცხლე. დღეს მისი დაბადების დღეა, საფლავზე წესისამებრ უნდა გავიდე, არადა რა შუაშია საფლავი. მამა ჩემს სიზმრებშია, ჩემს თვალებშია და კიდევ სადღაც, ასტრალში, აუცილებლად იმ პლანეტაზე, სადაც ღვინის საუკეთესო მოსავალი იცის.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## შეურაცხყოფილი ადამიანებისთვის უცენზურო სიტყვების ალბომი შექმნეს




ჩინებული ალტერნატივა მათთვის, ვინც გულისსწორს დაშორდა და მასზე გაბრაზებულია. ერთ-ერთმა ავსტრალიურმა გამოცემამ მოიგონა ალბომი, სადაც შესაშური ოსტატობით გამოყვანილი და მოხატულია შეურაცხმყოფელი სიტყვები და ფრაზები, მაგალითად – „ბედნიერი იყავი, არამზადავ!“

კრეატივ ჯგუფი ამბობს, რომ იდეა მიმართულია ძველი ურთიერთობისგან დარჩენილი სინანულისა და ფიქრებისგან განთავისუფლებისკენ.

ალბომში ასევე ვხვდებით ფრაზებს: „უფრო მეტს ვიმსახურებ“; „ბედნიერად იცხოვრე შენს დედიკოსთან ერთად“.

ავტორების თქმით, იდეა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე გაუჩნდათ. თითოეულ მათგანს აქვს ღალატი, ტკივილი, დაშორება გადატანილი, ამიტომ არ გასჭირვებიათ სიტყვებისა და ფრაზების მოფიქრება და მათი გალამაზება.

ალბომი ინტერნეტით გაიყიდება და მისი ფასი დაახლოებით, 8.5 დოლარი იქნება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## კიდურების ამპუტაციის შემდეგ გოგონამ ბატუტზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა



12 წლის ბრიტანელმა იზი უილიმ დაამტკიცა, რომ მიზნის მისაღწევად მთავარი არა შესაძლებლობა, არამედ სურვილი და მონდომებაა.

იზი 12 წლის იყო, როცა გულის შეტევა მოუვიდა, რასაც ორგანოების მრავალჯერადი დაზიანება მოჰყვა. ბაქტერიული მენინგიტის გადატანის შემდეგ კი, აუცილებელი გახდა ხელებისა და ფეხების ამპუტაცია.

2011 წელს გოგონასთვის პროთეზი შექმნეს, რისი დამსახურებითაც იზიმ სიარული შეძლო.

მოგვიანებით, გოგონამ ბატუტზე ხტომის წრეზე დაიწყო სიარული. ერთწლიანი ვარჯიშის შემდეგ სასკოლო ნაციონალურ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო და პირველი ადგილიც დაიკავა და დაამტკიცა, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## ნიახური და „პეტრუშკა“ კიბოს შემთხვევათა 90 პროცენტში აჩერებს?!

„პეტრუშკას“ პეტუნია კი ჰქვია, მაგრამ ჩვენთან ხომ ამ სასარგებლო მწვანილს ასე მოიხსენიებენ. ჰოდა, სახელი ყველამ ვიცით მისი, ნიახურზეც ბევრი გაგვიგია, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი თვისება, რომელიც ამერიკელმა და ებრაელმა მეცნიერებმა მათ აღმოუჩინეს, ვფიქრობთ, ბევრს არ ეცოდინება.

აღმოჩნდა, რომ ნიახური და პეტუნია დიდი წარმატებით ებრძვის მკერდის კიბოს. ექსპერიმენტის დახმარებით დამტკიცდა, რომ მცენარეს შეუძლია, დაავადება ძალიან ადვილად დაამარცხოს. ყოველ შემთხვევაში, შეაჩეროს მაინც.

მისურის უნივერსიტეტის სპეციალისტების თქმით, ნივთიერება, სახელწოდებით აპეგინინი სიმსივნის ზომებს ამცირებს, რითიც დაავადება ეტაპობრივად უკან იხევს.

აქვე უნდა ითქვას, რომ აპეგინინი მოქმედებს იმ პირობებში, როცა ადამიანის ორგანიზმში, რომელსაც კიბოს დიაგნოზს დაუსვამენ, პროგესტინი უნდა შედიოდეს. ეს არის ქიმიური ნივთიერება, რომელსაც ქალებს მენოპაუზის სიმპტომებისას თერაპევტული საშუალების სახით უნიშნავენ.

კვლევის შედეგები მართლაც რომ შთამბეჭდავი და უპრეცედენტოა – აპეგინინის ზემოქმედებით, სიმსივნური წარმონაქმნების შემცირება შემთხვევათა 90 პროცენტში მოხერხდა.

გადაწყდა, რომ საკითხთან დაკავშირებით უფრო მასშტაბური კვლევა ჩატარდეს, რათა ამ მცენარეებით ადამიანების მკურნალობა უახლოეს მომავალში დაიწყოს.

*woman.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კალციის დანამატების მიღებას?



ამ ნივთიერების ნაკლებობა არაერთ პრობლემას აჩენს, თუმცა მისი გადამეტებული კონცენტრაცია კიდევ უფრო სავალალო შედეგების მომტანი აღმოჩნდა.

– კალციის დანამატების მიღება შესაძლოა, გულის შეტევით დასრულდეს, – ასეთ დასკვნამდე გერმანელი მეცნიერები მივიდნენ ჰაიდელბერგის კიბოს კვლევის ცენტრიდან.

ექიმების შესწავლის ობიექტი გახდა 24 ათასი პაციენტის ანკეტა, რომლებიც ბოლო 10 წლის მანძილზე იყო გახსნილი.

სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მოექცნენ ადამიანები, რომლებიც იღებდნენ კალციის დანამატებს და რომლებიც მას არ სვამდნენ. პირველ შემთხვევაში, გულის შეტევები შემთხვევათა 86 პროცენტში დაფიქსირდა, ხოლო მეორე ჯგუფში მხოლოდ და მხოლოდ – 5 პროცენტში.

გერმანელი სპეციალისტები განმარტავენ, რომ ჩვეულებრივ, კალცი ინიშნება ძვლის გასაძლიერებლად, ასევე, ოსტეოპოროზისა და მოტეხილობების პროფილაქტიკისთვის. მაგრამ ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს ის გულ-სისხლძარღვთა მდგომარეობაზე. ამდენად, კალციის მიღება აუცილებელია მხოლოდ და მხოლოდ ექიმის კონტროლქვეშ, რომელსაც შეუძლია პრეპარატის დოზის ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა.

*medkarta.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ბავშვს გასუქებისგან მშობლის... საწოლი გადაარჩენს?



მოგეხსენებათ, ზოგადად, სიმსუქნე, განსაკუთრებით კი – ბავშვებში, თითქმის მთელი მსოფლიოს ძალიან დიდი პრობლემაა. საამისოდ ნორმალურ ქვეყნებში სპეციალური პროგრამები მოქმედებს, რათა ბავშვებს ამ სერიოზულ უსიამოვნებასთან გამკლავებაში დაეხმარონ. გარდა ამისა, ტარდება უამრავი კვლევა, რომელთაგან ერთ-ერთზე ქვემოთ მოგიყვებით.

– მშობლები, რომლებიც უფლებას აძლევენ თავიანთ შვილებს, ღამით მათ საწოლში შეძვრნენ, ბავშვებში გასუქების რისკს ამცირებენ, – ამტკიცებენ დანიელი მეცნიერები ახლად ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებიც მშობლებთან ღამით არასოდეს დაწოლილან, 3-ჯერ მეტად არიან მიდრეკილები სიმსუქნისკენ იმათგან განსხვავებით, ვინც დედ-მამასთან იძინებს ხოლმე.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ მშობლებთან უშუალო სიახლოვე ბავშვებს ძალიან დიდი ემოციური თანაგრძნობის შეგრძნებას უჩენს, რომელსაც შეუძლია ისინი დაიცვას არა მხოლოდ სიმსუქნისგან, არამედ კიდევ ძალიან ბევრი უსიამოვნებისგან.

გეტყვით იმასაც, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა კოპენჰაგენის პროფილაქტიკური მედიცინის ინსტიტუტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომელშიც სიმსუქნისკენ მიდრეკილი 2-დან 6 წლამდე 645 ბავშვი იყო ჩართული.

*wordscience.org*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები




**მანჩო გიორგობიანი**

კახური იუმორიდან ))))))))))))))))))))))))

მარეხი მამულაშვილი – ნიახურს რომ ენა ჰქონდეს, კაკო ასათიანს უჩივლებდა.

რამდენჯერლა უნდა ამოვიდეს ეგ კაცი?




**იუნა შაფათავა:**

დროა, ზნეობის პოლიცია შემოვიღოთ საქართველოში. როგორც ჩანს, უმდიდრესი სექსუალური გამოცდილების მატარებელი მაღალჩინოსნები თავისით პოზიციებს არ დათმობენ. მაშინ როცა სექს "ექსპერტად" მონათლული მე და კიდევ მრავალი სხვა, ნამდვილად ღირსეული ადამიანი იდაყვებით და სექსით არ იპყრობს საქართველოს მწვერვალებს (ვინ გააჭაჭანებს), მგონი დროა,გონს მოეგონ ვიღაც ვილაცეები და მთავარსარდლებად და სარდლებად არ გვისაღებდნენ თავს, თავისი მრავალრიცხოვანი ასევე მაღალჩინოსანი საყვარლების ლოგინებიდან. ხვალ დადგებიან არჩევნებზე სხვადასხვა პარტიებში და ხმის მიცემას და ნდობას მოგვთხოვენ. (აქ კომბინაცია ერთი თითის ზემოთ აშვერით). ეხება მოღალატე ცოლებსაც და ქმრებსაც.




**სტეფანე მლებრიშვილი**

2014 წელს ვიყავი ბათუმის შერატონში სამი დღით... შერატონის სადგომზე მეყენა ეგ დღეები მანქანა და თურმე პარკინგის ჯარიმას მიწერდნენ ყოველდღე ... ჯამში სამი, შემდეგ პოსტალიონს ჩემი ძიძისთვის ჩაუბარებია ერთი ქვითარი. ( სადაც მიუთითებია რომ დედაჩემმა ჩაიბარა ) გუშინ დამირეკეს რომ 192 ლარი მაქვს გადასახდელი , დღეს რომ დავრეკე იმათთან ოფისში თურმე დღეს კიდევ ორი დააწიეს სასჯელ რაღაც კანტორას ვერ დავიმახსოვრე და 600 ლარი მაქვს გადასახდელი, თორემ მანქანას დაგიყადაღებთო. ეს ხომ პატრულის ჯარიმა არარის. პარკირების ჯარიმაა... ესე ბრმად უნდა ვენდო , არ გავაპროტესტო და გადავიხადო? მითუმეტეს მე არ ჩამიბარებია არანაირი ქვითარი...

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00






1. ბიზეს ოპერა
2. ვაჭრობის თეორია
3. სახელმწ. ... და ტობაგო
4. რუსი მხატვარი
5. ძროხის ნაშიერი
6. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
7. ბუდისტი მასწავლებელი
8. უდაბნო აფრიკაში
9. ახალი ქვის ხანა
10. საგაზეთო პუბლიკაცია
11. მუზების მფარველი ღმერთი
12. ნამარხი სპილო
13. ფოლადის სადნობი ღუმელი
14. ბუნების ამსახველი ნახატი
15. რა ქვეითდება შიდსის დროს
16. მსახიობი მერილ ...
17. მოდელი ... ყიფშიძე
18. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
19. გრძნობის გამოხატვა სახის ნაკვთებით
20. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
21. მხ/ფ „... და ათი მცნება“
22. ღიმილის ლოგო
23. ვირას საპირისპირო ბრძანება
24. „... ჩამოვიდნენ მთიდან“
25. ექს-პრეზიდენტი რიჩარდ ...
26. ადამის მეუღლე
27. ანსამბლი „სტატუს ...“
28. „მაუგლი“ პითონი
29. ... ბურთი და ... მოედანი
30. ნახატი კედელზე
31. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
32. მწნილი
33. ვერდის ოპერა
34. შუმერული ეპოსის გმირი
35. მოგებული პარტია ნარდში
36. ნახშირმჟავა სამკურნ. წყალი
37. მამლის ჯიღა
38. არომატული ნივთიერება
39. ... დედალამაზიშვილი
40. ბავშვის კბილი
41. სინთეზური ქსოვილი
42. ...-კლარჯეთი
43. რეჟისორი ჯონ ...
44. თრითინა, ანუ ...
45. კონტინენტი
46. თეფში
47. ქართ. საესტრადო ანსამბლი
48. მსახიობი ... პიტი
49. უკრაინის პარლამენტი
50. თვითმფრინავის ფანჯარა
51. იანის საპირისპირო
52. სოფელი თბილისში
53. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
54. სანთლის მასალა
55. იგი კვაზიმოდოს უყვარდა
56. მათემატიკის ნაწილი
57. ნიშნავს მიმსგავსებულს
58. ნიშნავს ჩირქოვანს
59. „სიყვარულის ფორმულა“ გრაფი ...
60. ... ძედუნი
61. მდინარე შორეულ აღმოსავლ.
62. რას დებენ კარიესში
63. ღმერთი სკანდინ. მითებში
64. მკვლელობის მანია
65. კოცონი. ემინია ჭინკას
66. ტბა ფოთთან
67. მრავალფეროვანი, ანუ ...
68. მსახიობი ... ზაქარიაძე
69. შორ მანძილზე მორბენალი
70. პრიმატი ცხოველი
71. მოკრივე მაიკლ ...
72. ქალაქი რაჭაში
73. მსახიობი ... კერი
74. მარიო პიუზოს ნაწარმოები
75. მომღერალი ... ჯონი
76. მწერალი ... როდარი
77. „გრაფი ...-კრისტო“
78. მხ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
79. რეჟისორი ... ჰოვარდი
80. მწერალი ... ტოლსტოი
81. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
82. აცტეკების დედაქალაქი
83. მსახიობი ... ბარტონი
84. კარლ მარქსის ნაწარმოები
85. სპორტული ინვენტარის ფირმა
86. ევას მეუღლე
87. მხატვარი ამედეო ...
88. რუსი გოლიათი ილია ...
89. პერსონა ...-გრატა
90. ზღვის დიდი კიბორჩხალა
91. ბრედ პიტი ფილმში
92. ...-ტიკიტავი
93. პატარა ტანის ძაღლი
94. თბილისის უბანი
95. ლაჩარი
96. სურდო
97. მხ/ფ „შესანიშნავი შვიდეული“ ახალგაზრდა კოვბოი
98. ვირის ნაშიერი
99. მოჭადრაკე ... ალექსანდრია
100. ბალახი
101. მსახიობი ... ჰენქსი
102. მწერალი ... დე ბალზაკი
103. „... ვხედავ მზეს“
104. მსახიობი ტომი ... ჯონსი
105. სამკაციანი ანსამბლი
106. მომღერალი ... კალასი
107. სიმსივნის ფორმა
108. მსახიობი რიჩარდ ...
109. ჩანჩქერი აშშ-ში
110. „მატრიცა“ კერი-ენ მოსი
111. ნაბიჯი ბალეტში
112. ... არაგვის-პირელი
113. ბულგარული არაყი
114. მხ/ფ „ქალაქი ...“
115. მსახიობი ... მარია ვოლონტე
116. ექსკურსიამძღოლი
117. წონის ძველებ. ერთეული
118. დაკოდილი ცხენი
119. მშობიარობის დამხმარე

პასუხები: 1. „კარმენი“; 2. მარკეტინგი; 3. ტრინიდადი; 4. რერიხი; 5. ხბო; 6. არგენტინა; 7. გურუ; 8. ნამიბია; 9. ნეოლითი; 10. სტატია; 11. აპოლონი; 12. მამონტი; 13. მარტენი; 14. ნატურმორტი; 15. იმუნიტეტი; 16. სტრიპი; 17. ქრისტი; 18. სან; 19. მიმიკა; 20. ნაგომარი; 21. ეშმაკი; 22. სმაილი; 23. მაინა; 24. ისინი; 25. ნიქსონი; 26. ევა; 27. კვო; 28. კაა; 29. ჰა; 30. პანო; 31. ოლია; 32. მარინადი; 33. „აიდა“; 34. გილგამეში; 35. ოინი; 36. „ნარზანი“; 37. ბიბილო; 38. ესენცია; 39. გიგი; 40. კიჭი; 41. ლავსანი; 42. ტაო; 43. ვუ; 44. სინდიოფალა; 45. ევროპა; 46. საინი; 47. „ივერია“; 48. ბრედ; 49. რადა; 50. ილუმინატორი; 51. ინი; 52. კიკეთი; 53. ციციკორე; 54. ცვილი; 55. ესმერალდა; 56. ტრიგონომეტრია; 57. პარა; 58. პიო; 59. კალიოსტრო; 60. მაო; 61. ამური; 62. პლომბი; 63. ოდინი; 64. ამოკი; 65. ქიაკოკონა; 66. პალიასტომი; 67. ჭრელი; 68. სერგო; 69. სტაიერი; 70. მაიმუნი; 71. ტაისონი; 72. ონი; 73. ჯიმ; 74. „ნათლია“; 75. ელტონ; 76. ჯანი; 77. მონტე; 78. მილიონი; 79. რონ; 80. ლევ; 81. ნიკარაგუა; 82. ტენოჩტიტლანი; 83. რიჩარდ; 84. „კაპიტალი“; 85. „ნაიკი“; 86. ადამი; 87. მოდილიანი; 88. მურომეცი; 89. ნონ; 90. ომარი; 91. ტროა; 92. რიკი; 93. ფინია; 94. ვაკე; 95. მშიშარა; 96. რინიტი; 97. ჩიკო; 98. ჩოჩორი; 99. ნანა; 100. იონჯა; 101. ტომ; 102. ონორე; 103. მე; 104. ლი; 105. ტრიო; 106. მარია; 107. მიომა; 108. გირი; 109. ნიაგარა; 110. ტრინიტი; 111. პა; 112. შიო; 113. რაკია; 114. ანარა; 115. ჯან; 116. გიდი; 117. ოყა; 118. იაბო; 119. მეანი. იკითხება: მიკი მაუსი. ბემბი. პინოქიო. მაშა.

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქალაქი ზემო იმერეთში
2. სამხედრო ფორმის შარვალი
3. ბოსტნეულის კერძი
4. პოეტი. ვაჟა-ფშაველას ძმა
5. ძაღლის ჯიში
6. სამეჯლისო ცეკვა
7. მდინარე მოლდავეთში
8. კოსმოდრომი ყაზახეთში
9. დირიჟორის ნოტები
10. ვერცხლისწყა-ლი
11. უბედურების სიგნალი
12. კინოფირის ერთი სურათი
13. ალკოჰოლური სასმელი
14. მომღერალი ... ჯაბუა
15. პირის ღრუს თაღი
16. „მე ვხედავ მზეს" გოგონა
17. ერთი ეკლესიის მომლოცველები
18. ექსპრეზიდენტი რიჩარდ ...
19. მაინას საპირისპირო ბრძანება
20. სავაჭრო სახლი ძველად
21. ქალაქი ნიდერლანდში
22. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
23. ჩილეში: ავგუსტო ...
24. ნასესხები ფული
25. სოკო
26. მოგზაური ... პოლო
27. ოსური ცეკვა
28. ცელქი
29. საესტრადო სიმებ. ინსტრუმენტი
30. ბარდი ალექსანდრე ...
31. მონიშვნა არჩევნების დროს
32. იგავი „მგელი და ..."
33. სახედარი
34. სისხლნაკლებობა
35. სახორცე ქათმის ჯიში
36. ფილიპინების დედაქალაქი
37. პატარა ტანის მტაცებ. ცხოველი
38. ტკბილეულის მოყვარული
39. ავსტრალიის მკვიდრი მოსახლე
40. ... ერქომაიშვილი
41. შოკოლადის ხის ნაყოფი
42. რეპტილია
43. ლაიზა მინელი ფილმში
44. მსახიობი ... პაჩინო
45. მდინარე რუსეთში
46. თაღი
47. მომღერალი ... აგუზაროვა
48. სიმაღლის მიხედვით დგომა
49. ბერძ. ანბანის პირველი ასო
50. რქებდახრილი საქონელი
51. ჯერ შრომა, ... ხტომა
52. მხ/ფ „ბორნის ..."
53. პოეტი ... ბარტო
54. ქართული მინერალური წყალი
55. კუნძული ეგეოსის ზღვაში
56. მომღერალი ... ბერნესი
57. გამის ნოტი
58. ... სულაკაური
59. თათქარიძეების მოახლე გოგო
60. ტროას გმირი
61. დროშა
62. შტატი აშშ-ში
63. ებრაული ენა
64. მხარე დას. საქართ.
65. კომპოზიტორი ვანო ...
66. მწყემსის მოსასხამი
67. მტაცებელი თევზი
68. იტალიური მაკარონი
69. გულსაბნევი
70. რეჟისორი ... ფელინი
71. 100სმ
72. თმის საპრიალებელი საცხი
73. იანის საპირისპირო
74. ფრინველის სამწყვდევი
75. მწერალი არტურ კონან ...
76. ფრედი მერკურის ანსამბლი
77. ვერცხლის ათცენტიანი
78. სასმელი: ჯინი და ...
79. ზრდადაუსრულებელი ქათამი
80. ინგლისური ლუდი
81. მწერალი ... ტოლსტოი
82. ნახ. კუნძული აზიაში
83. როტორი და ...
84. მომღერალი დევიდ ...
84ა. მეცნიერება თევზების შესახებ
85. ვაქცინაცია
86. გაფუჭებული კვერცხი
87. ჰომეროსის პოემა
88. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
89. მსახიობი იგორ ...
90. ღმერთი ეგვიპტ. მითებში
91. ყვავილი
92. მსახიობი ... პარიიო
93. მზის ამოსვლა
94. მხატვარი ... თოიძე
95. ჯუჯა ცხენი
96. დადუღებული ყურძნის წვენი
97. მწერალი ... აბე
98. კომპოზიტორი იმრე ...
99. ვერდის ოპერა
100. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
101. პირველი ორნიშნა რიცხვი
102. სასულე ინსტრუმენტი
103. ყვავილი
104. ყვავის ბარტყი
105. მახრჩობელა გველი
106. თენგიზ აბულაძის ფილმი
107. ჭამის სურვილი
108. მსახიობი ... ფონდა
109. მსახიობი ... იოვოვიჩი
110. ძვ. რომაული სამოსი
111. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
112. უნგრელი კომპოზიტორი
113. მტაცებელი ფრინველი
114. ფრანგი ქართველოლოგი ... ბროსე
115. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
116. სანელებელი
117. ტუჩი
118. მეტყველების ორგანო
119. აბატი ფარიას ციხე
120. მსახიობი ... ჰილი
121. უძველესი კოლხეთი







პასუხები: 1. საჩხერე; 2. გალიფე; 3. აჯაფსანდალი; 4. ბაჩანა; 5. სპანიელი; 6. ვალსი; 7. დნესტრი; 8. ბაიკონური; 9. პარტიტურა; 10. სინდიყი; 11. სოს; 12. კადრი; 13. ლიქიორი; 14. მაია; 15. სასა; 16. ხატია; 17. მრევლი; 18. ნიქსონი; 19. ვირა; 20. ქარვასლა; 21. როტერდამი; 22. ტურა; 23. პინოჩეტი; 24. ვალი; 25. ნიყვი; 26. მარკო; 27. სიმდი; 28. ანცი; 29. კონტრაბასი; 30. როზენბაუმი; 31. მარკირება; 32. კრავი; 33. ვირი; 34. ანემია; 35. ბროილერი; 36. მანილა; 37. მაჩვი; 38. მსუნაგი; 39. აბორიგენი; 40. ანზორ; 41. კაკაო; 42. კუ; 43. „კაბარე"; 44. ალ; 45. ოკა; 46. არკა; 47. ჟანა; 48. რანჟირი; 49. ალფა; 50. ლაბა; 51. მერე; 52. იდენტიფიკაცია; 53. აგნია; 54. „ძაუ"; 55. კრეტა; 56. მარკ; 57. მი; 58. ზაალ; 59. ლამაზისეული; 60. აქილევსი; 61. ალამი; 62. კალიფორნია; 63. იდიში; 64. იმერეთი; 65. მურადელი; 66. ნაბადი; 67. ბარაკუდა; 68. სპაგეტი; 69. ბროში; 70. ფედერიკო; 71. მეტრი; 72. ბროილერი; 73. ინი; 74. გალია; 75. დოილი; 76. „ქვინი"; 77. დაიმი; 78. ტონიკი; 79. ვარია; 80. ელი; 81. ლევ; 82. ინდოჩინეთი; 83. სტატორი; 84. ბოუი; 84ა. იქთიოლოგია; 85. აცრა; 86. ლაყე; 87. „ილიადა"; 88. სპიდომეტრი; 89. ილინსკი; 90. ისიდა; 92. ან; 93. აისი; 94. მოსე; 95. პონი; 96. ბადაგი; 97. კობო; 98. კალმანი; 99. „აიდა"; 100. ყირიმი; 101. ათი; 102. ჰობოი; 103. ვარდი; 104. ბახალა; 105. ბოა; 106. „ვედრება"; 107. მადა; 108. ჰენრი; 109. მილა; 110. ტოგა; 111. ნაგომარი; 112. ლისტი; 113. ორბი; 114. მარი; 115. ესე; 116. მარილი; 117. ბაგე; 118. ენა; 119. იფი; 120. ბენი; 121. აია. იკითხება: ჩარლი ჩაპლინი. ბასტერ კიტონი. მაქს ლინდერი. ჰაროლდ ლოიდი.



**ია ფარულავა**

როცა ამაღლებულ დინებაში ხარ შენი თხოვნა სრულდება მატერიალიზაციას განიცდის. ბოტანიკურში სეირნობის დროს აღმოვაჩინე რომ ყურთსასმენი არ მაქვს(კატა იპარავს ხოლმე ჩანთიდან) არადა გულით ვინატრე და ზუსტად 5 წუთში გაზაზე მხვდება სულ ახალი ყურთსასმენი რა თქმა უნდა მივიღე საჩუქარი მას მერე რაც პატრონი ვერ ვუპოვნე:)))))))))))



**ნანუკა ჟორჟოლიანი**

შუქი მოვიდა. მერე რა,რომ დილიდან არ იყო და მთელი დღე უფუნქციო ვიყავი:) მერე რა, რომ თითქმის მთელი სამუშაო დღე დავკარგე. მერე რა, რომ ტელეფონის დასატენად მეგობართან წავედი:) მერე რა, რომ 21-ე საუკუნეა და შუქი არ უნდა მიკვირდეს:) მერე რა, რომ მონტაჟს ველარ მოვასწრებ:)

მთავარია შუქი მოვიდა! მადლობა ბატონო ბიძინა:)

ირინა სარიშვილი: Iრინა შარისჰვილი დილიდან რომ ყოფილიყო შუქი, ხო აღარ გაგიხარდებოდა ასე? :))))



## რატომ არ აღიარებენ ადამიანები საკუთარ შეცდომებს?

შეუდარებელია განცდა, როცა შეგიძლია, დოინჯი შემოირტყა და წელგამართულმა თქვა – ვიცოდი, ხომ გეუბნებოდი! ეს და მსგავსი ფრაზები საოცარი სისწრაფით ზრდის თვითშეფასებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირ გახეთქვამდე ბერავს ჩვენს ისედაც გაფუყულ ეგოს.



მაინც, რატომ გვსურს, რომ მუდმივად მართლები ვიყოთ და რატომ გვეშინია შეცდომის აღიარება მაშინაც კი, როცა ჭირი თავს თავადაც არ მალავს? ყველაფერი ჩვენი ფსიქიკის დამსახურებაა. როგორც სხვა ბევრი გაუცნობიერებელი საქციელიც, თავის მუდმივად სიმართლის მღაღადებელ ადამიანად წარმოჩენა შიშთან არის დაკავშირებული.

არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც არსებობს მხოლოდ მათი აზრი და არასწორი აზრი. მათთვის საზოგადოებაში ყოფნისას აუცილებელია, საკუთარი პერსონის მნიშვნელობის განცდა. ეს მათ სიტუაციის მართვისა და სოციუმის სხვა წევრების თავდასხმისგან თავდაცვის განცდას უქმნის. სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ილუზია. სიმართლე ხომ ყველას თავისი აქვს. ინდივიდუალური სიმართლე საზოგადოებამ შესაძლოა, გაკიცხოს, ან მიიღოს.

თუ ადამიანი დაუშვებს, რომ შესაძლოა, ცდებოდეს, მაშინ მას ნაკლები პრობლემები შეექმნება, მაგრამ რა მოვუხერხოთ მათ, ვინც პირდაპირ უზენაეს მოვალეობად მიიჩნევენ, რომ მართლები იყვნენ და პანიკაში ვარდებიან, თუ მოლოდინი არ უმართლდებათ? ყველაფერი არც ისე მარტივადაა და აი, რატომ.

1. ადამიანს სტატუსის დაკარგვის ეშინია. უნდა გავიაზროთ, რომ საზოგადოებას თავისი გასჭირვებია და ყველა საკუთარ პიროვნებაზე ფიქრითაა დაკავებული, ამიტომ სტატუსი უნდა შევქმნათ არა გარშემომყოფების, არამედ საკუთარ აზრზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში პატივისცემას მოვიპოვებთ და ჩვენს აზრებსაც ხშირად გაიზიარებენ.

2. სიამაყე. აი, რა არის პიროვნების ყველაზე უსარგებლო თვისება. სიმტკიცის განცდა სხვა არაფერია, თუ არა ნიღაბი, რომლის მიღმაც არასრულფასოვნების კომპლექსი იმალება. საკუთარი თავის ირგვლივ ქვის კედლის აგება იგივეა, რაც ადამიანს ცუდად ეხუმრო. ასეთ შემთხვევაში, ჩვენს აზრზე დავრჩებით, მაგრამ სიმართლე ძალიან ძვირი დაგვიჯდება. ჩვენგან შესაძლოა, ისინიც წავიდნენ, ვინც ადრე აშკარა სიმპათიას გამოხატავდნენ.



3. შიში, რომ დავმცირდებით. ასეთი განცდები ძირითადად, მოზარდებს უჩნდებათ, თუმცა ზრდასრულებსაც ხშირად აწუხებთ. მაგალითად, ადამიანისთვის, რომელიც სუპერგმირის იმიჯს იქმნიდა, იმის აღიარება, რომ მართალი არ არის, დამარცხების ტოლფასია. უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომა კი არ გვაშორებს ადამიანებთან, არამედ პირიქით, გვაახლოებს. ისინი ჩვენში ცოცხალ ადამიანს დაინახავენ, რომელმაც საკუთარ თავში შეცდომის აღიარების ძალა იპოვა.

4. ნაპოლეონის კომპლექსი. ასეთი ადამიანი მცირე დათმობაზეც კი კატეგორიულ უარს აცხადებს. მისი აზრით, ასე გვირგვინს დაკარგავს, რომელიც ოდესღაც თავად დაიდგა. სინამდვილეში „ნაპოლეონი" გაცილებით მეტს, ადამიანურ სახეს კარგავს. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ გაცილებით მარტივად და დიდხანს ცოცხლობენ ისინი, ვინც თავიანთ შეცდომას აღიარებენ. სწორედ შეცდომის აღიარებაში იმალება ადამიანის სულიერი ძალა.

სანამ თავი სამყაროს ჭიპი გვგონია, ვიცოდეთ, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით. როცა გავიაზრებთ, რომ სრულყოფილები არ ვართ – ღია ვიქნებით ყოველგვარი სიახლისა და სარგებლისადმი.

*globalscience.ru*



## ყველაზე იაფი ადგილები სამოგზაუროდ მსოფლიოს მასშტაბით



გახსოვდეთ, მოგზაურობა თუ ბიუჯეტის ნაკლები სიმძაფრით გახარჯვას გულისხმობს, არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ნაკლები შთაბეჭდილებებით დაბრუნდებით შინ.

მოგზაურობა საკმაოდ დიდ ბიუჯეტს მოითხოვს, მაგრამ არის მრავალი საშუალება ფინანსების გარკვეული ნაწილის დასაზოგად. გთავაზობთ ყველაზე იაფ ადგილებს სამოგზაუროდ, მაგრამ გახსოვდეთ, მოგზაურობა თუ ბიუჯეტის ნაკლები სიმძაფრით გახარჯვას გულისხმობს, არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ნაკლები შთაბეჭდილებებით დაბრუნდებით შინ.

**ტაილანდი, ფუკეტი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $171; ტაქსი: $1.99; სასტუმრო: $117-დან; საკვები: $27; ერთი კათხა ლუდი: $2.54; ერთი ფინჯანი ყავა: $2.7; ერთი ბოთლი ღვინო: $18.



**ბრაზილია, სან-პაოლო**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: 1$68; ტაქსი: 3$; სასტუმრო: 126$-დან; საკვები: $29; ერთი კათხა ლუდი: $1.43; ერთი ფინჯანი ყავა: $1.74; ერთი ბოთლი ღვინო: $9.

**ესპანეთი, ბარსელონა**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $159; ტაქსი: $7.80; სასტუმრო: $94-დან; საკვები: $43; ერთი კათხა ლუდი: $4.73; ერთი ფინჯანი ყავა: $2.26; ერთი ბოთლი ღვინო: $6.

**კანადა, ტორონტო**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $158; ტაქსი: $10; სასტუმრო: 1$15-დან; საკვები: $49; ერთი კათხა ლუდი: $4; ერთი ფინჯანი ყავა: $3. ერთი ბოთლი ღვინო: $12.

**ბრაზილია, რიო-დე-ჟანეირო**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $148; ტაქსი: $4; სასტუმრო: $115-დან; საკვები: $29;



ერთი კათხა ლუდი: $1.70; ერთი ფინჯანი ყავა: $1.71; ერთი ბოთლი ღვინო: $10.

**თურქეთი, ანტალია**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $141; ტაქსი: $4; სასტუმრო: $104-დან; საკვები: $16; ერთი კათხა ლუდი: $3.53; ერთი ფინჯანი ყავა: $2.66; ერთი ბოთლი ღვინო: $8.

**ჩეხეთი, პრაღა**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: 1$34; ტაქსი: $3; სასტუმრო: $121-დან; საკვები: $23; ერთი კათხა ლუდი: $1.41; ერთი ფინჯანი ყავა: $2.11; ერთი ბოთლი ღვინო: $5.

**ესპანეთი, გრან-ქარანია**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $125; ტაქსი: $2; სასტუმრო: $85-დან; საკვები: $37; ერთი კათხა ლუდი: $2.30; ერთი ფინჯანი ყავა: $2.03; ერთი ბოთლი ღვინო: $7.

**გერმანია, ბერლინი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $140; ტაქსი: $12 სასტუმრო: $65-დან; საკვები: $43; ერთი კათხა ლუდი: $3.49; ერთი ფინჯანი ყავა: $2.91; ერთი ბოთლი ღვინო: $6.

**მალაიზია, კუალა-ლუმპური**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $130; ტაქსი: $1.06; სასტუმრო: $72-დან; საკვები: $15; ერთი კათხა ლუდი: $4.47; ერთი ფინჯანი ყავა: $2.83; ერთი ბოთლი ღვინო: $15.

**ეგვიპტე, შარმ ელ-შეიხი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $130; ტაქსი: $1.94; სასტუმრო: $61-დან; საკვები: $40; ერთი კათხა ლუდი: $2.14; ერთი ფინჯანი ყავა: $1.22; ერთი ბოთლი ღვინო: $8.

**საბერძნეთი, კორფუ**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $120; ტაქსი: $6; სასტუმრო: $60-დან; საკვები: $30; ერთი კათხა ლუდი: $3.35; ერთი ფინჯანი ყავა: $2.90; ერთი ბოთლი ღვინო: $12.

**ახალი ზელანდია, ოკლანდი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $140; ტაქსი: $10; სასტუმრო: $64-დან; საკვები: $54; ერთი კათხა ლუდი: $5; ერთი ფინჯანი ყავა: $3. ერთი ბოთლი ღვინო: $11.

**პორტუგალია, ფარო**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $100; ტაქსი: $1.05; სასტუმრო: $54-დან; საკვები: $32; ერთი კათხა ლუდი: $3.79; ერთი ფინჯანი ყავა: $1.20; ერთი ბოთლი ღვინო: $3.

**სამხრეთ აფრიკა, კაპე**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $100; ტაქსი: $8; სასტუმრო: $70-დან; საკვები: $24; ერთი კათხა ლუდი: $1.63; ერთი ფინჯანი ყავა: $1.58; ერთი ბოთლი ღვინო: $6.

**ვიეტნამი, ჰანოე**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $100; ტაქსი: $1.72; სასტუმრო: $59-დან; საკვები: 1$5; ერთი კათხა ლუდი: $0.66; ერთი ფინჯანი ყავა: $1.55; ერთი ბოთლი ღვინო: $10.

**ტაილანდი, ბანგკოკი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $100; ტაქსი: 2. $49; სასტუმრო: $52-დან; საკვები: $21; ერთი კათხა ლუდი: $2.76; ერთი ფინჯანი ყავა: $2.64; ერთი ბოთლი ღვინო: $16.

**ესპანეთი, ტერენიფი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $90; ტაქსი: $4; სასტუმრო: $55-დან; საკვები: $34; ერთი კათხა ლუდი: $2.11; ერთი ფინჯანი ყავა: $1.43; ერთი ბოთლი ღვინო: $5.

**უნგრეთი, ბუდაპეშტი**

დღიურად გასათვალისწინებელი თანხა: $60; ტაქსი: $6; სასტუმრო: $32-დან; საკვები: $27; ერთი კათხა ლუდი: $1.57; ერთი ფინჯანი ყავა: $1.77. ერთი ბოთლი ღვინო: $5.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## რატომ ვერ იძინებენ ბავშვები?

უძილობა სერიოზული პრობლემაა როგორც ბავშვებისთვის, ისე დიდებისთვის. მუდმივი სიფხიზლის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. მათ შორისაა სავსემთვარეობა. აღმოჩნდა რომ სავსემთვარეობაზე ძილის პრობლემა პატარებასაც ექმნებათ.

კანადელი მეცნიერების კვლევის თანახმად, 9-დან 11 წლამდე ბავშვებს სავსე მთვარე ისევე უშლის დაძინებაში ხელს, როგორც დიდებს.

რა უნდა მოვუხერხოთ მთვარეს, რომ ძილი მოვახერხოთ, მეცნიერებმა ჯერ არ იციან.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## 11 ნიშანი იმისა, რომ თქვენ მფარველი ანგელოზი გაკითხავთ



მათ, ვისაც სწამს მფარველი ანგელოზის არსებობის, გამოცემა WomanHappiness სთავაზობს 11 ნიშანს, როგორ უნდა გავარკვიოთ, როდის არის ჩვენს გვერდით მფარველი ანგელოზი.

ადამიანები წლების მანძილზე დაგროვილ შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა 11 მანიშნებელი იმისა, როდის არის თქვენ გვერდით მფარველი ანგელოზი.

1. სიზმრად მოსვლა. სიზმარი სულის ფანჯარაა. ხანდახან სიზმრად მოდიან მფარველი ანგელოზები და ასე გადმოგცემენ გზავნილს, სიზმრით გაფრთხილებენ, ხან კი უბრალოდ, გენახვებიან.

2. უცნაური ფერადი წრეები თვალწინ. თუ თქვენ უცებ მკვეთრი სინათლე დაინახეთ ან პატარ-პატარა ფერადი წრეები, ამბობენ, გონების დაბინდვა ხდებაო, ზოგიერთი ადამიანი კი ამბობს, რომ ამ დროს ჩვენ ანგელოზების გადაადგილებას ვხედავთ.

3. მოულოდნელი ტკბილი სუნი. თუ თქვენ უცებ ტკბილი სურნელი იგრძენით და არ იცით საიდან, ეს თურმე ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ მფარველი ანგელოზი გვერდით გყავთ. ამბობენ, ამ სუნით მფარველი ანგელოზი ცდილობს, გაგრძნობინოთ, რომ გვერდით არის, ეს შეიძლება იყოს საჭმლის, ყვავილის ან სუნამოს სუნი, რომელსაც თქვენი გარდაცვლილი ახლობელი ხმარობდა.

4. თეთრი ბუმბული. ჯეკ ნიუკომბის წიგნში, რომელიც მფარველ ანგელოზებზეა დაწერილი, ავტორი ამბობს, რომ, თუ თქვენ სრულიად მოულოდნელად თეთრი ბუმბული იპოვეთ, მფარველი ანგელოზი მიგანიშნებთ, რომ ის ახლოსაა. ავტორის აზრით, ეს ყველაზე გავრცელებული ნიშანია ანგელოზის სიახლოვისა.

5. თქვენი ბავშვი ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავთ თქვენ. ბევრი ადამიანი ამბობს, რომ პატარა ბავშვები და შინაური ცხოველები მფარველ ანგელოზებს ხედავენ მაშინაც კი, როცა უფროსები ვერაფერს ამჩნევენ, ამბობენ, ანგელოზები პატარებს აწყნარებენო. შეიძლება შეგინიშნავთ კიდეც, რომ თქვენი პატარა ერთ წერტილს მისჩერებია და იღიმის, თან ლუღლუღებს. ასეთ დროს ამბობენ, ანგელოზები ელაპარაკებიანო.

6. თქვენ ხედავთ ანგელოზებს ღრუბლებში. ბევრჯერ გიყურებიათ ღრუბლებისთვის და სხვადასხვა საგნებისთვის მიგიმსგავსებიათ. ხან ანგელოზის ფორმის ღრუბელიც დაგინახიათ, ეს ნიშანია იმისა, რომ მფარველი ანგელოზი ზეციდან გიყურებთ. ან შეიძლება ის გულის ფორმით მოგევლინოთ, რაც ძალიან გჭირდებათ.

7. ხშირად ანგელოზებს ამჩნევთ რიცხვებში. ამ თემატიკით დაკავებული ადამიანები ამბობენ, რომ ხშირად მფარველი ანგელოზები ციფრებით გვევლინებიან, ეს შეიძლება იყოს ის ციფრები, რომლებიც თქვენთვის რაღაც მნიშვნელოვან თარიღს უკავშირდება ან უჩვეულო ციფრებში, მაგალითად, 333, 11:11 და სხვა. თუ ეს ციფრები თვალში ხშირად გხვდებათ, იცოდეთ, რომ თქვენი მფარველი ანგელოზი გვერდით გყავთ.

8. ტემპერატურის უეცარი ცვლილება. ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ გრძნობს ტემპერატურის უეცარ ცვლილებას. ხან სიცივეს, ხან კი სითბოს მთელ სხეულში. ამბობენ, ეს მფარველი ანგელოზის გვერდით ყოფნის ნიშანიაო.

9. თქვენ გესმით მოგუდული ხმა. ანგელოზებთან ჩვენ საუბარი არ შეგვიძლია, მაგრამ ამბობენ, რომ ისინი მაინც ცდილობენ, რაღაც გვითხრან და თუ სიჩუმეში რაღაც დაგუბებულ ხმებს გაიგებთ, ეს სწორედ ამ მცდელობის ნიშანია.

10. გრძნობა, რომ გვერდით ვიღაც არის. ალბათ, ბევრ თქვენგანს ჰქონია შეგრძნება, რომ ცარიელ ოთახშიც კი, გვერდით ვიღაც არის, ამბობენ, ასე მფარველი ანგელოზის სიახლოვეს ვგრძნობთო.

11. მოულოდნელი სითბო თავის არეში. თუ მოულოდნელად თმის გვირგვინის არეში სითბო იგრძენით, ეს მფარველი ანგელოზის არსებობის კიდევ ერთი ნიშანია. ამბობენ, ამ სფეროს საშუალებით შესაძლებელია ანგელოზებთან ურთიერთობაო.

*postalioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## არასაკმარისი ფული ნაადრევ სიბერეს იწვევსო

უფულობას რომ ბევრი გართულება უკავშირდება და სქესსაც რომ არ ცნობს, ყველამ ვიცით, მაგრამ ქალების შემთხვევაში, თურმე, ნაადრევ სიბერესაც იწვევს.

კვლევა 100 სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ანაზღაურების მქონე ქალზე ჩატარდა. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ მაღალი ანაზღაურებით ქალი უკეთეს კოსმეტიკას იყიდის და თავს უკეთ მოუვლის. გარდა ამ მნიშვნელოვანი ასპექტისა, უფულობა სტრესს იწვევს, სტრესი კი, თავის მხრივ, კანის ნაადრევ დაბერებას.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## როდის ავადდებიან ბავშვები ნევროზით და რატომ ეწყებათ შიში?



გავრცელებული მოსაზრება, რომ ნევროზი და დეპრესია მხოლოდ უფროსებისთვის არის დამახასიათებელი, მცდარია. ნევროზი ბავშვებს გაცილებით ხშირად აწუხებთ, ვიდრე დიდებს.

ჯანმრთელი ბავშვების შიშს ყოველთვის რეალური საფუძველი აქვს. წლამდე ასაკში პატარა მაღალი ბგერებისა და დიდი საგნების მიახლოებაზე შფოთავს, ამავე პერიოდში, ჩვილი განსაკუთრებით მგრძნობიარეა დედის მიმართ, მაგალითად, თუ მშობელი იცინის, პატარაც მშვიდად არის, თუ მშობელი ნერვიულობს – პატარაც აღგზნებულია. 2-3 წლის ასაკში ბავშვს ტკივილის, ექიმებისა და ზღაპრების ბოროტი გმირების ეშინია. 6-7 წლისები კი უკვე საკუთარ სიკვდილსა და ახლობლების დაკარგვის შესაძლებლობას აცნობიერებენ. სკოლის მოსწავლეების შიშები მათ ახალ სოციალურ როლთან არის დაკავშირებული. ისინი ნერვიულობენ, რომ შეიძლება, ვერ გაამართლონ ახლობლების, მეგობრებისა და მასწავლებლების იმედები. ყველა ეს შიში ნორმალურია და თითქმის ყველა ბავშვისთვის დამახასიათებელი, თუმცა უფროსებისგან ტაქტიკურ მიდგომას მოითხოვს. მაგალითად, თუ პატარას ბნელ ოთახში მარტო დატოვებთ, მას შეეშინდება და ვერ დაიძინებს. არ შეიძლება დასჯის მიზნით მისი ოთახში ჩაკეტვაც, ამ დროს მას უფრო უძლიერდება სიბნელისა და მარტო ყოფნის შიში, რასაც ემატება მშობლის განრისხების შიშიც. ეს უკვე ნევროზია.

რაც არ უნდა უსაფუძვლო მოგეჩვენოთ თქვენი შვილის შიში, არ დასცინოთ, აგრძნობინეთ, რომ მის გამოცდაში არანორმალური არაფერია და რომ მის ასაკში თქვენც გეშინოდათ. მშობლის მხრიდან უტაქტო მიდგომის შემთხვევაში ბავშვი საკუთარ თავში იკეტება და საკუთარი განცდის მიზეზს ეძებს. თუ გამოსავალს ვერ იპოვის, მას ფობია უყალიბდება.

ფობია თავს მოხვეული შიშია. არსებობს კლაუსტროფობიაც, ანუ დახურული სივრცის შიში, ასევე სოციოფობია, ანუ ურთიერთობის შიში, ნოზოფობია, ანუ დაავადებების შიში და სხვა. შედეგად პატარა საკუთარი თავისადმი რწმენას კარგავს, უთქმელი, ან პირიქით, ძალიან აგრესიული ხდება. ბავშვებში ნევროზული შიშების განვითარება შეიძლება მემკვიდრეობითი, ანუ გენეტიკური იყოს. პატარას ჯანმრთელობისთვის საჭიროა არა მხოლოდ მშობლის სწორი დამოკიდებულება მისდამი, არამედ მშობლების ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა. ნევროზული შიში, როგორც წესი, ვეგეტაციური წესის მოშლილობით – გახშირებული გულისცემით, სიცხით, შემცივნებით, უძილობით, მადის დაკარგვით ხასიათდება, ამიტომ ამ სიმპტომების გაჩენისთანავე საჭიროა, თქვენს შვილს სასწრაფოდ მიაქციოთ სათანადო ყურადღება.

*postalioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## მექსიკელი პოლიციის ოფიცერი გამომწვევი ფოტოს გამო უმუშევარი დარჩა



მექსიკაში პოლიციის ოფიცერი ჭარბად გულახდილი ფოტოების გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. თურმე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ჟამს, პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა მკერდი მოიშიშვლა და ფოტოები გადაიღო, თანაც თავის ფეისბუკგვერდზე ატვირთა.

ქალის საქციელს ორი შვილის დედისთვის მეტისმეტად ამორალური უწოდეს და სამსახურიდან გაუშვეს. თანაც ჯერ კიდევ იძებნება მეორე პოტენციური დამნაშავე იმიტომ, რომ არ გარკვეულა, ფოტო თავად გადაიღო თუ ვინმეს დახმარებით.

„არ ვიყავი მართალი, როცა თავს უფლება მივეცი, სამუშაო საათებში, სამსახურის ფორმით ასეთი ფოტოები გადამეღო. ამით ჩემს შვილებს, ქმარსა და ოჯახს ვავნე“, – აღიარა ერთ ფოტოს შეწირულმა პოლიციელმა.

*lenta.ru*

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

facebook




ქეთი დოლიძე 2012 წელს გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს:

სხვათაშორის და ეს ცოცხიც ჩემი მოფიქრებულია! სად მიეწიათ ნაცებს? ვინმეს მაშინ ეგონა, რომ ეს ჩემი ცოცხი წინასწარმეტყველური იქნებოდა????

facebook



გიორგი ჯანელიძე

10 წამიანი ამბავი

დღეს ბავშვთან ერთად ზებრასთან ვდგავარ, ,,შესაძლებლობების ფანჯრის გახსნას" ველოდები და ამ დროს მიჩერებს მანქანა და ჩრდილოკავკასიურზომისწვერიანი მძღოლი მეკითხება: - დულუმ? დულუმ? დულუმ? ასე თუ ისე მოტივირებული პასუხის ჩამოყალიბებაში, ხელს უკანა მანქანის მძღოლები მიშლიდნენ, რომელიც ასიგნალებდნენ და ამ მძღოლს აგინებდნენ. ასეთ ფორს-მაჟორში რაც მოვიფიქრე, ხელი გავიშვირე დიღმისკენ. საერთოდ არ ვარ დარწმუნებული, რომ დიღომი უნდოდა. :))))))))

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მეცნიერებმა ქალებს ანტიდეპრესანტების მიღება აუკრძალეს



– ანტიდეპრესანტები და მსგავსი პრეპარატები ძალიან ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე, – ასეთი აღმოჩნდა ბრიტანელი მეცნიერების დასკვნა.

გარდა ამისა, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ანტიდეპრესანტები განსაკუთრებით სახიფათო ფეხმძიმობის პერიოდშია. ამასთანავე, ვინაიდან დაორსულება, როგორც წესი, დაგეგმილი არ არის ხოლმე, სხვადასხვა პრეპარატი პოტენციურად უდიდეს საფრთხეს შეიცავს თითოეული ქალისთვის.

ანტიდეპრესანტები და მათი მსგავსი პრეპარატები სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ემბრიონის განვითარებას. მოსალოდნელია ბავშვისთვის ინტელექტის დაქვეითება.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბრიტანელი მეცნიერები ქალებს ურჩევენ, სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობას არა მედიკამენტებით, არამედ ფსიქოლოგიური თერაპიით შეებრძოლონ.

*golosscience.com*

## მე-20 საუკუნეში მიწისქვეშა... ნავების შექმნის მცდელობა იყო



მიწისქვეშ მხოლოდ თხუნელა და ბოლოკი კი არ შეიძლება იყოს, თურმე, ყოფილა იდეა, რომ მიწისქვეშა ნავიც შეექმნა კაცობრიობას.

მიწისქვეშა ნავი - რეალურად არსებული პროექტია, რომელიც ასეთი უნდა ყოფილიყო: თვითმოძრავი მექანიზმი, მანქანა, რომლის მართვას მის შიგნით მყოფი ეკიპაჟიც შეძლებდა. გზა მას თავისით უნდა გაეკვლია.

ასეთი მანქანის ქონა მის მფლობელს ძალიან ბევრ და სერიოზულ უპირატესობებს მისცემდა, თუმცა იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა.

თითქმის მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე მიწისქვეშა ნავების სხვადასხვა დონის რეალისტური პროექტები ძალიან ბევრ ქვეყანაში განიხილებოდა, მათ შორის, გერმანიასა და საბჭოთა კავშირშიც.

საბჭოთა კავშირში ასეთ მოწყობილობას სახელიც ჰქონდა შერჩეული: „საბრძოლო თხუნელა“. მეტიც, ის 1964 წელს გამოიცადა კიდეც.

ცნობილია, რომ „საბრძოლო თხუნელა“ დაახლოებით 7 კილომეტრ/საათის სიჩქარის განვითარებას ახერხებდა და 5 ადამიანისგან შემდგარ ეკიპაჟსაც იტევდა.

პირველი გამოცდა მანქანამ წარმატებითაც ჩააბარა – მთის მიღმა გასვლა მოახერხა, თუმცა მეორე ცდისას აფეთქდა და ადამიანებთან ერთად მიწისქვეშ ჩარჩა. სულ მალე პროექტი სამუდამოდ შეჩერდა.

როგორი იყო გამოცდების შედეგები დანარჩენ ქვეყნებში, უცნობია, თუმცა სასურველი შედეგი რომ არავის მიუღია, ფაქტია.

*mainfun.ru*

## ცხიმიანი თევზი ინსულტისგან გადაგარჩენთ



კვლავ ინსულტის, ამ ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებასთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ კვირაში რამდენჯერმე ცხიმიანი თევზის მიღება ამ უსიამოვნების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

კვლევა ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, რომლებიც განმარტავენ, რომ განსაკუთრებით უნიკალური თვისებებით შემდეგი სახეობის თევზები გამოირჩევა: ორაგული, სკუმბრია, ქაშაყი და სარდინი.

დოქტორმა რაჟივ ჩოუდრიმ კემბრიჯის უნივერსიტეტიდან და პროფესორმა ოსკარ ფრანკომ ერასმუსის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრიდან თევზის სარგებლობასთან დაკავშირებული 38 კვლევის შედეგები გააანალიზეს. მათ შეისწავლეს ცხიმიანი თევზის მახასიათებლები, რომლებიც ცერებრალურ-ვასკულარული, ანუ თავის ტვინში სისხლის ნაკადის დამრღვევი დაავადებების განვითარებას უშლიან ხელს.

საერთო ჯამში, შესწავლილ იქნა დაახლოებით 800 ათასი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მსოფლიოს 15 ქვეყნიდან და დადგინდა, რომ მას, ვინც ცხიმიან თევზს რეგულარულად იღებდა, ინსულტი და მსგავსი უსიამოვნებები ბევრად იშვიათად აწუხებდა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*wordscience.ru*

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 435 553
რედაქტორი მანანა გიორგაძე

## რატომ არის მნიშვნელოვანი სიგარეტის 30 წლამდე გადაგდება?



ალბათ, მოწევა ერთ-ერთი ის შემთხვევაა, როცა გამოთქმა: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ ყოვლად უსარგებლო და გამოუსადეგარია. პირიქით, სჯობს, ძალიან ადრე და როგორც ბრიტანელი მეცნიერები ამბობენ, 30 წლამდე!

სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან მიიჩნევენ, რომ მოწევა ადამიანის სიცოცხლეს დაახლოებით 10 წლით ამოკლებს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეისწავლეს მონაცემები, რომელთა შეგროვება ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა პერიოდში დაიწყო. სწორედ მაშინ მიაღწია მოწევის მოდამ თავის აპოგეას – სიგარეტი მამაკაცების 80 და ქალების 40 პროცენტის საუკეთესო მეგობარი გახდა. ბრიტანელმა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს, გაერკვიათ, როგორია ნიკოტინის ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

და აი, 60 წლის გასვლის შემდეგ, მეცნიერებმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. აღმოჩნდა, რომ მწეველებს ნაადრევი სიკვდილი ემუქრებათ, რაც პრინციპში, ცნობილი ფაქტია, თუმცა მეცნიერულად განმარტება ასეთია: 1 მილიონ 300 ათასი ქალის მაგალითით, მწეველები 10 წლით ადრე კვდებიან მათთან შედარებით, ვინც ნიკოტინის გავლენის ქვეშ არ არის მოქცეული.

მკვლევარები ასკვნიან, რომ რაც უფრო ადრე მოიძიებს ადამიანი იმის ძალას, რომ მოწევაზე უარი თქვას, მით მეტხანს იცოცხლებს. კერძოდ, სიგარეტის გადაგდება 30 წლამდე ონკოლოგიური დაავადებების რისკს მთელი 97 პროცენტით ამცირებს. თუკი ადამიანი მოწევას მაინც განაგრძობს და 40-წლიან ზღვარსაც გადააბიჯებს, ნაადრევი გარდაცვალების ალბათობა 10-ჯერ იზრდება.

*meganauka.ru*

## იეტი ადამიანისა და უცხოპლანეტელის ჰიბრიდია?



რამდენად შეიძლება ამას სენსაცია ვუწოდოთ, თავად განსაჯეთ. ყოველ შემთხვევაში, რუსული პრესა სწორედ ასეთი სათაურებით აჭრელდა: „სენსაცია: მეცნიერებმა „თოვლის კაცი“ ამოიცნეს“. გენეტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ იეტი – ეს არის ადამიანისა და კოსმოსიდან მოსული უცხოპლანეტელის ჰიბრიდი.

რუსეთის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ჰომინოლოგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი იგორ ბურცევი განმარტავს, რომ მიღებულია „თოვლის კაცის“ დეენემის მრავალწლიანი კვლევის შედეგი. მისივე ინფორმაციით, ანალიზი ამერიკაში ჩატარდა, სადაც 5 წლის მანძილზე 109 ბიოლოგიური ნიმუში იქნა შესწავლილი. მათ შორის, იეტის სისხლის კვალი, თითების ანაბეჭდები, ნერწყვი, თმები, კანი და ასე შემდეგ. ცნობილია ისიც, რომ კვლევაში რამდენიმე ლაბორატორია იყო ჩართული როგორც აკადემიური, ისე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს დაქვემდებარებული.

გენეტიკური ექსპერტიზის შედეგი შოკისმომგვრელია: იეტი ადამიანია, მაგრამ ჰიბრიდული სახეობის. ის წარმოიშვა ადამიანისა და მეცნიერებისთვის უცნობი, სავარაუდოდ, პრიმატების მონათესავე არსებისგან. ჰიბრიდიზაცია დაახლოებით 15 ათასი წლის წინათ მოხდა. იეტის გამოჩენის პირველი ადგილი ევროპაა, კონკრეტულად კი – ცენტრალურ-აღმოსავლეთ ან აღმოსავლეთ ევროპა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*kp.ru*



– ალო, გამარჯობათ მე რობიზონი მქვია და ზოოპარკიდან პანდა მოვიპარე.

– მე მესმის თქვენი, მაგრამ ეს ალკოჰოლიკების ანონიმური ტელეფონია.

– მერე თქვენ რა გგონიათ, ეს პანდა ფხიზელმა მოვიპარე?

*****

– ტრიფონ, ჭამის წინ თუ ლოცულობ?

– არა, ჩემს ცუცას გადასარევი ხელი აქვს, მაგარ საჭმელებს აკეთებს.

*****

ცოლ-ქმარი ჩხუბობს.

– ლოლიტა, გაჩერდი, ჩემში ცხოველი არ გააღვიძო, თორემ...

– თორემ რაა, როდის იყო თაგვის მეშინოდა.

*****



– ვიქტორას გაუმარჯოს, მომისმინე, ზურგს უკან ხელში არყის ბოთლი მიჭირავს, თუ გამოიცნობ, რომელ ხელში მაქვს, დავლიოთ, თუ ვერ გამოიცნობ, გადავლევართ.

– მარცხენაში.

– იფიქრე, ვიქტორა, ნუ აჩქარდები, არ დავილუპოთ, ძლივს ვიშოვე ეს არაყი.

*****

– დალტონიზმის უჩვეულო ფორმა მაქვს, ერთ ფერს ვერ ვხედავ.

– რომელ ფერს?

– რა ვიცი, რომელ ფერს, იმ ფერს ვერ ვხედავ და როგორ აგიხსნა?

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“
გამოდის ორშაბათობით
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)
Facebook - ამბები – ლაურა აბრამია
574 41-16-95
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 1.55